БИБЛІОТЕКА
И. П. Петрова
Въ Кутаисѣ.

№ 3663
Шкафъ
Полка



6360



3663.

# მესამე წიგნი

1871

თფილისი
[illegible]ულირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა

1871
БИБЛИОТЕКА
Л. П. ПЕТРОВА
ВЪ КУТАИСѢ

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Марта, 1871*

# მესამე წიგნის შინაარსი

«კრებულის» დანიშნულებაზე.
მოთხრობა — რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფორიჩთან (დასასრული).
«ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი...» (ლექსი ***-სა)
გლეხ-კაცების ომები გერმანიაში (თხზ. ბორნესი, თარგმ. ნ. ანტონოვისა).
ლეინედამ (ლექსი ***—სა).
საზრდო და იმისი მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში.
«დედა და შვილი» (დრამული ეპიზოდი ***-სა).
საზოგადო საქმეები — ახალგაზრდობის აღზრდა (ნ. სკანდელისა).
კრიტიკა და იმის მნიშვნელობა ლიტერატურაში (ნ. სკანდელისა).

## დამატება

გულივერის მოგზაურობა (ნათარ.. ნ. სკანდელისა).

К.П.ПЕТРОВЫ
ВЪ КУТАИСѢ

# „კრებულის" დანიშნულებაზე

«კრებული» დღეის იქით ჟურნალათ გამოიცემა. ეს ცვლილება მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ «კრებულის» წიგნები დანიშნულ ვადაზე გამოვლენ, თვეში ერთხელ, და უწინდელს მის შინაარსს ახალი ნაწილები—«მიმოხილვა,» «კრიტიკა» და სხვ. დაემატება. არა. ჟურნალი, სხვა რამითაც განირჩევა სხვა და სხვა სტატიების კრებისგან. ხეირიან ლიტერატურაში ჟურნალის სახელი ისეთ გამოცემას ეძლევა, რომელსაც თავისი საკუთარი სული უდგია, თავისი დამდგარი აზრი აქვს, და რომელიც ყოველი თავისი სტატიით, თითოეული სტრიქონით და სიტყვით ნიადაგ თავის დანიშნულ მიზანს მისდევს. ამას ეძახიან ჟურნალის «მიმართულებას,» მის დროშას, და ჩვენი «კრებული» დარწმუნებულია, რომ ხელ-ცარიელი არ გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე, რომ იმას თავისი საკუთარი მიმართულება და დროშა გამოაქვს.

როგორც ყოველი კაცის მოქმედების და მიმართულების ასახსნელათ უმთავრესი საგანი — მისი მიზანია, ისე ჟურნალის ხასიათის გამოსაკვლევლათ მისი მიზნის გაცნობაა საჭირო. როცა ჩვენ გაცნობილი გვაქვს ვისიმე მიზანი და ის საშუალებები, ის გზა, რომლითაც ის თავის მიზნისკენ მიმართვას აპირებს, ჩვენ სრული სჯა შეგვიძლიან შევადგინოთ ამ პირის მიმართულებაზე და მოქმედებაზე. და რადგანაც ჟურნალის საქმეც ამნაირივეა, და მისი შრომა მით უფრო ადვილდება, რაც უფრო უკეთ და სრულათ გაცნობილი აქვს მკითხველს მისი მიმართულება, ჩვენ აქვე უნდა გამოვთქვათ მისი მიზანი, საშუალებები და მოქმედების გზა.

«კრებულს» ისვე მიზანი აქვს, როგორიც უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში ყოველ პატიოსან და ხეირიან კაცს, ესე იგი თავისი საზოგადოების ბედნიერება. როგორც ყოველ გონიერ კაცს, ამნაირ ბედნიერებათ მთელი საზოგადოებისთვის «კრებულს» ის მიაჩნია, რომ ყოველ კერძო პირს, საზოგადოების წევრს, მისი სხეულის და გონების ძალა რაც შეიძლება უფრო სრულათ გაეხსნას და ცხოვრებაში ამ ძალას რაც შეიძლება უფრო სრული დაკმაყოფილება მიეცეს.

ამნაირი ბედნიერება ის მიზანია, რომელსაც მისდევს

მთელი კაცობრიობა. მაგრამ იმის მიღწევას ქვეყანაზე ბევრი რამ უშლიდა და ეხლაც უშლის. ყველაზე უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც ნიადაგ ხვდებოდა და ხვდება კიდევ ამ მიზანს, ის საზოგადო აზრია, ვითომ ამ ბედნიერების მიღწევა თვითონ კაცს და კაცობრიობას კი არ შეუძლია, — ამ სიკეთეს ის ზეგარდმო უნდა მოელოდეს; ვითომ კაცის უბედობა საბრალო დედამიწაზე თვითონ კაცის აგებულების ანა და გარემო ბუნების საქმეა, ვითომ კერძო პირს, ან კერძო პირების კრებას არა შეუძლიათ რა ამ უბედურების დასათურგვნელათ და ბედნიერების მისაღწევლათ. «ასე უნებებია ბედს, ფიქრობენ საზოგადოთ ამ საგანზე, მაშ დავემორჩილოთ მის წმინდა განგებას.»

უეჭველია, რომ კაცის უბედობაში ბრალი კაცის სხეულსაც ადევს და გარემო ბუნებასაც. მაგრამ ამაზე უფრო უეჭველი ისიც არის, რომ ეს ხსენე-ბი ნიადაგ და შეუცვლელ ბუნების კანონებს მონე-ბენ, და ამ კანონების გამოკვლევით, მითი გონიერათ ხმარებით კაცს, როგორც თავისი საკუთარი სხეულის, აგრეთვე გარემო ბუნების გაუმჯობესობა და თავისთვის სასარგებლოთ ხმარება შეუძლია. ამაზე კიდევ უფრო უეჭველი ისიც არის, რომ კაცის უბედობის ბრალი ადევს, კაცის სხეულს და ბუნებას გარდა, კაცის უმეცრებას და იმ გარემოებას, რომ კაცს ჯერ

მოუხერხებია ისეთ ნაირათ გაემართა თავისი სიცოც-ხლე და საქმეები, რომ მისი საკუთარი და გარშემო მყოფი ბუნების მოთხოვნილებებს ბუნებითი დაკმაყო-ფილება მიეღოთ.

მოვიყვანოთ მაგალითი. ცხოვრებს, ვთქვათ, სალ-ხი ნოტიო, ჭუჭყო ადგილში, მდაბალ სამეგრე-ლოში, ვთქვათ, რიონის პირათ. ის უძლური, სნეუ-ლი და ღარიბია, შეძლებით და გონებით. რასაკვირ-ველია, ამ გარემოებაში, ბრილი კაცის აგებულებას და სამეგრელოს ბუნებას ადევსთ, რადგანაც კაცის აგებუ-ლება მშრალ, ნოყიერ ჰავას, კარგ მიწა-წყალს და სა-ზრდოს თხოულობს, ურომლოთაც იმას სეირიანათ გა-ძლება არ შეუძლია; სამეგრელოს ბუნება კი არ აძლევს კაცს ამ ნაირ ჰავას, მიწა-წყალს და საზრ-დოს, და ამის გამო, რაკი კაცის ბუნების მოთხოვ-ნილება იქ სეირიანათ ვერ კმაყოფილდება, კაცი უბე-დურ, უძლურ მდგომარეობაშია. ქვეყანაზე ასი და ათასი მაგალითი რომ არ ყოფილიყო სწორეთ მაგ-ნაირივე მდგომარეობაში მყოფ ხალხებისა, ვინ გაბე-დავდა ხმის ამოღებას და იმ პირების წინააღმდეგო-ბას, რომელნიც ხმა მაღლა დარწმუნებით ამტკიცებ-დენ, რომ «ეს ღვთის ნებაა, ღმერთს ასე გაუჩე-ნია და ჩვენ აბა რა ხელი გვაქვსთ მის ნებას ვე-წინააღმდეგოთო!» არ ვინ გაბედავდა სხვა პირების წი-

ნააღმდეგობას, იმ პირობისას, რომელნიც ძველი სწავ-
ლით და ცოდნით დაიარაღებული გამოდიან და ამ-
ბობენ: «ეს ბუნების კანონია. კაცის აგებულება და ბუ-
ნება დამნაშავეა სამეგრელოს მცხოვრებლების სისუს-
ტეში. ჩვენ, უძლურ ჭიებს, აბა რა ნაირათ შეგვეძლება
ბუნების საუკუნო კანონების შეცვლა და გასწორება?»

მაგრამ, ასი და ათასი მაგალითი მოხდა ქვეყანა-
ზე იმის, რომ ხალხი, რომელიც ნოტიო, ჭანჭ-
ყოიან ადგილებში იდგა და მრავალი საუკუნოების
განმავლობაში უძლური, ავათმყოფი და ღარიბი იყო,
თავისი საკუთარი მოხერხებით და შრომით გამო-
ვიდა ამ უბედურ მდგომარეობიდგან და ეხლა მშვე-
ნიერათ სცხოვრობს. ამ სასწაულ-მოქმედებაში არც
ზეგარდამო მოვლინება გარეულა, არც ბუნების კანო-
ნების შეცვლა. მოხდა ეს ცვლილება მარტო იმის-
გამო, რომ კაცმა გაიგო, რა იყო უბედობის ნამ-
დვილი მიზეზი, გაიგო, რა ბუნების კანონების ძალით
ხდება ეს უბედობა და რა კანონების ძალას შეუძლია
მისი მოსპობა. და როცა გაიგეს, რომ გონიერათ
გავლებულ თხრილებს ნოტიო ადგილებში წყლის და-
წრეტა შეიძლიათ, რაკი გაიგეს, რომ დაწრეტილ
ჭანჭყოებზე მშვენიერი მოსავალი მოიყვანება, რომ
ტყეების გონიერათ გამოკაფვა ჰაერს მოძრაობას და
მაშასადამე სიწმინდეს მისცემს,—უძლური ხალხი გა-

დარჩა თავის უბედობას, ძალუნ, მდიდარ ხალხათ გადიქცა. წვრილმან მაგალითებს თავი დავანებოთ, მოვიხსენიოთ მარტო ჰოლლანდია, რომელიც სწორეთ ამ გზით ეღირსა თავის ახლანდელ მდგომარეობას.

ევროპაში, ამერიკაში, აფრიკაში, ერთი სიტყვით ყოველგან, ძლიერ ბევრი მაგალითები ყოფილა, რომ სრულიად უწყლო, უმცენარო, უხეირო მიწა-მინდვრები, თვალ-გადუწვდენლები, ცარიელი სილით სავსენი, კაცის ხელ ქვეშ მშვენიერ ბაღათ გადაქცეულიყვნენ, ჩინებული წყაროებით, ტყეებით და შავი მიწით ავსებულიყვნენ და ზედ ქალაქები და მთელი სახელმწიფოები გამართულიყვნენ, სიმდიდრით და ბედნიერებით სავსენი. თავი დავანებოთ, კიდევ, წვრილმან მაგალითებს, და მოვიხსენიოთ ჩრდილოეთ ამერიკაში მორმონების ადგილი, მლაშე ტბაზე, რომელზედაც ამ ორმოცი წლის წინ ფრინველიც არ მოიძებნებოდა, და რომელზედაც დღეს მდიდარი და ძლიერი ხალხი ცხოვრობს, მშვენიერათ გამართულ ქალაქებში, საუცხოოთ დამარაგებულ და შემუშავებულ მიწაზე.

ეს მაგალითები საკმაოთ გვიმტკიცებენ, რომ კაცის ბედზე ძლიერ დიდი გავლენა აქვს თვითონ კაცს, ისეთი გავლენა აქვს, რომ იმას შეუძლია მთელი მხა-

რესა შეცვლა, მისი ბუნებითი მდგომარეობის გადასხვაფერება და თავის სასარგებლოთ მოწყობა.

თუ კაცს და მის გონებას ამისოდენა გავლენა აქვს თვითონ ბუნების გადასხვაფერებაზე, თუ კაცის ტვინს და შრომას შეუძლია ბუნების კანონების გამოკვლევით და მათი გონიერად ხმარებით თვითონ ბუნების ხასიათის შეცვლა, რაღა თქმა უნდა, რომ წვრილმანობაში იმას მეტის მეტი გავლენა უნდა ჰქონდეს სხვა და სხვა დაბრკოლებაებზე, რომლებიც იმას ცხოვრებას უმწარებენ და ბედნიერებას აშორებენ. მართლაც, რაგინდ დაბრკოლება აიღო კაცის ცხოვრებაში, ყველა, თითქმის, ისეთ ნაირი იქნება, რომ კაცის გონებას და შრომას მათი დათრგვნა და მოგერება შეუძლია ან შეეძლება. ავიღოთ მაგალითად, ჟამი. უწინდელ დროს ეს სენი რომელიმე მხარეს რომ ეწვეოდა, მას შემდეგ მხარე თითქმის მოსრესილი დარჩებოდა: ხალხი გაილეწებოდა, და ვინც დარჩებოდა, იმას საზრდო აღარ ექნებოდა, რადგანც ჟამიანობას ხვნა-თესვა სწყდებოდა. და ორმოცი, ხან ასი წელიწადი სჭიროდა ხალხს წლის გასამართავათ, ჟამის კვალის ამოსახოცველათ. ვის არ ახსოვს, ჩვენში, მაგალითად იმერეთში, რა საშინელი კვალი დატოვა ჟამიანობამ ამ საუკუნის დასაწყისში, და რა გავლენა ჰქონდა ამოწყვეტილ ხალხზე, ჟამს შემდეგ,

საზარელ შიმშილს, როცა დედა ერთ საკეცე მჭადის-თვის შვილს ყიდდა და, ადამიანი ადამიანის ხორცს ხელს კიდებდა? ვინ არ იცის, ჩვენში, რომ იმ დროს ხალხი ათასობით გაწყდა და ათასობით ტყვეთ გაიყიდა, დამონავდა, რომ იმ დროს ჩვენი ქვეყანა წელმოწყვეტილი, დაკლული იყო, და მას შემ-დეგ დიდხანს კიდევ გაჭირვებას სწევდა? განათლებულ ქვეყნებში კი ჟამმა და ამ გვარმა სენებმა დიდიხანია რაც თავისი საზარელი ხასიათი დაკარგეს, და უბრა-ლო ავათმყოფობათ გადაიქცნენ, რომელიც თან და თან უფრო სუსტად და სუსტად ეპყრობა ხალხს, და მალე სრულიადაც გაქრება სწავლის და სეირია-ნი ცხოვრების წინ.

აი ამ ნაირ სენებზედ ყველაზე უფრო ნათლად აღმოჩნდა, თუ რა და რა ნაირი გავლენა შეუძლია იქო-ნიოს კაცმა ბუნების მავნებელ ძალებზე. შენიშნულია, რომ ეს სენები, და საზოგადოთ ავათმყოფობა, უფ-რო ადვილათ იჯაბნებს და ხოცავს მდაბიო ხალხს და იმ პირებს, რომელთაც შეძლება არა აქვთ სეირია-ნი და გონიერი ცხოვრებით მათი ბუნების მოთხოვნი-ლება დააკმაყოფილონ, ესე იგი, რომელნიც ცუდ სადგომებში სცხოვრებენ, ცუდად ტანს იცმენ, ცუ-დი საზრდოთი თავს ირჩენენ და გადაჭარბებულ ჯაფაში არიან. შენიშნულია, კიდევ, რომ ამ სენებს

ყველაზე უფრო კარგათ იგერებს, წამალი კი არა, ან ექიმის დახმარება, არა,—ხეირიანი და გონიერი ცხოვრება, საზრდო. და ის ხალხი, რომელიც უფრო კარგათ სჭამს და სვამს, კარგათ ცხოვრობს, უფრო ნაკლებათ იჩაგრება სხვა და სხვა სენების დროს. ამ ნაირათვე იქცევა ხოლერა, რომელმაც ამ უკანასკნელ დროში თავისი საშინელი ძალა დაკარგა, და ეხლა ის იჩენს ხოლმე თავის დამღუპველ გავლენას, იჯახნებს მარტო ღარიბ, გაჭირვებულ ხალხს, რომელიც ცუდად იკვებს თავს და ცუდ, დასშულ ჭაერს სუნთქავს...

როგორც სენი, იმგვარათვე ყოველი სხვა ავათმყოფობაც იდრეკს მუხლს ხეირიანი ცხოვრების წინ. ხურება, ციება, ყვავილი, წითელა, ხველა, ჭლექი, ერთი სიტყვით თითქმის ყოველ-ნაირი ავათმყოფობა მეტის მეტათ კლებულობს, თითქმის სრულიადაც ქრება იმ ხალხში ან იმ საზოგადოების ნაწილში, რომელსაც ხეირიანი ცხოვრების საშუალება აქვს, და მხოლოდ იმ უბედურ ხალხზე იმარჯვებს და ვარჯიშობს, რომელსაც ჯერ ჯერობით თავის მდგომარეობის გაუმჯობესობა ვერ მოუხერხებია, რომ კაცურ მდგომარეობაში კაცურ ცხოვრებას მიეცეს და ბედნიერებას ეღირსოს...

მაშასადამე, გაჭირვება, რომელიც სენებისგან

უმღური კაცის დაჩაგვრაში მდგომარეობს, და რომელიც, ყველას აზრით, უმთავრეს დაბრკოლებას შეადგენს კაცობრიობის ბედნიერებისთვის, ეს გაჭირვება, ვამბობთ, ჰქრება თვითონ კაცის შრომის და მოსყრსების წინ, ემორჩილება კაცის ტვინს და ხასიათს, რადგანც მისი უმთავრესი საფუძველი — კაცის ცხოვრების უხეირობა, საზრდოს და სადგომის უვარგისობა და ნაკლულევანება არის. რაღა თქმა უნდა, რომ ამ მიზეზს კაცი ყოველთვის მოერევა.

მართლაც, რაა ცხოვრების მოთხოვნილება? რა სჭირია კაცის ბუნებას ისეთი, რომ თვითონ კაცს მისი შექმნა და შოვნა არ შეეძლოს? კაცის ბედნიერებისთვის ჩიტის რძე ან ნატვრის თვალი რომ იყოს საჭირო, ან მარტო ბულბულის ენებიდან დამზადებული საზრდო, ან სხვა, ამნაირათვე ძვირი და უპოვარი საგნები, უეჭველია, კაცს მათი შოვნა გაუძნელდებოდა, არ შეეძლებოდა, და, ამისგამო, მისი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა, ესე იგი ის სამუდამოთ უბედური იქნებოდა. მაგრამ, აქვს, განა, კაცის ბუნებას ამისთანა მოთხოვნილებაები? სანამ სწავლულებს კაცის ბუნება არ გამოეკვლიათ, სანამ სწავლას არ დაემტკიცებია, რომ საზოგადოთ ყველა კაცების სხეული და არსება ერთ და იმავე კალაპოტზეა გამოყვანილი და ყველას ერთი და

იგივე მოთხოვნილება აქვს, უმთავრეს საგნებში, მაქნამდი დიდი ხმა ჰქონდა იმ პირების აზრს, რომლებიც ამბობდენ, კაცი მუდამ დაღაგმული უნდა იყოსო, თორემ მის სურვილს, მის მოთხოვნილებას ბოლო არ ექნებაო. ამ აზრს ის შენიშვნაც ამტკიცებდა, რომ კაცის სურვილი გაუმაძღარათ სჩანდა, პირველ დაკვირვებაზე. მაგრამ, სწავლამ რომ ეს საგანი ხეირიანათ გამოიკვლია, აღმოჩნდა, რომ სურვილსაც და მოთხოვნილებასაც გარდუვლელი სამზღვარი ჰქონია დაწესებული ბუნებისგან. მარტო მშიერი კაცი, მაგალითად, ნატრობს სხვა და სხვა ფერ სასმელ-საჭმელს, და მისი დამშეული ფანტაზია გაუმაძღრათ დაიგრინავს ერთ საჭმელიდგან, ერთ სუფრიდან მეორესკენ. მაშინ კაცს მართლა გონია, რომ მის ფანტაზიას და სურვილს სამზღვარი და ბოლო არ დაწესებიათ. მაგრამ, რა სიამოვნებით დაატკბება ეს დამშეული და მშვენიერი ფანტაზიური საჭმელების მოსურნე უბრალო, ხეირიან, ნოყიერ მწვადს, რა ბედნიერებით შესჭამს ის უბრალო პურს, და რა ნაირი შებრალებით გაიხსენებს ის, გამძღარი, თავის ფანტაზიის სურათებს! სადაა მაშინ მისი ფანტაზია? გამოუსატავს ის ერთხელ მაინც, ნაირ-ნაირი სუფრების და საჭმელების სურათს, და მის გულს ზიზღი არ მოერევა, სხვა, მშიერ კაცის მადიან ჭამას რომ დაესწროს? ნოყიერი

საჭმელით გაძღომამ იმას ისეთ რიგათ დაუკმაყოფილა ბუნების მოთხოვნილება — რომელსაც მარტო ნოყიერი საჭმელი სჭიროდა — რომ მარტო მის მადას კი არა, მის სურვილს და ფანტაზიასაც მოელო ბოლო.

ეს მაგალითი ჩვენ განვებ იმის საჩვენებლათ მოვიყვანეთ, თუ რა უბრალო, წუთიერი მნიშვნელობა აქვს შიმშილით ან ნაკლულევანებით გაავათმყოფებულ «სურვილს.» მოუტანეთ მშიერ კაცს, რომლის ფანტაზია ფერად-ფერად, ნაირ-ნაირ სასმელ-საჭმელს უსატავს, მოუტანეთ ამ კაცს ყოველიფერი, რაც კი მის ფანტაზიას წარმოუდგენია, და დაუდგით წინ სულ ერთიანათ. თუ ბიჭია, გაასაღოს მეათედი, მეასედი მაინც, იმის, რასაც დამშეული შესაროდა და ნდომულობდა. ის მაშინვე ეცემა ნოყიერ საჭმელს, სორცს, პურს, ღვინოს, და მარტო იმდენს შესჭამს და შესვამს, რამდენიც მის დამშეულ სტომაქს სჭიროდა; დანარჩენი სელ-უხლებელი დარჩება, და გამძღარი კაცი შეზიზღებით მოაცილებს თვალს ნანატრ საგნებს, და რა გულის წრფელობით იტყვის: «ამაო ამაოთა!»

დიდი განსხვავებაა, მაშასადამე, კაცის ბუნების ნამდვილ, რეალურ მოთხოვნილებას და ცრუ, წუთიერი ფანტაზიის სურვილს შუა, როგორც ცხოვ-

რებას და სიზმარს შუა. ამნაირი სურვილი თითქმის არც არსებობს, ის ავათმყოფი, შეწუხებული ტვინის და სხეულის ბოდვაა. ნამდვილი, რეალური მოთხოვნილება კი ისეთ ნაირათ, ისე ერთ გვარათ არსებობს ყოველი კაცის სხეულში, რომ მისი გამოკვლევა, აწონა, გასინჯვა შესაძლებელია და კიდეც მოსდენილია. სწავლულებს გამოუკვლევიათ, რა და რა სჭირია კაცს ნამდვილათ, რა და რა საჭიროა მისი სხეულის დასაკმაყოფილებლათ. და ეს საჭიროება, პური ვარ თუ სორცი, ღვინო თუ ჭაერი, შინაურობა თუ სწავლა, ხეირიანი საზოგადოება თუ გართვა, ყველაფერი ადვილათ საშოვნელია დედამიწაზე, სწორეთ იმოდენათ, რამდენიც საჭიროა ყველა კაცებისთვის...

ერთ ხანს სწავლულებს შუა დიდი გავლენა ჰქონდა ერთ ასირებულ, მომაკვდინებელ აზრს. კაცობრიობა, ასწავლიდენ ეს სწავლულები, მეტის მეტათ ჩქარა იზრდება და მრავლდება; ოც და ოთხ, ხუთ წელიწადში, ხალხს გაორება შეუძლია, შემდეგ ოც და ხუთ წელიწადში გაოთხება და სხვ. და სხვ. კაცის საყოფი საზრდო კი დედამიწაზე უფრო ნაკლებათ, გვიანათ მატულობსო, ასე რომ კაცობრიობას ძლიერ მალე საზრდო სრულიათ შემოაკლდებაო. ამ აზრმა შეაშინა და ალაშფოთა ბევრი სწავლული და ბევრ კეთილ კაცს დაუბნია გზა და კვალი. მაგრამ ცოტა

ხანს შემდეგ, ამ უკანასკნელ დროში, სწავლამ სული სხვა ნაირი აზრის სიმართლეზე დაამტკიცა. დამტკიცდა, მაგალითად, რომ ბუნებაში ერთობა სუფევს, რომ ბუნების ძალა ყოველგან ერთი და იგივეა, რომ ბუნებაში სხვა და სხვა ნაწილებს შუა სრული დამოკიდებულება და თანხმობა არის. როგორც ხის ზრდა სრულიად დამოკიდებულია იმ მიწის თვისებაზე, რომელზედაც ამოსულია ხე, როგორც მიწის დაშრობა და უვარგისობა ხის ზრდას ბოლოს უღებს და მიწის გაუკეთესება ხეს ხელახლა ახარებს და ადიდებს, სწორედ ეგრეთვე ყოფილა კაცის გამრავლებაც დედამიწაზე. სტატისტიკამ შენიშნა, მაგალითად, რომ როცა პური ძვირი ყოფილა ინგლისში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში, იქ ნაკლები ყოფილა ორსულობის და დაბადების რიცხვიც. და როცა პური და საზრდო გაიაფებულა, მაშინ შესაფერათ გამრავლებულა ახალ დაბადებულებიც. საზრდოს ნაკლულევანებას, როგორც წინეთ იყო ნათქვამი, მარტო დაბადებაზე კი არა, სიცოცხლის სიგრძელეზედაც აქვს გავლენა: რაც უფრო უხვია, რომელიმე ქვეყანაში, საზრდო და სხვა საჭირო საგნები, მით უფრო დიდხანს სძლებს ხალხი, მით ნაკლებია მკვდრების რიცხვი, მაშასადამე მით უმრავლესია თვითონ ხალხი... აქედამ, ვგონებთ, ნათლად სჩანს, რომ კაცობრიობას

ყოველთვის ექნება იმდენი საჭირო საგნები, რამდენიც მისთვის საჭიროა ცხოვრებაში.

მაგრამ ქონვა და მოხმარება ერთი და იგივე საქმე როდია. შეიძლება რომ საზოგადოთ, რომელიმე ქვეყანაში, საკმაო საზრდო და სიმდიდრე იყოს, და ამ ქვეყნის ხალხი კი შიმშილით კვდებოდეს და გაჭირვებით ცხოვრებდეს, უთავბოლო ან უხეირო გაწყობილების გამო. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ, ახალციხის, მაზრაში ძლიერ ბევრი პური მოდის და ბევრი ხორაგია. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ სხვა ადგილებში, მაგალითად თფილისის მაზრაში, პურიც ნაკლებათ მოდის და ხორაგიც ძვირობს. როცა ზაფხული დგას და ხეირიანი ტაროსი ჩვენ ბუნებურ გზებს ცოტა ოდნათ გასავლელათ ხდის, ახალციხის მაზრიდან პური გადმოაქვთ, და ის საზრდო, რომელიც ახალციხეს მომეტებული იყო და ტყუილად უნდა წამხდარიყო, თფილისში ისეთ პირებზე ხარდება, რომელთაც პურის სიძვირე აწუხებდა და ეტყობოდა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ თოვლმა ჩვენში უხეირო გზები და გადუვალი მთები შეკრა, ან წარმოვიდგინოთ, რომ ახალციხის მაზრას სულ არაფერი გზა არა აქვს თფილისელთან მისვლა-მოსვლისათვის. მაშინ, რასაკვირველია, მომეტებული ხორაგი უსარგებლოთ უნდა დალპეს თვითონ ახალციხის

მაზრაში, და თფილისის მაზრის მცხოვრებლებს კი ხორაგის ნაკლულევანება უნდა აწუხებდეს.

წარმოვიდგინოთ, კიდევ, მეორე გარემოება, რომელიც შეუძლებელი არ არის ზოგიერთ ადგილებში. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ რომელიმე მდიდარ, ძლიერ მდიდარ პირს ცოტ ცოტათ უყიდია სხვა და სხვა ნაჩვევ ადგილებში პური, და ერთ ადგილას დაუწყვია სარდაფში, ვთქვათ ისევ თფილისში, ან გორს. რამდენიმე ხნის განმავლობაში ის მხოლოდ ყიდულობს პურს, გიჟურ ფასს აძლევს მის გამყიდველებს, ისე რომ ყველას, ვისაც კი გასაყიდი პური აქვს, იმასთან მიაქვს თავისი საქონელი.— როცა ეს პირი გრძნობს, რომ იმ მაზრაში სხვას არავის აქვს ბლომათ გასაყიდი პური, და ხალხს ეს ხორაგი სჭირია, ის თავის სავსე სარდაფს აღებს და თანდათან უფრო და უფრო აძვირებს პურის ფასს, ჰყიდის ერთი ოთხათ და ხუთათ, იქნება ათათაც. უეჭველია, რომ იმ მაზრაში საკმაო პური იქნება, მაზრის ხალხის სარჩენელი, მაგრამ ეს პური ერთი ვაჭრის სარდაფშია დაგროვებული, და მაზრის ხალხი კი უპურობით გაჭირვებული რჩება, სანამ ახალი მოსავალი არ მოუვა, ან მეორე მომხერხებელი და საკმაოთ მდიდარი ვაჭარი პირველს თავს არ დაუვლის და ჩუმად სხვა მაზრიდან იაფათ ნაყიდ პურს არ ჩამოი-

ტანს, და პირველი გაჭრის ფასზე ერთი ორი შაუ-
რით უფრო იაფათ არ გაასაღებს.

ამ მაგალითებს გარდა, ბევრი სხვაც მოიყვანებო-
და, იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ რომელიმე
მხარეს შეუძლია, თავისი საყოფი საზრდო მოდიო-
დეს, და, სხვა და სხვა მიზეზების გამო, მაინც დამ-
შეული რჩებოდეს, ან თუ დამშეული არა, საზრდო-
დაკლებული მაინც. მაგრამ ჩვენ ისევ თავი უნდა
დავანებოთ ამ ნაირი მაგალითების მოყვანას — იქნება
იმისთვის, რომ ისინი ყველას თვალ წინ აქვს — და
ჩვენი აზრის გაგრძელებას უნდა მივუბრუნდეთ.

წინეთ მოყვანილი მაგალითები, რომლითაც ჩვენ
ვხსნიდით საზრდოს და სიმდიდრის უკარგისო გა-
ნაწილებას სხვა და სხვა მაზრებს და პირებს შუა,
გვიჩვენებენ, რომ ამ განაწილების მიზეზიც, რო-
გორც სხვა დაბრკოლებაები, კაცს ძალას ქვეშ არიან.
უეჭველია, ვგონებთ, რომ გზების გამართვა კაცს
თითქმის ყოველგან შეუძლია, თუ მოსურვება, ცოდნა და
შეძლება აქვს. პრუსიელებმა ოცდა რვა დღეში მთიან
და მდინარებიან ადგილში ოცდა თორმეტი ვერსის
რკინის გზა გამართეს, შარშანდელი ომის დროს.
ფრანცუზებმა ერთი უშველებელი ტალის მთა გახვ-
რიტეს (მონ-სენი) და შიგ მშვენიერი რკინის გზა
გაავლეს, ისე რომ ტალის ტუნნელს რამდენი-

მე ვერსი აქვს სიგრძე, და ზედ თითქმის მყინვარის (ყაზბეგის) ოდენა მთა აწევს. რკინის გზები გამართულია მდინარეებზე, მთებში, ორმოებში, წყლის ძირში, სახლების ჭერზე და ქუჩებს ქვეშ, ერთი სიტყვით ყოველგან, სადაც კი საჭიროება თხოულობდა.—აგრეთვე მოგონილია სასტიკი სასჯელი პურის და სხვა სორაგეულობის შეყიდვისათვის და მერმე ფასის მომეტებისათვის. მოგონილია პურის საზოგადო მაღაზიები და ცენტრალური ფულის კრება (ფონდი) უპურობის დროს საზოგადოებისათვის და ხალხისთვის ხელის გასაწყობლათ, მოგონილია (როგორც რუსეთში იყო 1868 წ.), საზოგადოების ფულით და ამორჩეული პირების ხელით იაფ ადგილებში პურის ყიდვა და გაჭირვებულებში მიტანა, იქ დამშეულებშა დასარიგებლათ, სესხათ... ერთი სიტყვით, კაცს შეუძლია თავისი გონებით და შრომით მოიგეროს თავიდგან ის დაბრკოლება, რომელიც წარმოდგება საზრდოს უსარგებლო განაწილებისგან...

მაგრამ, «შეუძლიაო» რომ ვამბობთ, ეს მართლა იმას კი არ ნიშნავს, რომ ყოველს კერძო პირს წამოდგომის და ხელის განძრევის მეტი არა სჭირია რა ამ დაბრკოლებაების დასარღვევლათ. შეუძლია აქ მარტო იმას ნიშნავს, რომ მცოდნე, შემძლე, გამტან

კაცებს, ერთათ რომ შეიკრიბონ და თავდარიგიანათ საქმეს ხელი მოჰკიდონ, შეუძლიანთ ბოლოს, დიდი ცოდნის და შრომის ფასათ, ამ დაბრკოლებების მოგერიება, და დათრგვნა. მაშ ამ საქმეში ცოდნას და შრომას დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ.

რა ნაირი ცოდნა და რა ნაირი შრომა საჭიროა ამ გარემოებაში?

უეჭველია, ვგონებთ, რომ ზემოხსენებულ დაბრკოლებების ერთი უმთავრესი და საერთო წყარო აქვთ — კაცის ბრძოლა ბუნებასთან, ბუნების დამხავგ-რელი ძალისგან გათავისუფლების სურვილი, ბუნების სასარგებლო ძალით სარგებლობის ნდომა. მაგრამ, როგორ ებრძვის კაცი ისეთ საგანს ან ძალას, რომელსაც არ იცნობს, რომლის მნიშვნელობა და ხასიათი გამოკვლეული არა აქვს? ბუნებას კი არა, ბავშვს რომ შეებას ბრძოლაში თვალ ახვეული კაცი, ის მაინც დამარცხებული და იქნება დამახინჯებულიც გამოვიდეს. ბრძოლაში პირველი საჭიროება — მოწინაღმდეგეს ხასიათის, ძალის, მდგომარეობის და ჩვეულებების გაცნობაა. მაშასადამე კაცისთვის, რომელიც ამ ქვეყანაში ბედნიერებას და ხეირიან ცხოვრებას ეძებს ყველაზე უსაჭიროესი ცოდნა — ბუნების გამოკვლევაა.

არც ერთი ცოდნა არ აძლიერებს კაცის გონებას ისე, როგორც ბუნების ცოდნა. როცა კაცი, სხვა და

სხვა კერძო წვრილმან დაკვირვებების შემდეგ, იქამდი მიაღწევს, რომ შეაგროვებს და შეადარებს ერთმანეთ-თან სხვა და სხვა კერძო ცოდნას ბუნების მეცნიერე-ბისას, როცა ის საერთო ასგარიმს უზამს თავის ცოდნას ბუნებაზე და ჯამს გამოიყვანს წვრილმანი ბუნების კანონებიდან, ის ერთ უმთავრეს აზრს დაად-გება: «ბუნება ერთია, ყოველი მისი მოვლენება ერთ და იმავე უმთავრეს ბუნების კანონს ემონება; კაცის ცხოვრებაც ერთი ამ ნაირი მოვლენებათაგანი არის, რომელიც ყველაფერში ბუნების კანონს მისდევს. ბუნება არც მტერია კაცის, არც მეგობარი, არც სი-კეთე უნდა მისთვის, არც ხიავე; ბუნებაში არც ერთი არსება არ მოიპოება, რომელსაც დანიშნულება ჰქონ-დეს კაცის მეგობრობა ან მტრობა. თვითონ კაცია თავის ბედის გამწყობი: თუ იმან გაიგო ბუნების თვისება, და ამ თვისების შესაფერათ გაიმართა ცხოვრება, ის ბედნიერება იქნება. ხანამ იმას არ მოა-სერხებს, საბრალო და გაჭირვებულ მდგომარეობას ვერ სცილდება.»

ეს აზრი მეტის მეტათ სასარგებლო და კეთილ-მოქმედია კაცის ცხოვრებისთვის. ცხოვრების სიმძი-მე დიდხანს ჰხაგრავდა კაცს, დიდხანს აწუხებდა მის ჭონებას და გულს, ხშირათ გამოითხოვდა იმას სა-ბრძოლველათ, მაგრამ კაცს ერთი აზრი ნიადაგ ხელ-

ფეხს უსხლტებდა, ნიადაგ გულ-ხელს აკრეფინებდა: «ეს ბედის საქმეა,» «ასეა ზეგარდმო დაწესებული.» ეხლა იმას შეუძლია დარწმუნდეს, რომ ბედის საქმე არა არის რა, არც ზეგარდმო ყოფილა დაწესებული მისი მდგომარეობა. ამ ნაირათ, ბუნების მეცნიერება გულ-ხელ დაკრეფილ კაცს თავისი ფილოსოფიით ამ-ხნევს, და თავისი წვრილმანი დაკვირვებებით და ცოდნით ხელში ათასნაირ იარაღს აძლევს, ცხოვრე-ბის გასაუმჯობესებლათ...

მაგრამ, საკმაოა, განა, გასამარჯვებლათ მოწინააღმ-დეგეს გაცნობა და ხეირიანი იარაღის ხელში ქონვა? ბრძოლაში მეორე ნაირი საჭიროებაც არის: იარაღის ხმარების ცოდნა, და იმ კანონის გაცნობა, რომლი-თაც უფრო ადვილია მოწინააღმდეგის თავის დაცვა, მისი სისუსტით ან დაგვიანებით სარგებლობა. კა-ცობრობის ცხოვრებაში, სტრატეგიის და ტაქტიკის მნიშვნელობა პოლიტიკურ-ეკონომიას და ზოგიერთ სხვა მეცნიერებას აქვთ.

წეღანდელ მაგალითში, ახალციხეს შესახებ, ჩვენ ვნახეთ, რომ დაბრკოლება გზის უქონლობის მიზეზი იყო. მეორე მაგალითმა გვიჩვენა, რომ დაბრკოლება ერთი ხარბი ვაჭრის ხელში პურის შეგროვების ბრალი იყო. ამ და ბევრ სხვა შემთხვევებში ბუნების მეცნიერებას გარდა, რომელიც სიმდიდრის მოყვანას

და დამზადებას გვასწავლის, საჭიროა მეორე ცოდნა—ის, რომელიც იკვლევს, თუ რა გზით უფრო სასარგებლოთ შეიძლება სხვა და სხვა სიმდიდრის შექნა, ერთი-სიმდიდრის მეორეში გაცვლა, რანაირათ უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევებში საზოგადოება და მისი წარმომადგენელი მმართებლობა, და რა გაწყობილება გამოსადეგია ამ საქმეებში... ეს საგანი ეკუთვნის «საზოგადოების მეცნიერებას» (*общественная наука*), რომელიც ამ შემთხვევაში «ბუნების მეცნიერებას» ავსებს და თან მის კერძო ნაწილს შეადგენს.

ჩვენ გვაკლია ეს ცოდნა,—ეს ნამეტნათ რბილათ არის ნათქვამი, უნდა გვეთქვა: «ჩვენ არაფერი გაგვეგება ამ ცოდნისა.»

ჩვენი ქვეყნის უწინდელი ცხოვრება ისეთ რიგათ იყო გაწყობილი, და ისეთ გარემოებებში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ხალხს არც დრო და არც შეძლება ჰქონდა თავის საკუთარ ცხოვრებას დაკვირვებოდა და იმ ნაირათ გაეწყო თავისი მდგომარეობა, როგორაც მის სარგებლობას და სიკეთეს შეეფერებოდა. ყოველ მხრით ჩვენ გვაწუხებდა გარეგანი მტერი: ოსმალო, სპარსი, ლეკი თითქმის ყოველ დღე გვესეოდა თავზე, და ჩვენ ხალხს ნიადაგ მარტო ერთი საზოგადო აზრი და საქმე ჰქონდა—თუ როგორ

დაეყუარა თავი ამ შეხყვნიდგან, რა გზით დაეცვა თავის ქვეყნის და ოჯახების სიმტკიცე და თავისუფლება. ოღონდ უწყალო და ამკლებელ გარეგან მტერს გადარჩენოდა ჩვენი ხალხი, და შინ რა ბედი დაემართებოდა, რა გაწყობილებაში იქნებოდა, ამას ის აღარ ეძებდა... ყოველ ხალხისთვის ცოტაოდნათ მაინც სასარგებლოა ხანდისხან მეზობელთან და გარეგან მტერთან მისვლა-მოსვლა და შეტაკებაც; მაგრამ ეს სარგებლობა მარტო მაშინ წარმოდგება, როცა რომელიმე შემომკელებული წესით დასავსული ხალხი უკეთ გაწყობილი და ხერხიანათ აღზრდილ ხალხს ეყრება. მაშინ ის თავის მეზობლიდგან ახალ წესს და სიკეთეს იღებს, თავის ცხოვრებას ამდიდრებს, თვითონ უკეთესდება და ცოტა ხანს შემდეგ გაახლებულ ხალხათ გამოდის. ამ ნაირი როლი ყოფილა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა: იმას გარშემო მტერი ერტყა, რომელიც მის შვილებს გარეთ არ უშვებდა განათლების და გამოცდილების მისაღებლათ; მართალი რომ ვსთქვათ არც ჩვენები ეძებდნენ ნამეტნათ ამ განათლებას, ამიტომ რომ არსაიდ მისი სიკეთის მაგალითს არ ხედავდენ. მართალია, ჩვენი მტრები ყველანი იმნაირივე ველურ და ადამის წლის მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ჩვენ თვითონ. იმათაც ცხოვრების მეცნიერებათ, ხელმძღვანელათ მარტო მამაპაპური ჩვეულება

და აზრები ჰქონდათ; იმათაც ჩვენსავით თავიანთი მახინჯი საზოგადო გაწყობილება ღვთის განგებისგან დაწესებულად მიაჩნდათ, ისე რომ მისი გაუმჯობესობის, შეცვლის ან გადასხვაფერების აზრი იმათ თავის დღეშიაც თავში არ მოსვლიათ. ამ მიზეზების გამო ცხოვრება კუს სიარულით მიმდინარეობდა, სწორედ ისე, როგორც ასი და იქნება ათასი წლის წინეთაც. ველური ხალხი როგორც შეეძლო საზრდოს შოულობდა, როგორც მოასერხებდა—ამ საზრდოს სჭამდა, და ბრძოლაში გადიოდა. არავის არას დროს აზრშიაც არ მოსვლია ანგარიში, იქნება უფრო ადვილად შეიძლებოდეს საზრდოს შეძენა, უფრო ანგარიშიანად და სარგებლობით მისი დახარჯვა, იქნება ამ გარემოებებს ბრძოლაც გაუადვილებიათ და გასაჭირიც...

ბოლოს, ჩვენზე უკეთ გაწყობილებამ და უმჯობესმა ცხოვრებამ თავი შემოჰყო ჩვენში. რასაკვირველია, ჩვენ იმის მისაღებლად დამზადებული არ ვიყავით, და ამის გამო დავრჩით გაშტერებულნი, თითქო საქმე ჩვენ სრულიადაც არ შეგვეხებოდა. მაგრამ ნელ-ნელა, ცოტ-ცოტა ჩვენ ვრწმუნდებოდით, რომ ახალ ხანას წესს და გაწყობილებას ბევრი ისეთი მხარეები ჰქონია, რომელნიც ჩვენებურს ათი ათასჯერ სჯობდენ. ჩვენ სრულიადაც დავრწმუნდით, რომ ქვე-

ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოთ უნდა მივაჩნდეს.

როცა ჩვენ ყური ვადევნეთ ამ წესს, ცხოვრებას და მეცნიერებას, გავიგეთ, ცოტ-ცოტა, რომ არც ევროპას ღირსებია იაფათ ეს სიკეთეები. ჩვენ შევიტყვეთ, მაგალითად, რომ ევროპის ცხოვრებას ბევრი კალაპოტი გამოუცვლია, ბევრი ჭაპრაკი და ვაივაგლახი უნახავს, სანამ იმ ნაირ გაწყობილებამდი მისულა, რომელსაც ჩვენ ახლა უნდა შევხაროდეთ და კიდეც შევხარით. ჩვენ შევიტყვეთ, რომ იქაურ ხალხებს პირდაღებული და გულ-ხელდაკრეფილი კი არ მოუცდიათ ამ ბედისთვის, და არც ეს სიკეთეები ზეციდან ჩამოცვენიათ. არა, იმათ ძლიერ ბევრი უშრომიათ, ბევრი უმეცადინებიათ, ბევრნაირი საცადი უსინჯავთ, სანამ ახლანდელ თავიანთ მდგომარეობას და მდიდარ ბედს მოიპოვებდენ...

მაშასადამე, რაკი ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენთვის მეტის მეტად შესახარბებელია სხვა ქვეყნებში გავრცელებული განათლება და კეთილდღეობა, რაკი ჩვენ ვიცით, რომ ეს განათლება და კეთილდღეობა აიმთ თავიანთ აკვანში როდი უპოვიათ, ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რა ნაირათ და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდი, რა და რა წესი და გაწყობა-

ლება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებლად და გასაძლიერებლათ. ჩვენ არც ამ გზას ვიცნობთ, ჯერ, არც ამ წესს. ჩვენი უმეცრება ამ საგნებში ისეთი უსაზღვროა, რომ ზოგიერთი იშვიათი განათლებული პირებიც რომ გვირევია ჩვენში, იმათაც არ იციან სეირიანათ ეს გზა და წესი. საზოგადოება ხომ, რასაკვირველია, სრულიად უმეცარია ამ საქმეში...

ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ საზოგადოების ცხოვრებაში მძლიერ შესანიშნავი გავლენა და ძალა აქვს თვით ამ საზოგადოების აზრს და მისი გონების და ზნეობის გახსნას. საზოგადოების ცხოვრება ისე იწყობა, უმეტეს ნაწილად, როგორც სურს თვითონ საზოგადოებას. მაგრამ, რა სურვილი უნდა ჰქონდეს, ან რა ხასიათით უნდა ეძებდეს თავისი სურვილის დაკმაყოფილებას ისეთი საზოგადოება, რომელსაც აზრის და ზნეობის ცხოვრებაში არა გაეგება რა, და რომლის ტვინი მარტო კერძო, წვრილმან სარგებლობაზე ზრუნავს? რა ნაირათ უნდა მოქმედებდეს, საითკენ უნდა მიიწევდეს ისეთი საზოგადოება, რომელსაც არც სხვა ხალხების მაგალითი უძევს თვალს წინ, არც საკუთარი მდგომარეობის გაცნობა და დაფასება შეუძლია? ვინ ან რა უნდა ყავდეს იმას სულ-მძღვანელათ, რა უნდა ჰქონ-

დეს მიზნათ, რა და რა საფუძველი უნდა ედვას მის შრომას და სურვილს, რა ძალას უნდა სძარობდეს ის თავისი მიზნის მისაღწევლად?—ამ კითხვებზე არავის პასუხის გაცემა ამ შეუძლია, ამიტომ რომ ის მეცნიერება, რომელიც ამ კითხვებს იკვლევს და ხსნის, ჩვენთვის უცნობი და დასმულია.

ეს მეცნიერება სუმართობა რამ არ უნდა ეგონოს მკითხველს. მისი მიზანი, როგორც წინეთ ნათქვამი იყო, კაცობრივი საზოგადოების დაფუძნება და გაძლიერებაა. მაგრამ ის უსაფუძვლო გულკეთილობაზე და სურვილზე კი არ არის დაფუძნებული. მას გაუსინჯავს სხვა და სხვა ქვეყნების ცხოვრება, სხვა და სხვა შემთხვევების ერთმანეთზე დამოკიდებულება და სხვა და სხვა ხალხების წარსული და ეხლანდელი ბედი, და ამ გასინჯვის დროს ისეთი სამეცნიერო კანონები დაუნახავს, რომელთაც ყოველთვის და ყოველგან ემონება კაცობრივი საზოგადოება. ეს კანონები ერთ, საქვეყნო, ბუნების კანონს ჩამოგავს და როგორც ბუნებაში ყოველიფერი ბუნების კანონს ემონება და მისგან იღებს თავის ძალას და სიცხოველეს, ისე საზოგადო ცხოვრება თავის უნებურათ და უცოდინელად ასრულებს საზოგადოების მეცნიერების კანონებს და უსაყვედუროთ, უცილებლათ მისდევს მის ნებას....

საზოგადო ცხოვრებაში არაფერი ხდება უეცრათ და უმიზეზოთ, ისე, რომ საზოგადო ცხოვრების ნიადაგ და შეუცვლელ კანონებს არ ემონებოდეს. და როგორც ბუნებაში ერთ მოვლენას ათასნაირ სხვა მოვლენასთან კავშირი და დამოკიდებულება აქვს, ისე საზოგადო ცხოვრების მოვლენები ერთმანერთში ჩართული და ერთი მეორეზე დამოკიდებულები არიან. ავიღოთ მაგალითი. ტყის სრულიად ამოკაფვა, რომელიმე ქვეყანაში, მეტის მეტათ ამშრალებს იქაურ ჰავას და იმ ქვეყნის მდინარეებს წყალს აკლებს, ეს კანონი შეუნიშნავს ბუნების მეცნიერებას. მაგრამ ეს კანონი ამ შენიშვნით როდი თავდება. ჰაერის ნამეტანი სიმშრალე და წყლის ნაკლულევანება ქვეყნის მოსავალს ამცირებს, ხალხს აუძლურებს, უმეცრებას ავრცელებს და საზოგადოებაში ათას ნაირ ავათმყოფობას და სენს სთესს. სწორეთ ამ ნაირივე გავლენა აქვს საზოგადოების ცხოვრებაზე ყოველ კერძო მოვლინებას, ამ ნაირათვე დამოკიდებულია ის ბევრ სხვა მოვლენაზე და თავის მხრით მოქმედებს ბევრ სხვებზე. ხალხში რომელიმე ახალი ხელობის შემოღება და გავრცელება, მაგალითად, ხალხს ამდიდრებს, ესე იგი აძლევს უმეტეს საშუალებას ბუნების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ეს გარემოება მოქმედებს მის ხასიათზე, — ხალხის ზნე უკეთესდება, მისი გონება იხსნება და ნათლდება, ჩვეულება რბილდე-

ბა, აკვაცობა კლებულობს, შენდობა და პატივი მატულობს და ამ სახით ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ უბრალო მოვლენას ათასნაირ მხარეზე ზედმოქმედება ჰქონია. ან ავიღოთ მეორე მაგალითი. ისეთ ველურ საზოგადოებაში, რომელშიაც სეირიანი სამართალი არ არის გაწყობილი, არც ერთ კაცს არ ჰგონია, რომ მისი ოჯახი, ქონება და პირი დაცულია აკვაცების და გაიძვერების ძალადიანობისაგან. ვაჭარი ამ ნაირ საზოგადოებაში საქონლის მოტანას ვერ ბედავს, გლეხი—ნამუშევარის შინიდგან გამოტანას გასასყიდათ, არავის სხვაზე ნდობა არა აქვს, და ხალხი დაღონებულათ თავს უდრეკს ყოველ ნაირ უსამართლოებას და ძალადობას. შემოიღეთ ამ ნაირ საზოგადოებაში სეირიანი სამართალი, დაარწმუნეთ ხალხი, რომ მის ქონებას და შრომას, უმისოთ, ვერავინ შეეხება, დაარწმუნეთ საზოგადოება, რომ მიცემული პირობა ასრულებული იქნება, გასესხებული ვალი—ამოღებული, დაჩაგრულს—სამართალი მიეცემა, და მაშინ ნახეთ რა ნაირათ გაშლის ფრთებს ამ საზოგადოების ეკონომიური ცხოვრება, რა აღებ-მიცემა და მისვლა-მოსვლა გაიმართება იმაში, რა სინათლე გავრცელდება ამ მისვლა-მოსვლის გამო და რამდენათ გაუკეთესდება და გამრავლდება მთელი ხალხის მდგომარეობა და სიმდიდრე, მისი ხასიათი და ზნე,—იმ

უბრალო მიზეზით, რომ, უსიერო და მოქრთამე სასამართლოს მაგიერ, დაწესდა პატიოსანი და პირუთნელი სამართალი.

ამ ნაირივე მაგალითებს წარმოგვიდგენს ჩვენ თითქმის ყოველი კერძო მხარე ხალხის ცხოვრებისა. სასწავლებელს, ერთმანერთის დახმარებას და ხელის გაწყობას ბანკებით და სხვა და სხვა ამხინაგობებით, გზებს, სხვა და სხვა წოდების მდგომარეობას და სიმართლეებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს თვალ-უწუდენელი გავლენა აქვს მთელი ხალხის ცხოვრებაზე, და არა მარტო ორიოდე პირზე. ბავშვს რომ ვზრდით ჩვენ სასწავლებელში, მარტო მასწავლებელს და მოსწავლეს კი არ ვარგებთ ჩვენ იმით; ჩვენ ერთის მხრით იმ ბავშვის დედმამას ნამეტან ხარჯისგან ვიყვანთ და იაფათ, ადვილათ ვუზრდით შვილს; მეორეს მხრით ნასწავლ ყმაწვილს ცხოვრებაში ათასი და ათი ათასი შემთხვევა ექნება უწინდელზე უკეთ და უფრო ადვილათ იშრომოს, და მაშასადამე მისი ნაშრომი უფრო მომეტებული და უკეთესი იქნება; მესამე მხრით, იმას ცხოვრებაში სხვა პირებთან მისვლა-მოსვლა ექნება, და ზოგი ლაპარაკით, ზოგი საკუთარი მაგალითით, ის ცოტაოდნად მაინც გაავრცელებს სიზოგადოებაში განათლების და სწავლის ნაყოფს. . . . . . . . . . . . .

— სასწავლებელში, ნამდვილი, გამოსადეგი მეცნიერების მაგიერ, ბავშვებს უსარგებლო და უსაფუძვლო საგნები რომ ვასწავლოთ, ისინი ცხოვრებაში სხვებსავით ხეპრებათ გამოვლენ,—განსხვავება მარტო ის იქნება, რომ იმათ განათლებულების სახელი (მარტო სახელი!) ერქმევათ. მათი საქციელი და ცხოვრება, მათი მაგალითი სრულიად უწინდელი გაუნათლებელი ხალხის ყოფა-ქცევას ჩამოემსგავსება, ზოგიერთი ახალი ფრაზების ხმარების გარდა, მაგრამ ფრაზებში ხომ არ მდგომარეობს კაცის მოქმედება და ხასიათი..,

მაშასადამე, «საზოგადოების მეცნიერებაში» უნდა ვეძებოთ ჩვენ იმ კითხვის ახსნაც, თუ რა ნაირი, როგორი და რა მიზნიანი გაწყობილება (სამართალი ვარ, თუ სასწავლებელი, ბანკი თუ საავათმყოფო და სხვ.) უფრო გამოსადეგი და სასარგებლოა საზოგადოებისთვის, რომელს რა და რა შედეგი მოსდევს, რა და რა სარგებლობა და ვნება. «საზოგადოების მეცნიერებას» უნდა მოვთხოვოთ ჩვენ იმ საქმის ახსნაც, თუ რა და რა ნაირ მდგომარეობაში, რა და რა ნიადაგზე სარობს და ძლიერდება სხვა და სხვა გაწყობილება, და რა ჭკვა სწყენს იმას, რა ჭკვა არგებს.— როგორც ერთი მხარედგან მეორეში გადარგული ვაზი შესაფერ ნიადაგს და ჭკვას თხოულობს, უიმი-

სოთ თავის ხასიათს და თვისებას კარგავს და ცოტა ხანის შემდეგ იმნაირ გაზათ იქცევა, როგორიც უწინ იმ ნიადაგზე იზრდებოდა, სწორეთ იმავე ნაირათ იცვლის თავის ხასიათს და თავის თვისებას ყოველი საზოგადო გაწყობილება, თუ თავისი შესაფერი სხვა გარემოებებიც არა აქვს. . . . . .

მივუბრუნდეთ კიდევ მეორე მაგალითს, ნასწავლი ყმაწვილის მოქმედებას საზოგადოებაში. წეღან ვთქვით, რომ ნასწავლს ყმაწვილს ცხოვრებაში სხვებზე გავლენა, სხვების მდგომარეობის გაუმჯობესობა შეუძლიაო. მაგრამ, თუ ყმაწვილი უსეიროთ იყო გაზრდილი, თუ ის საზოგადოება, რომლიდგანაც ის გამოდის, და რომელშიაც ის ბრუნდება, მეტან მეტათ ცუდ გზაზე და ზნეზე დგას, ყმაწვილის სწავლაც ბევრს ვერას გაარიგებს... განა ჩვენში არ გვინახავს ამის მაგალითები? განა ჩვენ არ გვინახავს ვითომ-განათლებულები, რომლის ცხოვრებას და მოქმედებას არავინ აუმაღლებია და გაუნათლებია? სხვა გარემოებაში, უეჭველია, მაგალითად, რომ იმ ასიოდე ყმაწვილს, რომელთაც სახელმწიფო ხარჯით უმაღლესი სწავლა მიიღეს, და რომელთაც ეხლა ას-ასი და ორას-ორასი თუმანი შემოსავალი აქვთ წელიწადში, ადვილათ შეეძლოთ სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის და ხალხისთვის მათზე დანახარჯი

ფულის და შრომის დაბრუნება, თითო-თითო ყმაწვილი მაინც რომ აეზარდათ თავის საკუთარ ხარჯით, და ორასი თუმნიდან ათის თავი მაინც გადაედვათ ამ საქმისათვის. ეს ჩვენში თითქმის არავის არ უქნია, არავის არ აუსრულებია თავის მოვალეობა...

აქედან სჩანს, რომ «საზოგადოების მეცნიერებას» ერთნაირ კითხვაზე კიდევ უნდა მოვთხოვოთ ჩვენ პასუხი: იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების წევრების ხასიათს, ზნეს და პატიოსნებას.

ქვეყანაში ჯერ არც ერთი სიკეთე, არც ერთი სასარგებლო საქმე არ გარიგებულა უხეირო და სუსტი კაცის ხელით, არც ერთი ამამაღლებელი აზრი არ დაბადებულა მის თავში. რაც კაცობრიობას სახეირო და სასახელო რამ ღირსებია თავის სიცოცხლეში, ეს ყოვლაფერი გაუკეთებია მისთვის მაღალი და პატიოსანი ხასიათის პირებს, რომელნიც თავიანთი აზრით, მოქმედებით და ხასიათით ამშვენიერებენ, აუკეთესებენ და ასახელებენ კაცობრიობას. უწმინდური ხელით წმინდა რამ თავისი დღეში არ გაკეთებულა, ეს ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა. ყოველ საქმეს, ყოველ მიზანს კაცის შრომა და ძალა სჭირია, ისეთი შრომა და ძალა, რომელსაც ათასნაირი დაბრკოლების დათურგვნა შეეძლოს. რაგინდ უბრალო საქმე

ავიღოთ, თვით კერძო პირის ცხოვრებიდანაც, მაშინვე დავინახავთ, რომ ამ საქმის აღსრულებას ბევრი დაბრკოლება უძევს წინ, ზოგი ბუნების მხრით, ზოგი კაცის უმეცრების, ზოგი მტრისა და მეგობრის წინააღმდეგობის ან საშუალების უქონლობის გამო. სანამ კაცი ამ დაბრკოლებას არ მოიცილებს, მიზნის მიღწევა მისთვის შეუძლებელი იქნება და მისი საქმე მარტო ოცნებათ დარჩება. თუ ასეა კერძო პირის ცხოვრებაში, ათასჯერ და ათიათასჯერ უმეტესი შრომა და ჯაფა საჭიროა იმას, ვისაც მხედველობაში საზოგადო საქმე და ხალხის სარგებლობა უნდა ჰქონდეს. უეჭველია, რომ მთელი ხალხი, მთელი საზოგადოება თვითონ ყველა თავის საქმეებს ვერ გამართავს, რადგანაც უმეტეს ნაწილს თავთავის კერძო საქმე და კერძო სარგებლობა აქვს, და ათასი კაცი ერთ საქმეს რომ დაესხვიოს, ეს საქმე ამ დასხვევით ვერ იხეირებს. იმისგამო საზოგადო ცხოვრება ისეთ რიგათ იმართება ყოველგან, რომ საერო, საქვეყნო საქმეებს სანდო პირები მმართვენ... იმათ უკისრიათ მთელი საზოგადოების წინამძღოლობა, მისი სარგებლობის და კეთილ-დღეობის დაცვა და ყურისგდება, მისი ბედის გაუკეთესება. ამ მიზანს, როგორც წელან ვამბობდით, აუარებელი დაბრკოლებები აძნელებენ და ამ დაბრკოლების მოსაცილებლათ, ამ

მიზნის მისაღწევათ, ესე იგი საზოგადო ბედის გასაუკეთესებლათ საჭიროა საზოგადოებისთვის მხნე, გონიერი, შეურყევლათ პატიოსანი და ნიჭიერი პირები, რომელთაც თავის საკუთარი სარგებლობა და მიზანი სრულიათაც არ უნდა ჰქონდეთ, რომელნიც საზოგადო საქმისთვის უნდა ცხოვრობდენ და საზოგადო მიზნისთვის უნდა კვდებოდენ...

განა ბევრია მისთანა საუცხოო პირი, მისთანა «დედა მიწის მარილი,» რომელით ხასიათდება და ლბება საზოგადო ცხოვრება და ხასიათი?—ჩვენ ვცხოვრებთ რბილ, ჩვილ დროებაში. ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე მეტის-მეტათ მომტუდარი, უგულო და უსულო შეიქნა. დაბრკოლებასთან ბრძოლა კი არა, ჩვენ დაბრკოლების აზრიც გვაშინებს. ჩვენ გვსურს, რომ საზოგადო სიკეთე შემწვარი, გამომცხვარი, მარილ წაყრილი ჩაგვიცვინდეს პირში. ჩვენ კბილის მოქნევაც გვეზარება ამ სიკეთით სარგებლობისთვის; დაბრკოლების მოშორებას, ბრძოლას და მიზნის მიღწევას ვინდა დაეძებს,—ჩვენ იმისიც კი გვერიდება, რომ ნაცნობს, მეგობარს პირში ისეთი აზრი არ უთხრათ, რომელიც მისას არ ედარება, რომელიც მისი საწყენი და წინააღმდეგია. ამნაირ შემთხვევაში ჩვენ ათასფერათ ვარბილებთ ჩვენ აზრს, მისს ბამბით და ვარდით შეხვევას ვცდილობთ, იქნება მსმენელმა არ

იწყინის, ვინიცობაა, და ჩვენი სამდურავი გულში არ ჩაისახოსო... საზოგადო საქმე, საზოგადო მიზანი, სარგებლობა? ვის არ ხარხარებს ჩვენში, როცა ამ სიტყვებს ყურს მოჰკრავს, ვის არ მიაჩნია ისინი ბავშურ ოცნებათ, სიტუტუცეთ! «ჩემი რაა, რას დავეძებ,» — ეს სიტყვები ვის არ ადგია ენაზე, ყოველთვის, როცა «საზოგადო სარგებლობა» ჩაეწვეთება ყურში? ვის არ მიაჩნია ეს სიტყვები იმ უცნაურ და თვალთმაქცურ მაგრატლათ, რომლითაც ადვილათ შესაძლებელია «საზოგადო ცხვრის» გაკრეჭა და «საზოგადო მატყლით» თავისი საკუთარი ტყავის და სხეულის გათბობა?...

განა ბევრია იმისთანა საუცხოო პირი, იმისთანა ქვეყნის კეთილისმყოფელი, რომელმაც დაანახოს დაბნეულ საზოგადოებას, რომ საზოგადოს სიკეთე ჩვენი, ესე იგი შენი და ჩემი სიკეთეა, რომ რაც უფრო მკვიდრი და ვრცელია საზოგადო სარგებლობა, მით უფრო მკვიდრ და შეურყეველ საფუძველზე დამყარებულია ყოველი კერძო პირის სიკეთე და კეთილდღეობა? ბევრია იმისთანა პირი, რომელიც ჩაგვიდგამს ჩვენ ამ «საზოგადო სულს,» გვიჩვენებს ამ საზოგადო მიზანს, გაგვიმაგრებს ხასიათს, აგვიმაღლებს გრძნობას, მოერიდება დაბრკოლებას და მიგვა-

წევრების საზოგადოების მაღალ მიზანს,—ყველას და თითოეულის ბედნიერებას?...

....უდარდელათ, უზრუნველათ უცქერით ჩვენ ყოველ-გვარ უსჯიერობას, სიცუდეს და ავკაცობას, თითქო ეს საქმე ჩვენ არ შეგვეხებოდეს, თითქო ჩვენი მა-ხლობელი ჩვენი სისხლის არ იყოს და მის ბედს და უბედობას ჩვენზე არავითარი გავლენა არ ჰქონ-დეს. ჩვენ შეურყევლათ ვსტკბებით ჩვენ საკუთარს კერძო ცხოვრებაში, სანამ ჩვენ საკუთარ ტყავს არ შეეხება ის სენი და ის ვნება, რომელიც წინეთ ჩვენს მახლობელს მიადგა. მაშინ კი ჩვენ ხმა-მაღლა ღრი-ალს და გოდებას ვიწყებთ, მაგრამ, ჩვენს უბედობას მახლობელი იმნაირივე გულგრილობით გულხელდა-კრეფილი დაცქერის, როგორითაც ჩვენ მის უბედუ-რობას დავყურებდით. თითო თითოს, ცალ-ცალკე, ნელნელა, შეუნიშნავათ გვჭამს ჩვენი ზნეობითი სენი და ჩვენ კი, უხასიათობისა და უზრუნველობის გამო, არ ვსცდილობთ, რომ ერთად, ძმურათ თავიდან მოვიცი-ლოთ ზემოხსენებული სენი, რომელიც ყველას ცალ-ცალკე, მაგრამ მაინც ყველას ერთნაირათ, გვაწუხებს და გვამდაბლებს...

---

მკითხველს, ალბათ, ჰგონია, რომ ჩვენ მეტის-მე-ტათ გადაუხვიეთ ამ ნაწერის საგანს—«კრებულის»

დანიშნულებას—და ისეთ საგნებს შევიხევით, რომელთაც არაფერი დამოკიდებულება არა აქვთ ჟურნალის ხასიათზე. ამ შემთხვევაში ის სცდება: რადგანაც ყოველი ხეირიანი ჟურნალის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო მდგომარეობა გამოხატოს და საზოგადო მიზანს მიუახლოვოს თავისი საზოგადოება, «კრებულსაც», (რომელსაც ხეირიან ჟურნალებათ ყოფნა ჰსურს) უნდა თავდაპირველათვე გაესინჯა თავისი მომავალი გზა, ესე იგი გამოეკვლია საზოგადო საჭიროება და გამოეძებნა ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია თანადროული ცხოვრების გაუმჯობესება. წინა ფურცლებს მეტი მიზანი არა ჰქონიათ.

ახლა ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ზემო-ნათქვამიდგან ჩვენი შემდეგი მოქმედების რიგი და წესი.

რაკი კაცის ბედნიერება ქვეყანაზე შესაძლებელია, რაკი კაცს ბუნებაზე იმოდენა ძალა და გავლენა აქვს, რომ შეუძლია ამ ბედნიერების გზის შემხუთველი დაბრკოლებაები მოიცილოს, რაკი ამ საქმისთვის აუცილებლათ საჭიროა ხეირიანი ცოდნა, შრომა და პატიოსანი ხასიათი,—უეჭველია, რომ ყოველ პატიოსან კაცს ჩვენი ქვეყნისთვის ეს სიკეთეები უნდა სურდეს და ყოველი პატიოსანი ჟურნალი მთელ თავის ცდას და გონებას იმას უნდა ალევდეს, თუ რა

გზით და რანაირათ შეუძლია საზოგადოებას ამ სეირიანი ცოდნის, შრომის და პატიოსანი ხასიათის შეძენა და სასარგებლოთ მოხმარება. უეჭველია, რომ ყოველი პატიოსანი ჟურნალი ნიადაგ იმ მიზანს უნ-და მისდევდეს, რომ გააცნოს მკითხველი საზოგა-დოება დაწვრილებით სეირიან გზას, შეაყვაროს იმას შრომა და ცოდნა, ჩაუდგას და აღზარდოს მას-ში პატიოსანი ხასიათი და შეამუშაოს, შეაზაროს ის განსვენებქილება, ერთმანეთის გლეჯა, ერთი მეორის შეუბრალებლობა, შეაზიზღოს ის შესაზიზღებელი მოქმედებები, რომელნიც ბოლოს ულებენ საზოგადო-ბედნიერებას და აბრკოლებენ მის წარმატებას.

«კრებულს» ნიადაგ თვალ-წინ ეს მიზანი ექნება, რადგან იმას მხურვალეთ უნდა დაიმსახუროს «პატი-ოსანი და სასარგებლო ჟურნალის» სახელი...— რამდენათ მიაწევს ის ამ მიზნამდი, ეს ღმერთმა იცის: ლიტერატურული ასპარეზი ვარდებით მოფე-ნილი როდია, ზედ სიარული და მოქმედება მეტის-მეტათ ძნელია... მაგრამ, ამ საძნელეშიაც «კრებული» ყოველთვის იმ აზრით ჩაიდგამს სულს და სიმხნევეს, მოიმატებს, რომ მის შრომას მიზნათ საზოგადო-სარგებლობა და სიკეთე აქვს...

БИБЛІОТЕКА [illegible]

# მირგოროდი

## რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფორიჩთან

### თავი IV

იმაზე, თუ რა მოხდა სასამართლო ოთახში, მირგოროდის მაზრის სამჯავროს წინაშე

მირგოროდი ჩინებული ქალაქია! რანაირი შენობაები და სახლები არ არი იქ! სახურავე-ბი, საჩეხები და ყავრულები ჩალით დახურუ-ლებიც არი, ზოგი ლერწმით და თითქმის ფიცრითაც. მარჯვნივ ქუჩა, მარცხნივაც ქუ-ჩაა. ყოველგან მშვენიერი დაწნული ღობეა; ღობეებზედ გადახვეულია ამოსული სვია, იმათზე ქილებია ჩამოკიდებული, იმას იქი-დამ ლალიფარას გამოუყვია თავი, მზის პი-რისახის მზგავსი, მოჩანს წითლად გაშლილი ხაშხაში, აქა იქ გამოჭყურებენ სქელ-სქელი გოგრები... განცხრომილებაა! ღობეები მუდამ მოფენილია იმისთანა ნივთებითა, რომლებიც უფრო უმეტესად ამშვენებენ ღობეებს: ზედ გამოფენილია და გადმოკიდულია ან პერანგი,

ან იმის ამხანაგი, ან მალვარი. ქ. მირღო-როდში არც ქურდობაა, არც ავაზაკობა, და იმიტომაც ყველა გამოჰფენს და გადმოჰკიდებს ხოლმე ღობეზედ, რაც კი უნდა, ან ფიქრათ მოუვა. თუ ვინიცობაა ამ ქალაქის მოედანს მიუახლოვდით, უთუოდ მაშინვე პატარახან გაჩერდებით, რომ ეს სასიამოვნო და მშვენიერი შესახედავი გაშინჯოთ: ამ მოედანზეა გუბე: გასაოცარი გუბეა! ამისთანა გუბის ნახვა, თქვენ, მგონია, არასოდროს არ შეგმთხვევიათ. ამ გუბეს უჭირავს თითქმის მთელი მოედანი. მშვენიერი გუბეა! დიდრონი და პატარა სახლები შორიდამ ისე მოჩანან, თითქო დამდგარი თივის მარჯებიაო, რომელნიც გარშემო ჩამოსდგომიან იმ გუბესა და გაოცებულან ამ გუბის სიმშვენიერითა.

მაგრამ მე იმ ჭაზრების ვარ, რომ ამ ქალაქში იმაზე უკეთესი სახლი არ არი, რომელშიაც სამაზრო სამსჯავროა. ეს სახლი მუხის ხისაა, თუ არყის ხისაა, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ამ სახლს, მოწყალენო ხელმწი-

ფვენო, რვა ფანჯარა აქვს! რვა ფანჯარა ერთ რიგობაზედ, პირდა-პირ მოედანს და იმ წყლიან ადგილს დაჰყურებენ, რომელზედაც მე ამის ზევით მოგახსენეთ და რომელსაც ამ ქალაქის დოროდნიჩი «ტბას» ემახის.

მართლა ეს სახლის შეღებილი კლდის ქვის ფერად; დანარჩენი მთელი ყველა სახლები ქ. მირღოროდში უბრალოდ, თეთრად არი შეღებილები, ცარცვით. იმ სახლის ბანი სულ ხისაა, და თითქმის შეღებილიც იქნებოდა წითელ წამლითა, თუ რომ იმის შესაღებად წამლისთვის მომზადებული ზეთი იმ სამჯავრო-ში მსახურთ მწერლებს ხახვში არ შეეტანებინათ და არ შეეჭამათ ის ზეთი; ეს ამბავი თითქო განგებ მარხვაში მოხდა და ამისაგამო იმ სახლის ბანი შეუღებავი დარჩა. მოედან-ზედ გამოდის იმ სახლის დერეფანი და კიბე, რომელზედაც ხშირათ ქათმები დარბიან, იმი-ტომ, რომ იმ დერეფანზედ თითქმის მუდამ დაბნეულია საკენკი ან რამე საზრდო, — არა-თუ განგებ არი დაბნეული, არა, მართლა მო-

ჩივარ ხალხის გაუფრთხილებლობით და დაუდევრობით არი დაბნეული ის საზრდო. სახლი შუაზე ორად არი გაყოფილი: ერთ მხარეს არის სასამართლო, მეორეში—სატუსაღო. იმ ნახევარში, სადაც სასამართლოა, სუივთა ორი ოთახია ცარცვ წასმული: პირველი შესავალი ოთახია მოჩივრებისთვის, მეორე ოთახში დგას სტოლი, მელნის ლაქებით დამშვენებული; სტოლზედ ზერცალი-სარკე; ოთხი მუხის სკამები, მაღალი ზურგიანები, კედლების ახლოს რკინით დაჭედილი სკივრები, რომლებშიაც შენახულია დასტა დასტა მთელი მაზრის ტყვილი საჩივრები, დავაქრობა და ცილისწამება. ერთ იმ სკივრზედ მაშინ იდვა გავაქსული ჩექმა.

სამართლის მიცემა ჯერ კიდევ დილით დაწყობილიყო. მსაჯული, კარგა სრული და ჩასხმული კაცი, თუმცა ივან ნიკიფორიჩზე წვრილი იყო, მშვიდი და კეთილი შეხედულობისა, გაქონილ ხალათში, ჩიბუხით, იჯდა; წინ ყანჯნით ჩაი ედგა და თავის ხელ-ქვე-

ით მდივან-ბეგს ელაპარაკებოდა. მსაჯულს ტუჩები ზედ ცხვირ ქვეშ ჰქონდა მიჭყუტული და იმიტომაც იმის ცხვირს შეეძლო ზევითა-ტუჩის სუნვა, რამდენიც იმას სულსა და გულს ნებავდა. ეს ზევითა ტუჩი იმას კოლოფის ნაცვლად ჰქონდა, რადგანაც ცხვირში შეყრი-ლი ბურნუთი თითქმის მუდამ იმ ზევითა ტუჩ-ზედ იბნეოდა. ესრედ მსაჯული მდივან-ბეგს ელაპარაკებოდა; გვერდით ფეხშიშველა გოგოს ეჭირა ფოლდნოცა ფინჯნებითა. სტოლის ბო-ლოზე მდივანი (სეკრეტარი) კითხულობდა ერთ საქმის გადაწყვეტილობას, განაჩენს, მაგრამ ისეთი მბლოვიარე ჭიჭინა ხმით მოსთქ-ვამდა იმ ნაკითხს, რომ იმის ყურის გდე-ბაშა კისაც ასამართლებდნენ, იმასაც ჩაემინე-ბოდა. მსაჯული, შეჩვეულია, ამას ყველაზე ადრე იქმოდა და ჩაიმინებდა, თუ ამასობაში შესაქ-ცევარ მასლათში არ გართულიყო.

«მე განგებ ვცდილობდი შემეტყო» სთქვა მსაჯულმა და მოსვა ფინჯნიდამ გაცივებული ჩაი, «რანაირად, რასა სჩადიან ისეთსა, რომ

ისინი კარგათ გალობენ ხოლმე. ამ ორი წლის წინად მე მყავდა ჩინეთური შაშვი. მაგრამ უცებ რაღაც დაემართა, ღმერთი გაუწყრა! სრულებით წახდა და წაუხდა გალობა, ისე წახდა, რომ არავინ იცოდა რასა გალობდა; თან და თან უფრო ცუდათ, ცუდათ და ცუდათ გალობდა; ბოლოს მოაყოლა ჩხავილი და მოუკიდა ხრინწი,—სულ აღარ ვარგოდა! მიზეზი კი სულ ცუდ-უბრალოა! აი, ეს რისგან მოხდება ხოლმე: ყანყრატოს მირში სიმსივნე უჩნდებათ ხოლმე, მუხუდოზე პატარა. ეს სიმსივნე მარტო ნემსის წვერით ცოტათ უნდა გაუხვრიტო. ეს მასწავლა ზაქარია პროკოფიჩმა, და თუ სწორედ გინდათ, მე თქვენ გიამბობთ, ეს როგორ მოხდა. მე მივედი იმასთან...»

— ინებეთ, დეემიან დემიანიჩ, მეორე წავიკითხო?» სიტყვა შეაწყვეტინა მდივანმა (სეკრეტარმა), რომელმაც რამდენიმე ხანს წინათ განაჩენის კითხვა გაათავა.

— მაშ თქვენ გაათავეთ იმის კითხვა?

გეგონილა, ასე მალე! მე არაფერიც არ გამაგონია! მაშ აბა სად არის ის განაჩენი? აქ მომიტანეთ მე, ხელს მოვაწერ. მაინც თქვენ კიდევ რა გაქვს?

— «საქმე ყაზახ ბოკიტკას ნაპარავ ძროხაზე.»

— კარგი, წაიკითხეთ! დიაღ, ასე, მე მივედი იმასთან... მე შემიძლიან ისიც გიამბოთ, როგორ მიმიღო მე იმან და რა საჭმელიც მომართვა. არაყთან მოიტანეს ზურგიელი, საგანგებო! დიაღ, ამ ჩვენ ზურგიელს კი არა ჰგვანდა, რომელსაც (ამდროს მსაჯულმა პირით გააწკლაპუნა და გაიღიმა; ამასთანავე იმის ცხვირმა თავის სამუდამო კოლოფს დასუნა), რომელსაც ჩვენზე ასაღებენ ჩვენ ქ. მირგოროდის ბაყლის დუქანში. მლაშე თევზი-ლითვისიტა მე არ ვჭამე, რადგანაც მე იმისგნით, როგორც თქვენც კარგად იცით, იმწამს გულის კოვზის ქვეშ და კუჭში წვა მომდის; მაგრამ ხიზილალის მირთმევა კი ვინებე,— ჩინებული ხიზილალა იყო! რომ მეტი აღარ

ითქმის და ვერც თქმა არი საჭირო: კარგი რამ იყო! მერე მე გადავკარი აქიმის არაყი, ბარამბოზე დაყენებული. ზავერანის არაყიც იყო; მაგრამ თქვენ თითონაც კარგათ იცით, რომ მე ზავერანის არაყს არ ვეწყობი. მართალია, ზავერანის არაყი მალიან კარგია: ჯერ, წინად, როგორც ამბობენ, ვისაც უცდია, თურმე სადერდელს აგიშლისთ და მადას მოგგვრისთ, და ბოლოს კი მადას დაგვიკარგავსთ...

— ჰააა! ეს სადა ხართ, არა ჩანხართ! რისგან არი, მსაჯულმა უცებ დაიძახა, რაკი იმ ოთახში შევიდა ჩვენი ივან ივანიჩი.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე! მშვიდობით ბმანდებით? წარმოსთქვა ივან ივანიჩმა და ყოველ მხრივ ჩვეულობისა და თვისებისამებრ თვისისა საზოგადოთ თავი ჩამოართვა.

ღმერთო! თავის ზრდილობით და კეთილ ყოფა-ქცევით ივან ივანიჩი ყველას როგორ მოიზიდავდა სოლმე? ამისთანა მორ-მხედველობა და ზრდილათ გაზრდილობა მე არსად და არავისში არ მინახავს! თვით იმან მალიან

კარგათ იცოდა თავის-თავის ღირსება და იმიტომაც საზოგადოდ მისდამი პატივის ცემა წესიერ ვალად მიაჩნდა. ივან ივანიჩს სკამი მიართვა თვით მსაჯულმა, რომლის ცხვირმა იმავე დროს შეისუნთქა ზევითა ტუჩიდამ სრულიად მთელი ბურნუთი, რაცკი ზედ ეყარა: ეს მუდამ იმას მოასწავებდა, რომ მსაჯული იგი ფრიად დიდ-სიამოვნებასა შინა იმყოფებოდა.

— აბა, რას ინებებთ, რაგნებავსთ, რომ მოგართვათ? ჰკითხა მსაჯულმან; ერთი ფინჯანი ჩაი მიირთვით, არ ინებებთ?»

— არა, ფრიად მადლობას მოგახსენებთ, უპასუხა ივან ივანიჩმა, თავი ჩამოართვა და დაჯდა.

— მე გთხოვთ, ერთი ფინჯანი ინებეთ! განამეორა მსაჯულმა.

— არა, მადლობას მოგახსენებთ; მასპინძლობითა თქვენითა ფრიად კმა-ყოფილი გახლავართ! უპასუხა ივან ივანიჩმა, თავი ჩამოართვა და დაჯდა

— ერთი ფინჯანი, განიმეორა მსაჯულ-მა.

— არა, ნუ სწუხდებით, დემიან დემიანიჩ! ამასთანავე ივან ივანიჩმა თავი ჩამოართვა და დაჯდა.

— ფინჯანი!

— მაშ, რაკი ეგრე, ნება თქვენი აღსრულ-დეს, ერთ ფინჯანს გისხლებით! წარმოსთქვა ივან ივანიჩმა და ფოდნოცისაკენ ხელი გა-იშვირა.

ღმერთო ჩემო! ადამიანში რა მიუწდომელი გაქნილობა იპოება ხოლმე! ენა ვერ მოიქვამს, თუ ამგვარი საქციელი რანაირ სიამოვნებას მოჰგვრის ხოლმე!

— კიდევ ერთი ფინჯანიც ინებეთ.

— უმორჩილესად მადლობას მოგახსენებ, ივან ივანიჩმა უპასუხა, პირქვედ თავ-გადმო-ბრუნებული ფინჯანი ლამბაქზედ დამხობილი ფოდნოცზე დასდვა და თავი ჩამოართვა.

— ჩემის პატივის-ცემისათვის, გთხოვთ დამავალოთ, ივან ივანიჩ!

— არ შემიძლიან; ძრიად მადლობელი ვარ. ამავე დროს ივან ივანიჩმა თავი ჩამოართვა და დაჯდა.

— ივან ივანიჩ! დამიმტკიცეთ თქვენი მეგობრობა და თავაზა, ერთი ფინჯანი ინებეთ!

— არა, გმადლობთ, ძრიად დავალებული ვარ თქვენის პატივის-ცემითა. ივან ივანიჩმა ეს სთქვა, თავი ჩამოართვა და დაჯდა.

— მარტო ერთი ფინჯანი! ერთად-ერთი ფინჯანი!

ივან ივანიჩმა ფოდნოცისაკენ ხელი გაა-წოდა და ერთი ფინჯანი აიღო.

აი, დალახვრა ღმერთმა! ადამიანი თავის პატივის-ცემის და ღირსების არ მოკლებას, როგორ მალე მოასწრობს და ისე როგორ მოახერხებს ხოლმე!

— მე, დემიან დემიანიჩ, სთქვა ივან ივა-ნიჩმა და ბოლონდელი ჩაის ყლუპი ფინჯ-ნიდამ მოსვა, მე თქვენთან საჭირო საქმე მაქვს: არზა მაქვს მოსართმევი. ამ დროს

ივან ივანიჩმა თვინჯანი დასდვა და ჯიბიდამ ამოიღო ერთი თაბახი ღერბიანი ქაღალდი, თავით ბოლომდის გაჭრელებული. ამა არზაშია სჩივარი ჩემ მტერზედ, ჩემ დაუძინებელ მტერზედა.

— მერე ეგ ვიზეა?

— ივან ნიკიფორიჩ დოვგოჩხუნზე.

ამ სიტყვების თქმის უმალ, მსაჯული კინაღამ სკამიდან არ გადმოვარდა და ძირს არ დაეცა.—ეგ რა სთქვით თქვენ!? წარმოსთქვა მსაჯულმა, გაოცებით შეხტა და ხელები გადაშალა. ივან ივანიჩ! განა ეგ თქვენა სთქვით? ნუ თუ თქვენა ხართ? ვერდა გცნობთ!

— თქვენ თითონ მხედავთ, რომ მე ვარ.

— უფალი თქვენთანა არის! როგორ! თქვენ, ივან ივანიჩი, გადემტერეთ ივან ნიკიფორიჩს! ნუ თუ ბაგეთა თქვენთაგან წარმოთქმულ არიან სიტყვანი ეგე! აბა ხელახლად განიმეორეთ! ან თქვენს უკან ხომ არვინ დამალულა და თქვენ მაგიერად ის არ ლაპარაკობს?..

— ამაში საიჭვო და დაუჯერებელი რა ნა-

ხეთ? მე იმის ნახვა არ შემიძლიან, თვალით დასანახავათაც მეჯავრება: მე იმან უპატიურება მომაყენა, უწყალოდ გამამწარა და დიდად მაწყენინა, შეურაცხ-ჰყო ჩემი ღირსება და პატიოსნება.

— ყოვლად წმინდავ სამებაო! მაშ მოდი ეხლა შენ და დედა ჩემმა ეს გაიგოს და ის დაიჯერე! როგორ დავარწმუნო! ბებრუცანა დედა ჩემს კი, მუდამ დღე, რაკი მე და ჩემ დას ერთმანერთში ჩხუბი მოგვივა ხოლმე, სათქმელად ესა აქვს: «თქვენ, შვილებოო, ერთი ერთმანერთში ისე სცხოვრობთ, როგორც მადლებიო. აი, თუნდ მაგალითი თქვენ ივან ივანიჩისაგან და ივან ნიკიფოროჩისაგან აიღეთ და იმათ მიხედეთ: აბა მეგობრობა ისეთი უნდა! და მეგობრებიც მართლად ისინი არიან! მერე რა მეგობრები! აი კეთილნი და ღირსეულნი სულნი!» აი, ესეც შენი მეგობრები! მიამბეთ მაინც, რაზედ მოგვიდათ? ეგ როგორ მოხდა? რა იყო?

— ეს დახლართული საქმეა, დემიან დე-

მიანიჩ; სიტყვით ვერ გიამბობთ, პირად არ შეიძლება; უმჯობესი იქნება, უბძანოთ ამ არზის წაკითხვა. აი, ინებეთ ამ მხრიდამ, აქ უფრო შესაფერ-საკადრისია.

— წაიკითხეთ, ტარასი ტიხონოვიჩ, მსაჯული მღივანს მიუბრუნდა და უთხრა.

ტარასი ტიხონოვიჩმა აიღო არზა და, იმნაირად, როგორც ყველა მღივნები და სეკრეტრები სამაზრო სამჯავროებში ჩვეულებისამებრ ცხვირს მოიხოცვენ ხოლმე, ორის თითის დახმარებით, ცხვირი წაიხოცა და შემდეგ კითხვა დაიწყო:

«მირღოროდის მაზრის აზნაურისა და მებატონისა, ივანე ივანისძისა პერერეპენკისა არზაი; ხოლო რაშიც არსებობს და მდგომარებს სათხოვარნი იგინი, მოხსენებულ არიან ამისა ქვეით შემდეგ მუხლებსა შინა:

მუხლი ა. რა ვითარცა ცნობილ სრულიად მრთელისა ამიერ ქვეყნისადმი, თვისითა ღვთის წინააღმდეგობითა, შებილწებასა შინა მიმყვანითა და უადრეს ყოვლისა ზომისა და ყო-

ველისა წრეს გარე გასულ რჯულისა გარდა-მავლობით და წესისაგან გარდამდგარ საქ-ციელი ყოფა-ქცევით, აზნაურმა მან, ივანემ, ნიკიფორისძემ, დოვგოჩხუნმა, ამა «ჩუი» წ., ივლისის «ზ» დღესა, ჰყო და მომაყენა მე განუზომელი და საშინელად-საზარელი, მო-უთმენელი შეურაცხება და უპატიურება, ვითარ-ცა შესახებ ღირსებისა და პატიოსნებისა-დმი გვამისა ჩემისა, აგრეთვე თანასწორ-ზო-მიერ ამასთანავე დასამდაბლებლად, დასამცი-რებლად და შესარცხვენად ჩინისა, ღირსე-ბისა, ხარისხისა და გვარის შვილობისადმი ჩემისა. ამა აზნაურსა, და თვით ამასთანა-ვე სახიზღარ, მწიკვლევანისა შეხედულობისას, აქვს ხასიათი მოკრტიმლისა და ფრიად ადვ-სილ არს სხვა და სხვა გვარის ღვთის გმო-ბითა და საგინებელთა სიტყვებითა....

ამ ადგილს მკითხველი შედგა, რათა ხელ ახლად კიდევ ცხვირი წარეხოცა; ხოლო მსა-ჯულს კეთილ-მოწიწებით გულ ხელი დაეკრი-ფა და მარტო თავისთვის ამბობდა: «რა

გამჭრიახე კალამია! ქვასა ხეთქავს! ღმერთო ჩემო! რა ჩინებულათ სწერს ეს კაცი!»

ივან ივანიჩმა სთხოვა კითხვის განგრძელება და ტარასი ტარასიჩმა არზის კითხვა განაგრძელა:

ამა აზნაურმა, ივანე, ნიკიფორისძემ, დოვგოჩხუნმა, ოდესაც მე მივედი მასთან მეგობრულ წინა-დადებით და თხოვნით, მიწოდა მე, აშკარად და საქვეყნოდ. ჩემდა საწყენად შესახებ ღირსებისა და პატიოსნებისა ჩემისა საკიცხველი სიტყვა, ესე იგი სახელდობრ: «მამალო ბატო.» მაშინ, როდესაც უწყიან სრულიად მთელ მირღოროდის მაზრასა შინა მცხოვრებთა, რომელ ამა საზიზღარ პირუტყვად მე არასოდეს არას გზით არა ვსახელ-წოდებულ ვარ და არც თუ საკუთარად მაქვს განზრახვა ამა სახელწოდებისა. ხოლო დასამტკიცებლად და საბუთად აზნაურობის ჩამომავლობისა, ანუ გვარიშვილობისა ჩემისა არს მზგა: რომელ სამეტრიკო წიგნსა შინა, სამთა მღვდელ-

მთავრებთა ეკლესიასა შინა მდებარესა, ჩაწე-
რილ და აღნიშნულ არიან, ვითარცა დღეჲ და-
ბადებისა ჩემისა, აგრეთვე თახასწორ-ზომი-
ერად და ჩემ მიერ მიღებული ნათლის ღებაჲ.
ხოლო მამალი ბატი კი, აწ უკვე ვითარცა
უწყის ყოველმა, რომელიც მაინც ცოტათო-
დეთ მცოდნე არს მეცნიერობისა და სწავ-
ლისა, არა შეიძლების და არც იქნების ჩა-
წერილი სამეტრიკო წიგნსა შინა, ვინაიდ-
გან მამალი ბატი არა არს კაცი ანუ ადამი-
ანი, არამედ ფრინველი იგი, რაიცა ყოველ-
მან, თვით სემინარიასა შინაცა არა ნამყოფ-
მაც, ზედ-მიწევნით და ნამდვილად უწყის.
გარნა მავნებელმან, ავისა ზნის თვისებისა
ამა აზნაურმა მან, თუმცა რა ამა ყოველისა
მცოდნე იყო, არა ვითარისა სხვა განზრახვი-
თა, თუ არა მხოლოდ იმა ჰაზრითა,, რათა
მოეყენებინა საზარელი და მოსაკვდინარი შე-
ურაცხება და გაუპატიურება ჩინისა, ხარის-
ხისა და ღირსებისადმი ჩემისა, ესრედ
შეგინებულ-ჰყო სახელი ჩემი, იმა საზოგადო-

რისა, უშჳერისა და მწიკვლევანისა მხოლოდ მის-მიერ წარმოთქმულისა სიტყვითა.

მუხლი ბ. თვით ამავე უმართებულესმან, უგვანმა და უმსგავსმა აზნაურმა, ვითარცა მაჭირვებელმან, ამასთანავე აღიჭურვა, რათა შეემთხვია ჩემდამი რაიმე მვირი და მალით დაიჩემა ჩემი მამა-პაპეული გვაროვნობით საკუთრება, მიღებული ჩემგნით, შემდეგ გარდაცვალებულისა მშობლისა ჩემისა, სასულიერო წოდებასა შინა ნამყოფისა ნეტარხსენებულისა იოანნე ონისიმის ძისა პერერეპენკისა (უფალმან განსვენება დაუმკვიდროს მას!) და დაიჩემა ესრედ, რომელ, წინააღმდეგ ყოველთა კანონთა, გარდმოიტანა და დასდგა თავისი საბატე სრულიად პირდა-პირ, თითქმის ზედ ცხვირთან წინაშე ეზო-დერეფნისა ჩემისა. ესე ყოველი ჰქმნა არავითარისა სხვა რაიმე განზრახვითა, არამედ, რათამცა ჩემდამი მოყენებული შეურაცხება და უპატიურება უმეტესად განემრჩობლებინა და გაეხშირებინა, ვინაიდგან საბატე იგი დღეის აქნობამდისინ ჯეროვან ფარსაკსა შინა ადგილსა მდებარე-

ობდა და ჯერ კვალად საკმაო სიმაგრესა შინა იმყოფვებოდა და იდგა იგი. გარნა საფიცხლარნი და ბილწურნი განსხვავნი ამისა ზეით მოხსენებულ აფხაურისა განსაკუთრებით მდგომარეობდენ მას შინა, რათა ვქმენ მე მოწამედ უმართებულოთა, უკადრისთა რაიმე შემთხვევათა ანუ სანახავთა, ვინაიდგან ცრობილ არს და უწყიან, რომელ ყოველი კაცად-კაცადი არ მიემართავს და არ შევალს არა ვითარცა ბოსელსა შინა, უფროსღა-ამისა ბატისასა ანუ საბატესა შინა, შესაბამ საკადრის საქმისათვისა.

ამ გვარის კანონის- წინააღმდეგ მოქმედებითა, საბატისა მის წინა ორთა საკვეთთა დაიჭირეს საკუთარი ჩემი მიწა-მამული, რომელიც მე მერგო ჯერ კიდევ სიცოცხლის ჟამსა მის მშობლისა ჩემისაგან, ჩეტარ ხსენებულისა იოანნე ონისიმის მისა პერერეპენკისა (უფალმან საუკუნო განსვენება დაუმკვიდროს მას!) და რომელიც იწყობის იქიდამ, სადაც ამბარია და იმ შისწორივ სწორედ მიდის, თვით იმ ადგილა-

მდის, სადა მოხუცნი დედაკაცნი ქალებს რე-
ცხვენ ხოლმე.

მუხლი გ. ამის ზეით გამოსახულსა აზნა-
ურ-შვილსა, რომლისა თვით სახელი და გვა-
რიც გულსა შინა კაცისასა შეზიზღებას აღძ-
რავს, აქჳნს და შთაუნერგავს თვის გულშია ესეთი
ბოროტი განზრახვა, რათა ცეცხლი წამიკი-
დოს და სრულიად ამომწვას მე სახლსა შინა
ჩემსა. ხოლო დასაბუთებად ამისა არა საეჭო
ნიშნები შემდეგ ქვემორე ამისაგან ნათლად
გამოაშკარავდებიან: ჯერედ პირველად, ამა ავის
ზნის და თვისებების აზნაურმან დაიწყო ხშირად
ეზოში გამოსვლა თავის სასახლიდამ, რასაც
უწინარეს ამისა იგი არას დროს ამას არ იქ-
მოდა ხოლმე, ამა მიზეზებისა გამო: თავის
სიხარმაცობისა, საზიზღარ სიმსუქნისა და სის-
ქისა გამო სხეულ-გვამისა თვისისა; მეორედ,
ჩამოსამსახურო ოთახსა შინა მისსა, რომელიც
ზედ აკრავს ღობესა მას, რომლითაც გარემო-
ზღუდვილია საკუთარი ჩემი მიწა-მამული,
მიღებული ჩემგნით გარდაცვალებულისა მშო-

ბლასა ჩემისაგან, ნეტარ ხსენებულის იოან-ნე ონისიმის ძისა პერერეპენკისა (უფალმან განსვენება დაუმკვიდროს მას!) მარად დღე არს ჩვეულებრივად, მეტის-მეტად ხან-გრძლივ მოჩანს სინათლე სანთლისა, რაჲცა არს აშკა-რა საბუთი დასამტკიცებლათ მისსა; ვინაჲდ-გან აქნობამდისინ, საძაგელ და საშინელ სიძყრ-წისა მის გამო, მარად არამც თუ ქონისა სანთელი, არამედ ჭრაქიც კი განქრობილი აქუნდა ხოლმე.

და ამიტომაც, ერთობრივ ამა უფლისა მი-ზეზთა გამო, უმორჩილესად ვითხოვ: რათა იგი აზნაური ივანე ნიკიფორის ძე დოვგოჩხუნი, ვითარცა ბრალეული და დამნაშავე: ცეცხლის წა-კიდებასა და გადაწვასა შინა, გაუპატიურებასა და შეურაცხყოფასა შინა ჩინისა, ღირსებისა, სახელისა და გვარი-შვილობისა ჩემისასა, და ავაზაკურ დაჩემებასა შინა ჩემის საკუთრებისა და ვითარცა უფროს ყოვლისა უმეტესად დამ-ნაშავე უგვარისად, უგვანოდ და დასაძრახისად დამატებასა შინა გვარსა ზედა ჩემსა მეტი-

სასჯელისა—«მამალობატისა,»—განასამართლოთ იგი და განაჩინოთ, რათა მას ჯარიმა გარდა-ხდეს, მომეცეს მე იმისგნით კმაყოფილება, და გარდახდეს მას ყოველი ჩემი დანაკლისი და ზარალი ამა საქმისა გამო; ხოლო თვით ამასვე, ვითარცა კანონის დამარღვეველსა და დამნაშავესა გაუყარონ ბორკილები და დაჭედი-ლი ბორკილებითა ქალაქის საპყრობილესა შიგა წარიგზავნოს და ამა ჩემ არზასა ზედა განაჩენი დაუგვიანებლად და დაუყონებლად ჰყოთ დაწესებული. დაიწერა და შეთხზულ იქმნა აზნაურისაგან, მირღოროდის მებატონისა ივან ივანის მისა პერერეპენკოსმიერ.

ამ აზრის წაკითხვის შემდეგ მსაჯული მიუ-ახლოვდა ივან ივანიჩს, იმის კაბის ღილს მოჰკიდა ხელი და ამ გვარათ დაუწყო იმას ლაპარაკი:

—აბა, რასა სჩადით ივან ივანიჩ? ღვთი-სა გეშინოდესთ! იქით გადააგდეთ, ხელი აი-ღეთ მაგ არზისაგან, დეე დაიღუპოს ეგ არზა! ეშმაკმა და ქაჯმა წაიღოს! უმჯობესია, რომ

ივან ნიკიფორიჩს ხელი ჩამოართვათ და ერთიერთმანერთი დაჰკოცნოთ. იყიდეთ სანტურინის ან ნიკოპოლის ღვინო, ან არა და, აი ასე: გააკეთეთ კარგი ფუნში, მეც მიმიპატიჟეთ, ერთად დავლიოთ და სულ ყოველი დავივიწყოთ!

—არა, დემიან დემიანოვიჩ!—ეგ ისეთი საქმე არ არი, ივან ივანიჩმა მძიმედ და ჩინებულად წარმოსთქვა, ისე, თავისებურ მოსახლენათ, როგორც მუდამ იცოდა ხოლმე,—ეგ ისეთი არ არი, რომ შინაურის მორიგებით შეიძლებოდეს გათავება! მშვიდობით ბრძანდებოდეთ! თქვენც მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონებო! და ისევ თავისებურად მძიმედ მიუბრუნდა და საერთოდ უთხრა:—«ვიმედოვნებ, რომ არზაა ჩემი წადილისა მებრ ჩემისა ჯეროვნად და შესაბამად იმოქმედებს,» და გავიდა და გაოცებასა შინა დასტოვა მთელი სასამართლო.

მსაჯული იჯდა, ხმას არ იღებდა; მდივანისეკრეტარი ბურნუთს სწევდა; მელნით

სავსე გატეხილი ლიტრის მირი მწერლებს უცებ გადმოებრუნებინათ, რომელსაც საწერლის მაგიერად ხმარობდნენ, და თითონ ფიქრისაგან გონება გაფანტულ მსაჯულს თითი ჩაეყო იმ მელნის გუბეში და მელნით სტოლსა თხუპნიდა.

— თქვენ ამაზედ რას იტყვით, დოროფეი ტროფიმიჩ? პატარა ხანს სიჩუმის შემდეგ მიუბრუნდა მსაჯული მდივანბეგს და ჰკითხა.

— არაფერს არ ვიტყვი, მდივან-ბეგმა უპასუხა.

— ეს რა საქმე მოხდა და რა ამბებია! ჰსთქვა მსაჯულმა. ჯერ ამ სიტყვის თქმა არ დეესრულებინა, როცა იმ ოთახის კარმა დაიჭრიალა, გაიღო და სასამართლო ოთახის კარებში გაიჭედა და გამოცხადდა ივან ნიკიფორიჩის წინა ნახევარი გვამი; და დანარჩენი გვამისა მის დარჩა წინა ოთახში. გამოცხადება ივან ნიკიფორიჩისა, და მეტადრე სამჯავროში, ყველას ისე გასაოცრად ეჩვენათ,

რომ მსაჯულმა დაიკივლა, მდივან-სეკრეტარმა საქმის კითხვა შესწყვიტა და შესდგა, ერთმა იმ სასამართლოში მსახურ მწერალმა, რომელიც რადაც ნაირ კვინტილა მოკლე კაბაში იყო, კალამი ტუჩებ-შუა ამოჰდო, მეორე მწერალმა იმავე დროს ბუზი ჩაყლაპა, უეცრად; და იმ სასამართლოში ძველ მოსამსახურე ყარაულმა, რომელიც ჩაფრის თანამდებობასაც აღსრულებდა, და იმ დრომდის კარებთან იდგა და თავის ჭუჭყიან პერანგის უბეში იქექებოდა, ამ მოსამსახურე ყარაულსაც პირი ღია დარჩა და ისე გამოშტერდა, რომ ვიღასაც უნებურად ფეხი დაადგა.

— ეს რისგან არი! როგორ და რომელ ხატისგან არი? მშვიდობით ბრძანდებით, ივან ნიკიფორიჩ?

გარნა ივან ნიკიფორიჩს თითქმის ცოცხალ-მკვდარს, რადგანაც, სისქისა გამო თვისისა, კარებში გაეჭედა, ვერც წინ და ვერც უკან ფეხი ვეღარ გადედგა. მსაჯული უყვიროდა, იქ წინა ოთახში მყოფთ, რომ ივან ნიკიფო-

რიჩისთვის უკანიდამ იმათგან ვისმეს ხელი ეკრა და სასამართლო ოთახში შამოეგდო. ამაო იყო მსაჯულის ყვირილი, რადგანაც წინა ოთახში იყო მარტოდ ერთად-ერთი მოჩივარი ბებერი დედაკაცი, რომელმანც თუმცა მალიან მალა დაატანა თავის გამხდარ ხელებს, მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა. მაშინ ერთი იმ სა-სამართლოში მსახურ მწერლებთაგანი, რომე-ლიც იყო სქელ-დიდრონ ტუჩებიანი, განი-ერ მხარ-ბეჭიანი, სქელ ცხვირიანი, ამასთა-ნავე ელამი და გვერდზე იხედებოდა, თვალებზე სიმთვრალე ეცნეოდა, გამოცვეთილ ნიდაყვე-ბიანი, ივან ნიკიფორიჩის გვამს წინიდამ მიუახლოვდა, გულზე ორივე ხელები ჯვარედი-ნათ დაუკრიფა, ვითარცა უსუსურ ყრმასა; შემ-დეგ თვალი უყო და ანიშნა მკელ მოსამსახურე ყარაულსა, რომელმანც თავისი ფეხი ასწია და ივან ნიკიფორიჩს მუცელში მიაჭირა და თუ-მცა ივან ნიკიფორიჩი საცოდავათ იხრავდა და კვნესავდა, ის რისყოფით გააგდეს და გაიტანეს წინა ოთახში. მაშინ რაზა ამოიღეს

და კარების მეორე ნახევარი გააღეს. ამავე დროს იმ სასამართლოს მწერალმა და იმის თანა-შემწემ ძველმა მოსამსახურე მწერალმა ერთად მეგობრულ ძალის-დატანებისაგან, თავიანთ პირიდგან სუთქვითა ისეთი საშინელი სუნი დააყენეს, რომ ის სასამართლო ოთახი დროებით თითქმის სირაჯხანათ გადიქცა.

— თქვენ ხომ, ივან ნიკიფორიჩ, არა გატკინესთ რა? მე დედაჩემს შევატყობინებ, ის თქვენ წამლად ისეთად დაყენებულ არაყს გამოგიგზავნისთ, რომლითაც თქვენ მარტო ხერხემალი და წელი კარგათ დაიზილეთ, და სულ გაივლის.

მაგრამ ივან ნიკიფორაჩი სკამზე დაეგდო და ხანგრძლივ ოხისა და უხის მეტი ვერაფერი ვერ ეთქვა. ბოლოს სუსტის ხმით, ისე, რომ ძლივს ისმოდა, რადგანაც დაღალული იყო, იმან წარმოსთქვა: «არ ინებებთ?» ამოიღო ჯიბიდამ თავის რქა-კატოში და დაატანა: «ინებეთ, ივალებოდეთ!»

— მე დიდად მოხარული ვარ თქვენის ნახვისა

უპასუხა მსაჯულმა, მაგრამ მე სულ ფიქრს ვერ მოვსულვარ, თუ რამ გაგაბედვინათ თქვენ ამ შრომის მიღება და დაგვავალეთ ჩვენ—ამ-გვარ-სასიამოვნო მოულოდნებელ შეცრებითა.

—არჩა მაქვს, მოსართმევი . . . ივან ნიკიფორიჩმა ძლივს ამის თქმა შეიძლო მარტო.

—არზა გაქვსთ მოსართმევი? რაზე?

— არზა მაქვს მოსართმევი.... (ამ დროს ქაქანი მოაყოლა და დიდხანს შეისვენა) ოხ!... არზა მაქვს მოსართმევი იმ ავაზაკზე.. ივან ივანიჩ პერერეპენკოზე.

— ახა ღმერთო ჩემო! თქვენც აგრე? ისეთა სამაგალითო მეგობრები იყავით! საჩი-ვარი! და მერე იმისთანა კეთილ ადამიანზე!..

— ის თვით სატანაა! ივან ნიკიფორი-ჩმა გაბმით წარმოსთქვა. მსაჯულმა პირჯვარი გადიწერა.

— არზა აიღეთ, წაიკითხეთ.

— რაღა გვეთქმის, წაიკითხეთ, ტარას ტიხონოვიჩ, მსაჯული უკმაყოფილის სახით

მიუბრუნდა მდივან-სეკრეტარს და უთხრა, და ამასთანავე იმის ცხვირმა უნებურად ზევითა ტუჩს დასუნა, რასაც ის ადრე ამას წინად მარტო დიდ სიამოვნებისაგან იქმოდა ხოლმე. ამისთან ცხვირის თავის ნებისობამ უფრო უმეტესად შეაწუხა მსაჯული; იმან ხელსახოცი ამოიღო და ზევითა ტუჩიდამ სრულიად მთელი ბურნუთი გადმობერტყა, რათა ცხვირის ამ გვარი შეუპოვრობა და გაკადნიერება დაესაჯა.

მდივან-სეკრეტარმა, როგორც მუდამ კითხვის წინად იცოდა, ჩვეულებისამებრ თვისისა აღასრულა წესიერი დასაწყისი, ესე იგი უცხვირის ხელცახოცოდ, და დაიწყო სამედამო თავის ხმით კითხვა ქსრედ:

«ითხოვს აზნაური მირგოროდის მაზრისა, ივანე, ნიკიფორის ძე, დოვგოჩხუნი. ხოლო რასა შინა მდგომარეობს არზაჲ ესე, ქვემორე ამისა მუხლებსა შინა გამოცხადებულ არიან:

მუხლი ა. თვისისა სიძულვარისა, ნათლად მტრობისა და ბოროტ-მოსურნეობისა გამო

რომელიცა თავსა თვისსა აზნაურად ირქმევს და იჩემებს, ივანე ივანის ძემ პერერე-პენკომ, ყოველგვარი საძაგლობა, ზიანი და სხვა და სხვა სიბოროტე, გძლიანობა და თავს ზარის დასაცემი და შემრწუნებასა შინა მომყვანი ყოფა-ქცევა და მოქმედება თვისი მომაყენა, ჭყო ჩემზედა, და გუშინ-დელს დღესა, შუა დღის შემდეგ, ვითარცა ავაზაკი, მტაცებელი და მპარავი, გამოვიდა ცულებითა, ხერხებითა, საჭურეთელებითა და სხვა და სხვა ზეინკალის, მეჩახმახის ანუ ჩი-ლიგდარის იარაღებითა, ღამე შეიპარა ჩემს ქხოში და მას შინა მდებარე ჩემივე საკუთა-რი საბატე-ბოსელი საკუთარ ხელითა თვი-სითა და საკდემელისა სახითა დაჩეხა იგი, რაზედაცა მე ჩემის მხრით არა ვითარი რაიმე მიზეზი არ მიმიცია რა მისთვის, ესოდენ კა-ნონის წინა-აღმდეგ და ავაზაკურ ყოფა-ქცე-ვისა და მოქმედებისათვისა მის მიერ.

მუხლი ბ. ამასვე აზნაურ პერერეპენკოს აქუნს განზრახვა და წადილი თვით მოკლი-

სახლი ჩემისა, და «ზ» რიცხვამდის წარსულ თვისასა, რა საიდუმლოთ აქუნდა შთანერგილი გულსა შინა თვისსა, მოვიდა ჩემდა მიმართ და დაიწყო მეგობრულ და მხიარულის სახით თხოვნაჲ საკუთარისა ჩემისა თოფისა, მდებარე ოთახსა შინა ჩემსა, და სამაგიეროთ მისისა შემამლოცა მე მასში, თვისითა სიმუნწისა თვისებითა მრავალი სხვა და სხვა უხმარი და უვარგის-გამოუყენებელნი ნივთები. ქსრედ, მაგალითად: მერა დორი და ორი საცალო შვრივაჲ. ხოლო მაშინათვე რა ვითარცა წინათვე მივსვდი და ვგრძნობდი შეცოდებითი ავ განზრახვასა მისსა, მე სხვა და სხვა ყოვლის ღონისძიებითა ვმეცადინეოდი, რათა ამეცდინა იგი მისგან; გარნა ამა ავაზაკმა, ეგვანმა და ბედასლმა, ივან ივანის ძემ პერერეპენკომ, გამლანძღა მდაბიოდ—გლეხურად უშვერის სიტყვებითა და იმავე დროჲდამ შთანერგილი აქუნს გულსა შინა თვისსა შეურიგებელი და განუცხრომელი მტრობა ჩემ მიერ. ამასთანავე და იგივე, მარად მოხსენებული, განცოფებული, ბორგნეული და სასტიკი

აზნაური და ავაზაკი იგი, ივანე ივანის ძე პერერეპენკო, საკდემელ და სათაკილო ჩამომავლობისაც არის. და მისი, ვითარცა სრულიად მთელმა ქვეყანამ უწყის, ყოველგან მოტანტალე დედა-კაცი იყო და იეგერების *) როტას **) გაჰყვა, რომელიც ამჴხუთის წლის წინად ქ. მირღოროდსა შინა იდგა და თავისი ქმარი კი უმად გლეხებში ჩააწერინა. დედ-მამაი მისნიც აგრეთვე უსჯულო და უსამართლო ადამიანები იყვნენ და ორთავენი გასაოცარნი და ძნელად წარმოსადგენნი ლოთები იყვნენ. მოხსენებულივე აზნაური და ავაზაკი პერერეპენკო, თვისის პირუტყვ-მსგავსითა და განკირცხვის ღირსითა ყოფა-ქცევითა გადააჭარბა სრულიად მთელ თავის გვარ-ჩამომავალი-ნათესავობას და ვითომც ღვთის კეთილ-

---

*) იეგერი — ერთნაირი ჯარია.

**) როტა — ჯარის გუნდია.

შეახურავს, თავის თვისსა ისე იჭერს და ნაცე-
ლად იმისა კი ძლიერად სამაცდურო საქმეებს
იჭერს და სჩადის: მარხვებსა სტეხს, ვინაიდ-
გან ქრისტესშობის წინა დღით ამა ღუთის
გარეკანმა ულოთომა იყიდა ცხვარი და მეორე
დღეს უბრძანა თავის ურჯულოს და არა კანო-
ნიერ მოახლე-გოგოს, დაჰკლას, და დააკვლე-
ვინა იგი, ხოლო თავის გასამართლებლად
ესრედ მოიგონა, ვითარმედცა იმისთვის იმა-
ვე წამსა შინა ქონი საჭირო იყო ჭრაქისა-
თვის და სანთლების ჩამოსხმისათვის.

ამის გამო ვიტყოვ, რათა აზნაურით იგი-
ვითარცა ავაზაკი, ეკლესიის მკრეხელი, თვალთ-
მაქცი და მე[illegible]ი, ქურდობასა და გაცარცვა-
სა შინა აწვევ გამტკიცებული, დაბორკილნი
და ბორკილებსა შინა დაჭედილი სახელმწი-
ფო საპყრობილესა შინა წარიგზავნოს, და
იქმნა, განხილვის შემდეგ საქმისადაგვარად,
ჩინები აჰყარონ, უკეთილი ღირსებას და აზნა-
ურ-შვილობა ჩამოართვან და გაუბედურების
შემდეგ, კარგა დალაბანდის დაპერით, სატუსა-

ჩამოატარონ და ციმბირსა შინა კატორღასა ზედა საჭიროებისაგამო დაპატიმრებულ და შემწყვდეულ იქმნეს; ჯარიმის, დანაკლისის და ზარალის გადახდა და მოცემა ჩემ-მიერ ებრძანოს მას და ამა არზისა მიერ ჩემისა განჩინებას ჰყოთ.

ამა არზასა ზედა ხელი მოაწერა მირგოროდის მაზრის აზნაურმა ივანე, ნიკიფორისძემ, დოვგოჩხუნმან.

რაკი მდივან-სეკრეტარმა ამ აზრის კითხვა დაასრულა, ივან ნიკიფოროვიჩმა თავის ქუდს დაავლო ხელი და თავი დაუკრა განგებ, რადგანაც წასვლა უნდოდა.

— სადეთ? სად მიხვალთ თქვენ, ივან ნიკიფოროვიჩ? მსაჯულმა იმას უკან მისძახა. პატარახან დაბძანდით! ჩაი მიირთვით! ორიშკა! გოგოვ, შე გადარეულო და რეგვენო, მანდ რას უდგეხარ და მწერლებს თვალს-უშკრები და რაღასაც ანიშნებ? გასწი, ჩაი მოიტა!

მაგრამ მიშისაგან, რომ ისე შორს გასული

იყო თავის სახლიდამ და შესძლო ქსეთი საშინელი კარახტანი და აიტანა, ივან ნიკიფოროვიჩმა კიდენც მოასწრო, კარებში გამვრა და დუდუნით სთქვა:—«ნუ სწუხდებით, მე სიამოვნებით...» გამვრენის უმალ კარებები თან გაიხურა და მაღალი სასამართლო გაოცებასაშინა დასტოვა.

აღარას ეჰკელეიოდა რა. ორივე არზა მიიღეს და მეტის მეტად ღირს-შესანიშნავი და სანატრელი მამამე საქმე მზადდებოდა და გაიმართებოდა კიდეც, თუ ერთ მოულოდნელს, უმეტეს გარემოებას ამ ამბავისათვის უფრო უმეტესი ლაზათი არ მიეცა და უმეტესი სიამოვნება არ ეჩვენებინა. ოდესაც მსაჯული სასამართლო ოთახიდამ გავიდა თანა მმღოლ მდივან-სეკრეტარით და მდივან-ბეგითურთ და მწერლები საცალოებში და ტომრებში აწყობდნენ და ალაგებდნენ მოჩივრებისაგან მოტანილ მრავალ ძღვენს და წყალობასა: ქათმებსა, კვერცხებსა, პურის ყუებსა, ხაჭაპურებსა, კუპატებსა, ნაზუქ ქადებსა და სხვა და სხვა

წარამარა დარღვილებსა, ამ დროს სასამართ-ლო ოთახში მურა ღორი შევარდა და, გასაკ-ვირვებლად ყოველთა იქ მყოფთა, მოიტაცა, არა თუ ხაჭა-პური, ქადა ანუ პურის ქერქი, არამედ თვით ივან ნიკიფორიჩის არზა, რომელიც სტოლის ბოლოზედ იდვა, ფურ-ცლებით ქვეით გადმოკიდებული. მურა ტუ-ხისამ, რაკი მოიტაცა ის ქაღალდი, ისე საჩ-ქაროდ გავარდა და გაიქცა, რომ ვერც ერთი სასამართლოში მსახური ჩინოვნიკი იმ ტუხი-ნას ვერ მოეწია, თუმცა იმას სახაზავებს და საწერლებს ესროდნენ. ამ მეტის მეტად სა-უცხოო შემთხვევამ და ამ ამბავმა საშინელი დიდი არეულობა და ალიოქოთი მოახდინა. მსაჯული, ესე იგი იმას მდივან-სეკრეტარი და მდივან-ბეგი, კარგა დიდხან დიდ არჩევა-ნში და მასლაათში იყვნენ ამისთანა იშვიათად ძნელ გარემოებაზედ; ბოლოს ასრე გადასწ-ედა და იმაზედ დააბოლოვეს, რომ ამ იშვიათ შემთხვევაზედ გოროდნიჩის ოტნოშენიე (წე-რილი) მისწერონ, რადგანაც ამ საქმის გა-

შომაება ყოვრო საქალაქო პოლიციის შეახვე-ბოდა. ოტნოშენიე, ანუ წერილი №-თა 389, იმავ დღესვე იმასთან წარგზავნილ იქმნა და თვით ამისა გამო მალიან საცინელი და გა-სოცარი ლაპარაკი მოუვიდათ, რომელსაც მკითხველნი შემდეგ თავიდამ გაიგებენ.

## თავი V

რომელშიაც ქ. მირგოროდის ორთა პა-ტივის-ცემულ გვამთა-შორის ა[illegible]ქვანია აწე-რილი.

რაკი ივან ივანიჩმა გული მოიბრუნა, ისევ თავის სახლის მეურნეობას დაუწყო პატრონობა და ჩვეულებრივ ეზოში გავიდა თუ არა, საჩეხ-ქვეშ მოსასვენებლად, მეტის-მეტად გაოცებუ-ლი დარჩა, როცა ეზოს პატარა კარებში მოწითლო რაღაცა დაინახა. ეს იყო დოროდ-ნიჩის კაბის წითელი ყაში, რომელიც სწო-რედ ისე, როგორათაც იმის კაბის საყელო, გაქუცული იყო და ისე გლეპარებდა და ბრწყი-ნავდა, თითქო ლაქწასმული სანდოლოზის

ტუჩავიდა. ივანე ივანიჩმა თავის გულში ასე იფიქრა: «კარგია, რომ პეტრე ფედოროვიჩი გარეკილა და ჩემთან სამასლაათოდ და დროის გასატარებლად მოსულა.» მაგრამ ძალიან გაუცდა, როცა დაინახა, რომ დოროდნიჩი მეტის-მეტად გაჩქარებული, და თან ხელების გაქნევით, მიუშერებოდა, რადგანაც ასე სიამული, ჩვეულებით, ძალიან იშვიათად იცოდა ხოლმე იმან.—დოროდნიჩის მუნდირს რვა ღილი ესხა. მეცხრე ღილი კი მოწყვეტილა და დაჰკარგოდა დადების დროს, როცა ტაძარს კურთხევდნენ, ამ ორი წლის წინად, და დღეის აქნობამდისინ დესეტნიკებს ვერ ეპოვნათ. თუმცა დოროდნიჩი ლეპორტების მიღების დროს, რომელსაც კვარტალნები მოახსენებენ ხოლმე, ჩვეული ცისმარე ადგეს მუდამ იკითხავს ხოლმე: ღილი ხომ არ გიპოვნიათ? ეს რვა ღილი ძველა იმის მუნდირს იმ გვალობაზედ, როგორც ქალები ლობიოს სთესენ ხოლმე: ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ. მარცხენა თვალში

ლორდნიჩი დაჭრილი იყო, ბოლონდელ ომიანობაში, და ამ მიზეზითაც ის ძალიან კოჭლობდა და დაჭრილ ფეხის მხრივ თეძოს ძალიან იქნევდა. ლორდნიჩი რამდენათაც თავის ფეხს გააჩქარებდა, იმდენათ უფრო მძიმედ და წყნარად ფეხი წინ წაჯგებოდა ხოლომე და იმიტომაც, მანამ ლორდნიჩი საჩეხთან მოვიდოდა, ივან ივანიჩს საკმაო დრო ჰქონდა მოფიქრებისა, რათა ელო და დაელოთუ რასთვის ლორდნიჩი ისე გაჩქარებით ხელებს იქნევდა? ეს ამაზედ უფრო იმიტომ ჩაუფიქრდა, რომ ეტყობოდა ლორდნიჩი ძალიან მშიშე და საჭირო საქმის გამო მიდიოდა იმასთან, მეტადრე იმიტომ უფრო ეცრეოდა, რომ ლორდნიჩის თან ახალი ხმალიც ჩამოეკიდა გვერდზე.

— მშვიდობით ბრძანდებით, პეტრე ფედოროვიჩ! შესძახა ივან ივანიჩმა, რომელსაც, როგორც ამას წინად მოგახსენეთ, ძალიან ყველაფრის გამოძიება უყვარდა, და ყურავრით ვერ შეიკავა თავის მოუ-

თმენლობა რაკი დაინახა, რომ დოროდნიჩი თავს წაადგა, დერეფნის კიბეს ებრძოდა და ჯრიშით იღებდა; მაგრამ დოროდნიჩმა მაინც კიდევ თავი მაღლა არ აიღო, ივან ივანიჩს არ შეხედა და თავის დაჭრილ თვალს ეცრემლებოდა, რომელიც ერთის გადადგმით და თემის ქრევით, ვერა ღონის მიებით კიბის საფეხურზედ ვერ შეედგა.

— დიდა კარგათ-ყოფილა! ჩემს საყვარელს და კეთილის-მყოფს ივან ივანიჩს ვახლავარ! დოროდნიჩიმ უპასუხა.

— უმორჩილესად წყალობას ვითხოვ, რათა დაბრძანდეთ. თქვენ, როგორც მე ვხედავ, დაღალული ბრძანდებით, რადგანაც თქვენ ფეხზე დაჭრილი ბრძანდებით და გიშლისთ....

— ჩემი ფეხი! დოროდნიჩმა დაიძახა და ივან ივანიჩს ისეთ ნაირად გადახედა და ისე შეუბღვირა, თითქო მდევმა ან გმირმა შეუბღვირა ქინძრის კაცსა, ანუ მეცნიერმა ტუტუმა-ტანცობის მასწავლებელსა; იმასთანავე დოროდნიჩიმ ასწია თავის ფეხი, გასჭიმა,

დედამიწაზე დაჰკრა, დაანაკუწა. მაგრამ ესეთი მამაცობა იმას ძვირად დაუჯდა, იმიტომ, რომ მთელი ტანი შეერყა და დაიზნიქა, ისე, რომ ცხვირი მოაჯარას მიჰკრა; გარნა ამ ფრიად გონიერმა წესის დამცველმა და ზედამხედველმა, რათა არა შეემცნიათ, იმავწამსვე მოხედა, ფეხი გაიმართა და ხელი ჯიბისაკენ იკრა, კითომც კოლოფის ამოღებას უნდოდა და ეძებდა.

— მე თქვენ მოგახსენებთ, ჩემო თაობაჩვეო, ფრიად საყვარელო მეგობარო და ჩემო კეთილის-მყოფელო, ივან ივანიჩ, რომ მე ჩემ სიცოცხლეში ამაზე უარესი მგზავრობა-ები გამომივლია ომებში. დიახ მართლა, არა ვხუმრობ. აი, მაგალითად, ოჩაკოვის დროს ჩყზ წელსა... ოჰ! მე თქვენ გიამბობ, ერთხელ მე დობიჩედ როგორც გადამკვდარი და ერთ ღამას ნემეცის გოგოს მივეპარე; ამ დროს დოროდენიჩიმ ცალი თვალი მოჭყლიტა და ეშმაკურ იარამაზულად გაიღიმა.

— თქვენ დღეს სადა და სად ბრძანე-

ბულ ხართ? ივან ივანიჩმა ჰკითხა, რადგანაც უნდოდა დორმედონიჩისათვის სიტყვა შეეწყვეტინებინა და მალე გამოეთქმევინებინა იმის მოსვლის მიზეზი; ივან ივანიჩს ძალიან გულითა სწყდა რათა ჰკითხა დორმედონიჩს რა უნდა გამოეცხადებინა იმისთვის, ან რა საქმეზედ იყო: მაგრამ მეტის-მეტად თავის დიდმა ზრდილობამ და თავაზიანობამ ვერ გააბედვინა, რომ ასე უზრდელად ეკითხა; ამიტომაც ივან ივანიჩმა გული გაიმაგრა და მოთმინებით ელოდა დორმედონიჩის მოსვლის მიზეზის შეტყობას; ამასობაში კი თან გული ძალიან ძალიან უცემდა.

— აბა, მოითმინეთ და ნება მიბოძეთ, რომ მე თქვენ გიამბოთ სადა დღეს ვიყავი, დორმედონიჩმ უპასუხა. პირველად მე თქვენ უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს ჩინებული დარია... ამ ბოლონდელ სიტყვებზე ივან ივანიჩი კინაღამ ლამის არ მოიცვალა.

— მაგრამ ნება მიბოძეთ, მომითმინეთ, დორმედონიჩმ დაიწყო: მე დღეს თქვენთან

მოკიულვარ ერთ სამძიმო დიდ საქმის გამო. ამ დროს ლოროდიჩიჩი სწორედ ისე ჩაფიქრდა და დაღვრემილი იყო, როგორც იმ დროს, როცა ის დეკანოზის კაბას თავის კოჭლი ფეხით ებრძოდა და ერიშით იღებდა. ივან ივანიჩი მოწყოცხლდა და თრთოდა, თითქო ციებ-ცხელებას დამართაო, აღარ გაცია და იმწამსვე ჩვეულებრივ წყნიხა — «რა არი ისეთი სამძიმო და დიდი საქმეო? განა მართალა ხამძიმო საჭირო საქმეაო?»

— აი, ჩემო ბატონო, მომისმინეთ: ჯერ წინათვე გავბედნიერდები და მოგახსენებთ თქვენ, საყვარელო ჩემო მეგობარო და მეთილის-მყოფელო ივან ივანიჩ, თქვენ . . . მე, ჩემის მხრით კი, ამასაც მოგახსენებთ, მე არაფერი არა მჭირს, მაგრამ, მმართველობის ცდა წაილო და წესი ამას მოითხოვს... თქვენ კანონს გადუხვედით, გასტეხეთ და დაარღვიეთ რიგიანობის წესი!

— თქვენ რას ამბობთ, პეტრე ფეოდოროჩ? მე ვერაფერი ვერა გავიგე.

— მომიტევეთ კი, ივან ივანიჩ, მაგრამ, რას ბძანებთ? როგორ თუ თქვენ ვერაფერი ვერა გაიგეთ რა! თქვენმა საკუთარმა, შინაურმა პირუტყვ-საქონელმა ძალიან საჭირო სახელმწიფო ქაღალდი მოიტაცა სასამართლოდამ და თქვენ კი მაინც ბძანებთ, რომ ვერაფერი ვერა გავიგეთო!

— რა, რომელმა შინაურ პირუტყვ-საქონელმა?

— უკაცრავად პასუხია, თქვენმა მურა-ღორმა.

— ჩემი რა ბრალია? სასამართლოს მოსამსახურე სალდათი კარებს ღიას რათ ანებებს?

— მაგრამ, ივან ივანიჩ, ის ღორი მაინც თქვენი საკუთარი საქონელია, მაშასადამე, თქვენა გაქვსთ დანაშაული.

— დიდათ უმდაბლეს მადლობას მოგახსენებთ ემაგისათვის, რომ თქვენ მე ღორს დამადარეთ!

— ეგ სრულებითაც არ მითქვამს, ივან

ივანიჩ! ღმერთმან იცის არ მითქვამს! აბა თქვენკი იფიქრეთ და წმინდის სინდისით, სამართლიანად გამინჯეთ. თქვენ უეჭველია, მოგეხსენებათ და იცით, რომ თანახმად მთავრობის ნებისა, უწმინდურ და მერცალ პირუტყვებს აკრძალული აქვთ სიარული ქალაქში, და უფროსად უმეტესად ქალაქის პირველ დიდრონ ქუჩებში. თქვენკი დარწმუნებული ბრძანდებით და დამეთანხმებით ამაში, რომ ეს აკრძალული საქმე უკადრისაა.

— ახა ღმერთო ჩემო, თქვენ მე მაგარას მიბძანებთ. დიდი ამბავი არ მომხდარა, თუ ღორა ქუჩაში გასულა!

— ნება მიბოძეთ, მე თქვენ მოგახსენებთ, მომითმინეთ, არა, მომითმინეთ, ივან ივანიჩ, ეგ სრულობით არ შეიძლება. რა ვქნათ, აბა რა უყოთ! რაკი მთავრობის ასე უნდა — ჩვენ უნდა დავემორჩილოთ. მართალია, დაგიჯერებთ და დაგემოწმებით კიდეც, რომ ქუჩებში ზოგჯერ დადიან ხოლმე ქათმები და ბატები, ეს თქვენ კარგა დაიხსომეთ, გაიგეთ რა

ვსთქვა? ქათმები და ბატები მეთქი; მაგრამ ლორებზედ და თხებზედ მე ჯერ კიდევ მარ-შანვე მივეც უსასტიკესი ბრძანება, რომ არამც და არამც არ შეუშვან სამზოგადო, სახალხო მოედნებზედ, რომელიც ბრძანებაც მაშინათვე უბრძანე, რაც ზეპირად წაეკითხათ სამზოგა-დო კრებაში, მთელ ხალხის წინაშე.

— არა, პეტრე თევდორეიჩ, ამაში მე აქ სათმისო არასა ვხედავ რა, მარტო იმის მეტს, რომ თქვენ ყოველის ღონის-ძიებით ცდილობთ ჩემს წყენას და დაჩაგვრასა.

— აი, მაგას კი ვერ იტყვით, არც თუ შეგიძლიანთ სთქვათ, უსაყვარლესო ჩემო მეგობარო და კეთილის-მყოფელო, რომ მე ვცდილობდე თქვენ წყენას და დაჩაგვრას. აბა თქვენ თითონ მოიგონეთ: მე სულობით არც ერთი ხმა და კრინტიც არ ამო-მიღია, მაშინ, როცა თქვენ საჩეხი და საზღუ-რავი კანონით დაწესებულ ზომას და გვარად მთელ ერთ ადლით ზეით მაღლა აიტანეთ. არამედ მე თავი ისე დავიჭირე და დავანახე,

თითქო სრულიად კითომც არაფერს არა ვხედავდი. მე მერწმუნე, უსაყვარლესო მეგობარო, ეხლა კიდეც სრულებით, სწორე მოგახსენო, ისე რომ ვსთქვათ, ეგე იგი.... მაგრამ ჩემი ვალია, ერთის სიტყვით, ჩემი მოვალეობა მოითხოვს, რომ სისუფთაობაზე ზედამხედველობა მქონდეს. თქვენ თითონვე იფიქრეთ და წარმოიდგინეთ, როცა უეცრად პირველ დიდ-ქუჩაში....

— ეჰ! მერე თქვენი პირველი დიდი ქუჩაც. სწორედ მოგახსენოთ, კაი რამ არი; ღმერთმა შეინახოს! ვისაც კი იტყვით, და რაც კი უნდათ, ყველა გაქვსთ და იქა ჭყრიან.

— ნება მიბოძეთ, მე თქვენ მოგახსენოთ, ივან ივანიჩ, რომ მაგითი თქვენ თითონ მე შეურაცხმყავით და მჩაგრავთ! მართალია, მე ზოგჯერ მოხდება ხოლმე, მაგრამ უმეტესად მარტო ღობის ძირში, სარაის ქვეშ, ხაროში, ან ამბარში; მაგრამ, რომ პირველ

ლოდ ქუჩაში, მეეტლენის მოედანზე მაგე დორი, ეს ისეთი საქმეა...

— მერე საიდუმლო რა არი, პეტრე ფედორო-ვიჩ! დორიც ხომ დღეის გაჩენილია!

— დაგეთანხმებით. ეს მთელმა ქვეყანამ იცის, რომ თქვენ მეცნიერი, სწავლული კაცი ხართ, იცით სწავლანი და ძლიერნი ხართ და-ნარჩენ სხვა და სხვა საგნებისა. მართალია, მე არავითარი სწავლა არ მიმიღია, ჩქარის ხელით, გაბმით წერის და კითხვის სწავლა მე დავიწყე მაშინ, როდესაც ოცდა ათის წლისა ვიყავი. მე ხომ, როგორც თქვენ მოგეხსენე-ბათ, სალდათებთაგანი ვარ და შემდეგ ჩინს ვეღირსე.

— ჰმ! ივან ივანიჩმა ხმა არც ამოიღო.

— დიახ, დორომედონიჩმა ისევ დაიწყო, ოცდაათ წელსა მე კომუროთვებოდი და ვირიც-ხებოდი 42 ეგერის პოლკში, მეოთხე რო-ტაში პრაპორშჩიკად. როტის კომანდირად ჩვენ-ში იყო, თუ ანებებით, რომ იცოდეთ, კაპიტა-ნი იერმოლოვი. ამ დროს დორომედონიჩმა თავის

თათუჩი კოლოფში ჩაყო, რომელიც ივან ივანიჩს ხუიფ ახალი ხელში ეჭირა და ბურნუქს თითებით ურევდა.

ივან ივანიჩმა უპასუხა: — ჰო.

— მაგრამ ჩემი მოვალეობა, დოროდნიჩის ისევ დაიწყო, არის, რათა მე მთავრობას ვემორჩილებოდე და იმის ბრძანებას ვასრულებდე. იცით თქვენ, ივან ივანიჩ, თუ არა, რომ სასამართლოდამ სახელმწიფო ქაღალდის მომტაცებელი, სწორედ ისე, როგორცათაც სხვა და სხვა დანაშაულობისათვის, სისხლის სამართალში მიეცემა და დაისჯება?

— ეგ ისე ვიცი, რომ, თუ გინდათ, თქვენც გასწავლი. აგრე სწერია და ეგ ადამიანებზეა ნათქვამი, მაგალითად, თუ, ვინიცობაა, ის ქაღალდი თქვენ მოგეპარათ; მაგრამ ღორი პირუტყვია, ღვთის გაჩენილი.

— ეგ სულ აგრეა. მაგრამ კანონი ბრძანებს: «დამნაშავე მოტაცებაში....» მე თქვენა გთხოვთ, რომ ყური კარგა, გულმოდგინებით ადევნოთ: დამნაშავე აქ არ

არი: არც გვარი, ნათესაობა, ან შთამომავლო-
ბა, არც სქესი: მამრობითი ან მდედრობითი
და არც თუ ვინაობა ანუ წოდება; მაშასადამე
შეიძლება, რომ პირუტყვიც დანაშავე იყოს.
ნება თქვენია, მაგრამ პირუტყვი დასჯის
წინად, განაჩენის გამოსაცხადებლად, პოლი-
ციაში უნდა იყოს წარდგენილი, ვითარცა
წესის გამტეხი და კანონის დამარღვეველი.

— არა, პეტრე ფეოდორიჩ, ივან ივა-
ნიჩმა წინააღმდეგი პასუხი მიუგო, ეგ არ
შეიძლება, არც გაგივათ.

— როგორც თქვენ გნებოსთ, მე მხოლოდ
თანახმად მთავრობის ბრძანებასა უნდა მო-
ვიქცე.

— თქვენ მე რატო აგრე მაშინებთ? უთუ-
ოდ, ჩემი ლორის წასაყვანად, გინდათ ის
ტალ ხელა სალდათი გამოგზავნოთ? მე ჩემ
კარის მოახლე ბევრ დედაკაცს უბძანებ, რომ
ის ეზოდამ სულ კეტით გააგდოს; იმ ცალ-
ხელა სალდათს მეორე ხელსაც მოამტვრევენ.

— მე თქვენ ჩხუბს და დავას ვერ გაგი-

ზედავთ. რაკი აგრეა, ამ შემთხვევაში, თუ თქვენ იმ ღორის წარმოდგენა პოლიციაში არ გინდათ, მაშ მოიხმარეთ და ისე ისარგებლეთ, როგორც თქვენ გენებოსთ. თუ გნებავსთ, საშობოთ დააკვლევინეთ და ღორათ გააჭკეთებინეთ, ან არა და ისე შეჭამეთ. მე თქვენ მარტო ამასა გთხოვთ, თუ კინიცობაა მეხვები გააკეთებინოთ, გამომიგზავნეთ მე ერთი რწყილი იმ მეხვებისა, რომელსაც ლაპკა ისე საგანგებოდ და ოსტატურად, ღორის სისხლისას და ქონისას რომ აკეთებს. ჩემ აღრაფენა ტრიფონოვნას მალიან უყვარს მაგისთანები.

— მეხვები ინებეთ, ინებეთ, ერთი წყვილი გამოგიგზავნით.

— დიდათ მადლობელს დაგრჩებით თქვენ, საყვარელო ჩემო მეგობარო და კეთილისმყოფელო. ეხლა მე თქვენ ნება მიბოძეთ კიდევ ერთი სიტყვა მოგახსენოთ. მსაჯულმა და ყველა ჩვენ საერთო ნაცნობებმა მე მომანდეს, ესრედ ვსთქვათ, რომ თქვენ შეგარი-

გოთ თქვენ მეგობართან, ივან ნიკიფორიჩთან.

— როგორ! იმ უზდელთან! რომ მე იმ თავ-ხედ ბრიყვს შევურიგდე? არასოდეს! არასდროს არ შეიძლება, არ შეიძლება, არ იქნება! ივან ივანიჩი თავ-გამოდებულ მდგომარეობაში იყო და გაბედვით ამბობდა.

— თქვენი ნებაა, როგორც გენებოსთ, დორონდნიჩმა უპასუხა და თან თავის ცხვირის ორთავ ნესტოებს ბურნუთი უთავაზა; მე ვერ გაგიბედავთ, რომ თქვენ გირჩიოთ ან დაგარიგოთ; მაგრამ ნება მიბოძეთ ეს მაინც მოგახსენოთ: აი, თქვენ ეხლა ნაჩხუბნი ხართ, და რაკი შერიგდებით....

გარნა ივან ივანიჩმა მწყრების ნადირობაზე და წერაზედ დაიწყო ლაპარაკი, როგორც მუდამ ჩვეულობათა ჰქონდა, როცა სიტყვის ბანზე აგდება ან უსიამოვნო ლაპარაკის შეწყვეტა უნდოდა ხოლმე.

ასე, ამ ნაირად დორონდნიჩმა ვერა გაარიგა და შინ დაბრუნდა

## თავი VI

რომელიდამაც მკითხველი კარგა ადვილად შეიტყობს სუყოველს, რაც შიგ არი.

თუმც სამსჯავროში ბევრი ეცადეს ამ საქმის ჩამალვა და ჩაიფარცხვა, მაგრამ მეორე დღესვე მთელმა მირგოროდმა შეიტყო ეს ამბავი, რომ ივან ივანიჩის ღორმა ივან ნიკიფორიჩის არზა მოიტაცაო. თვით ღოროდნიჩს, გულ-მავიწყობისაგამო, ყველაზე პირველად უცებ წამოსცდა ამ ამბის გამოაშკარება. როცა ივან ნიკიფორიჩს ეს საქმე უამბეს, იმან არაფერი არა სთქვა რა; მარტო ეს იკითხა: «მურა ღორი ხომ არ იყოო?»

მაგრამ აღაფია ფედოსეევნა, რომელიც იმ დროს იქ იყო, ივან ნიკიფორიჩს თავისებურად კიდევ ჩუჩხუნი დაუწყო, ჩაშჩიჩინა: «რას ამბობ, ივან ნიკიფორიჩ? რას სჩადი? შენ ყველანი მასხარად აგიგდებენო, როგორც ტუტუც-ბრიყვსაო, თუ შენ იმას ებ შეარჩინე და დაუთმე! რაში შეგეტყობა მაშინ აზნაურშვილობაო? რიღას აზნაური იქნე-

ბით? შენ მაშინ დედაკაცზე უარესი იქნებით, აი იმ ბებერ დედაკაცზედაო, რომელსაც შენი საყვარელი შაქრის პურები დააქვს და ჰყიდისო.» იმდენი ჩასძახა, რომ ბოლოს მოსდრიკა იმ მოუსვენარმა! მომებნა სადღაც ერთი შუახნის კაცი, შავ-ტრუხა, მთელი პირის სახით დალაქავებული, ნიდაყვ დაკერებულ მუქი ლურჯ-ფერ სერთუკ-კაბიანი, სრულიად ნამდვილი სასამართლოს სამწერლო მელნის გოზაური. ეს კაცი ჩექმებზე კუპრს ისვამდა, ყურს უკან ჩარჭობილი ჰქონდა სამი კალამი და საწერელის ნაცვლად, კაბის ძირზედ ზონრით ჩამოკიდებულ პატარა შუშით მელანს ატარებდა. ცხრა ხაჭაპურს ერთჯერზედ შეჭამდა და მათეს კი ჯიბისაკენ იკრავდა ხოლმე და ერთ დერბიან თაბახ ქაღალდზედ იმოდენა სხვა-და-სხვა ნაირ ცილისწამებას დასტევდა ხოლმე, რომ არც ერთი იმის მკითხველს ვერ შეეძლო ერთიანად წაეკითხა თავით ბოლომდისინ ისე, რომ ადგილ-ადგილ ხველა და ცხვირის დაცემინე-

ბა არ დამართოდა ხოლმე. ქ'' ცოტაოდე კაცის მსგავსი სულდგმული დაჯდა, ჩააცივდა წერას, თვალები ჩაიწყალა, როგორც იყო დასწერა, დაჯღაბა და ბოლოს იმდენი ქმნა, რომ ესე ჲი არზა გააკეთა:

«მირღოროდის მაზრის სამსჯავროსა შინა; აზნაურ-შვილისა ივანე ნიკიფორის მისა, დოვგოჩხუნისა მიერ.

რომელ იმა არზისაგამო ჩემისა, რაჲცა ჩემმიერ აზნაურ ივანე ნიკიფორის მის ჲოვ-გოჩხუნისგნით მას-ზედა უნდა ყოფილ იყო ერთბამათ აზნაურ ივან ივანის მის პე-რერეპენკოს თანა-შორის; და რაჲსა ზედაცთვით მირღოროდის სამაზრო სამსჯავრომა პი-რის შენახვა, განებივრება, წაქეზება და თავის მინებება გამოაცხადა. და თვით იგი გლის-პირად ურცხვ-შეუპოვარი თავის თავად მძლავ-რობაჲ მყრა ღორისა მის, იქმნა რა საიდუ-მლოდ შენახული და აწვე გარეშე ადამიანთა მიერ, სმენისადმი ჩემისა იქმნა მოსმენილი. მით რომელ დაპრკოლება იგი და წაქეზება,

ვითარცა ბოროტ-განწირასვით, წინაშე სამარ-
თლისა განსამართლებისა შეხების და მიეცე-
მების; ვინაიდგან ღორი იგი არს პირუტყვი
უგუნური, და მათ უმეტესად აქვნს მიდრეკილე-
ბანი და ნიჭიერება ქადილის წარტტებისა-
დმი. რაისაგანაც ნათლად ცხადარს, რომ ხში-
რად ზყვით მოხსენებული ღორი იგი არს
ვითარცამე სხვა რიგათ არ იოქმედებდა მას,
თუ არ ყოფილიყო იგი დარიგებული და მი-
გზავნილი მას ზედა თვით წინა-აღმდეგისა,
მტერისა ჩემისა, რომელიცა აზნაურ შვილად
იწოდების თავსა თვისისა, ივანე ივანისმისა პე-
რეპენკოს მიერ, აწვე ერთ გზით კიდევაც
გამტყუნებულისაგან ავაზაკობასა, მპარის-შე-
მთხვევასა, კაცის-მკვლელობასა და ეკლესიის
მკრეხელობათა შინა. გარნა ამა მიროდროდის
სამსჯავრომ ან განთვისებულისა ჩვეულობისა
მებრ თვისისა პირმოთმეობითა, საიდუმლოდ
გვამისა თვისისა თან მობა განუცხადა მას, ვი-
თარის არს თანხმობითა, ღორი იგი, არა ვი-
თარისამე სახითა ანუ ღონის მიებისა მიშვე-

ბული არ იქმნებოდის ქაღალდისა მის წარსა-
ტაცებლად, რამეთუ მირღოროდის სამაზრო
სამსჯავროსა შინა საკმაოდ თავისაყარი მოსა-
მსახურენი იმყოფებიან: ამისათვისცა აწვე სა-
კმაოდ არს დასახელება ერთისა სალდათ-ყარა-
ულისა, მარადჟამს მყოფისა და დაშთენილისა
მოჩივრების-წინა ოთახსა შინა, რომელსაც
თუმც აქუნს ერთი განბრუდებული თვალი, (ე.
ი. არს ცალ-თვალი) და რაოდენადმდე დაშაე-
ბული ხელი, გარნა, რათამცა განეგდო დორი
იგი და გაჰერტყა მას მისათვის კეტი, აქუნს
მას ფრიად თანასწორ შესაფერი ნაჭაერებანი
და მიდრეკილება. რაჲსაგანაც ჭეშმარიტად,
ზედმიწევნით ჰსჩანს წაქცევებაჲ ამა მირღო-
როდისსამსჯავროისა და უსათუოდ აუცილე-
ბელი განყოფა და განწილვა ურიულად მის
მიერ მოგებულისა თეთრისა, ურთიერთ შესა-
ბამ მოთავსებითა. იგივეცა ამისა ზევით
მოხსენებული ივანხავი და ანნაური ივანე ივა-
ნისძე, პერერეპენკოა, სამაგალითოთ, საქვეყნოდ
გაბიაბრუებული იმყოფებოდა, რაისათვისაცა

სამაზრო სამსჯავროისა წინაშე განცხადებით წარუდგენ მე, აზნაური, ივანე ნიკიფორისძე დოვგოჩხუნი, შესაბამ ყოვლისა უწყებისა, თუ იმა მურა ღორისაგან, ანუ მასთანა თანხმათ, პირობის შემკვრელ და დამრიგებელ-ღორისა მის, აზნაურ პერერეპენკოსაგან, აღნიშნული არსად არ იქნების უკანვე გამორთმეული და მასხელ სიმართლით და ჭეშმარიტებით განაჩენი ჩემის მხრივ სასარგებლოდ არ შესდგების, მას ჟამსა შინა მე, ივანე ნიკიფორისძე დოვგოჩხუნი, ამ გვარ სამსჯავროისა მის კანონის წინა-აღმდეგ წაქეზებასა-ზედა, მალ-დატანებულ ვიქმნები, რათა მივართო და წარუდგინო საჩივარი პალატასა-შინა, გადატანითა საქმისა მის ჯეროვანისა წესითა.

მირღოროდისა მაზრისა აზნაური ივანე ნიკიფორისძე დოვგოჩხუნი.

ამ არზამ იმოქმედა და გასჭრა. მსაჯული მშიშარა კაცი იყო, როგორც თითქმის ყოველთვის კეთილ ადამიანებს შეეფერებათ. ამ გაჭირებაში მსაჯულმა მდივან-

სეკრეტარს მიჰმართა რჩევისთვის. მაგრამ მდივან-სეკრეტარმა ცხვირ წინ მმიმელ და ხანგრძლივ დაიღმუა: ჰმ! და ისეთი გულ-გრილი, ეშმაკურად ორ-ჯოთვი სახის შეხედულობა მიიღო, როგორსათაც მარტო ეშმაკი მიიღებს ხოლმე, როცა ფეხ-ქვეშ ჩავარდნილს თავისს მსხვერპლს დაინახავს. ეს ერთი ღონის-მიება და იყო დარჩენილი, რომ ის ორი მეგობრები მოერიგებინათ. მაგრამ, აბა ამ ღონის-მიებას როგორ შესდგომოდნენ, როდესაც ყოველ მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა? მაინც კიდევ გაბედეს გამოსაცდელად; მაგრამ ივან ივანიჩმა მიუფერებლივ, პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ არა სურს მორიგება და თითქმის მალიანაც გაჯავრდა. ივან ნიკიფორიჩმა კი, პასუხის მაგიერად, ზურგი შეუქცია და ხმა-კრინტიც არ ამოიღო. ამის შემდეგ ამ საქმის დავამ იმ გასაოცარ სიჩქარით დაიწყო წარმოება, რომლითაც მარად განთქმულია სამსჯავრო-სასამართლოები. იმ არზაზე იმის მიდ ების რიცხვი დაინიშნეს, სიაში ჩასწერეს,

ნუმერი დაუსვეს, ჩააკერეს, ხელი მოაწერეს, ეს სულ აასრულეს ერთ და იგივე დღეში და საქმე განჯინაში ჩასდეს. საცა ის საქმე ეგდო, ეგდო და ეგდო, წელიწადი, მეორე, მესამე. ამ ხანში მრავალნი დასანიშნი ქალები გათხოვდნენ; ქ. მირგოროდში ახალი ქუჩა გაიყვანეს და კიდეც გასწნეს; მსაჯულს ერთი უკანა კბილი ჩამოუვარდა და ორი წინა კბილიც ჩასცვინდა; ივან ივანიჩის ეზოში წინანდელზედ უფრო მომატებული პატარა გოგო ბიჭები დარბოდნენ, (საიდგან გაჩნდნენ, ეს მარტო უფალმა ღმერთმან უწყის!); ივან ნიკიფორიჩმა ივან ივანიჩის გამოსაჯავრებლად, ჯიბრით ახალი საბატე ააშენა, თუმცა ადრინდელზე ცოტაოდე მოშორებით, და სრულიად აჰქოლა თავის სახლკარი ივ ნ ივანიჩის მხრივ ისე, რომ ეს მართებულნი ადამიანნი, თითქმის ვერასოდეს ერთი ერთმანეთის სახეს ვერ დაინახავდნენ. ამათი სადაო საქმე კი მაინც კიდევ, თვით უკეთესის წესით, რიგიანად იდ-

გა განჯინაში, რომელსაც მენისაგან და ლაქებით მარმარილოს მსგავსობა მიეღო.

ამ დროს ქ. მირღოროდში საერთოდ ჩინებული და ფრიად საუცხოო შემთხვევა ამბავი მოხდა. ღოროდნიჩმა დიდათ-დიდი წვეულობა გამართა. აბა, ვინ მომცა მე სამხატრო ბეწვის კალმები და წამლები, რომ გამოგისახოთ სხვა და სხვა ფერი განსხვავება ამ შეკრებულ საზოგადოებისა და ეს მშვენიერი წვეულობა და ლხინი? საათი აიღეთ, გააღეთ და გაშინჯეთ, შიგ რა ამბავია! რა საშინელი არეულობაა; ცუდ-უბრალო! მართალია თუ არა? ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თითმის ამდენივე, თუ არ მეტი, ეტლების თვლები იდგა ღოროდნიჩის შუაგულ ეზოში. იქ რა ნაირი და სხვა და სხვა გვარი ეტლები და პოდოსკები არ იყო? უკან განიერი და წინ კი ვიწრო; მეორე უკან ვიწრო და წინ კი განიერი. ერთი ეტლიც იყო და თან პიდოსკაც იყო; მეორე არც ეტლი იყო, არც თუ პოდოსკა; ზოგი ერთი იყო თივის ძირის მსგავსი, ან სქელ-

სქელ ვაჭრის ცოლსა ჰგავდა; მეორე გაგლეჯ-გაწეწილ ურიას ჰგავდა, ან ადამიანის ძვლე-ბის ჩონჩხს, როცა ჯერ სრულიად ტყავი არ ასძვრენია. ზოგიერთისთვის, გვერდიდამ, რომ შეგეხედათ, სწორედ თავიან ჩიბუხსა ჰგავდა. ზოგი კიდევ იმისთანებიც იყო, რომ არა-ფერს ემგზავსებოდნენ და წარმოადგენდნენ რაღაც ნაირ არსებას გაჩენილს, სრულიად უმსგავსო მახინჯობასა და ძალიან ძნელს წარ-მოსადგენათ. ამ თვლების და გორგოლაჭე-ბის არეულობაში მოჩანდა მაღლა ამართული რაღაცა ეკიპაჟის მსგავსი, შიგ ოთახის ფან-ჯრით და ჯვარედინათ შეკრულ წინ დასაჯ-დომით. ცხენების გამრეკნი, ნაცრის-ფერ ყაზახურ კაბებში, ფარაჯებში, ბატკნის ტყა-ვის და სხვა და სხვა ჯურა ქუდებში, ჩიბუხ ამოჩრილები ეზოში გამოშვებულ ცხენებს დაა-ტარებდნენ. რა ნაირი დიდის დიდი წვეულო-ბა გამართა ღოროლნიჩმა! მომითმინეთ, მე ყველას სათითაოდ მოგითვლით, ვინც კი იქ იყვნენ: ტარას ტარასიჩი, ევილ იაკინფოვიჩი,

იევთიხიი იევთიხიევიჩი, ივან ივანოვიჩი — ეს ჩვენი ივან ივანიჩი არ არი, სხვა არი — სავვა ღავრილიჩი, ჩვენი ივან ივანიჩი, ელექვთრე ელევფერიჩი, მაკარ ნაზარიჩი, თომა გრიგორი-ჩი.. ამის იქით მოთვლა ვეღარ შემიძლიან, ხელი დამეღალა წერით. და რამდენი ქალები იყვნენ! შავგრიმანნი და მოთეთრო სახისანი, მაღალ ტანისანი, დაბალ ტანისანი, ივან ნიკიფო-რიჩსავით სქელ-სქელნი და ისეთა გამხდრე-ბი და ტან წვრილები, რომ თითქო ყოვე-ლი იმათგანი დოროდნიჩის ხმლის ქარქაშ-ში ჩაეტეოდა. რა სხვა და სხვა ნაირი ტა-ნისამოსები ეცოთ! წითლები, ყვითლები, მი-ხაკის ფერი, ყავის ფერი, მწვანე, ლურჯი, ახლები, პირ გადმობრუნებულები, ხელახლად მეორეთ გამოჭრილები, რა ნაირ ნაირი თავ-ზე მოსახვევები, ხელცახოცები, სარტყლები, ბაშთები და სხვა და სხვა! მშვიდობით, ჩემო საწყალო თვალებო! ამ წარმოდგენის შემდეგ თქვენ არაფრად აღარ ვარგიხართ. და რა ნაი-რი დიდი და გძელი სტოლი იყო გაჭიმუ-

ლი! ყველამ როგორ ლაპარაკი დაიწყო! რა ხმაურობა შეუდგათ! წისქვილი მთელი თავის ქვების და როდინის რახა-რუხით ამას სად შეედრებოდა! სწორედ ნამდვილად არ შემიძლიან მოგახსენოთ, რაზედ ლაპარაკობდნენ, მაგრამ მგონია და ასე უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრ სასიამოვნო და სასარგებლო საგნებზედ ჰქონდათ მასლაათი, მაგალითად: დარზე, ძაღლებზე, ხორბალზე, პურის მოსავალზე, თავ სახურავებზე, ჩაცმაზე, ცხენებზედ. ბოლოს ივან ივანიჩმა, — იმ ჩვენ ივან ივანიჩმა კი არა, მეორემ, რომელიც ცალის თვალით ბრუციანი იყო, — სთქვა: «მე ძალიან მიკვირს, რომ მარჯვენა ჩემი თვალი, ბრუციანიო (ამას ივან ივანიჩი მუდამ თავისზე სასაცილოთ იტყოდა ხოლმე) არა ხედავს ივან ნიკიფორიჩსა, უფ. დოვგოჩხუნსა.

— არ ინდომა, რომ მოსულიყო, დოროდნიჩმა უპასუხა.

— როგორ თუ არ ინდომა?

— აი ეს, მადლობა ღმერთს, ორი წელი-

წადიც არის, რაც იმათ ერთმანერთში ჩხუბი მოუყვიდათ, ქე იგი ივან ივანიჩს ივან ნიკიფორიჩთან, და საცა ერთი მათგანი იქნება ხოლმე, იქ მეორე, რაც უნდა იყოს, არასოდეს არ წავა!

— რას ბრძანებთ! განა აგრეა საქმე? ამ დროს ბრუციან ივან ივანიჩმა თვალები ჭერში აწყარა და ჯვარედინათ ხელები გულზე დაიწყო.

— მაშ ეხლა რადა გვეშველება! თუ კი წრფელ თვალიანი ადამიანები სიტკბოებით და კეთილად ამ ქვეყანაში არა სცხოვრობენ, მაშ მე ჩემის ბრუციანის თვალით კეთილად და რიგიანად სადღა უნდა ვიცოცხლო! ამ სიტყვებზედ სულ ყველას გულიანი სიცილი წასქდათ. ბრუციანი ივან ივანიჩი ყველას იმიტომ უყვარდათ, რომ ის ამ გვარ სახუმარ სასაცილო სიტყვებს იტყოდა ხოლმე. თვით ის მაღალ-მაღალი და გამხდარ-გამხდარი კაცი, თივთიკის სერთუკ-კაბაში, ცხვირზედ რომ მალამო ეკრა, და იმ დრომდის თავისთვის

ცალკე კუთხეში იჯდა და არც ერთხელ თა-
ვის სახის მდგომარეობა და ნირიც არ შე-
ცვალა, მაშინაც კი, როცა იმას ცხვირში ბუზი
შეუძვრა,—თვით ეს კაჟ-ბატონი თავის ად-
გილიდამ დაიძრა და დაგროვებულ ხალხისაკენ,
რომელიც ივან ივანიჩს თავ შემოხვეოდა, ახ-
ლო მიიწია და დადგა. «გამიგონეთ!» ბრუ-
ციანმა ივან ივანიჩმა სთქვა, როცა დაინახა,
რომ დიდი ძალი ხალხი შემოეხვია იმას,
«მომისმინეთ: ამის ნაცვლად, რომ თქვენ ეხ-
ლა ჩემ ბრუციან თვალს შემომჭყეტით, მოდით,
ამის მაგიერად, ჩვენი ორი მეგობრები მო-
ვარიგოთ! ივან ივანიჩი ეხლა ბებერ დედა-
კაცებს და გასათხოვარ ქალებს ელაპარაკება...
ჩუმათ გავგზავნოთ ვინმე ივან ნიკიფორიჩ-
თან და ისინი ერთმანერთ შევაჯახოთ და
ერთად შევყაროთ.

ყველამ ერთის ხმით ივან ივანიჩის რჩევა
მიიღეს და გადასწყვიტეს, რომ ივარ ნიკი-
ფორიჩის სახლში ვინმე მიგზავნონ და უთხ-
რან, დოროდნიჩის სახლში ის სადილად მო-

იპატიჟონ და როგორც უნდა იყოს, ყოვლის დონის-ძიებით მოიყვანონ. მაგრამ საქმე ამაში იყო: ვის მიანდონ ამისთანა მძიმე საქმის აღსრულება? ამის გადაწყვეტაზედ ყველანი უღონობაში ჩავარდნენ და დიდ ფიქრს მიეცნენ. დიდ ხან ბაასობდნენ ამაზე, თუ ვინ უფრო ნიჭიერი და გამოცდილია ამ გვარ ოსტატურ საქმეშიო? ბოლოს საერთოდ ყველამ ერთის ხმით გადასწყვიტეს, ამოირჩიეს და მიანდეს ყველაფერი ამ საქმის აღსრულებისთვის ანტონ პროკოფიჩს დოლოპუზიას.

მაგრამ ჯერ საჭიროა ცოტაოდე მაინც გავაცნოთ მკითხველს ეს გასაოცარი, ღირს შესანიშნავი პირი. ანტონ პროკოფიჩი სრულიად კეთილის მოქმედი, მალიან მ ა დ ლ ი ა ნ ი კაცი იყო, მთელ ამ სიტყვის ყოველს ძალითა და მნიშვნელობითა. თუ მირღოროდის პატივცემულთაგანი ვინმე ადამიანი ხელცახოცს, ან ქვეშეთა ამხანაგს მისცემს და აჩუქებს იმას, ის მადლობას მოახსენებს

ხოლმე; თუ ვინმე იმას ცხვირში ნელა წკიპურტსა ჰსცემს,—ის მაშინათვე მაინც კიდევ მადლობას მოახსენებს ხოლმე; თუ იმას ჰკითხავდნენ: «ანტონ პროკოფიჩ, ეგ რისაგან არი, რომ თქვენი სერთუკ-კაბა მიხაკის ფერია და სახლები კი ცის-ფერია?» ის ყოველთვის მუდამ ასე უპასუხებდა ხოლმე: «თქვენ რომ ესეც კი არა გაქვსთ! მოიცადეთ გაცვდეს, სულ ერთნაირ ფერისა გახდება და მართლაცდაც, ცისფერი მაუდი მზისაგან მიხაკის ფრად იქცა, და ეხლა სრულიად სერთუკ-კაბის ფერს ემსგავსება და ედრება. მაგრამ გასაოცარი ეს არი, რომ ანტონ პროკოფიჩს ესეთი ჩვეულობა სჭირს: ზაფხულში მაუდის ტანისამოსს იცვამს და ატარებს ხოლმე და ზამთარში—ნაშურისასა. ანტონ პროკოფიჩს თავის საკუთარი სახლი არა აქვს. ადრე ამას, ქალაქის ბოლოს ჰქონდა სახლი, მაგრამ გაჰყიდა და იმ ფულებით იყიდა სამი ქურანი ცხენი და პატარა პოდოსკა, რომლითაც მეპატრონეებთან სტუმრათ დაიარებოდა

ხოლმე. მაგრამ რადგანაც ცხენების შენახვას ბევრი ზრუნვა უნდოდა, თითქმის სახათაბა-ლოც იყო და ამასთანავე ქერის სასყიდლად ფულები დასჭირდა, ამისა გამო ანტონ პროკოფიჩმა ის სამი ცხენი ვიღასაც ჯიანურზე და მოახლე გოგოზე გაუცვალა და სართად ოცდა-ხუთი მინალთუნიანი ბილეთი ფულად გამოართვა. შემდეგ ანტონ პროკოფიჩმა ჯიანური გაჰყიდა, და მოახლე გოგო კი ვიღასაც ოქრომკედლით ნაკერ კემუხტის ქისაზე გაუცვალა და ესეთი ქისა, რომლისთანაც არავის არ ექნება, დღესაც ამასა აქვს. ამ სიამოვნების გამო, ეს სოფლებში მოსიარულე აღარ არი, არც შეუძლიან, რადგანაც ცხენები აღარა ჰყავს და მალდატანებულია რათა ქ. მირგოროდში დარჩენილიყო და დასამინებლად ბინა სხვათა კარზედა აქვს, მეტადრე უფრო იმ აზნაურთ-შვილების ოჯახებში, სადაც დროს გასატარებლად და გასართობლად ამას ცხვირში წკიპარტებსა სცემენ ხოლმე. ანტონ პროკოფიჩი მალიან მალიანი პურის მჭამელია და

განმლომა უყვარს, ურიგოთაც არ იცის ქა-ღალდის თამაშობა ასონასისა და სხ. მორ-ჩილება და დამონაება ამის უპიველესი მცნებაა და ამიტომაც ქუდი დაიხურა, ჯოხი აიღო და დაუყოვნებლად, იმწამსვე საქმეს შეუდგა—გაემგზავრა.

როცა გზაზე მიდიოდა, ჩაფიქრდა და ესე-თი ჭსჯა დაიწყო: მე როგორ უნდა შევძრა ივან ნიკიფორიჩი თავის სახლიდამა და რით უნდა გამოვიტყუოვო ღოროდნიჩის სახ-ლისაკენაო? ცოტაოდე მძაფერი და გულ-ფიც-ხი ხასიათი ამა, მაინც, ღირსეულ კაცისა, ა-მის განზახვის ასრულებას თითქმის იმედს უწ-უკვეტდა. მართლადაც, აბა იქ მისვლას როგორ გაბედავდა, მაშინ, როცა ჯერ ქვეშსაგებიდამაც კი ძლივს და რის ყოფით დგებოდა! მაგრამ ვსთქვათ, რომ ის როგორც იყოს წამოდგა; აბა, იქ როგორ მივა, სადაც თავის მოურიგე-ბელი და დაუძინარი მტერია, მეტადრე, უეჭ-ველია, რომ ივან ნიკიფორიჩმა ეს თითონვე კარგად უწყის. რადგანაც ანტონ პროკოფი-

ჩი ღრმათ ფიქრობდა და ჰსჯიდა ამ საქმესა, იმდენად უფრო დაბრკოლებას ხედავდა. ჰაერი შეკრული იყო, პაპანაქება დღე იყო, მზე მალიან იგბინებოდა; ანტონ პროკოფიჩს ხვითქივით ოფლი ჩამოსდიოდა. თუმცა კი ანტონ პროკოფიჩს ცხვირში წკიპარტებსა სცემდნენ ხოლმე, მაგრამ ბევრჯელ ბევრ საქმეში ძალიან ქვეშ-ქვეშა და ოსტატი კაცი იყო (ამას მარტო გაცვლაში ბედი არა ჰქონდა). ამან ძალიან კარგად იცოდა, როცა საჭირო იყო საწყალ სულელსავით თავის მოკატუნება და ზოგჯერ ისეთა ძნელ გარემოებიდამ და შემთხვევიდამ გამოძვრებოდა და თავს გაიტანდა, საცა ჭკვიანსაც ზოგჯერ გაუჭირდება ხოლმე.

იმ დროს, როცა იმის მახვილ გამჭრიახე და გამომჩხრეკელი ჭკუა გონება მარტო იმითი იყო გართული, თუ რა ღონის მიებას მიეღო და როგორ მოეხერხებინა, რომ ივან ნიკიფოროვიჩი დაერწმუნა და დაეთანახმებინა, და როცა ვაჟ-კაცურად მოემზადა და გაბედ-

ვით წინ მიდიოდა, მაშინ ერთ მოულოდი-
ნებელ უეცარ შემთხვევამ ეს ცოტაოდენ არია
და შეაძრწუნა. ვგონებ ურიგო არ იყოს, ამ-
ასთანავე მკითხველისადმი მოხსენება, რომ
ანტონ პროკოფიჩს, სხვათა შორის, ჰქონდა
ერთი ისეთ ნაირი გასაოცარის თვისების შა-
ლვარი, როცა კი იმას ჩაიცვამდა და იმით
დაივლიდა ხოლმე, მაშინათვე მაღლები მივარ-
დებოდნენ და მუდამ კანჭებზედ დაუწყობდნენ
ხოლმე კბენას. საუბედუროდ იმ დღეს სწო-
რედ ეს შალვარი ეცვა, და ამიტომაც, რაკი ეს
ფიქრებში შევიდა, ისიყო და უეცრად ყო-
ველა მხრივ ერთი ისეთი საშინელი მაღლე-
ბის ყეფა ასტყდა, რომ ამას თავზარი დაეცა
და ლამის დაყრუვდა. შემკრთალმა ანტონ
პროკოფიჩმა ისეთა საზარელი ღრიალი შეჰ-
ქნა (ამას ყვირილ-ღრიალში არავინ ჰსჯობ-
და და არც ცალი ჰყავდა), რომ არათუ ივან
ნიკიფორიჩის ბებერი მოახლე დედაკაცი, ჩვე-
ნი ნაცნობი, და განუზომელ სერთუკ-კაბაში
მცხოვრებელი, თითქმის ივან ივანიჩის ეზო-

დამაც პატარა გოგო-ბიჭები გულ გახეთქილები გამოსცვივდნენ და იმას თავს დაესხნენ, და თუმცა ძაღლებმა მარტო ცალ ფეხზედ უკბინეს, მაგრამ მაინც სიმხნევე დაჰკლდა და ცოტა სხვანაირ სიმხდალით და შიშით ავიდა დერეფნის კიბეზედ.

## თავი მეშვიდე და უკანასკნელი.

— ოჰ! გაუმარჯოს! თქვენ მაღლები რაზე გამიცხარეთ, და გამიჯავრეთ? ივან ნიკიფოროვიჩმა შესძახა, რაკი ანტონ პროკოფიჩი დაინახა; რადგანაც ყველანი ანტონ პროკოფიჩს თუ არ ხუმრობით, ისე არ ელაპარაკებოდნენ ხოლმე.

— აი ამოწყვეტა მაგათი! მერე მაგათ ხელი ვინ ახლო? ვინ აბრაზებდა? ანტონ პროკოფიჩმა უპასუხა.

— თქვენ სტყუით.

— ღმერთსა ვფიცავ, არა! პეტრე ფედოროვიჩმა გთხოვათ სადილათ მობძანდითო.

— ჰმ!

— ღმერთსა ვფიცავ მართლა! ისე ვედრებით, გულიანად და ზედ-გადაკვდომით შემოგეხვეწა, რომ ენა ვერ მოსთქვამს! ასე სთქვა: ეს რა უბედურებაა, ივან ნიკიფორიჩი ჩემგნით თავს ისე შორს იჭერს და ისე მერიდებაო, თითქო მე იმისთვის რამ დამეშავებინოსო, ან იმისი მტერი ვიყოო; არასდროს ერთხელ, როდისმე არ მეწვევა, არც შემოივლის, პატარა-ხანს არ დაჯდებაო დროს გასატარებლად, საამასლაათოდ, არა მნახავს ხოლმეო.

ივან ნიკიფორიჩმა ნიკაპზედ ხელი გადისვა.

— ასე სთქვა: თუ ივან ნიკიფორიჩი ეხლაც არ მეწვევაო, მაშინ მე არ ვიცი ეს რას მივაჩემოთ: უთუოდ იმას ჩემზედ განგებ რამ ეჭვი ან განზრახვა აქვსო. მე თქვენ ანტონ პროკოფიჩი უმორჩილესად გევედრებით და გთხოვთო, როგორმე დაიყოლოთ ივან ნიკიფორიჩით და უთუოდ და ეთუოდ მობრძანდესო, თორემ ძალიან გულთ-დამაკლდება და მეწყინებაო! რა არი, ივან ნიკიფორიჩ?

მობძანდით, წავიდეთ! იქ ისეთ ჩინებული საზოგადო შეყრილობაა!

ივან ნიკიფორიჩმა ამ დროს მამალს ყურება და შინჯვა დაუწყო, რომელიც დერეფანში იდგა და ერთის ხმით გაჰკიოდა.

— **რო** იცოდეთ, ივან ნიკიფორიჩ, გულმოდგინებით ამ ერთგულმა მოციქულმა კიდევ ლაპარაკი მოაყოლა, რა ნაირი საგანგებო ზუთხი, რა ახალი ხიზილალა მორთმევია ჩვენ პეტრე ფეოდორიჩსა!

ამ დროს ივან ნიკიფორიჩმა თავი მიიღო და მოციქულის ნალაპარაკევს გულის-ყური მიადევნა.

ამითი მოციქული გაამხნევდა და გაბედვით უთხრა:—მაშ ჩქარა წავიდეთ; თომა გრიგორიჩი იქ არი. რაღას ელით, რას უყურებთ? ჟელ-დატანებით უთხრა, რაკი ნახა, რომ ივან ნიკიფორიჩი ერთ და იგივე მდებარეობაში იწვა და არ ინძრეოდა, მაშ? მივდივართ, თუ არ მივდივართ?

— არ მინდა.

ამ «არ მინდამ» ანტონ პროკოფიჩს თავ ზარი დასცა: აქნობამდის ამას ისე ეგონა, რომ თავის ხვეწნა მუდარებითი შუა-მავლობამ სრულიად დაარბილა და მოსდრიკა, ეს, მაინც კიდევ, მართებული ადამიანი; მაგრამ ისკი არა თუ, ამის ნაცვლად შეიტყო მკაფიოთად გამოთქმული «არ მინდა.»

— რატო არ გინდათ? გულ-ნაკლულმა ანტონ პროკოფიჩმა ჰკითხა თითქმის გაჯავრებითა, თუმცა გაჯავრება იშვიათად იცოდა, თითქმის მაშინაც არ გაჯავრდებოდა ხოლმე, როცა ამას თავზე ანთებულ ქაღალდს დაადებდნენ ხოლმე; ამისთანა შექცევა და სიამოვნება, უფრო მსაჯულს და ღორადნიჩს მეტის მეტად უყვარდათ.

ივან ნიკიფორიჩმა ბურნუთი მოსწია.

— თქვენი ნებაა, ივან ნიკიფორიჩ, მე არ მესმის, თუ თქვენ რა გაბრკოლებსთ?

— მე რისთვის წამოვიდე? ბოლოს ივან ნიკიფორიჩს წამოსცდა: ის ავაზაკი იქ იქნება! ივან ივანიჩს ეს მუდამ ავაზაკს ეძახდა.

ოჰ! ღმერთო მართალო! დაილოცოს შენი სამართალი! დიდი ხანია რაც...

— ღმერთსა ვფიცავ, იქ არ იქნება! ჭეშმარიტებას და დაუსაბამო ღმერთს ერწმუნეთ, რომ იქ არ იქნება! ღმერთი გამიწყრეს, თუ ვტყუოდე! დედამიწა აქვე გასკდეს და ჩამიტანოს, თუ მართალს არ ვამბობდე! უპასუხა ანტონ პროკოფიჩმა, რომელიც ერთ საათში ფიცით ათჯერ გასკდებოდა და ფიცისათვის მუდამ მზად იყო, დაუზარებლივ. «მაშ წავიდეთ ივან ნიკიფორიჩო!»

— არა, თქვენ სტყუით, ანტონ პროკოფიჩო: ის იქ არი!

— ღმერთსა ვფიცავ, ღმერთს ენდე, იქ არ არი! ხვალინდელი დილა არ გამითენდეს, ამ ადგილს დავიმარხო, აქედამ ცოცხალი არსად აღარ წავიდე, თუ ის იქ იყოს! აბა თქვენ თითონვე იფიქრეთ, ტყუილს როგორ ვსტყუი, რისათვის ვიტყუი! ხელ-ფეხი გამიხმეს, გამიშეშდეს!..აბა, ეხლაც არ დაიჯერებთ! თავი მომაკვდეს აქვე თქვენ-წინ გავსკდე და

სული გამძვრეს! თუ ვსტყუოდე, პირში ადუ-ღებული ტყვია ჩამესხას! მტყუანს ღმერთი გაუწყრეს! აღდგომა დღე არ გამითენდეს! არც მამა ჩემი, არც თუ დედა ჩემი და არც მე თითონ სასუფეველს არ ვეღირსნეთ! ეხ-ლა მაინც კიდევ არ დაიჯერებთ?

ივან ნიკიფოროვიჩი ამისთანა ფიცი-ჭერითა სრულიად დარწმუნდა, დამშვიდდა და თავის პირის-ფარეშს, განუსაზღვრელ სერთუკ-კაბიანს, უბრძანა რათა შალვარი და ნაშურის ყაზახური კაბა მოერთმია.

ამის აღწერა, თუ როგორ ჩააცვეს შალვარი ივან ნიკიფოროვიჩსა, როგორ შემოაკრეს მას ყელ-სახვევი და ბოლოს როგორ ჩააცვეს მას ყაზახური კაბა, რომელიც მარცხენა იღლიის ქვეშ გასკდა, მე მგონია სრულიად მომეტე-ბული იყოს. ამის თქმაც საკმარისია, რომ მთელ იმ ხანში,—ის რიგზე სიმშვიდით იყო და არც ერთი ხმა არ ამოუღია და არა უპასუხ-ნია რა ანტონ პროკოფიჩისათვის, რომელიც იმ დროს წამ და უწუმ სთხოვდა რომ ერთი

ნივთი რამ გაეცვალა იმის ოსმალურ ქისაზე.

ამასობაში კი მთელი შეყრილობა მოუთ-მენლად მოელოდა დოროდნიჩისას იმ წუთსა, როცა ივან ნიკიფორიჩი გამოცხადდებოდა და ასრულდებოდა ბოლოს საზოგადო სურ-ვილი, რათა, ე'ე ორნი პატიოსანნი ადამი-ანნი თავიანთში მორიგებულიყვნენ. იმათში ბევრნი თითქმის დარწმუნებულიც იყვნენ, რომ ივან ნიკიფორიჩი არ მოვიდოდა. დო-როდნიჩიც ცალთვალა ივან ივანიჩს ენაძლიე-ბოდა, რომ არ მოვაო; მაგრამ მარტო ამის გამო ვერ მორიგდნენ და იმიტომ აღარ და-ნაძლევდნენ, რომ იმ ცალ-თვალამ უთხრა: მოდი სანაძლეოთ შენ შენი დაჭრილი კოჭ-ლი ფეხი დასდეო და მე ჩემ ბრუტიან თვა-ლსაო; ამაზე დოროდნიჩმა ძალიან იწყინა, და იმ საზოგადოების ხალხი კი ჩუმ-ჩუმად იცი-ნოდა. სადილზე ჯერ კიდევ არავინ არ დამ-სხდარიყვნენ, თუმცა ორ საათზე კარგა ხანი გადაცილებულიყო ეს ის დრო იყო, როცა მირ-დოროდში, ჩვეულებრივ, თითქმის დღესა-

წასულ და ბედნიერ დღეებშიც, ამაზე უფრო ადრე სადილზე ისხდნენ ხოლმე.

რაკი ანტონ პროკოფიჩი იმ ოთახის კარის ღრუბლში გამოჩნდა, იმავ წამს, ერთის თვალის დახამხამებაში, ყველანი გარს შემოეხვივნენ. ანტონ პროკოფიჩმა ყველას პასუხად დაუყვირა ას ე გადაწყვეტილის სიტყვით: «არ მოვა!» ამ სიტყვის თქმა იყო და იმავ წამს ერთიანად წვიმა სეტყვასავით ყველამ სამდურავი და საყვედური მისცეს, ბევრი დატუქსეს და გამოლანძღეს,—იქნება ცხვირში აურიცხველი წკიპარტებიც მოხვედროდა და თავში ტყაპა-ტყუპი აუყენებინათ, ამისთანა ურიგო და უბედურ მოციქულობისათვის; მაგრამ უეცრად იმ ოთახის კარები გაიღო და ივან ნიკიფორიჩი გამოეცხადათ. საოცარი ეშმაკი ან მიცვალებული რომ გამოსცხადებოდათ, ისე არ გაოცდებოდნენ, როგორც ეხლა ივან ნიკიფორიჩის მოსვლაზე მთელი საზოგადოება დიდად გაოცებული და გამშრალი დარჩა. ანტონ პროკოფიჩი კი სიხარულით ფეხზე ვეღარ იდგა, რომ საზოგადოება განგებ ხუმ-

რობით ისე მოატყუვილა, სიცილში ისე ჩავახვასდა და ჩაკუჭდა, რომ სიცილით მუცელი მლივსდა ეჭირა. მაგრამ, ყველა-ყველა და რაც უნდა ყოფილიყო, მარტო ეს მაინც არავის არა სჯეროდა, რომ ივან ნიკიფორიჩს იმ მოკლე ხანში, ისე მალე, ტანთ ჩაეცვა, როგორც აზნაურ-შვილს შეეფერების და ეკადრება.

როცა მთელი საზოგადოება გაოცებიდამ გამოფხიზლდა და გონებას მოეგნო, მაშინვე ივან ნიკიფორიჩის კარგათ-ყოფნაში მონაწილეობა მიიღეს, პატივის ცემით მოიკითხეს და თავიანთი სიამოვნება და სიხარული განუცხადეს, რომ იგი სივრცე-სიგანეზე უფრო განსუქლარს და გასქელებულა. ივან ნიკიფორიჩი სათითაოდ ყველას გადაეხვია, აჰკოცნა და ეუბნებოდა: «დიდად დავალებული ვარ.»

ამ დროს იმ ოთახში სუნი დადგა ბორშჩის-წვნიანსა და ამ სუნმა სასიამოვნოდ იმ დამშიებულს სტუმრებს საღერღელი და მადა

აუმალა. ყველანი თავში ცემით იმ ოთახში შეცვინდნენ, საცა სუფრა ეგო. ქალები, ზოგი მოქარქარე, ზოგი ჩუმი, გაძხლრებნი და სქელ-სქელნი კუდივით, მწკრივათ გაბმით წინ მივიდნენ, ჩასხდნენ და მთელი სუფრა ოქრად ფერადათ ააჭრელეს. სხვა და სხვა ფერ საჭმლების აღწერას, რაც კი სადილზე მიართვეს, დაწვრილებით არ შეუდგები; მე არაფერს არ ვიტყვი სხვა და სხვა ნაღებ მოსხმულ და ცივათ მოტანილ საჭმლებზედ, არც ცივათ მუცლით (ქიშმიშით და ჯანჯურით) მირთმეულ ინდოურზე, არც იმ საჭმელზე, რომელიც ძალიან ჰგავდა ძმარში დალბობილ წაღებსა, არც იმ წვნიან საჭმელზე, რომელიც ღვინოში იყო მოხარშული და ცეცხლ წაკიდებული მოიტანეს, — მეტის მეტად შესაქცევარი სანახავი იყო და ამიტომაც ქალები ძალიან დააშინა ამ საჭმელმა. ამ საჭმლებზე ამიტომ არაფერს არ ვამბობ, რომ მე უფრო უმეტესად საჭმლების მირთმევა მიყვარს, ვინემც იმათი აღწერა ან იმათზე ლაპარაკის გაჭიანურება.

ივან ივანიჩის ხრუნით მომზადებული თევზი

ძალიან მოეწონა და ამ სასარგებლო და ნოყიერ საზრდოს ძალიან მადიანათ გაეწყო. თევზიდამ სულ წმადა ფეხებს თითო თითოდ ამრობდა, ოეფვშზედ აწყობდა და ამ დროს როგორღაც უეცრად და უნებურად პარდაპირ ისე შეხედა....ოჰ! ყოვალო! შემოქმედო ცისა და ქვეყუნისაო! რა გასაოცარი იყო! სწორედ ივან ივანიჩის პირ-და-პირ იჯდა, მერე ვინ? ივან ნიკიფოროვიჩი! ერთსავე და იგივე წამს ივან ნიკიფოროვიჩმაც იმას შეხედა და თვალი მოჰკრა.. არა...ვერ შემიძლიან...მე სხვა კალამი მომეცით! ეს კალამი არ მივარგა, მკვდარია, წვერი ცოტათა აქვს გაჩეხილი და ამ სანახავის ასაწერად სულ არ ვარგა! გაოცებული და გაშტერებული პირისახე ისე გაუშეშდათ, თითქო გაქვავებულნი იყვნენო. ორთავემ ერთი ერთმანერთის დიდიხნის ნაცნობი სახე დაინახეს; თითქო აი ესეს არის, უნებურად ერთი ერთმანერთთან ისე მივლენო, როგორც მოულოდინელი მეგობრები, როცა უეცრად შეხვდებიანო, და კოლოფს და რქა-კოტოჩს ერთი

მეორეს გაუშვერენო, ამ სიტყვებითა: «იწე-ბეთ, ივალებოდეთ,» ან «შეიძლება გაგიბედოთ და გთხოვოთ ამა დავალებაზედა?» ამასთანავე ამათ პარისაპეს საშინელი შესედულობა ჰქონდა და ერთი ერთმანერთის რაღაცა უბედურებას უწინასწარმეტყველებდა! ივან ივანიჩს და ივან ნიკიფორიჩს ოვლი სკითქავით ჩამოსდიოდათ.

იქ მყოფნი, ვინც კი იქ სადილად იყვნენ, ყველანი თითქო დამუნჯდნენ და ყველას ენა მუცელში ჩაუვარდა, შესცქეროდნენ და თვალს არ აშორებდნენ იმ ორთა ადრინდელ მეგობრებსა. ქალებმა, რომელნიც იქობამდის მა-ლიან გაცხარებულ და სახარბიელო მასლაათში იყვნენ, იმაზე, თუ რა ნაირად და როგორ კეთდება ყვერული, უეცრად ლაპარაკი შესწყვიტეს. სყველანი დასცხრნენ; სიმშვიდე ჩა-მოვარდა. ეს იმისთანა სანახავი იყო, რომ ამის გადახატვა პირველ კარგ მხატვრის კა-ლამს ეკადრებოდა.

ბოლოს ივან ივანიჩმა ხელცახოცი ჯიბი-დამ ამოიღო და ცხვირის მოხოცვა დაიწყო;

ივან ნიკიფორიჩმა კი გარშემო მიიხედ-მოიხედა, ოთახის ღია კარებს დააცქერდა და თვალი გაუშტერა. დოროდნიჩმა იმ წამსვე შეამცნია ეს, იმის ჰაზრს მიხვდა და ამიტომაც უბრძანა და ოთახის კარები მაგრა ჩაკეტინა. მაშინ ორთავე მეგობრებმა ჭამას მიჰყვეს ხელი და მასუკან ერთმანერთისთვის ზედ აღარ შეუხედიათ.

რაკი სადილი გაათავეს, უწინდელნი ორივე მეგობრები თავ თავიანთ ადგილებიდამ წამოხტნენ და ქუდების ძებნა დაიწყეს, რათა გაპარულიყვნენ. მაშინ დოროდნიჩმა თვალით ანიშნა, და ივან ივანიჩი—ის ივან ივანიჩი კი არა, მეორე, ბრუციანი—ივან ნიკიფორიჩს ზურგს უკან დაუდგა, და დოროდნიჩი მივიდა და ივან ივანიჩს დაუდგა აგრეთვე უკან, და ერთმა ერთს და მეორემ მეორეს დაუწყეს უკანიდამ კინწში კვრა, იმისთვის, რომ ივან ივანიჩი და ივან ნიკიფორიჩი ერთმანერთთან მიეახლოებინათ, ზედ შეეჯახებინათ და იმ დრომდის ისე სჭეროდათ და არ გაენთავისუ-

ფლუბინათ ისინი, მანამ ერთმანერთისთვის ხელი არ ჩამოერთოთ. ივან ივანიჩმა, იმ ბრუციანმა, ივან ნიკიფორიჩს ჰკრა ხელი და თუმცა ცოტა გვერდზე, მაგრამ მაინც რიგზე მიაჯახა იქით, საცა ივან ივანიჩი იდგა. ღოროდნიჩმა კი თუმცა წაჰკრა, მაგრამ კარგათ ვერ მოუვიდა, მომეტებით გვერდზე მიაგდო ივან ივანიჩი, ეს ასე იმიტომ მოუვიდა, რომ იმას თავის ფეხები არ ემორჩილებოდნენ და თემო სულობით იქით არ იქნევდა, სადეთაც უნდოდა და საჭირო იყო (ასე, იქნება, იმ მიზეზით მოუვიდა, რომ სადილზე ახარებით ბევრი სხვა და სხვა ნაირი სასმელები ეწყო), ასე რომ ივან ივანიჩი ერთ წითელ კაბიან ქალს მიეჯახა, გადაიქცა და ზედ დააწვა, — იმ წითელ კაბიან ქალს, რომელიც თურმე იმ ამბის შეტყობის სურვილით წინ გამძვრალიყო იმ ხალხში, და შიგ შუაში იდგა. ასეთი ფათერაკი საკეთილოდ კარგს არას მოასწავებდა. ამ საქმის გასასწორებლად, ღოროდნიჩის მაგიერად, იმის ადგილი მსაჯულმა დაიჭირა,

ჯერ თავის ზეით ტუჩზედ დაყრილი ბურნუთი სულ ერთიანად ცხვირით შენსთქა, მერე ივან ივანიჩს ხელი ჰკრა და მეორე მხარეს მიაგდო. ქ. მირგოროდში ამნაირი ჩვეულობა ჰქონდათ მორიგებისა და გამწყრალ ადამიანების ამ ღონის-ძიებით მოარიგებდნენ ხოლმე. ესეთი მორიგება ცოტაოდენად ბურთის თამაშობასა ჰგავს. რაკი მსაჯულმა ივან ივანიჩს ხელი ჰკრა და მიახეთქა, ბრუციანი ივან ივანიჩი, რაც ღონე ჰქონდა მიაწვა ივან ნიკიფორიჩს, რომელსაც ოფლი ისე ჩამოსდიოდა, როგორც ბანიდამ წვიმის წყალი, ჰკრა ხელი და ზედ მიანარცხა. თუმცა ორნი მეგობარნი მალიან მაგრა ფეხებს აბჯენდნენ თავ თავიანთ ადგილას და ფეხის გადადგმაც არ უნდოდათ, მაგრამ ისინი, როგორც იყო, მაინც შეაჯახეს და მიაახლოვეს, უფრო იმიტომ, რომ ორთავ მხარეს საზოგადოებიდამ ბევრი სხვა სტუმრებიც დაეხმარნენ ამ შეჯახებაში.

მაშინ ემათ ყველანი გარშემოეხვივნენ, მაგრა ეჭირათ ისინი ერთმანეთის ახლო, და იქ-

ნოზამდის არ მოეშვნენ, მანამ მღივს არ გაბედეს და ერთი ერთმანერთს ხელი არ ჩამოართვეს.

«ღმერთმა შეგინახოსთ თქვენ, ივან ივანიჩო და ივან ნიკივორიჩო! თქვენ სვინიდისითვე სთქვით, რაზე წაიჩხუბენით! განა რომ ცუდ-უბრალო საქმეზედ? სირცხვილი არ არის თქვენთვის? გრცხვენოდესთ! ნუ თუ არა გრცხვენიანთ წინაშე ღმრთისა და ერისა!»

— მე არ ვიცი, ქაქანით და მღივს ქშვინვით სთქვა დაღალულ-დაქანცულმა ივან ნიკივორიჩმა (ამას ეცნეოდა, რომ შესარიგებლად სულობითაც უარზე არ იდგა), მე არ ვიცი, ისეთი რა მიქნია ივან ივანიჩისათვისა; ჩემი საბატე მე რათ დამიჩეხა? რათ აპარებდა და რათ უნდოდა ჩემი დაღუპვა?»

— არა ვარ ბრალიერი და დამნაშავე არა ვითარისა და არცა ერთსა ბოროტ-განზრახვასა-შინა! ამბობდა ივან ივანიჩი, რომელიც ივან ნიკივორიჩს არ უყურებდა; გულ წრფელად ვაღიარებ და ვფიცავ წინაშე ღმრთი-

ხა და თქვენ წინაშე პატივ-ცემულნო, და გე-თილშობილნო აზნაურნო, რომ ჩემ მოძულე მტრისათვის არა რაი დამიშავებიარა! მე შე-გინებული მან რისათვისა მყო და ჩემს ხა-რისხსა, ჩინსა და ღირსებასა ვნება რისათვის მოაყენა?»

— ივან ივანიჩ, აბა, რა ვნებას მოგაყე-ნეთ? ივან ნიკიფორიჩმა სთქვა. ერთ, პატა-რა ხანს, რომ კიდევ მოელაპარაკნათ, ამ დი-დი ხნის ნაჩხუბებს, რაც კი თავიანთში სიმ-ძულვარე ჰქონდათ, სულ გადაავიწყდებოდათ. ივან ნიკიფორიჩმა ჯიბისაკენ კიდენც ხელი იკრა, რათა თავის ბერნუთის რქა-კოტოში ამოეღო და თქმასაც აპირებდა: «ინებეთ და ივალებოდეთო.»

— ნუ თუ ეს ვნება არ არი, ივან ივა-ნიჩმა უპასუხა და მაინც კიდევ იმას პირი-სახეზე არ შეხედა, ოდესაც თქვენ, მოწყა-ლეო ხელმწიფეო, შეურაცხ-ჰყავით და გაა-უპატიურეთ ხარისხი, ჩინი და გვარი-შვილო-ბა, იმ გვარის უშვერის სიტყვითა რომლის

გახსენებასაც აქ მე უკადრისათ ვრაცხავ და ვერ გავკადნიერდები, რათა განვიმეოროთ იგი?

— მომიითმინეთ და ნება მიბოძეთ. მე თქვენ უნდა მეგობრულად გითხრათ, ივან ივანიჩ (ამასთანავე ივან ნიკიფორიჩმა ივან ივანიჩის კაბის ღილს თითი დაადო, რაიცა იმის დიდ მწყალობლობასა და ქეიფიანობას მოასწავებდა), რომ თქვენთვის საწყენო სა-იმისო რა იყო? და არც არა იყო რა იმის-თანა: მარტო ეს იყო, რომ მე თქვენ დაგი-ძახეთ «მამალო ბატო....»

თუმცა კი ივან ნიკიფორიჩი იმავ წამსვე გონებას მოეგნო და იგრძნო, რომ დაუდევ-რობით წასცდა ის სიტყვა; მაგრამ აღარა ეშველებოდა რა: ის სიტყვა მაინც წარმო-თქმული იყო. სუ ყოველი ცდა წახდა და და-იღუპა! ჯერ როცა ეს სიტყვა არა მოწმე-ბის დასწრებით მარტოდ-მარტო უთხრა და ივან ივანიჩი ჯერ მაშინ ისე მოთმინებიდამ გამოვიდა, აინთო, გაბრაზდა და გაცეცხლდა, რომ ღმერთმა ყველა ქრისტიანი დაიხსნას და

ისეთი განრისხება აშოროს, — ეხლა ხომ რაღა იქნებოდა, თქვენ თითონ იფიქრეთ და წარმოიდგინეთ, საყვარელნო მკითხველნო, რა დაემართებოდა! აბა, რაღა თქმა უნდა! მეტადრე ეხლა, როდესაც ეს მომაკვდინებელი სიტყვა წარმოთქმულ იქმნა წინაშე მთელ საზოგადოებისა, სადაც მრავალნი ქალნი იმყოფებოდნენ, რომელთა წინაშე ივან ივანიჩს მეტის-მეტად მართებული და ზრდილიანი მუსაიფობა და სიტყვა-პასუხით ლაპარაკი იცოდა და უყვარდა? ივან ნიკიფორიჩი რომ ასე არ მოქცეულიყო, რომ იმას ეთქვა მ ფ რ ი ნ ვ ე ლ ო; და არა მ ა მ ა ლ ო - ბ ა ტ ო, კიდევ საქმეს ეშველებოდა. მაგრამ... ეხლა სულ წახდა.... გათავდა!

ივან ივანიჩმა ივან ნიკიფორიჩს გადახედა, მერე რა თვალით შეუბღვირა და გადაჰედა! ამ გადახედვას, რომ დიდი აღსასრულის ძალა ჰქონიყო, ივან ნიკიფორიჩს იქვე ადგილობრივ გააქრობდა და გაანაცრებდა. სტუმრები მიხვდნენ ამგვარ შებღვერას, ძალიან კარგათაც გაი-

გეს და ისინი ერთი-ერთმანეთისაგან საჩქაროდ გააშველეს. და ეს კაცი, სამაგალითოდ მშვიდობიანი და წყნარი, რომელიც არცერთ გლახაკს ისე არ დაინახავდა, რომ არა გამოეკითხა რა, საზარლად გაცოფებული და გაბრაზებული გამოვარდა დოროდნიჩის სახლიდამ. ადამიანს თავის გულის-თქმა ამისთანა საშინელ განსაცდელში ჩააგდებს ხოლმე!

მთელი ერთი თვე ივან ივანიჩი არსად არა ჩნდა და იმაზე არაფერი არა ისმოდა რა. იმან კარები ჩაიკეტა და შინიდამ კარში ფეხი არ გასდგა. მამაპაპის ნაანდერძებული სკივრი—თავის აღთქმის კიდობანი—განაღო და ამოიღო—მერე რა ამოიღო? ძველი თეთრი მინალთუნები მამაპაპისაგან დარჩენილი! ცხრა ნასკვში გამოკრული თეთრი მინალთუნები! და ეს მინალთუნება აზრების მწერალ-მჩხაპავთ, ქექილების გასრვილ—გათხუპნილ ხელებში გადვიდა. ამათი საქმე პალატაში გადიტანეს. და როცა ივან ივანიჩს კაი სასიამოვნო ამბავი მოუვიდა, რომ ხვალ თქვენი საქმე გადაწყდებაო,

მარტო მაშინ გაბედა შინიდამ კარში და ქვეყანასა ზედა გამოსვლა. მაგრამ ვაი! თქვენ მტერს, იმ დიდად მოკიდებული მთელ ათის წლის განძავალობაში, პალატა მუდამ ცისმარე დღეს აუწყებდა, რომ თქვენი საქმე ხვალ გათავდებაო.

---

ამ ხუთი წლის წინად მე მგზავრად ვიყავი და ფოშტის პოდოლსკით ზედ ქ. მიროდორო-დზე გავიარე. მე ცუდ დროს ვმგზავრობდი. ეს იყო შემოდგომას, თავის შესაფერ სეჰ-დიან-ნოტიო დარითა, წვიმა ტალახითა და ნისლითა. რადგან ნაირი, არა ბუნებითი მომ-წვანო ბალახი დიდ-ხან შეუწყვეტელ და შე-მაბეზრებელ წვიმებზე, ამოსულიყო და თით-ქო თხელ-წმინდა პირ-ბადით იყოო მოფენი-ლი გარემო მინდვრები და ხნულები, რომელ-თაც ის მომწვანო ბალახი ისე უხდებოდათ, როგორც მოხუცთ — სიცოცხლე — თამაშობა ან

ბებერ დედაკაცს—ხელში ყვავილების თაიგული. მაშინ, იმ დროს, ავ-დარს ჩემზედ დიდი ზედ-მოქმედება ჰქონდა: მეც მოწყენილი ვიყავი, როცა დარი მოწყენილ-მოღრუბლული იყო ხოლმე. მაგრამ როცა ქ. მარღოროდს მიუახლოვდი, მაშინ ვგრძნობდი, რომ მე გული ძალიან მიივანცქალებდა. ღმერთო! რავდენი რამ მომაგონდა! თორმეტი წელიწადი იყო, რაც მე ქ. მირღოროდი არ მენახა. უწინდელ დროს, ჩემ იქ ყოფნობაში, იქა სცხოვრობდნენ გულ-გასაგმირალ ერთობითა, გასაგონათ იშვიათნი, მარტოდ მარტო, ორნი საოცარნი მეგობარნი. მას აქეთ რავდენი წარჩინებულნი და სახელოვანი კაცები დაიხოცნენ! მსაჯული დემიან დემიანიჩი მაშინ გარდაცვალებული იყო; ცალთვალა, ბრუცანძა ივან ივანიჩმაც თქვენი ჭური წაიღო! მე პირველ დიდ-ქუჩაში შევედი. ალაგ-ალაგ, ყველგან მაღალ-მაღალი, გმელი სარები იყო ჩარჭმული და ყველა სარის თავზე პატარა თივის კონა იყო მოხვეული. ეტყობოდა, რომ ქალაქის მოშენებას ახალ

წესზედ აპარებდნენ და ახალ ქუჩებსაც სწნი-
დნენ. რავდენიმე ქოს-მოხებიც დაენგრიათ.
დამქცეულ ღობის და წნულის მარგილებს მო-
წყენილის სახით, მწკრივად, გაშეშილი თავ-
წვერები ამოეშვირათ. ეს—დღესასწაული დღე
იყო. მე უბრძანე და ჩემი ფოშტის პოდო-
სკა, ჭილობ-გადახურვილი, ეკლესიის წინ და-
ვაყენებინე, გადმოვხტი და ისე ფეხ-აკრეფით
შევედი ეკლესიაში, რომ არავისაც უკან არ
მოუხედია, არც დამინახეს. მაგრამ ვის უნდა
დავენახე? ეკლესია ცარიელი იყო; ხალხი თით-
მის არ იყო; ეტყობოდა, რომ პირველი მლოცვა-
ვი და სულიერი ადამიანები მორიდებოდნენ იმ
წვიმიან დღესა და იმ წვიმა-ტალახს დაეში-
ნებინა ისინი. ეკლესიაში ანთებული სანთ-
ლები იმ მოღრუბლულ, ან უკეთ ვსთქვათ,
—იმ ავათ-მყოფ დღეს, როგორღაც თვალში
არ მომივიდა; იქ მაინც მწუხრად ჩამობნელე-
ბული იყო; მოგმო ფანჯრების რგვალ-ჩას-
ხმულ შუშებს ცრემლებსავით წვიმა ზედ დას-
დიოდა. მე ფეხი პატარა იქით გადავდგი და

იქვე მდგომს ერთ პატივ-ცემულ, დარბაისელ ჭაღარა მოხუცს მივუბრუნდი და ვკითხე: «კითხვისათვის უკაცრავად არ ვიყო, ივან ნიკიფოროვიჩი, თუ მოგეხსენებათ, ცოცხალია?» ამ დროს იქვე ახლო, ხატის წინ, კანდელი უეცრად აითვეთქა, უფრო განათდა და იმის შუქმა პირ-და-პირ მდგომ მოხუც კაცს, რომელსაც მე დაველაპარაკე, სახე გაუნათა. როცა კარგად გავშინჯე მე ეს სახე, მეცნო და მალიან გაოცებული დავრჩი! თითონ ეს იყო ივან ნიკიფოროვიჩი! მაგრამ როგორ გამოცვლილიყო!

— მშვიდობით ბძანდებით, ივან ნიკიფოროვიჩ? როგორ დაბერებულხართ!

— დიახ, დავბერდი. მე დღეს ქ. პოლტავიდამ მოვედი, ივან ნიკიფოროვიჩმა მიპასუხა.

— რას ბძანებთ! თქვენ პოლტავაში ბძანდებოდით და მერე ამისთანა ავ-დარში?

— რა გაეწყობა? იმ დავისგამო...

ამ დროს მე უნებურად ამოვიოხრე.

ივან ნიკიფოროვიჩმა ჩემი ამოოხვრა შეამცნია და სთქვა:

— ნუ სწუხდებით: მე სწორე ნამდვილი ამბავი მომივიდა, რომ საქმე მომავალ კვირას გადაწყდება და ისიც ჩემ სასარგებლოდ. მე მხრები ავიწიე და მივბრუნდი, რომ იქვე ივან ივანიჩის რამ ამბავი შემეტყო.

— ივან ივანიჩი აქ არის, მე ვიღამაც მითხრა: ის სამგალობელოშია.

მაშინ მე დავინახე გამხდარ-გამხდარი ადამიანი. განა ეს იყო ივან ივანიჩი? პირისახე მოხუცებისაგან დასჭკნობოდა და დაღმეჭოდა, თმები სულ გასთეთრებოდა; მაგრამ იმის ბეკეში კი მაინც ისევ ისეთი იყო. რაც ერთი ერთმანერთი მოვიკითხეთ, შემდეგ ივან ივანიჩი მომიბრუნდა და მხიარულის სახით და სიცილით, რომელიც მუდამ ისე შვენოდა იმის მაბრის-მსგავსებს პირისახეს, მითხრა:

— სასიამოვნო ახალი ამბავი შეგვატყობინოთ თქვენ?

— რა არი, ახალი ამბავია? მე ვკითხე.

— ჩემი საქმე ხვალ უთუოდ გადასწყდება. პალატას უთქვამს, სწორედ, ზედ-მიწევნით.

ამაზე მე უფრო ღრმად ამოვიოხრე და იმ წამსვე საჩქაროდ დავემშვიდობე, რადგანაც მე მეშურებოდა, ძალიან საჭირო საქმის გამო მივემგზავრებოდი და ჩემ პოლოსკაში ჩავჯექი.

გამხდარმა ჩემ პოლოსკაში შებმულ ივოშ-ტის ცხენებმა, რომელთაც ქ. მარდორიდში კურიერის ცხენებს ეძახდნენ, გასწიეს, და იმ გზის ტალახის მორევში სასმენელად საშინე-ლი უსიამოვნო ჭყაპა-ჭყუპი აყენეს. ისეთი წვიმა მოდიოდა, თითქო წყალს კოკებიდამ ასხამენო და ეს წვიმა ცხენების გამრეკს ურიანს დასდიოდა, რომელიც ჭილობ წამოსხმული ჩემ წინ იჯდა და ცხენებს მიერეკებოდა. თავით ფეხამდის დავნესტილი, ნოტიო თით-ქმის ძვლებში შემეპარა. სევდიან საყვარელო-საც რის ყოფით გავცილდით, საცა ყავარული ფაცის ლურჯ ფერ პერანგის ამხანაკს აკვრებდა. ისევ ის მინდორი, ზოგან, ალაგ-ალაგ, ჩათ-

ხრილ-დათხრილი, ზოგან მოშაო, ზოგან მომწვანო,—გაწუწული ჭილყვავები, ღალღელები და ყვაები, სულ ერთნაირი, შეუწყვეტელი წვიმს, ცრემლიანი, მომტირალი, უშუქო ცა!... ბატონებო, სააქაო მოსაწყენია!

გ. ჩიქოვანი.

* * *

Да вряд ли есть родство души?

Лермонтовъ.

ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი,
არ ხარ ისე მშვენიერი,
რომე შენის ერთის ნახვით
განცაცვიფრდეს უქმი ერი.

მაგრამ შენში რაღაცაა,
ის ათრთოლებს ნატკრით გულსა...
ეხლა კი მწამს, რომ ჰქონია
თვის-ტომობა სულთან სულსა.

* * *

# გლეხ-კაცების ომები

## გერმანიაში

## მეთექვსმეტე საუკუნეში, რეფორმაციის დროს

თხზ. ბორნესი

საშვალ საუკუნოების დამლევს, გლეხ-კაცების მდგომარეობა გერმანიაში უფრო სამწუხარო იყო, ვინემ ევროპის სამხრეთის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში მათ სტანჯავდნენ მარტო მათი პირდაპირი მებატონეები — პატრონები; გერმანიაში კი — რადგანაც ეს ქვეყანა დაყოფილი იყო დაუთვალავ დიდ და პატარა მთავრებს შუა, და ამის გამო ხელმწიფის და მებატონის უფლება ხშირათ შეერთებული იყო ერთ და იმავე კაცის ხელში, — გლეხი მეტის მეტათ შევიწროებული და დატვირთული იყო, ერთის მხრით როგორათაც ყმა და მეორით — როგორც ქვეშევრდომი. ერთ და იმავე დროს გლეხს უნდა დაეკმაყოფილებინა გაუმაძღრობა პატრონისა და სიამპარტავნე მთავრისა

სოფლები მერცხლის ბუდეებსავით ციხე-დარბაზის კედლებს მიშენებოდნენ, და იქედან არწივებსავით ქადილით დაცქეროდნენ მათ რაინდები. გერმანია მაშინ განათლებით მთელი საუკუნით უკან იდგა საფრანგეთზე, — როგორც ეს უკანასკნელი იტალიას უკან ჩამოვარდნოდა. მეცნიერება და ხელოვნებანი იქ ჯერ გავრცელებული არ იყო; მაგრამ ზნეობის გარყვნილება—რომელიც ამდაბლებს კაცს, მაგრამ სამაგივროთ დაასცხრობს მის ბუნებითს ველურობას—ძრიელ ნაკლებათ იყო გავრცელებული გერმანიელ მთავრებს და მებატონეებში. ისინი იყვნენ ტქტია ლოთები, რომელნიც ატარებდნენ თავის სიცოცხლეს ომში, ნადირობაში, ლოთობაში და ქაღალდის თამაშში. მათი ქეიფის გაწევა იმგვარათვე აველურებდა მათ ხასიათს, როგორც მათი საქმეები; და ამის გამო ისინი იყვნენ უწყალო მხეცები და მათ გულს კაცის შებრალება ვერ მიეკარებოდა.

სხვა და სხვა ცვლილებაებამ, რომელიც მეთუთხმეტე საუკუნის დამლევს გერმანიის პოლიტიკურს და ზნეობრივ მდგომარეობაში მოხდა, უფრო მომეტებული უბედურება მიაყენა გლეხკაცს. იმპერატორის მაქსიმილიანე 1-ს ბოლო დროს ეშველა ალისანტრულში მოიყვანა ის, რაზედაც უნაყოფოთ ალევდენ თავიანთ ძალას მისი წინაპარნი: იმან

მოსპო წვრილი მთავრებს და მებატონეებს შუა კერ-ძოობითი ომები და აიძულა ისინი თავიანთი დავა გასარჩევათ ახალ საგანგებო სასამართლოებში გა-დაეცათ. ამ ღონიერმა საშუალებამ დაამშვიდა ცო-ტათი გერმანიის თავად-აზნაურობა. მაგრამ, რაც შეეხებოდა შინა ყმებს და გლეხებს, არც მაქსიმილი-ანე პირველი, არც მისი წინაპარები არ ცდილობდენ დაეცვათ ესენი მებატონეების დაჩაგვრის, ძარცვის და ძალდატანებისაგან. გლეხებს არ მისცეს ნება სასამართლოში მფარველობა ეძიათ ამ უსაზღვრო უფლებისაგან, და მებატონეებმა, რომელნიც იძუ-ლებულ იყვნენ დამორჩილებოდათ სახელმწიფო კა-ნონებს და უნდა დაეტოვებინათ უფლება ძალოვანი-სა, ეხლა ერთიანად მიმართეს თავიანთ ყმებზე თავისი უქმი სიმძლავრე და დამშეული ანგარება.

იმ დროების მეკანონეები, როგორც ყოველთვის, ემსახურებოდნენ უსამართლობას; იმათ დააჩვიეს ქვეყანა უსამართლო კანონების ხეპრულათ დამორჩი-ლებას, და ამ დაჩვევამ უფრო მეტათ გაამძლიერა დესპოტების უფლება, ვინემ ჯარმა. რომის კა-ნონების ამხსნელმა დოქტორებმა (მეცნიერებმა), რომელთა სწავლა მეთუთხმეტე საუკუნეში იტალიელ უნივერსიტეტებიდან გერმანიელებში გადაიტანეს, ცოტათი კი არ გაუარესეს უმისოთაც საბრალო

მდგომარეობა გლეხისა. როგორც შეეფერება ახალ სწავლას, ისინი დაუღალავად ცდილობდნენ ძველი დროების მონებისთვის მიემსგავსებინათ მაშინდელი ბატონ-ყმობის მდგომარეობა. ის მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ ფეოდალიზმის, ესე იგი ომისა, დაძარცვისა და ხუტიანი მძლავრობის შედეგი იყო, მეკანონეებმა მონათლეს მოვლინებათ და, ძველებური კანონების და ჩვეულებების დამოწმებით, მისცეს მას სიმტკიცე. რომის კანონებს და მის სწავლას აქამდისაც ძრიელ დიდი მავნებელი გავლენა აქვს გერმანიაზედ. ამის მასწავლებლები უნივერსიტეტებში თვითან არიან საშინელი მოწინააღმდეგენი ყოველივე პოლიტიკური ცვლილებისა და ამასვე უქადაგებენ თავიანთ მსმენლებს, რომელთაგანაც შემდეგომში გამოდიან ადვოკატები, მოსამართლეები, მმართველები, ერთის სიტყვით მთელი ის ხროვა, რომელსაც გერმანიაში «მამულის მოსამსახურეთ» ეძახიან, მაშინ, როდესაც, მართალი რომ ვსთქვათ, ესენი მხოლოდ მისი ბატონები არიან. ამ უბედურ ქვეყანაში აქამდის კიდევ ვერ დაისწავლეს მკვდარი ზნეობის, მკვდარი კანონების და მკვდარი დაწესებულების დამარხვა. მთელი წარსული ლპება აქ, ღია გახსნილ ცის ქვეშ, და, თავის სიკვდილის შემდეგ, უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვინემ

ჟამინ, როდესაც ის სრულ ძალაში იმყოფებოდა.

იმავე დროს, როდესაც ამ და მრავალი სხვა მიზეზების გამო გლეხის მდგომარეობა თან და თან უარესდებოდა, ზოგიერთი უკანასკნელი პოლიტიკური შემთხვევების შემდეგ გლეხ-კაცობაში გრძნობას აღვიძებდა და ხალხს მის უბედურ მდგომარეობას აცნობებდა. ჩრდილოეთელ გერმანიაში მარტოხელა გლეხ-კაცებმა, რომელთაც არც სამხედრო წესის გაეგებოდათ რა, არც სარდლები ყვანდათ, მაგრამ რომელნიც მამულის სიყვარულით სავსენი და მხოლოდ თავის საკუთარ ვაჟკაცობაზე დანდობილები იყვნენ, დაამარცხეს დანიის ხელმწიფის აუარებელი და კარგათ ნასწავლი ჯარი, როცა ეს ხელმწიფე გერმანიას თავს დაესხა. სამხრეთისკენ შვეიცარიაში მწყესები დიდის გამარჯვებით ომობდნენ, რომ გაევრცელებინათ და დაეცვათ თავიანთი თავისუფლება და ამარცხებდნენ ერთი მეორის შემდეგ უძლიერესს ხელმწიფეებს, რომელნიც კი იყვნენ იმ დროს. ამას ყოველივეს გერმანიაში გლეხკაცები მათი საუკუნე ძილისგან უნდა გაეღვიძებინა, და მათი გული ნაღვლით და მიბაძვის სურვილით უნდა აევსო.

მაგრამ იმავე დროს მათში აღიძრა იმედი. სწავლულებმა და მასხარეებმა, რომელნიც მაშინ

ყოველ სასახლეს ახლდნენ, დაუმტკიცეს თავიანთ მბრძანებლებს, რომ ცხენი ავ ზნე პირუტყვია, კაცი კი უფრო მშვიდი და მორჩილი არსებაა და უფრო ნაჩვევია ხმაამოუღებელ დამორჩილებას, რომელიც ომის და მფლობელობის სულიაო. ამ მიზეზის გამო, ისინი ურჩევდნენ მათ ერთი ნაწილი ხალხისა სალდათებათ მოეკაზმათ და ეს ძალა ერთის მხრით დამოსძილ ხალხის წინააღმდეგ მოეხმარათ და მეორე მხრით — შემძლე მებატონეებისა. ეს რჩევა მთავრებს ძალიან დაუჯდათ, და, რადგანაც მათ ამძიმებდა შემძლე თავადების დახმარება, რომელიც საჭირო იყო ომიანობის დროს, იმათ დაწესეს ქვეითი ჯარი, სახელად «ლანდსკნესტი.» ამ ლანდსკნეხტის დაწესებამ, რომელიც შედგებოდა გლეხკაცობიდგან, ჩანერგა ამ საწყალ ხალხში ახალი აზრები და ახალი გრძნობა; ისინი რაცხდენ თავის თავს კაცებათ, ესმოდათ, რომ ძალა იმათ მხარეზე იყო, რომ ისინი ბუნებას იმიტომ კი არ გაეჩინა, რომ სხვებს ისინი გაეცარცვა და დაეხოცა, რომ იმათაც, ბატონებსავით საკმაო ნიჭი აქვთ სხვების საცარცველათ და დასახოცათ. ამასთანავე ისინი გრძნობდნენ, რომ თვითონაც რასმე ნიშნავენ, და ამ გრძნობამ აღადგინა მათი სიმამაცე,

რომელიც ჩაკლულ იყო საუკუნოებით უბედურებითა და მონებითა.

ამას მოასწრო ლუტერის რეფორმამ. ყველამ იცის, რომ რელიგიური (სჯულის) არეულობა, მეთექვსმეტე საუკუნეში, მოხდა სწორეთ იმ მიზეზებით, როგორც საფრანგეთის რევოლიუციაც,—ესე იგი ფინანსების დეფიციტის გამო (ფულის შემოკლებით). რომის პაპას, ლეონ მეათეს, ფულები შემოაკლდა პეტრე-პავლეს ტაძრის აღშენების დასასრულებლათ და დასაკმაყოფილებლათ თავის საყვარელ დისა, რომელიც ბევრ ფულს ფლანგავდა თავის ტანისამოსებზე და გაშლილ ცხოვრებაზე. თავის ზანდუკების ავსებლათ, პაპამ მიყო ხელი სულების განსაწმედელის დაცარიელებას და სასუფევლის ავსებას. ეს იყო ძრიელ უვნებელი ვაჭრობა, რომელიც არავის ზიანს არ აძლევდა. უწმინდესმა მამამ გაგზავნა თავის პრიკაშჩიკები ყველა საქრისტიანო ქვეყნებში და განსაკუთრებით კეთილ და მორწმუნე გერმანიაში; ცოცხალ ცოდვილებს ისინი შეაძლევდნენ ინდულგენციას (პატიობის წერილს) და მკვდარ ცოდვილებისთვის ბირდებოდნენ ცოდვის მიტევებას. პაპის პრიკაშჩიკები ძალიან ოსტატი შარლატნები იყვნენ: ისინი მაცდური და მომხიბლავი მჭევრმეტყველობით აქებდენ თავიანთ საქონელს

და ყოველ მხრით ქისა იხსნებოდა. ძრიელ დიდი ფული გაიტანეს იმათ გერმანიიდამ და განსაკუთრებით საქსონიადამ, ლუტერის მამულიდამ. ეს ბაში-ბუზუკები დაეთრეოდნენ სამიკიტნოდამ სამიკიტნოში და სან ქაღალდში აგებდენ, სან ჭიქა არაყში აძლევდნენ მკვდრების სულებს, რომელზედაც მათ ამ უკანასკნელების ნათესავები სთხოვდნენ. ღარიბ მორწმუნეთ თავიანთ საქონელს ნისიათ აძლევდნენ. ყველა კმაყოფილი და მოხარული იყო. მაგრამ იუპიტერ-ლუტერი მოიღრუბლა და ქვეყანა შეიძრა; ხალხებმა დაიწყეს ერთიერთმანეთის ხოცვა ომებში, რომელნიც ვითომც რელიგიურ მიზეზის გამო მოხდენ; სისხლის წარღვნა იდგა დედამიწაზე ას ორმოცდა ათის წლის განმავლობაში, და მთავრები ბოროტი სიხარულით იცინოდენ. რეფორმაციამ მოუტანა სარგებლობა გერმანიაში მხოლოდ თავადებს და სწავლულ კაცებს, თვითონ ხალხს არა მისცემია რა შესამჩნევისა მატერიალურ კეთილმდგომარეობისა, მაგრამ ბევრი კი დააკლდა მის ზნეობრივ კეთილმდგომარეობას. სწორეთ რომ ვსთქვათ, კათოლიკების მღვდლების ძალა იყო მხოლოდ ზნეობრივი ძალა. ხალხები ჰკარგავდნენ თავიანთ ქონებას კათოლიკე ეკკლესიის გასამდიდრებლათ, სწორეთ იმ გვარათ

როგორათაც კაცი კარგავს თავის საყვარლებზედ. რომლისაც მომეტებული სისუსტე, სულმოკლეობა და გულის ნდომა ნებას არ აძლევს წინააღმდეგობა გაუწიოს მათ ალერსს და სიტურფეს. რომლისაც, რეფორმაციის შემდეგ, თავადებმა სამღვდელოების ქონება და შემოსავალი მიითვისეს, მაშინ ნებაყოფლობით შეწირვის მაგიერათ, დაწესდა ხარჯი და განსაწმენდელის მაგიერათ — სახელმწიფო სისხლის სამართალი. ლუტერმა წაართვა გლეხს სასუფეველი და დაუტოვა მას ჯოჯოხეთი, წაართვა ყოველი იმედი და დაუტოვა მას შიში. იმან უბრძანა მას ცოდვების შესანდობლათ სინანული, მაგრამ სინანულის ბრძანება არ შეიძლება. ის ითხოვდა კეთილ საქმეებს, გარეგან ცერემონიის მაგიერ, მაგრამ კეთილი საქმეები ამის შემდეგ არ გამრავლებულან.

ზნეობა გამკაცრდა: გარედამ სულ ყველაფერი გამშვენდა, მაგრამ შიგნით მაინც ჩამალულიყო ბილწიერება, რომელიც აოხრებდა სახელმწიფო სხეულის დაფარულ ნაწილებს. მანქანება და გაიძვერობა ჩამოვარდა ძალდატანების და ავაზაკობის მაგიერათ. დღესასწაულების რიცხვი შემცირდა; უბრალო დღეები და მაშასადამე მუშაობა, შრომა გლეხისა გამრავლდნენ. ღვთის მსახურება, რომელიც

კათოლიკობის დროს საწყალი კაცისათვის შეადგენდა ნუგეშს და მოსვენებას. გარდიქცა შკოლათ, სადაც მორწმუნებს კეთილმოქმედებას ასწავლიდენ, იმათ კი ამ სწავლიდგან გული ელეოდათ და ემინებოდათ. ღვთის-მეტყველება, რომელიც უწინ იყო ღვთიურ ხელოვნებათ, შეიქნა ესლა ხალხისთვის მიუწდომელ მეცნიერებათ. საზოგადო ცხოვრება გაქრა, ხალხს აღარც თავისი მხატვრები ყავდა, აღარც პოეტები, და არც დღესასწაულები ჰქონდა, აღარ შენდებოდა არავითარი სადღესასწაულო, სახალხო შენობა, და ხალხის საერთო აზრის ადგილი ცალკე სოფლების და ქალაქების თავმოყვარეობამ დაიკავა. გერმანიელი ხალხი, უწინ ისეთი მხიარული, გამჭრიახე, ბავშსავით მშვიდი, რეფორმაციის შემდეგ მწუხარე, უშნო და მოწყენილი გახდა. გერმანიის ცხოვრება წარმოადგენს მარხვას, რომელიც აგერ სამი საუკუნოა დგას და ამ ხალხს დიდხანს ცდა მოუნდება, მინამ დადგებოდეს მისი აღსდგომა.

ლუტერი იყო გმირი კაცი, მაგრამ მაინც კაცი იყო, და იმას ამ უბედური ნათესაობის არც ერთი ბიწიერება, არც ერთი სისუსტე არ ასცილებია. ამაღლებულ გლეხს, მას სძულდა და ეზიზღებოდა ის საზოგადოება, საიდანაც ის თვითონ გამოვიდა;

იმან თავადების მფარველობის ქვეშ ყოფნა არჩია, ვინემ თავის მფარველობის ქვეშ თავისი მსგავსების ყოლა. თავადები ეფერებოდნენ ლუტერს, ამიტომ რომ ეშინოდათ ამისი. ლუტერს ეს შიში გულს უხარებდა, და თავადების პირფერობა და ალერსი თავბრუს უხვევდა: ისე რომ იმანვე გაიგო, რომ მისი სწავლა თავადებმა პატივის და უფლების მოყვარეობისათვის მიიღეს და გულში კი იცინოდნენ მის რელიგიურ და ფილოსოფიურ აღტაცებაზე. ლუტერმა ბევრათ აგნო თავის ქვეყანას: მის მოსვლამდი, გერმანიელები მომთმენ მორჩილებას იყვნენ შეჩვეულნი; იმან კი თავის ქვეყანას ფეხქვეშ გაგებას ასწავლა. სამხრეთის ხალხებს, რომლებმაც არ მიიღეს ლუტერის სწავლა და კათოლიკეთ დარჩნენ, ეშინიათ თავიანთ ბატონების, მაგრამ არ უყვართ ისინი და არც პატივსცემენ მათ; ისინი ინახვენ თავის სიყვარულს ღვთისათვის და მის მოადგილესათვის ქვეყანაზე...

იმიტომაც, კათოლიკე ხალხები, როდესაც გრძნობენ ხოლმე თავისში საკმაო ძალას თავის დამჩაგვრელებთან საომრად, მაშინვე თავს უღლიდან ითავისუფლებდენ, ან ცდილობდენ მაინც გათავისუფლებულიყვნენ. იმ ქვეყნებში კი, სადაც მიიღეს ლუტერის სწავლა, სადაც მმართებლობამ რეფორმატ-

რების რჩევით და ნებართვით მიითვისეს ეკკლესიის ზნეობრივი ძალა, და შეაერთეს ის თავის მატერია-ლურ ძალასთან, მაშინ ხალხმა თავის პატივისცემა და სიყვარული ეკკლესიისადმი გადიტანა სამოქალა-ქო მთავრობაზე, როგორც ვალდებული ხარკი....-

ლუტერი იყო წარმომადგენელი პირი ნემეცის ფი-ლოსოფიისა, ყოველივე თავის მამულის სათნო-ებით და ბიწიერებით შემკული. დიდი ჭკუის პატ-რონი, ღრმად ნასწავლი, მახვილგონიერი, ამტანი ხასიათის და კეთილის მყოფელი, მოუსყიდავი, გულ-გრილი დიდ კაცების მოწყალეობაზე, ეს ღარიბი, უცნობი ბერი პაპის კოლოსალურ ძალას ბრძოლაში გამოთხოვას ბედავს. მაგრამ ლუტერი პოლიტიკი არ იყო; ის არ იცნობდა ნამდვილ ცხოვრებას, მას არ ესმოდა არც მაღალი საზოგადოების გულის წადილი, ოსტატობა და ჯინი, არც ნათელი აზრი, კეთილ მოქმედობა და სარგებლობა დაბალი ხალხისა. მას ნამეტნავათ სძულდა ხალხი, რომელიც ყოველ-თვის კეთილი და კეთილის მყოფია, და ყოველთვის ცდილობს თავისი აზრი გრძნობათ გადააქციოს, და გრძნობა საქმეთ.

ლუტერის საქმე უფრო სწავლის საქმე იყო, ვინემ სინიდისისა. იმას დაავიწყდა, რომ თუმც თვით ღმერთი ყოვლის შემძლებელია, მაგრამ მაინც ნივთიერი ქვეყანა შექმნა თვის ღვთიურ

ძალის გამოსაჩენათ; იმას დაავიწყდა, რომ ყველა აზრები შეკავშირებული არიან ერთი ერთმანეთთან, რომ ზნეობრივი და მატერიალური სარგებლობა ირევა ერთი ერთმანეთში და ერთი ისე არ შეირყევა, რომ მეორეც მაშინვე მოძრაობაში არ მოვიდეს. ამის გამო ლუტერმა დასწყევლა დაბალი ხალხი, რომელმაც ახალი აზრების მატერიალურ ცხოვრებაში გამოყენება მოინდომა. ერთხელ ლუტერს ქომაგი ეწვია იმ აზრით, რომ ან შეეშინებინა და ან გადაეყვანა ლუტერი თავის მხარეზე; ლუტერმა გაუშალა და თავში საწერელი სთხლიშა, და ქომაგმა ფანჯრიდან გაიქცა. რასანათაც ამ გვარ ომში საწყალ ქომაგთან ლუტერმა საწერლით გაიმარჯვა, იმან იფიქრა, რომ მელანი საუკეთესო იარაღია დიდკაცების ძალდატანების, დესპოტიზმის, პატივის მოყვარების და ჯინის წინაამდეგაც. ეს ლუტერანების არტილერია მას აქეთ არ გაუკეთესებულა, და გერმანიელი ფილოსოფოსები, ზნეობის მასწავლებლები და დოქტორები პოლიტიკური მეცნიერებისა, ეხლაც მარტო ბლაჯვნით კმაყოფილდებიან დესპოტების წინაამდეგ, რომელნიც საფუძვლიანათ ეცინიან მათთაც და მათ საწერლებსაც.

გონების განთავისუფლებამ, რომელიც მოახდინა რეფორმაციამ, სინათლე შეუშვა გლეხ-კაცების საპყრობილეში, მაგრამ მისი კარები ვერ გააღო.

ш

და გლეხებმა რომ თავის მდგომარეობა დაინახეს, იგრძნეს, რომ ეხლა უწინდელზე უბედურები იყვნენ. ისინი ამ მდგომარეობაზე თავიანთ დამჩაგვრელებს შეევედრენ და თავიანთი ჩივილი საკვირველის მოკრძალვით განუმარტეს. ეს კრძალვა, რასაკვირველია, იქიდამ კი არ გამოდიოდა, რომ ისინი ვერ გრძნობდენ თავიანთ სიმართლის სისრულეს; არა, იმათ ძალიან კარგათ ესმოდათ, რომ «საქრისტიანო თავისუფლების» ძალით—(ამ სიტყვებით იმ დროს გამოსთქვამდენ აზრს: სიმართლე კაცისა)-ისინი დიდ კაცებისა და მდიდრების თანასწორები იყვნენ. მაგრამ თავმდაბლობა ნებას არ აძლევდა მათ ბატონებისთვის თავი შეეწყინათ და მოეთხოვნათ სრული დაკმაყოფილება. რას იზამ, ამ გვარია გერმანიის ხალხი. კეთილი, მოწყალე, კეთილშობილი, რომელმაც წყენის გულში ჩატანა არ იცის, და მორცხვია ის ყოველთვის, როდესაც მას მოუხდება რისიმე თხოვა თავის ბატონებისაგან; როდესაც მოთმინებისაგან გამოყვანილია, მაშინ იარაღს ხელს მოკიდებს თავის თავის დასაცველათ; და როდესაც თავის მტერს დამარცხებს, თვითონვე მორცხობს ამ დამარცხებით და ნებაყოფლობით უბრუნებს მას ნასყვარ სისხლით შეძენილ სიმართლეს და მით ჰკარგავს საჭირო

ძალას, რომელიც შემდეგში დანარჩენი სიმართლის დასაცველათ საჭიროა.

ხელმწიფეები ეცინოდნენ გლეხების თხოვნას. მაშინ გლეხებმა ადგნენ, რაზმებათ დაიყვნენ და დაიწყეს ომი. მაგრამ ისინი გამოუცდელები და ომის წესის უცოდინარები იყვნენ; იმათ თავდარიგი ვერ დაიჭირეს, დაენიშნათ ალაგი და წესი სამხედრო მოქმედებისათვის; თავადები და რაინდები, რომელნიც თვითონ მხედართ-უფროსებათ დაუდგნენ გლეხებს, მარტო თავიანთ საკუთარ სარგებლობას ეძებდნენ და მთავრებს ჩუმ-ჩუმათ ურიგდებოდნენ. ამ მიზეზების გამო გლეხები მალე დამარცხდნენ. საშინელი იყო გამარჯვებულების შურის ძიება და უწყალოება. იმათ უწყალოთ დახოცეს მთელი გლეხების რაზმები რომელნიც ამ პირობით დანებებოდნენ, რომ მათ შენახოდათ სიცოცხლე. ვიურცბურგის მთავარ-ეპისკოპოზმა თვალი დათხარა ოთხმოც-და-ხუთს დატყვევებულ გლეხს, რომელთაც ბავშვური გულის მოსვლის დროს შეეთვალათ მისთვის, რომ თვალით დანახვა არ გვინდა შენიო. დანარჩენ დამნაშავეებს იმან მარჯვენა ხელის თითები დასჭრა. ზოგიერთი არეულობის თავი კაცები ცოცხლად დასწვეს. იმათ გრძელ ჯაჭვით ხეზე მოაბამდნენ, სეს გარშემო შეშას შემოუწყობდენ, და ცეცხლს მისცემდნენ, ისე რომ, ქისა,

ცოდავეები ნელ-ნელა იწვებოდნენ. თვითონ გენერ-
ლებს, თავადებს და მთავრებს თავიანთ საკუთარ
მხარზე მოქონდათ შეშა ამ ჯოჯოხეთურ სასჯელის-
თვის. ომის დროს უწყალობა, გლეხების მხრით,
ბევრათ ჩამოუდგებოდა ბატონებისას. ისიც უნდა
ვსთქვათ, რომ ამ ერთიერთმანეთის შურის დროს,
დაჩაგრულებს და დამჩაგვრელებს შუა, მეტი ყო-
ველთვის ამ უგანასკნელებს უქნიათ.

ერთი საუკუნის შემდეგ, ამავე გლეხების შვილის-
შვილებმა ხელახლა დაიწყეს თავის მამაპაპების
საქმე. იმ მიზეზით, რომ ვითომც სარწმუნოებას
იცავდნენ, იმათ გალეწეს ეს მხარე თავით ბოლო-
მდის, აიკლეს, დასწვეს და იმდენი ხალხი დახოცეს,
რომ ომის გათავების დროს გერმანიის სახელმწი-
ფოში სულ ერთიანათ ოთხი მილლიონი ხალხი
დარჩა. მაგრამ [illegible] მაშინ გლეხები თავის საკუ-
თარი სარგებლობისთვის კი არ ღვრიდნენ სისხლს,
თავიანთი პატრონების ბრძანებით და სასარგებლოთ,
რადგანაც მათ პატრონების ფარაჯა ეცვათ. აგაზაკები
კი არა, იმათ სალდათები დაარქვეს და მათ წინამძღოლ-
ლებს, რომელთაც კოლეტები, ჩაჩქნები და გვირგვი-
ნები ექონდათ სააგაზაკო ატამანები კი არაბი და გმი-
რები დაერქვათ. ესენი იყვნენ იმ გვარი პირები, რო-
გორც მანსფელდი, ბრაუნშვეიგი, ტილლი, ვალენშტე-

ინი და გუსტავ ადოლფი. და ამ მეჩვიდმეტე საუკუნის ომს შეურაცხმყოფელი «გლეხკაცების ომი» კი არა, დიდებული «ოცდა ათი წლის ომი» დაარქვეს..

ნ. ანტონოვი,

# ლეინედამ

ლოყით მოეპყარ ჩემსა ლოყასა,
რომ ცრემლნი ჩვენნი ერთათ შეერთდნენ,
გულით მოეპყარ ჩემ გულს მხურვალსა,
რომ ერთის ცეცხლით ორნივ აენთნენ.
და როს იმ ცეცხლსა ძნელ განშორების
დაესხმის ღვარი მდუღარე ცრემლის,
მე, მაგრათ მოგხვევ შენს ტანს რა ხელით
მოვკვდები ტანჯვით და ნატარებით.

* * *

# საზრდო

## და იმისი მნიშვნელობა

## ს ხ ე უ ლ ი ს ა   დ ა   ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს

### ცხოვრებაში

ულუკმა პუროდ კაცი ვერ გასძლებს, — ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ამაზედ უფრო უეჭველი არა არის რა; ეს ისეთი კანონია, რომელსაც არა აქვს არც ერთი გამორიცხვა: — ჩვენ არ ვიცით არც ერთი მაგალითი, რომელიც ამ საზოგადო კანონს ეწინააღმდეგებოდეს. ლ უ კ მ ა   პ უ რ ი ამ შემთხვევაში საკუთრად პურს კი არ ნიშნავს, არამედ ყოველგვარ საზრდოს, როგორც მცენარეულს, ისე ცხოველეულს, რაც კი არის პურის მაგიერი, ან იმისი მისამატი; — საჭიროა პური, ან რამე იმის მაგიერი, რომელიც უდრიდეს პურსა, თორემ უიმისოდ სიცოცხლე შეუძლებელია. საზრდო არის არა თუ მარტო ერთი სასიცოცხლო მოთხოვნილებათაგანი, ის არის აუცილებელი საჭიროება, ან ასე ვჰსთქვათ,

თვითონ სიცოცხლის მიზეზი; თუ საზრდო არა გვაქვს, ჩვენი სიცოცხლე იქნება არა თუ ურიგო, ანუ შევიწროებული, არამედ შეუძლებელი. ჩვენ მაშინ სულაც ვერ ვიცოცხლებთ. როგორც კაცი და ცხოველები, ისე საზოგადოთ ყველა, რაც ცოცხალია, რაც ორგანულია, ცხოვრებს საზრდოთი. საზრდო ისეთი სასიცოცხლო საჭიროება არის, რომ ჩვენთვის ერთჯერ იმისი მიღება არ კმარა, ჩვენ უნდა ვსჭამდეთ მრავალჯერ და ნიადაგ; ერთჯერ შეჭმული საზრდო გვყოფნის მარტო ერთ გზობაზედ, ან, ასე ვსთქვათ, ერთი წუთი სიცოცხლისათვის, მეორე წუთისათვის საჭიროა ხელ-მეორედ ჭამა, მესამე წუთისათვის—კიდევ მესამეჯერ ჭამა, და აგრეთვე შემდეგომში, სანამ ჩვენ სიცოცხლეს ბოლო არ მოეღება: ის საზრდო, რომელიც სხეულში ერთხელ შეასრულებს სასიცოცხლო მუშაობას, გამოდის იქიდამ, როგორც უსარგებლო იმავე სხეულის გაგრძობისათვის და, ამ გამონავლის მაგიერ, სხეულმა უნდა მიიღოს სხვა ახალი საზრდო. სხეულიდამ ნიადაგ გამოდის ამგვარი უსარგებლო ნივთიერი ნაწილები, გინდ მივიღოთ იმათი სამაგიერო, გინდ არა. ცხოველს არ შეუძლიან, რომ ეს გამოსვლა მოსპოს, ან შეაჩეროს, იმას ისიც არ შეუძლიან, რომ ამ შემთხვევაში ანგარიში

იქონიოს, რომ ხარჯავდეს გამოზოგებით და თავის შესავალს გამოსავალთან აფარდებდეს; თუ შემოსავალი ე. ი. შეჭმული საზრდო ნაკლებია, ამითი გასავალი ე. ი. სხეულიდამ გამონავალი არ დაიკლებს და გასავალი შემოსავალზედ უმეტესი იქნება; გამოზოგებით ჭამა ცხოველს მოაუძლურებს და დაასნეულებს. როცა ჩვენ არაფერს არა ვსჭამთო და არაფერს არა ვსვამთო, ამბობს ერთი მეცნიერი —მოლეშოტი, მაშინაც კი გამოდისო ჩვენი სხეულიდამ ნახშირ-მჟავა და წყალი, სქელი განავალი და შარდი; მაშინაც კი გვეზრდებაო თმა, გვიგრძელდებაო ფრჩხილები, და ოფლსა და ლორწოს ნიადაგ გამოვაქვთო სხეულიდამ იმისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილები. მაშ გასავალი და დანაკლისი შეუწყნარებელი ყოფილა მაშინაც, როცა შემოსავალი სრულიად არ არის; ამ შემთხვევაში იხარჯება თვითონ სხეული, ის თანდათან კლებულობს და სუსტდება; და თუ სხეულს შემოსავალი არა აქვს, ე. ი. თუ იმაში არ შეგვაქვს გამონავალის მაგიერი ახალი საზრდო, სხეული სრულიად განილევა და კვდება.

ამბობენ, რომ არაყის, ან სხვა სპირტიანი სასმელების მიღებით შეიძლებაო ცოტათი მაინც შევამციროთ ან შევაგვიანოთ სხეულის დანაკლისი და

გასავალი; სპირტის შემადგენელი ნაწილები უფრო ჩქარა გაუჯდებათ სხეულს და უფრო ჩქარაც გამოდისო იქიდამ, ვინემ სხვა ნოყიერი ნივთიერებაები, რომელნიც უფრო დიდხანს დაჰყოფენ სხეულში და რომელნიც უფრო ჩქარა გამოვიდოდენ იქიდამ, თუ რომ ტანში არ ყოფილიყო სპირტი, იმათზედ უწინ და იმათ მაგიერ გამოსული. ამისგამო სპირტიან სასმელებს ზოგიერთი სხეულის გ ა მ ო მ ზ ო გ ე ბ ე ლ ს ა ზ ი ნ ა ს ქმასის. მაგრამ ეს გამომზოგება მალიან ცოტაა, ლაპარაკათაც არა ღირს და, მართლა რომ ვჰსთქვათ, არც შეიძლება ამას გამოზოგება დავარქვათ; თუ რამდენიმე ხანს სხვა რამე ნივთიერება არ აკლდება ჩვენ ტანსა, თვითონ სპირტი ხომ მაინც გამოდის იქიდამ; მაშასადამე ჩვენ სხეულს ნიადაგ შეუწყნარებელად აკლდება სხვა-და-სხვა ნივთიერება და სიცოცხლის გაგრძობისათვის საჭიროა, რომ ეს დანაკლისი შევავსოთ.

ამ გვარად, სასტიკი და უწყალო აუცილებლობის კანონი გვაიძულებს საზრდოს მიღებასა; ჭამე, ჭამე ნიადაგ, ყოველ დღე და რამდენჯერმე; თუ გინდა რიგიანად იცოცხლო, ჭამე იმდენი, რამდენიც საჭიროა შენი სხეულის სასარგოდ და არა იმაზედ ნაკლები; ანგარიში და გამოზოგება ხელს არ მოგცემს: თუ საზრდო საკმაოდ არა გაქვს

თუ იმდენს არა ჰსჭამ, რამდენსაც სხეულის განსავა-
ლი მოითხოვს, ისე ვერ იცოცხლებ რიგიანათ,
უთუოთ დასნეულდები, ან მოჰკვდები; აი უწყალო
კანონი, რომელიც დაუწესებია ჩვენთვის ბუნებასა!
მართლადაც რომ უწყალო კანონია; ბუნება ძალიან
ბევრს მოითხოვს ჩვენგან და ძალიან სასტიკათაც
გვჰსჯის ამ კანონის აუსრულებლობისათვის. კაცის
საზოგადოებრივი კანონები ისე ხშირად არ გვჰსჯიან
სიკვდილითა, როგორათაც ეს ბუნების კანონი. ამ-
ბობენ, რომ ბუნება კაცის მშობელი და მზრუნვე-
ლია, იმან ყველაფერი კაცის სასარგებლოთ გაა-
კეთა და გააწყო. მაგრამ მარტო ეს საზრდოს
მიღების საჭიროება ამტკიცებს, რომ ბუნება სრუ-
ლიადაც არ ზრუნავს ჩვენთვის: განა არ შეიძლებო-
და, რომ ამ უწყალო კანონს ავეცილებინეთ და საქ-
მე სხვა ნაირად წაეყვანა? აი, უორგანო სხეულები:
ქვები, მეტალლები და სხვა უსიცოცხლო სხეულები,
ხომ არსებობენ უსაზრდოთ; რასაკვირველია, პირ-
ველად იმათთვისაც საჭიროა საზრდო, ე. ი. ის
ნივთიერებები, რომელთაგანაც ისინი შესდგებიან;
მაგრამ გაჩენის შემდეგ იმათ აღარ ეჭირებათ თა-
ვისი სხეულის ანუ შედგენილობის განახლება, უიმი-
სოთაც არ ჰკარგავენ ისინი თავის თვისებას. მეტ-
ყვიან, რომ აი ამის გამო ეს სხეულები არც ვი

ცხოვრებენო, არ იჩენენო იმ სიცოცხლის ნიშნებს, რომლითაც განსხვავდებიან ცხოველები დ მცენარეები. ეს მართალია, მაგრამ რატომ ბუნებამ ამ შემთხვევაში არ გამოიჩინა თავისი ხელოვნება და შემძლებლობა, და არ მისცა ცოცხალ სხეულებს ისეთი თვისება, რომ იმათ არ დასჭირებოდათ თავისი უცვალებელი შედგენილობის განახლება და ისე გამოეჩინათ სიცოცხლის მოვლენები. მაშინ ცხოველები იცოცხლებდენ მშვენიერად, უდარდელად და გაუჭირებლად, და არ ჩავარდებოდენ იმ უწყალო კანონის ხელში, რომელიც ეხლა მოითხოვს იმათგან ნიადაგ ჭამასა. მაგრამ ბუნება, როგორცა ჰსჩანს, თუ სულ უძლური არა, ნამეტნავად ძლიერი და ხელოვანი მაინც არ ყოფილა. ორგანული სიცოცხლის წარმოებისათვის ის ხმარობს ბევრ ძალას, ბევრ ღონეს და აჩენს სიცოცხლესა ძლიერ გრძელი და რთული შრომით.

ყოველი ცოცხალი სხეული ჰსძლებს მხოლოდ რამდენიმე განსაზღვრულ ხანს, რომლის შემდეგ სიცოცხლე იმას აღარ შეუძლიან. ამ სხეულის საშუალებით ბუნებას აღარ შეუძლიან სიცოცხლის მოვლენების წარმოება, ეს სხეული აღარ ვარგა სასიცოცხლო საშუალებად, ბუნებას არ შეუძლიან ამისი განახლება და არც პირდაპირ ამისი შეკეთება; არ

შეუძლიან, რომ ესევე სხეული აცხოვროს რამდენიმე, ან ორი, სასიცოცხლო ხანი: სხეული უთუოდ კვდება ერთ სასიცოცხლო ხანს შემდეგვე და იმისი პიროვანი სიცოცხლის მოვლენები მოისპობიან. მკვდარი სხეული ჩამოდის უმდაბლესს ხარისხზედ, ის დაიშლება, იმისი შემადგენელი ნაწილები მიიღებენ ხელ-ახლა უორგანო ნივთიერების სახეს. ამბობენ, რომ დაშლილი ორგანული სხეულიდამ ჩნდებაო ახალი სიცოცხლე, იბადებიანო ახალი სხეულები; მაგრამ ეს ახალი სიცოცხლე პირდაპირ დაშლილი ცხოველების ნაწილებიდამ არ წარმოებს, თვითონ ეს ნაწილები არ ცხოვრებენ, ამათ აღარა აქვთ სიცოცხლე, ამათ შეუძლიანთ მხოლოდ, რომ სხვა ცოცხალი სხეულების საზრდო გახდნენ, იმ სხეულებისა, რომელნიც არც მკვდარი სხეულის შეწევნით და არც იმისგან არ დაბადებულან. ახალი სხეულები იბადებიან მხოლოდ ცოცხალი სხეულებიდამ, მაგრამ ამ ცოცხალი სხეულებისათვისაც საჭიროა, რომ რამდენიმეჯერ გაიზარდონ და დასრულდენ, თორემ ისე არ შეეძლებათ დაბადონ ახალი თავისი მსგავსი სხეულები. როგორათაც სხეულს არა აქვს ნიადაგი სიცოცხლის მაწარმოებელი ძალა და რამდენიმე ხანს იქით ის უთუოდ ჰკვდება, აგრეთვე თითოეულ ნივთიერებას, რომელიც ამ სხე-

ულის შეადგენს, არა აქვს დიდი ხნის სიცოცხლე; ეს ნივთიერი ნაწილები მთელ სხეულზედ უფრო ადრე ჰკარგვენ სასიცოცხლო ძალასა; — რაკი სასიცოცხლო შრომას ერთხელ შეასრულებენ, მერმე აღარ ვარგან სხეულის სიცოცხლისათვის და ამისგამო უნდა მოჰსცილდენ სხეულის შედგენილობას და გარეთ გამოვიდენ. სიცოცხლის მაწარმოებელი ძალის ხელ-ახლად შემოკრებისათვის ეს გამონაკვალი ნაწილები მრავალჯერ უნდა გადასხვაფერდენ სხეულს გარეთ, რამდენჯერმე შეიცვალონ თავისი შედგენილობა, შევიდნენ და გაცოცხლდენ რომელსამე მცენარეში, გაკეთდენ ახალ საზრდოთ და მერმე შევიდენ ცხოველის სხეულში. ერთი სიტყვით, მკვდარი სხეულის ნაწილებმა ჯერ უნდა გაიარონ მთელი პირვანდელი ხარისხი მდგომარეობისა, გამოსცადონ ყოველივე ცვლილება, — და მხოლოდ მაშინ შეეძლებათ ხელ მეორედ განიმეორონ პირვანდელი სასიცოცხლო შრომა.

აი, რამდენი ძალა და მუშაობა ეჭირება ბუნებას იმისათვის, რომ ნივთიერებას სიცოცხლის მაწარმოებელი ძალა მისცეს; მაგრამ ნივთიერება ძალიან ჩქარა ჰკარგავს ამ თვისებასა და ბუნებამ ხელმეორედ უნდა დაიწყოს გრძელი და რთული მუშაობა იმის გასაცხოველებლათ. იმის გამო, რომ ბუნებას

არ შეუძლიან მისცეს ნივთიერებასა ხანგრძლივი სასიცოცხლო თვისება, ჩვენ ნიადაგ უნდა ვსჭამ-დეთ, ნიადაგ უნდა ვაძლევდეთ ჩვენს სხეულს მასალას, რომელიც იმან უნდა გადააკეთოს და ამით სიცოცხლე აწარმოოს. ჩვენი სხეული არის სახე-ლოსნო, ანუ დიდი ქარხანა, სადაც შეუწყნარებელი მუშაობაა: ამ მუშაობის ნაყოფი, ე. ი. სიცოცხლის მოვლენები, წარმოებს ყოველ წამს, მაგრამ იმ წამშივე ისარჯება და ქრება; და ამისგამო ახალი ნაყოფისათვის საჭიროა ახალი მასალა. სიცოცხლის საწარმოებელი მოქმედება ძლიერ რთულია; შეიძლებოდა, თუ არა, უფრო მარტივი მოქმედებით სიცოცხლის წარმოება,— ამ კითხვას მნიშვნელობა არა აქვს;— თუ ბუნება ამ შემთხვევაში აგრე მოიქცა, ეს იმის ნიშანია, რომ იმას არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო. ჩვენ ვერ შევსცვლით იმას, რაც ბუნებას კანონად დაუდვია, ყოველი მისი კანონი ჩვენთვის აუცილებელია,— ჩვენ უნდა ვმორჩილებდეთ იმის კანონებს, ჩვენ უნდა გვქონდეს ისინი მხედველობაში.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მარტო ერთი ნუგეში: ჩვენ შევიტყეთ ამ აუცილებლობის კანონის ნამდვილი შინაარსი და მიზეზოვნებითი მნიშვნელობა, შევიტყეთ, თუ რატომ არის ეს კანონი აგრე უწყა-

დო და რა მოსდევს იმის აუსრულებლობას; და ეს გვიგვეთ ჩვენ იმ ფიზიკური კანონის შემწეობით, რომელსაც ეძახიან მოქმედი ძალების, ანუ ცხოველი ძალების განუქარვებლობას. ეს კანონი ამბობს, რომ ძალის არაფრისაგან დაბადება, ანუ გაჩენა, შეუძლებელიაო, რომ ძალა განუქარვებელიაო ე. ი. ერთი ძალა არისო გადასხვაფერებული მეორე,—რომ ძალა არ ჰქრებაო, ის მხოლოდ სხვაფერდებაო, და გვეჩვენებაო სხვა ძალად, და რომ პირვანდელი, ანუ მწარმოებელი ძალა და იმისგან ნაწარმოები მეორე ძალა ყოველთვის თანასწორი არიანო. ძალის გაჩენა, ან განქარვება იმგვარადვე შეუძლებელია, როგორათაც ნივთიერი ნაწილების გაჩენა, ან განქარვება. ყოველივე დინამიკური, ანუ ძალოვნებითი მოქმედება და მოძრაობა, ყოველივე მუშაობა უნდა მომდინარეობდეს რომელიმე მეორე ძალისაგან, როგორც თავის მიზეზისაგან, ან, უკეთ ვსთქვათ, მეორე ძალისაგან წარმოებს მოქმედება და ეს მოქმედება არის ისევ ის ძალა, მაგრამ გადასხვაფერებული. ცხოველი სხეული, თავის სიცოცხლეში, ასრულებს ურიცხვ და მრავალგვარ მოქმედებას. ბევრ მეხანიკურისა და ფიზიოლოგიურს, მატერიალურს და ფსიხიურ მუშაობას. ამ მუშაობას ასასრულებლად საჭიროა ბევრი შემოკრებული სხვა-და-სხვა

ძალა, რომელიც ყოველ წუთში იხარჯება ამ მუშაობაზედ, ანუ იცვლება მუშაობად და იკარგება მხოლოდ სხეულისათვის. თვით უმცირესი სხეულის მოძრაობა, თვალის დახამხამება, თვალების მიმოტრიალება, სიტყვების გამოთქმა, თვით უმცირესი გონებითი შრომა, უბრალო ხედვა, თითქმის გაშტერებაც — არის სხეულისათვის მუშაობა. მაშასადამე ძალების ხარჯვა, — არის იმისთანა მოქმედება, რომლისათვის და რომლისგამო სხეულს ნიადაგ ეკარგება ძალები. ეს დანაკლისი უნდა შევავსოთ, უნდა შევიტანოთ სხეულში სამაგიერო ძალები, რომ სხეულს შეეძლოს სასიცოცხლო მუშაობის გაგრძობა. ამისთვის ჩვენ მივიღებთ საზრდოს. საზრდო არის სხვა-და-სხვა ნივთიერება, რომელშიაც შენახულია, შემოკრებილია პოტენციალური ანუ შეკრული ძალები, რომელიც, სხეულში საზრდოს შესვლისათანავე, განთავისუფლდებიან, დაიწყებენ მუშაობას, შეიქნებიან მოქმედ, ანუ ცხოველ ძალებად. საზრდოს შემადგენელი ნივთიერება, ხიმიური ცვლილებისაგამო, ჰბადებენ სითბოსა, რომელსაც შეუძლიან სხვა ძალებად გარდაიქცეს. ამგვარად ჩვენ სხეულში უნდა იყოს მუდამ ხიმიური შეერთება და გაცალკევება, რომლისგამო წარმოებს სითბო, ეს საზოგადო საუნჯე საიდანაც ჩვენი სხეული მიიღებს ყოველივე

ძალას. მაგრამ ყოველი ნ ივთიერება; რომელიც, ხიმიური ცვლილების დროს, აძლევს ჩვენ სხეულს შემოკრებილ სითბოსა, ან, უფრო საზოგადოდ ვსთქვათ, რომელიც ათავისუფლებს შემოკრებილ პოტენციალურ ძალას, ჰკარგავს ამ ძალას, შეიქნება უძლური, უსარგებლო სხეულისათვის, რადგანაც სხეულს არ შეუძლიან მიიღოს პირდაპირ ამავე ნივთიერებისაგან ახალი ძალა. ამისთვის საჭიროა, რომ სხეულში შევიტანოთ ახალი ნივთიერება, სავსე შემოკრებილი პოტენციალური ძალებითა, უნდა მივიღოთ ახალი საზრდო. ჩვენი სხეული მიიღებს საზრდოთი ნახშირ-წყალბადიან ნივთიერებებს, და ჰაერიდამ მიაქვს მას მჟავბადი. სხეულში მჟავბადის ნახშირბადთან შეერთებით კეთდება რთული ნივთიერება—ნახშირმჟავა, და ეძლევა ჩვენ სხეულს სითბო. ამგვარად მჟავბადს და ნახშირბადს დაეკარგათ თავისი პოტენციალური ძალა, და იმათი შეერთების ნაყოფი არის უძლური და უსარგებლო სხეულისათვის ნივთიერება, რომელიც გამოსუნთქვას გარეთ გამოაქვს, მაგრამ მცენარები შლიან ამ რთულ ნივთიერებას—ნახშირმჟავას, ე. ი. აძლევენ მჟავბადისა და ნახშირბადს სითბოს ანუ პოტენციალურ ძალასა, რომელიც იმათ დაეკარგათ ცხოველ სხეულში შეერთების დროს. მაგრამ მცენარე საიდამ

მოუვლობს ამ ძალას? თვითონ ის ხომ ვერ დაბადებს ამ ძალას? მცენარე მიიღებს ამ ხითოვოს მზის სხივებისაგან; ამიტომ რომ მცენარეს მხოლოდ მზის სხივების შემწეობით შეუძლიან დაშალოს რთული ნახშირმჟავა, ან სხვაფერ ვსთქვათ, დაუბრუნოს მჟავბადს და ნახშირბადს დანაკარგი პოტენციალური ძალა. ამგვარად ცხოველ სხეულში მუდამი მუშაობაა, მუდამი განთავისუფლებაა პოტენციალური, ანუ შეკრული ძალებისა ნივთიერი შეერთებით და დარღვევით და იმ ნივთიერების მაგიერ, რომელთაც თავისი ძალა სხეულს მისცეს და იმის გარეთ გამოვიდნენ, უნდა შევიდნენ სხეულში ახალი ნივთიერებები, შეკრული ძალებითა, რომელნიც იმათ მიიღეს სადმე სხეულს გარეთ. აი იმისი განმარტება, თუ რისთვის უნდა იყოს სხეულში ნიადაგი ცვლილება, თუ რისთვის უნდა გამოდიოდეს იქიდამ ერთი ნივთიერება და შედიოდეს შიგ მეორე, თუ რისთვის სხეული თითქმის ნიადაგ უნდა ჰსჭამდეს და ჰსვამდეს...

## II

რადგანაც საზრდო და იმისი ცვლილება არის მიზეზი ყველა სიცოცხლის მოვლენისა, რომელიც კი მოხდება ჩვენ სხეულში, ამისათვის შეიძლება რომ

საზრდოს სიცოცხლის დედა-ბოძათ, ანუ საფუძვლად ვსთვლიდეთ; ყოველივე ჩვენი მოქმედება, როგორც უმარტივესი, ისე ურთულესი და უმაღლებულესი, დამოკიდებულია უმთავრესად იმაზედ—აქვს, თუ არა ჩვენ სხეულს საზრდო. კაცურად, ანუ რიგია-სად მოქმედება ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ სხეულს აქვს საკმაო საზრდო. ეს ისეთი ცხადი და უბრალო ჭეშმარიტებაა და ამასთან ისე-თი ძველი და გადაცვეთილი, რომ ამისი დამტკი-ცება, ზოგიერთის აზრით, იქნება საჭიროც არ იყო. მაგრამ ეს ჭეშმარიტება ჩვენ ძლიერ ხშირად გვავი-წყდება და აქედამ წარმოსდგება ბევრი უსამართლოება. კაცისგან სასტიკად და უსათუოდ მოითხოვენ, რომ იმან რიგიანად იმოქმედოს და არ აქცევენ ყურად-ღებას—არის, თუ არა იმისი სხეული საზრდოებით დაკმაყოფილებული. მრთელი კაცობრივი ცხოვრება დამოკიდებულია საზრდოზედ; კაცთა შორისი მიმა-რთობები დამყარებული არიან საზრდოზედ და შე-თანხმებული ამასთანვე. კაცობრივი საზოგადოების უძხილობელესი პირდაპირი მიზანი იმაში მდგომა-რეობს, რომ საზოგადოების თითეულ წევრს ერგოს საკმაო საზრდო, რომ თითეული იმათგანი უშიშრად და მოსვენებით სარგებლობდეს თავისი წილი ლუკმა პურით; საზოგადოების კანონები გარეთვიან უმ-

თავრესად საზრდოს განაწილებაში და იმის განწყ-ებაში, თუ ვინ ვის უნდა მისცეს საზრდო და ვის-გან უნდა ღებულობდეს იმას; ქვეყნის კანონები უყურებენ, რომ თითოეული კაცი სხვისგან შეუსუბე-ლად სარგებლობდეს იმითი, რაც იმას ოდესმე რგე-ბია, რომ სხვა არ შეეცილოს და არ წაართვას იმას საკუთრება და რომ, ვინც წაართმევს მოინდომებს, იმას გზა შეუკრან, ან ჯეროვანად დასაჯონ ისი. იმისთანა კანონი, რომ საზრდოს არ შეეხებოდეს, ბევრი არ არის, მაგრამ განმარტებით შეიძლება და-ვინახოთ, რომ ქვეყნის საზრდოზედ არიან დამყარე-ბული. საზრდოზედვე ჰკიდია უმთავრესად კაცის მდგომარეობას უწყალო მაწყალობა და სხვა და სხვა-ობა; იმაზედ არის დამოკიდებული სიმდიდრე და ძლიერება, სილარიბე და შეუძლებლობა: ვისაც ბევრი საზრდო აქვს, ის მდიდარია და გამოჩენილი, და ვისაც ნაკლებ—ის ღარიბია და უჩინარი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში საზრდო არ გვესმის თავისი ბუ-ნებითი ქერქით, ამის მაგიერობას ასრულებენ სხვა ნივთებით უფრო მოძრავი და ადვილად გადასატან-გადმოსატანი, მაგალითად, ფულები; მაგრამ ამ ნივ-თებს მხოლოდ იმიტომ აქვთ მნიშვნელობა, რომ იმათი შემწეობით ძლიერ ადვილი საშოვარია ყო-ველ გვარი საზრდო.

ყველა მეცნიერებას, რომელნიც კი შეისწავებენ კაცობრივ მოქმედებასა და მიმართობებს, უნდა ჰქონდეთ მხედველობაში, — თუმცა ისინი ხშირად ივიწყებენ, ამას, — რომ აუცილებელი მიზეზი და მმართველი ამა მოქმედებისა და მიმართობებისა არის საზრდო; თითეული თავისი აზრი და კანონი არ უნდა გამოჰს-თქვან უიმისოთ, თუ ზედ არ დაამატეს, ან არ იგულისხმეს, ერთი პირობა: თუ კი აქვს საზრდო კაცსა, ავილოთ, მაგალითად ძალიან განშორებული მეცნიერება — ესტეტიკა; ეს მეცნიერება ამბობს, რომ ამა და ამ მშვენიერ ნივთისა, ანუ ბუნების მოვლას, ანუ ხელოვნების ნაწარმოებს ყოველთვის აქვსო ესტეტიკური მოქმედება კაცზედ, ამ აზრის თოლოს დახმულია წერტილი და შემდეგ გასიგრძობა ჰსჯა ესტეტიკური ზაგნებზედ, მაშინ როდესაც ამ აზრის შემდეგ უნდა ყოფილიყო მძიმე და დამატება: რასაკვირველია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კაცს საზრდო აქვს და რიგიანად გამაძღარია. ზნეობითი ფილოსოფია პირდაპირ ამბობს, რომ კაცის ვალია შეიწყალოს თავის მოყვასს, მაგრამ აქ უნდა დაემატება, თუ კი თვითონ აქვს საზრდო. მეორე ზნეობითი კანონიც უსათუოა: კაცი არ უნდა შეეხოს [illegible], რაც იმის მოყვასისარის, ქურდობა

კანონის წინააღმდეგია და იმისთვის კაცი არ უნდა იპარავდეს ი . . —…

კაცის კვლა საშიშარი დანაშაულობაა, მაგრამ ის დანაშაულობის უსათუო ხასიათს ჰკარგავს და შესანდობარი შეიქნება, მაშინ, როცა კაცი იმითი თავის საკუთარ სიცოცხლეს მკვლელობისაგან იცავს. ამ გვარადვე, იქნება ზოგიერთ შემთხვევაში კაცს იმიტომ მოეპაროს, რომ იმას მიუცილებლად საჭირო საზრდო არა ჰქონდა და შიმშილით სიკვდილისაგან ხსნა სურვებია. ცხადათ სჩანს, რომ ამ გვარ შემთხვევაში კაცის დანაშაულობა ძლიერ დიდი არ უნდა იყოს და კიდევაც ზოგჯერ შეიძლება მიეტევებოდეს მას; მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან იშვიათად ვიცით კაცის შებრალება, რადგანაც ქურდობას ზნეობის მხრით ვუყურებთ და ამ მხრით ქურდობა მართლა დანაშაულობაა; მაგრამ საზრდოს საჭიროებას რომ არ ვივიწყებდეთ, ჩვენ სხვა ნაირად მოგვეჩვენება ეს დანაშაულობა. კანონსა და სასამართლოს ყოველთვის მხედველობაში აქვთ ეს კაცობრიული აზრი: საკუთრების დამარღვეველ დანაშაულობათათვის დაწესებულია სასჯელის შემასუბუქებელი გარემოებები და ერთი ამათგანი არის უკიდურესი გაჭირვება, შიმშილით კაცის შემაწუხებელი.

ესევე უნდა ვსთქვათ ყველა ზნეობით მოქმედება-ზედაც: ხშირად ჩვენ რომელიმე მოქმედების მიზე-ზი გვგონია ზნეობითი სიწიერება და ბოროტ-განზ-რახულება და იმისგამო შეუბრალებელი სისასტიკით ვეპყრობით მოქმედ პირსა; მაგრამ ჩვენ კარგად რომ-გამოვიკვლიოთ მოქმედი პირის ყოფა-ცხოვრება, ადვი-ლად მივხვდებოდით, რომ ამ ბოროტმოქმედების ნამდვილი მიზეზი არის საზრდოს უქონელობა,—და მაშინ ჩვენი უსამართლო სისასტიკეც შეზომიერდე-ბოდა. თუ მუშა-კაცი ცუდათ მუშაობს, და მოსწავლე გულმოდგინებით არა სწავლობს, ჩვენ მაშინვე ამას ვამბობთ, რომ ისინი ზარმაცები არიან და ვსჯით იმათ საზრდოს დამცრიებით,—პირველს ქირას უკლებთ და მეორეს უსადილოთ ვტოვებთ; მაშინ როდესაც იქნება კარგი და შრომის-მოყვარე კაცები გამხდარიყვნენ, თუ რომ ჩვენ იმათ სხვა ნაირად მოვ-ეპყრობოდით. ე. ი. კარგათ გაგვეძღო ისინი და დაგ-ვეჩინა ამ გვარადვე ყოველთვის. თუ ხელქვეშე თავის უფროსს უზრდელათ ექცევა, არ ასრულებს მის ბრძანებებს და კანონებს, შეიძლება, რომ ეს თავ-ხედობისგამო და კანონის წინააღმდეგობის-გამო სრულიადაც არ მოსდიოდეს მას, არამედ საზრდოს უქონელობისგამო. მშიერი უფრო მგრძნობიარეა, ამას არ შეუძლიან გულდამშვიდებით და მიუდგომლად მოქცევა; ყოველივე უსამართლობა ძლიერ მოქმედებს იმაზედ და იზიდავს თვითონ იმას უკანონობის-

ლმა; მართალს ამბობენ, რომ შიმშილს უფრო ბევრი არეულობა მოუხდენია, ვინემ დაუწყნარებელი კაცების პატივის-მოყვარებას. მართლაც, ძველად არეულობის დროს ხშირად იძახოდნენ: «პური! პური!» საზოგადოდ შეგვიძლიან ბევრითაც ვსთქვათ, რომ რაც ქვეყნებში ბოროტებაა, იმათგან დიდ ძალი საზრდოს უქონელობისაგან არის.

ამისთვის ყველა კაცობრივი მოქმედება უნდა განვსაჯოთ ჯერ საზრდოებითი პირობების მხრით, უნდა შევიტყოთ, ჰქონდა თუ არა მოქმედ კაცს საკმაო საზრდო, და თუ ეს პირობები რიგიანი იყვნენ, თუ მოქმედ კაცს საკმაო საზრდო ჰქონდა; მაშინ ჩვენ შეგვიძლიან მივჰსცეთ იმისი მოქმედებას ზნეობის სამართალსა ეს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ყოველ მეცნიერებას, რომელიც კი გაერთვის კაცობრივი მოქმედებების და მიმართობების გამოკვლევასა რასაკვირველია, ძლიერ მოსაზრებელი იქნებოდა, თუ რომ იმათ, როგორც ზევითა ვჰსთქვი, ყოველ თავის აზრთან მოეხსენებიათ პირობა — თუ ს ა ზ რ დ ო ა ქ ვ ს ო; მაგრამ იმათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ეს პირობა და დაეკვირებოდნენ იმას, რომ იმათი აზრები ნამეტნავად უსათუოდ არ გამოვიდნენ. განსაკუთრებით ისტორია, რომელიც გამოსახავს წარსულს კაცობრიობის ცხოვრებას,

ყურადღებას უნდა მიაქცევდეს კაცობრივი ცხოვრების პირობასა და სასურველს, ე.ი. საზრდოს. ვინც კარგათ გაიგო რომელიმე დროების საზრდოებითი პირობები და გარემოებები, იმას გაგებული აქვს იმ დროების ისტორია, თუ სულ არა, უმეტესი ნაწილი მაინც. ყოველი ხალხი თავდაპირველად იმას ასრულებს, რასაც იმისგან სიცოცხლისთვის მიუცილებელი საჭიროება მოითხოვს და ამგვარ საჭიროებათაგან ყველაზედ მიუცილებელია საზრდო; თითოეული ხალხი ცდილობს, რომ სხვა ხალხებთან იმისთანა საქმეები დაიჭიროს, რომ იმის კეთილმდგომარეობას გამოადგეს, ე. ი. გააუმჯობესოს უმთავრესად იმისი საზრდოებითი პირობები, მისცეს მას რამდენიც შეიძლება მომეტებული საზრდო: თუ ხალხი თავის ნებით ომობს, თუ ის მეორე ხალხსთავს ესხმება, ან მტრებს იგერებს, ომობს უმთავრესად იმიტომ, რომ გაამრავლოს თავისი საზრდო, ან არ შეამციროებინოს ის სხვა ხალხებმა. ამგვარადვე შეიძლება ავხსნათ შინაგანი საქმეებიც; განსხვავება სხვა და სხვა წოდებას შორის არის განსხვავება იმათი სყელრი საზრდოის რაოდენობას შორის. ის წოდებები, რომელთაც საზრდო ნაკლებად აქვთ, უმტერებიან იმათ, ვისაც ის მომეტებული აქვს, და ვისაც ბევრი აქვს, ისინი ცდილობენ, რომ რაც

შეიძლება კიდევ უფრო მეტი საზრდო ჩაიგდოს ხელში, ან წაიღოს უქონელებისაგან; ამგვარათ გამართულია იმათ შორის ნიადაგი ომი საზრდოს გულისათვის, ომი პატრიციებსა და პლებიებს შორის, მდიდარსა და საშვალო წოდებას შორის საშვალო და უმდაბლეს წოდებას შორის. თითქმის გონებით გასხნასაც ძლიერ ხშირად აღძრავს და დიდად შველის საჭიროება საზრდოისა, რომელიც იმისთვისაც თავდაპირველი გარეგანი პირობა არის; ამას ეთანახმება ერთი ანდაზა: გ ა ჭ ი რ ე ბ ა მ ი ჩ ვ ე ნ ე, გ ა მ ც ე ვ ა ს გ ი ჩ ვ ე ნ ე ბ ო! რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, ვითომც მარტო საზრდო იყოს კაცობრიობის ცხოვრების მიმმართველი; არის სხვა მიზეზებიც, რომელნიც აღძრვენ და მიმართვენ ისტორიული ცხოვრების მსვლელობასა, მაგრამ იმის უარყოფაც არ შეგვიძლიან, რომ საზრდო არის ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი.

როგორც საზოგადოების, ისე განცალკევებული პირის, ანუ თითოეული კაცის ცხოვრება ტრიალობს საზრდოს გარეშემო. კაცისათვის საჭიროა ნიადაგი ჭამა, ამისთვის ის მუდამ საჭმელზედ ფიქრობს, მუდამ იმისთვის იღვწის და ეს ზრუნვა უპირველესია. მხოლოდ მაშინ, როცა ის საკმაო საზრდოს იშოვნის და გულს დაიმშვიდებს, იმას

შეუძლიან იფიქროს სხვა რამეზედაც: თვით უმაღლესულესს კაცის მოქმედებას, საზოგადოების სასიკეთოდ, ან სხვა რამე უმაღლესი მიზნის მისახვედრად, ყოველთვის აკლდება რამდენიმე ზნეობითი ელვარება იმისგამო, რომ მოქმედ პირს მხედველობაში აქვს სხვათა შორის საზრდოს მოპოვება, ანუ სხვა რამე ქვეყნიერი საზრდოზედ გასავალი სიკეთის მოვნა: მეცნიერი, პოეტი, ხელოვანი, მოხელე, ექიმი, როგორიც სულიერი, ისე ხორციელი, ერთი სიტყვით, ყოველი კაცი თავის სახელო საქმეს ასრულებს ერთის მხრით ლუკმა პურის გულისთვის, მაშასადამე ყოველივე კაცის მოქმედება არის დიდად, ან ცოტად ანგარიშული. უანგარო მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კაცს ლუკმა პური საზრუნველად არა აქვს; ამისგამო საზოგადოება ყოველთვის სარჩოს აძლევს იმათ, ვინც იმას ემსახურება და ამათ უანგარო კაცს ეძახიან, თუ რომ მთელ თავის შრომას საზოგადოებას შესწირავენ და რასაც იმათ საზოგადოება აძლევს, იმაზედ მეტ გამორჩენის არა ეძებენ. ყოველი კაცის მოქმედება რომ ანგარიშულია, იმას ის ამტკიცებს, რომ კაცი იმა ჟამშივე სტოვებს მოქმედებას, თითქმის უმაღლესულესსა და სასახელოს, როცა დაატყობს, რომ

ეს მოქმედება არ აძლევს მას საზრდოსა და მიმართავს სხვა წარჩოს მომცემ მოქმედებას; ძველი რომის უპირველესი მოქალაქე სიხარულით გაცვლიდა თავის უპირველესობას, თუ რომ ეს საზრდოს მომცემი არ ყოფილიყო, უკანასკნელ ადგილზედ სოფელში, ოღონდ ამ ადგილს კარგათ ეჭამა ისა. ამგვარი ანგარება სრულიადაც დასაძრახი არ არის, ამიტომ, რომ ამას მოითხოვს ბუნებითი აუცილებლობის კანონი. თუ სიცოცხლის გასაგრძელობად კაცმა უნდა საზრდოოს თავისი სხეული, როგორც შეიძლება, რომ ის შეაჩერდეს ულუკმა-პურო მოქმედებას, რომელიც იმას ვერ იცოცხლებს.

ამგვარად საზრდოს რაოდენობა არის კაცის ცხოვრების გამსაზღვრელი, როგორც გარეგანისა ისე ხშირად შინაგანისაც; კაცი მიდის იქით და იმ მდგომარეობას ირჩევს, სადა იმას საზრდოობის იმედი აქვს, — ეს გარეგანი ცხოვრების განსაზღვრაა. კაცს შეუძლიან გაიხსნას თავისი სხვა-და-სხვა უმაღლესი ნიჭიერება, ანუ განათლდეს მხოლოდ მაშინ, როცა იმას აქვს სხვისგან შემონახული საზრდო, სამყოფი მთელი იმ დროების გამავლობაში, რომელიც ხა-

ჭირთა განათლების მიღებისათვის,— ეს არის მინაგანი ცხოვრების განსაზღვრა. სწავლაში გართვა და ამასთანავე ყოველის ღონისა და ნიჭიერების საზრდოის მოპოებაზედ მოხმარება მოუხერხებელია და გამოუსადეგარი; ამ შემთხვევაში არც საკმაო საზრდოს შოვნა შეიძლება, და არც საკმაო სწავლის მიღება, თითქმის შეუძლებელიც არის სწავლა. ერთხელ ჩვენში შიშით ამბობდენ: ყველა გლეხი რომ სწავლას შეუდგესო და უნივერსიტეტში შევიდესო, პური და ღვინო ვინღა უნდა მოიყვანოსო? ამას იმიტომ ამბობდნენ, რომ მშიშრები საზრდოებითი პირობებზედ ყურადღებას არ მიუქცევიათ. იმათ რომ ეს მსჯელობიდამ არ გაეშვათ, ადვილად დაინახავდენ. რომ უნივერსიტეტში შესვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა შემსვლელს მზად აქვს საზრდო, განათლების მასალები დროების სამყოფი. მოსწავლე, რომელიც სასწავლებელში მიდის და ხურჯინი ბოხჩით, ან აბგით წიგნებთან და რვეულებთან მიაქვს პურის ნატეხი ან სხვა რამე საჭმელი, არის საზრდოებითი პირობის ცოცხალი მაგალითი. როცა გლეხები უნივერსიტეტში შეიკრიბებოდენ და დაატყობდენ, რომ იმათ საზრდო აკლიათ, მაშინვე აუდიტორიებს მიატოვებდენ და მიმართავდენ ბუნების წიაღს, მოუძებოდენ დედა-მიწას და

წიგნების მაგიერ ხელს წაავლებდნენ სამუშაო იარაღებს; არათუ გლეხები, სხვებიც მიატოვებდნენ უნივერსიტეტსა, რაკი საზრდოს უქონელობას იგრძნობდნენ. ამისთვის საზრდოებითი პირობები იმათაც უთუოდ მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, ვინც განათლების გავრცელებისათვის ზრუნავს.

საზრდოს რაოდენობას აქვს რამდენიმე მოქმედება ჭკუის და ხასიათის გახსნის თვისებაზედ; ჯანმრთელი ჭკუა შეიძლება იყოს მხოლოდ ჯანმრთელ სხეულში, ამბობს ერთი რომაული ანდაზა; თუმცა, რასაკვირველია, სხეულის ჯანმრთელობა მარტო საზრდოზედ არა ჰკიდია, მაგრამ საზრდოსაც აქვს ჭკუაზედ გავლენა. მოლეშოტი ამბობს, რომ თუმცა გრძნობა საზრდოს საჭიროებისა განსაკუთრებად ჰკლებულობისა მაშინ, როცა ჩვენ გონებით მოქმედებაში ძალიან ჩაღრმავებული ვართ, მაგრამ მშვიდობიანად მსჯელობას ისე არ ავნებს რაო, როგორათაც შიმშილი. ეს ჩვენ ადვილად გვჯერა. ვისაც საკმაო საზრდო აქვს, მხოლოდ იმას შეუძლია გულ-კეთილობა, კეთილ-მოქმედება, მართლ-მსაჯულება, მოყვასის შეწევნა; რასაკვირველია, არიან იმისთანა კაცებიც, რომელნიც თავისი აზრებისა და უმაღლესი მიზნების გულისათვის სრულიად ვიწყებენ საზრდოსა და იტანენ შიმშილს; ახისი

იმნაირად გაზრდილან, რომ შიმშილით მოკვდებიან და თავის განზრახულებაზედ ხელს არ აიღებენ; ამგვარი ნებითი შიმშილისა, თითქმის ნებით შიმშილით მოკვდომის მაგალითებიც არის, მაგრამ ამ მაგალითების მნიშვნელობას ეთანასწორება სხვა, ვგონებ, უფრო მრავალი მაგალითების მნიშვნელობა, რომელნიც გვამცნევენ, რომ საჭმელის უქონლობა აიძულებს კაცს ყოველივე უკანონობას, ან ზნეობას, რომ კაცი შიმშილისაგან მხეცზედ უარესი შეიქნება. შიმშილი უთრგუნავს მას სინიდისსა და გონებას, ერთი სიტყვით, ყოველივე კაცობრიულ, თითქმის ცხოველურ გრძნობასაც. არ არის იმისთანა ბუნების წინააღმდეგი და საშინარი ბოროტება, რომელიც არ ჩაიდინოს მშიერმა; მშიერი დედა გამგელებული მივარდება თავის შვილსა და იმის ხორცს შთანთქავს!

აქამდის ჩვენ სულ საზრდოს რაოდენობაზედ გვქონდა ლაპარაკი; მაგრამ საზრდოს ვითარებასაც აქვს აგრეთვე მოქმედება კაცის სხეულისა და იმის გონებისა და ხასიათის გახსნაზედ. აი რას ამბობს ამაზედ მოლეშოტი:

„საზრდოთ გარეული კატა შინაურად გადაიქცა. გარეული კატა ხორცის მჭამელი, მოკლე ნაწლევებიანი ცხოველი; იმას შეუძლიან მხოლოდ ხორცე-

ჟღის მონელება. მაგრამ საზრდოს ცვლილებამ კატა გრძელ ნაწლევებიან ცხოველად გახადა; ახლა ის ადვილად ინელებს მცენარეულ საჭმელებს, რომელთაც ატანა გარეულობაში იმას არ შეეძლო.

ყველა ცხოველზედ უფრო მტაცებელი და ცბიერი ცხოველი საზრდომ გახადა მშვიდ ცხოველად, რომელსაც უშიშრად და უვნებლად ეთამაშებიან პატარა ბავშვები და რომელშიაც იშვიათად და მხოლოდ უფრადღებიანი კაცი დაინახავს გარეულობისაგან დანაშთენს ცოტაოდენ ცბიერობასა და მხეცობას.

ამის შემდეგ, რა გასაკვირველი უნდა იყოს, თუ ფიცხი და მშვიდი, ლონიერი და უღონო, მამაცი და მხდალი, გონება-გახსნილი და გაუხსნელი ხალხები შეიქმნენ ამგვარი იმ საზრდოსაგან, რომელსაც ისინი უფრო ხშირად ხმარობდნენ.

თუ ჩვენი სისხლი საზრდოსაგან კეთდება და სისხლისაგან წარმოებს ჩვენი ნაკუთვნები, ჩვენი ტვინი და ნერვები, თუ ჩვენ არ უნდა გვჯეროდეს, რომ გულის სიფიცხე, ნაკუთვნების ლონიერება, ძვლების სიმაგრე, გონების სიმკვირცხლე დამოკიდებულია საზრდოს გვარზედა?

ვინ არ იცის, რომ შემმაღი კაცს ასუსტებს, რომ მაგარი ყავა აამღელვარებს, რომ კარგი ღვინო განაცხოველებს? ვინ არ იცის, რომ მრავალი მშ-

ხიერი პოეტური ნაწარმოები არის ღვინის ნაყო-ფი?»

ჭკვლდა კი ძალიან შესაძლებელია და საზრდოს ვითარებასა და გვარს დიდ-ძალი მოქმედება აქვს კაცზედ; მაგრამ ეს გავლენა ისე ადვილად დასანახა-ვი და ცხადი და ისე უსაშველო არ არის, რო-გორც საზრდოს რაოდენობის გავლენა. საზრდო, რა გვარიც უნდა იყოს,—ჩვენთვის მაინც უმთავ-რესია, რომ იმას ჰქონდეს საკმაო რაოდენობა, ე. ი. იყოს იმდენი, რამდენიც საჭიროა სიცოცხლის გა-გრძობისათვის.

## III

ზემო ნათქვამისაგან ჩანს, რომ საზრდოს ძა-ლიან დიდი მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრებაში; მაგრამ იქნება ვისმე ეჩვენოს, რომ წინანდელ სჯა-ში საზრდოს მნიშვნელობას ნამეტნავად ვადიდებდე; მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ საზრდოს მნი-შვნელობა ვითომც მართლა გამედიდებინოს, არა-მედ იმიტომ, რომ მე არ მომიხსენებია სხვა პირო-ბები, რომელნიც ჩვენი სიცოცხლისათვის აგრეთვე აუცილებელი არიან, მაგალითად ტანსაცმელი, სადგო-მი და სხვა ზნეობითი მოთხოვნილება და გარე-მოება. იმ დიდძალი მნიშვნელობის წინააღმდეგ,

რომელიც ცხოვრებაში აქვს საზრდოს და საზოგადოდ ნივთიერებით კეთილმდგომარეობას, ჩვეულებრივ იტყვიან, რომ კაცი მარტო პურით არ ცხოვრობსო, რომ თითქმის იმისი ნივთიერებითი მდგომარეობაც დამოკიდებულიაო ზნეობითზედ. ყველა ეს მართალია და წინააღმდეგის თქმა არ შეიძლება მეტი არა არის, რომ ზნეობა დამოკიდებულია საზრდოზედ და საზრდო ზნეობაზედ; მაგრამ უპირველესი საჭიროება ჩვენი სიცოცხლისათვის არის საზრდო, — ჯერ ამ მხრით უნდა დაკმაყოფილდეს ჩვენი ბუნება; სხვა სასიცოცხლო საჭიროებებიც არიან, მაგრამ მათი დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ საზრდოებით დაკმაყოფილების შემდეგ. მოხდება, რომ კაცს ბლომად აქვს საზრდო, მაგრამ კეთილ-მდგომარეობით მაინც ვერ იცხოვრებს. ამ შემთხვევაში პირველი ადგილი ზნეობით პირობებს უნდა მიეცეს, რადგანაც უპირველესი პირობები საზრუნველად არა გვაქვს. მაგრამ საიდგან წარმოებენ ეს უპირველესი პირობები? ვინ გვაძლევს ჩვენ საზრდოსა?

ბუნება გვაიძულებს, რომ ჩვენ საზრდოს ვეძებადეთ; ისევე გვაძლევს ჩვენ ამ საზრდოს, თუმცა ხელმოჭირებით. ბუნებას თითქოს განგებ დაუნიშნავს ჩვენდა საზრდოდ იმისთანა ნივთები, რომელნიც ქვეყანაზე ბლომად არ არიან. ჩვენდა საზრდოდ საჭი-

როა წყალი; ეს სხეულის მასალა ბევრია ქვეყანა-ზედ, — და ბუნება ამ მხრით მადლობის ღირსიც არის; წყალი თითქმის ყოველგან ადვილი საშოვარია, — ის ღარიბ ადგილებზედაც სამყოფად იშოვება. ქვეყანაზედ უწყლო ადგილებიც არის, მაგრამ ზოგი ადგილი გარდამეტებით წყლიანია. საკუთრად საზრდო, ანუ საჭმელი კი წყალზედ უფრო ნაკლებია; საზრდოს მომცემი მცენარე ქვეყანაზედ შედარებით ბევრიარ არის; ამას გარდა ესენიც თითქმის განგებ თავის-თავად არ იზრდებიან; იმათ მოსაყვანათ საჭიროა მთესველობა, მაგრამ დათესვაც ყოველგან არ შეიძლება, — ამისთვის საჭიროა ნოყიერი მიწა, ან უნაყოფო მიწის განო-ყიერება. ცხოველები, რომელნიც იჭმებოდენ, მცენა-რეებზედაც უფრო ცოტა არიან და იმათაც მოშენე-ბა უნდა; ამასთანავე, თუმცა ისინი ჩვენ საჭმელად გვარგიან, მაგრამ თვითონვე საკვებს ითხოულობენ და ამ გვარად ამცირებენ ქვეყანაზედ საზრდოსა; თუ ჩვენ იმათი ხორცით საზრდოება გვსურს, თითონ ისი-ნიც უნდა გვკვებოთ. ამ საზრდოს სიცოტავისა და კაცის საჭიროების შედარებამ ჩვენ ხელახლა უნდა დაგვამდუროს ბუნების უანგარიშობისა და მოუხერ-ხებლობისათვის. აბა, — რა უჭირდა ბუნებას, რომ ჩვენ-თვის ისისთანა საზრდო დაენიშნა, რომელიც ქვე-ყანაზედ ყოველგან ბევრია? რა უჭირდა, რომ კაცი-

ხათვის მიეცეს მას საჭმელად დედა-მიწა? მაშინ კაცები დაიწყებდენ მიწის ღრღვნასა, ქვიშისა, თიხისა, ქვებისა და მეტალების ჭამასა, და სხვ. ამნაირი მასალები ყოველგან ბევრი და გარდამეტებულიც იქნებოდა. ან ვერჩინეთ მზის სხივებით, რომელიც ყოველთვის და ყოველგან აგრე ბევრია, ან ჰაერით, რომელიც აგრეთვე საკმაო არის ქვეყანაზედ!—მაგრამ ბუნება სხვა ნაირად მოქცეულა, ეს საქმე ამას სხვა ნაირად გაუწყვია: ჰაერისთვის მიუცია საკუთარი დანიშნულება, აგრეთვე სინათლისა და მიწისთვისაც თავ-თავისი საქმე მიუცია. თუმცა ამათი დანიშნულება ცოტაოდნათ კაცსაც შეეხება, მაგრამ კაცის უმთავრესი საზრდო არც ერთი ამათგანი არ არის. ჩვეულს საზრდოდ ჩვენ დაგვრჩენია ისა, რითაც ეხლა ვიკვებებით და რითაც ქვეყანა აგრე ღარიბია.

მაგრამ, კაცის სანუგეშოდ, ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ გვარი ბუნების განკარგულება მშვენიერიაო: ბუნებამ კაცს განგებ დაუნიშნაო ნაკლები საზრდო, რომ იმითი ის მუშაობაზედ და შრომაზედ აიძულოსო; ბუნება ამ შემთხვევაში იქცევაო ისე, როგორათაც ბრძენი მასწავლებელი, რომელიც თავის მოწაფეს დამშვიდით აიძულებსო ბეჯითობაზედ. ამბობენ, რომ თუ კაცის საზრდო ისე უხვად ყოფილიყო ქვეყანაზედ, რომ იმას ყლაპვის მეტი არა დასჭირებო-

და რა, მაშინ ის გაზარმაცდებოდა, იმას აღარ ექნებოდა საზრუნველი, და სამუშაოს უქონელობისა-გამო შრომასაც თავს დაანებებდა. მაშინ კაცი ვერ მოახდენდა იმ საკვირველ საქმეებს, რითაც ეხლა კაცობრიობა ამაყობს და რაც არის მიუცილებლად საჭირო შრომის შედეგი, ე. ი. უშრომოდ კაცობრიობა ვერ შეიძლებდა თავის გონების და ხორციელ გაუმჯობესობას. იქნება მართლაც ვერ შეიძლებდა; ამის მთქმელს ჩვენ ვერ შევეცილებით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ისტორიკოსები წარმოგვიდგენენ მაგალითად იმისთანა ხალხებს, რომელთაც უცხოვრიათ საზრდოთი მდიდარ ქვეყნებში, საცა სასმელ-საჭმელი თითქმის უშრომელად იშოვება; ეს ხალხები ან სულ ვერ განათლებულან, ან გაჩერებულან ძალიან მდაბალ განათლების ხარისხზედ. მაგრამ ისევე ისტორიკოსები გვაჩვენებენ, რომ ზოგი ხალხი იმიტომ ვერ განათლდა, რომ იმას ძალიან ცოტა ბუნებითი საზრდო ჰქონდა და მთელ თავის დროს და შრომას საზრდოს მოპოებისათვის ხმარობდა. ამასთან ესეც უნდა დავამატოთ, რომ, ვინ იცის, იქნება კაცს თავისთვის სხვა რამე საქმეც მოენახა, თუ რომ იმას თავისი შრომა მარტო საზრდოს მოპოებისათვის არ ეტვირთა. ხომ არიან იმისთანა კაცები, რომელთაც საზრდო მზად და ბლომად აქვთ, მაგრამ

სიზარმაცეში არ ჩავარდნილან და გონებისა და სხე-ულის გამხსნელ საქმეებს გაერთვიან.—მაგრამ, რაც უნდა იყოს, ნამდვილი მაინც ის არის, რომ ბუნება ძალიან ხელმოჭერით გვაძლევს საცხოვრებელ ღონის-ძიებას და განსაკუთრებით საზრდოს. თუ არ ვიშრო-მეთ, ბუნება არ მოგვცემს არც ერთ ლუკმას, ის ჩვენგან ყველაფრისათვის შრომას მოითხოვს. თუ ჭამა გინდა, იშრომე და საზრდოს მიიღებო: პური იშოვება მხოლოდ ოფლის ღვრით, რაც უფრო ბევრს იშრომებ, უფრო მეტ საზრდოს იშოვი და უფრო კარგად ცხოვრება შეგეძლებაო,—ამ გვარია ბუნების კანონი. და ეს კანონი მართლა საფუძვლიანია; თუ საზრდო ქვეყანაზედ იმგვარი და იმდენი არ არის, რომ უშრომელად პირში გვცვივოდეს, თუ საზრდო ქვეყანაზედ არის თითქოს შენახულსავით და იმის მოპოვებისათვის საჭიროა შრომა,—მაშ იჭვი არ არის, რომ, ვინც ბევრს იშრომებს და ბევრს საზრდოს მოიპოვებს, იმას უფრო ბევრი საზრდო უნდა ჰქონ-დეს. კაცები მართლა შრომობენ, წელს იწყვეტენ იმისათვის, რომ ბუნების კანონი აასრულონ და შიმ-შილით არ მოჰკვდენ. მაგრამ აქედამ ნამდვილად რა გამოდის?

ერთის, თითქმის ზედაპირული თვალის გადავლე-ბით კაცის საზოგადოების მდგომარეობასა და

ცხოვრებაზედ ცხადად ჰხსნის, რომ ეს სახელგანთქმული კანონი შრომისა ვითომც კანონი სრულიადაც არ იყოს, ან იყოს იმისთანა, რომელსაც ძლიერ ბევრი გამორიცხვა აქვს, რომელიც მრავალჯერ ირღვევა. ხშირად არის, რომ ყველაზედ უფრო კარგი ცხოვრება და ყველაზედ უფრო ბევრი საზრდო იმათ აქვთ, ვინც ყველაზედ უფრო ნაკლებად შრომობს; კეთილმდგომარეობა ძნელი მისასწვდომია შრომით, ვინემ სხვა მრავალი გვარი ღონისძიებით, და იმისთვის კაცები შრომას ერიდებიან და სხვა ღონისძიებას ხმარობენ და ამისგამო შრომის კანონი განზედ რჩება. ჩვენ საზრდო ხანდისხან არ გვირიგდება შრომის ფარდით, არამედ სულ სხვა ანგარიშით....—

ვსთქვათ, რომ ერთ კაცს ფულები აქვს; ეს ფულები იმან ბანკში შეიტანა, ან სხვას ვისმე მისცა საჭაჭროთ; ამ ფულების სარგებლით იმას შეუძლიან ძალიან კარგათ იცხოვროს, სრულიად უშრომელად. ეს რასაკვირველია სამართლიანია, თუ იმან ეს ფულები შრომით შეიძინა და თუ ორი ულუფიდამ ერთს ჰსჭამდა და მეორეს ფულად აქცევდა; ამ შემთხვევაში სარგებელი არის თითქო იმისი პენსია წარსული შრომისათვის. მაგრამ კარგი, რომ ის ორ ულუფას ღებულობდა და ერთს ინახავდა. იქნება სხვასაც ნდომოდეს შენახვა, მაგრამ შესანახავი არაფერი აქვს, იმიტომ

რომ შრომაში იმას აძლევენ მარტო ერთს ულუფას, თითქმის ნასყვარს. მაგრამ, რა უნდა ვსთქვათ, თუ ფულიან კაცს ფული უშრომელად მიუდის? აი რა: ეს კაცი უშრომელად იცხოვრებს და სხვას კი, თუნდ ბევრიც იშრომოს, ლუკმა პური არ ექნება და ამგვარად შრომის კანონი დაირღვევა.

ავიღოთ, მაგალითად, მიწის მუშაკი, ანუ მხვნელ-მთესველი. შრომის კანონი ძალიან სასტიკად ეპყრობა იმას; ის ნამდვილად ოფლისა და სისხლის ღვრით შოულობს ლუკმა პურსა; იმის შრომა ყველაზედ უფრო დამღალველია და ამასთან შეუწყვეტელი, ასე რომ დილის შემოსაგრებად თითქმის ერთი წუთის მოსვენებას არ აძლევს იმას; იმას დრო არა აქვს სხვა რამეზედმე იფიქროს, ან მხიარულად დროს გატარებაზედ ან ზნეობითს გასხნაზედ, ან სხვა ამგვარზედ. თუმცა მიწის მუშაკი აგრე შრომობს, მაგრამ საზრდო კი ძლიერ ცოტა ეძლევა; თავის ხვედრი საზრდოსაგან რამდენიმე ნაწილს ის ხარჯავს სხვა საზრდოსავით საჭირო მოთხოვნილებაზედ, ამისთვის იმას ხშირად პური აკლდება და იმშევა. ეხლა დავხედოთ ვაჭარს; ისიც შრომობს და ფაცაფუცშია, მაგრამ იმისი შრომა ისე მძიმე და წელის—მომწყვეტი არ არის, როგორც ხვნა-თესვა; საზრდო კი ვაჭარს უფრო ბევრი ხვდება, ვინემ მხვნელ-მთესველსა. რაც იმან

ხარჯს გადარჩება, იმას ფულად აქცევს. იმას აქვს მოცალება და ფულები და სხვა-და-სხვა მხიარულებას გაერთობა. ამ ვაჭარს ჰყავს ნოქრები. ესენი თავის ალაგზედ უ ფ რ ო ბ ე ვ რ ს შრომობენ, მაგრამ სარჩო კი უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ა დ აქვთ, ვინემ ამათ ალას. თვითონ ნოქრები კი მხვნელ-მთესველებზედ და სხვა მუშებზედ უფრო ც ო ტ ა ს შ რ ო მ ო ბ ე ნ, მაგრამ სარჩო კი ამათ უ ფ რ ო მ ო მ ე ტ ე ბ უ ლ ი აქვთ. ბოლოს გავიხსენოთ ის ვაჭრები, რომელნიც სხვა-და-სხვა სავაჭრო საქონელს ნარდად ჰყიდიან. ისინი ყველა ვაჭარზედ უფრო ნაკლებად შრომობენ, მაშინ როდესაც იმათ ისე ბევრი სარჩო ხვდებათ, რომ ისინი ჰფლანგავენ სახარჯოდ სხვა-და-სხვა განცხრომაში გასართობელად, ერთი სიტყვით, მდიდრულად ცხოვრებენ და კიდევ იმდენი რჩებათ, რომ აუარებელ სიმდიდრეს იძენენ....—

საზოგადოდ კაცის ცხოვრებაში არის ბევრი სხვა-და-სხვა თვისების შრომა, მაგრამ სარჩოს შეძენა ამ თვისებებს არ ეთანასწორება. ამბობენ, მაგალითად, რომ ყოველივე შრომა სასიამოვნოაო; მაგრამ ბევრი იმისთანა შრომა არის, რომ ძლიერ უსიამოვნოა, თუმცა ამ უსიამოვნო შრომისათვის მუშა კაცს არ ეძლევა ყოველთვის მომეტებული სარჩო. მხატვარი, რასაკვირველია, შრომობს; მაგრამ იმისი შრომა არის

ხელოვნება, რომელიც იმას იზიდავს, ის დიდის კმაყოფილებით მუშაობს, ასე რომ თავის ბუნებას ხრულიადაც ძალას არ ატანს. არიან სხვა ბედნიერებიც, რომელნიც ლუკმა პურს შოულობენ იმგვარი შრომით, რომელიც იმათ ქსიამოვნებათ, ეთვისება იმათ მიდრეკილებას, იმათ აზრებს და სხვ. ეს შრომა არ არის იმათთვის შრომა, არამედ კმაყოფილება. მაგრამ არიან იმისთანა უბედური მშრომელები, რომელთათვის იმათი მასაზრდოებელი შრომა საზიზღარია, არ ეთანხმება იმათ ზნეობითს და ხორციელ ბუნებას; ისინი თავის თავს ძალას ატანენ და ამითი კიდევ უფრო იმატებენ შრომის მტანჯველ თვისებას. მაგრამ იმათ არ შეუძლიანთ, რომ ამ შრომასკენ ხელი აიღონ, იმათ ეშინიანთ, რომ საზრდო არ დაეკარგოსთ. არიან იმისთანებიც, რომელნიც უსინიდისო შრომასაც ჰკიდებენ; ამ შრომით ისინი თავის თავს და თავის კაცობრიულ ღირსებას უარჰყოფენ, ხშადან იმისთანა საქმესა, რომელიც იმათისავე აზრით საზარელია; და ამ უსინიდისობისათვის ისინი იღებენ გვარიან დიდძალ საზრდოს. ზოგი ამგვარ კაცთაგანი ფარისევლურად იმართლებს თავის თავს სხვადა-სხვა ეშმაკური მსჯელობითა, თვალთმაქცურად გვიხსვაფერებს თავის საქმიანობას, რომ ის წესიერად გვეჩვენოს. ზოგი კი, ვინც უფრო გულწრფელია,

პირდაპირ გვეუბნება: რა უყო? ცოლშვილი შასვევია, სამოწყალოდ ხომ ვერ გავსდი იმათა და თვითონ შიმშილით ხომ თავს ვერ მოვიკლავთ....—

კაცი ორნაირ საქმიანობას ჰხედავს: ერთი შრომა არის ჭეშმარიტი, მაგრამ ის მარტო ერთ ულუფას ჰპირდება, ხშირად მარტო ნახევარს; მეორე შრომა არის უსვინიდისო, მაგრამ ორი ულუფის მომცემი; რასაკვირველია, კაცი, რომლის ბუნება ცხოველურია, შეჰსცდება და ორ ულუფას ირჩევს და თავის საქციელს ამ გვარად გაამართლებს: ერთი ულუფა შრომისათვის მიმაქვსო და მეორე იმისათვისო, რომ ჩემი შრომა უსვინიდისოაო, რადგანაც ამ უსვინიდისო შრომაზედ ჩემ თავს ძალა უნდა დავატანო, უნდა მოვკლაო ჩემი სვინიდისი და პატიოსნება. როგორც გნებავდეთ, ისე განსაჯეთ და ჰსთქვით, ირღვევა ამითი შრომის კანონი, თუ არა? ბოლოს უნდა მოვიხსენო, რომ არიან კაცები, რომელთაც შრომა სურთ, რომელნიც ეძებენ სამუშაოს და ვერ პოულობენ, და ამის გამო ცხოვრებენ დიდი გაჭირებით და ხშირათაც იმშევიან. ამის ღირსიც არიან, იტყვიან ზოგიერთნი: ისინი ხომ არ მუშაობენო? მაგრამ რა იმათი ბრალია, რომ ისინი სამუშაოს ვერ პოულობენ?...—

IV.

შრომის კანონი რომ ძალიან ხშირად ირღვევა,

ამას ამტკიცებს კიდევ ერთი საოცარი ფაქტი, რომ ყველაზედ უფრო განათლებულ სახელმწიფოებშიაც, მაგალითად ინგლისში და ჩრდილოეთის ამერიკაში, მრავალი ძალიან მდიდარია და განცხრომითა და ფუფუნებით ცხოვრობს; მაგრამ ამათ გვერდით ჰსდგას მრავალი შემაძრწუნებელ სიღარიბეში ჩავარდნილი კაცი, რომელნიც ისოცებიან უცების ანუ ნელნელი შიმშილით, ან სხვა რამე გაჭირებით. განსხვავება მდიდრებისა და ღარიბების ყოფაცხოვრებას შუა ისე დიდია, რომ შეუძლებელია იმათი შრომის განსხვავებასთან შედარება,—ისინი არ ეფარდებიან ერთი ერთმანეთსა. ვჰსთქვათ, რომ ყველაზედ უმაღლესი შრომა, რომელიც კი შეუძლიან კაცსა, ასჯერ უძვირფასესია ყველაზედ უმდაბლეს შრომაზედ, მაშინ, როდესაც მდიდრის საცხოვრებელი ღარიბის საცხოვრებელზედ ათასჯერ უდიდესია. მაშ ამ ნაირი განსხვავება იმათ მდგომარეობას შუა არ არის მარტო შრომის განსხვავების შედეგი, რადგანაც შეუძლებელია, რომ იმათი მშრომელი ძალები აგრე დაშორებული იყვნენ ერთი-ერთმანეთზედ. ამისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ შრომას გარდა არიან სხვა მიზეზებიც, რომელთაგამოც მდიდარი გარდამეტებით მდიდრდება და ღარიბი კი სულ უფრო და უფრო დიდ სიღარიბეში ვარდება,

თუმცა ის მუდამ შრომის ოფლსა ღვრის. რა უნდა იყოს ეს სხვა მიზეზები?

ამბობენ, რომ არისო ისეთი ბუნების კანონი, რომელიც მოითხოვს ზოგის გაღარიბებას, კიდევაც აღარიბებს იმათ და ამგვარად ქმევა სხვების გამდიდრებასო; ეს, რასაკვირველია, არ არის ის ზნეობითი კანონი, რომელიც გვირჩევს და შეგვაგონებს ზომიერებასა და გვიქებს სიღარიბეს; ეს არის ფიზიკური კანონი, რომელიც ძალდატანებით გვადგამს სიღარიბის უღელსა, ეს არის აუცილებლობის კანონიო. ეს კანონი აი რაში მდგომარეობსო: ყველამ ვიცით, რომ კაცები, თავის ბუნების მოთხოვნილებისა გამო, ნაყოფიერდებიან და მრავლდებიან, რომ იმათი რიცხვი თანდათან მატულობს; ვიცით აგრეთვე, რომ ყოველივე კაცს ეჭირება საზრდო; რომ საზრდო ქვეყანაზედ მზად არ არის, რომ იმის საშოვრად ანუ საწარმოებლად საჭიროა შრომა. მაშასადამე, რამდენადაც კაცების ნაყოფიერება გაამრავლებს იმათ რიცხვსა, იმდენად უნდა გავამრავლოთ იმათთვის საჭირო საზრდოც. მაგრამ ბუნება ამ მხრით ცუდად მოიქცაო: იმის კანონისამებრ, კაცები თუმცა იხოცებიან ბუნებითი სიკვდილით, მაგრამ მაინც ისე ჩქარა მრავლდებიან, რომ შესაფერად საზრდოს გამრავლება მოუხერხებელია. კაცების გამრავლებას ბუნებამ მისცა

ერთი თვისება, გვარიანად ძლიერი, და საზრდოს გამრავლების მეორე თვისება, უფრო სუსტი, ასე რომ ამ ორი თვისების შემდეგი, ე. ი. კაცების რიცხვი და საზრდოს რაოდენობა, არასოდეს არ იქნებიან ერთმანეთის თანასწორი. ვსთქვათ, რომ რომელიმე დროს განმავლობაში, კაცების რიცხვი შეიქნა ოთხჯერ მეტი; საზრდოს კი, ამავე დროს განმავლობაში, შეუძლიან განმრავლდეს მხოლოდ ორჯერ. რაც უნდა იშრომონ, რაც უნდა ღონე და საშუალება მოიხმარონ, კაცებს არ შეუძლიანთ იმდენჯერ გაამრავლონ საზრდო, რამდენჯერაც თვითონ გამრავლდნენ, ამიტომ რომ, თვითონ ბუნებისამებრვე; საზრდოს განმრავლება უფრო ძნელია, ვინემ კაცებისა. ამას შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ კაცების რიცხვი ყოველთვის უმეტესია და საზრდოს რაოდენობა უმცირესი. კიდევ უფრო ცხადად უნდა სჩანდნენ ის შედეგები, რომელნიც უთუოდ მოსდებოდნენ, თუ რომ ეს მდგომარეობა უცვალებელად დარჩენილიყო და თანდათან გაძლიერებულიყო: მაშინ იმდენზედ მიასწევდა, რომ კაცებს, საზრდოს უქონელობისა გამო, ერთი-ერთმანეთი უნდა შეეჭამათო. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ სამწუხარო შედეგების გასანადგურებლად?

უნდა შევიზომიეროთო ჩვენი მიდრეკილება გამ-

რავლებისადმი, უფრო გვიან-გვიან უნდა დავიკმაყო-
ფილოთ ჩვენი სქესობრივი მოთხოვნილება, რომე-
ლიც ამრავლებს კაცთა-ნათესავსა; და მართლადაც,
ამგვარ რჩევას აძლევდნენ კაცებს, ეუბნებოდნენ, რომ
ბუნებას არ უნდა დავემორჩილოთო, უნდა შეაჩერო-
თო თქვენი გულის-თქმა; თითქმის კანონებიც ჴსცდი-
ლობდნენ ქორწინების შემცირებასა. მაგრამ ამგვარ
რჩევას და მეცადინეობას, თუ სულ უქმად არ ჩაუვ-
ლია, დიდი სარგებლობაც არ მოუტანია; ბუნება თა-
ვისას არ იშლის, თავის ბუნების მოთხოვნილებას კა-
ცები იკმაყოფილებენ და მრავლდებიან ძველებურად.
კაცების რიცხვი არ შეეფერება საზრდოს რაოდენო-
ბასა; მაგრამ ჩვენ გვესმარებიან და ამ უბედურებას
გვარიდებენო ზოგიერთი სიკვდილის მომტანი მოვ-
ლინებაები, მაგ. ჭირი, სიღარიბე და შიმშილობა;
ესენი ერთად დადიან ქვეყანაზედ და იკლებენო ყვე-
ლას, ვინც ნამეტანია ქვეყნისათვისა, ვისაც არ შესვე-
დრია საცხოვრებელი ულუფა; ამგვარად სიღარიბე,
შიმშილობა და სხ. სპობენ კაცების მსწრაფლად გამ-
რავლების მავნებელ შედეგებს და სცდილობენ, რომ
შეათანასწორონ კაცების რიცხვი და საზრდოს რა-
ოდენობა. რასაკვირველია, ბუნებითი სიკვდილიც ბევრ
კაცს იტაცებს, რადგანც სხეულს მუდამ სიცოცხლე
არ შეუძლიან, მაგრამ ეს ზემონათქვამ შეთანასწორე-

ზას ვერ მოასერხებს, ამიტომ რომ ყოველთვის უფრო ბევრი იბადება, ვინემ ჰკვდება. მაგრამ ზემოხსენებული კაცების რიცხვი და იმათი საზრდოს რაოდენობა ერთმანეთს შეეფარდებიან, ან არა და იმდენზედ მაინც დაუახლოვდებიან ერთმანეთს, რომ იმათ შორის დიდი და საშიშარი განსხვავება არ იყოს. აი, რა გვარიაო ბუნების კანონი!

აი, ამ კანონის გავლენის ქვეშ დაეწყოვო ყოველივე კაცობრივი მიმართობა. კაცები ბევრი არიან, საზრდო კი ცოტაა, ან არ არის ყველას სამყოფი;

. . . . . . . . . . . . . . . .

ამისათვის კაცობრიობის ცხოვრებაში არის იმგვარივე, მაგრამ უფრო დიდი ამბავი, როგორსაც ჩვენ ვხედავთ ყოველგან, სადაც მომთხოვნელები ბევრი არიან და რასაც მოითხოვენ ის ცოტაა, როგორც აგრე ხშირად მოხდება ხოლმე თეატრის ბილეთებისათვის: ხალხი მიატყდა და მუშტებისა და იდაყვების შემწეობით ყველა წინ წასვლას ჰცდილობს, რომ როგორმე ხელი ჰსტაცოს საშოვარსა და ხელცარიელი არ დარჩეს. ერთი სიტყვით, კაცობრიობის ცხოვრებაში გამართულია იმგვარივე ბრძოლა არსებობისათვის, როგორიც ცხოველებისა და მცენარეების ცხოვრებაში. ამგვარად საზრდოს ჩვენ ვშოულობთ ომობით; საზრდოსათვის ჩვენ ერთი ერთმანეთს ვექიშვებით, ერ-

თი მეორეს ვეცილებით; თითოეული ჩვენგანი იმას ჰსცდილობს, რომ სხვებზედ უწინ იშოვნოს ულუფა, რომ ის აბუჩად არ შერაცხონ; ყველა შრომობს, მაგრამ მარტო შრომა არ კმარა, საჭიროა რომ ულუფა საზრდოს გამოლევამდი იშოვნო, თორემ, როცა გამოილევა, მაშინ იმას ვერასოფრის ღონისძიებით ვერ იშოვი, როგორათაც ფულიანი კაცი ვერ იშოვის საყიდლად თეატრის ბილეთსა, თუ ყველა ბილეთი გაყიდულია. აი, რა ძვირად ჰყიდის ბუნება აგრე უსაჭიროესს საგანს—საზრდოს! ამის მისაღებად საჭიროა ჯერ შრომა და მერმე შეცილება და ბრძოლა, საჭიროა განსაკუთრებით მფარველობა ბუნებისა და გარემოების მხრით, რომ გარდამატებულად მშრომელიც შიმშილით არ მოკვდეს...

მართლა, თუ ჩვენ კარგად დავაკვირდებით კაცების, ცხოველებისა და მცენარეების ცხოვრებაში ნივთიერებით მიმართობას, ე. ი. იმ საქმეებს, რომელნიც შეეხებიან საზრდოსა, ჩვენ შევნიშნავთ, ვითომც ამ საქმეებს მართლა ცილობისა და ბრძოლის ხასიათი ჰქონდეთ. ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველგვარ ამნაირ საქმეებში გაბმულია ორი მხარე, რომელთაც ინტერესი ანუ სარგებლობა ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. ერთ მხარეს შეუძლიან იქონიოს უფრო ბევრი საზრდო და იცხოვროს უფრო კარგად მხო-

ლოდ მაშინ, როცა მეორე მხარეს უფრო ნაკლები საზრდო ექნება და უფრო ცუდად იცხოვრებს. ერთის საცხოვრებელი მრავლდება და უკეთესდება მაშინ, როცა მეორისი ჰკლებულობს და ცუდდება. ამისგამო, ამ ორ მხარეს შუა არის აუცილებელი ქიშპობა, თითოეული ამათგანი ჰსცდილობს, რომ მეორეს გადასძლიოს და მოერიოს. მართლა, გავიხსენოთ ზევით მოყვანილი მაგალითი—ვაჭრისა და მხვნელ-მთესველის მიმართობა. მხვნელ-მთესველი ჰსცდილობს, რომ თავისი ნამუშევარი ძალიან ძვირად მიჰყიდოს ვაჭარსა, და ვაჭარი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ რაც შეიძლება იაფად გამოართვას; ისინი ეცილებიან ერთმანერთსა და რომელიც გაიმარჯვებს, უფრო კარგად იცხოვრებს. თუ მხვნელ-მთესველმა პურში დიდი ფასი აიღო, უფრო ბევრი საზრდო ექნება, იმისი საცხოვრებელი მოიმატებს, მაგიერად ვაჭარს ზარალი მიეცემა: იმისი საცხოვრებელი დაიკლებს იმდენს, რამდენიც მეტი მხვნელ-მთესველის ხელს გადაჰყვა. როცა ვაჭარი თავის საქონელს ჰყიდის, ისიც იმას ჰფიქრობს, რასაც მხვნელ-მთესველი პურის გაყიდვის დროსა. ერთი სიტყვით, ვინ არ იცის, რომ გამყიდველი და მყიდველი არიან ორი მტერი, რომელნიც ჰსცდილობენ, რომ ერთმანეთს ერთი ლუკმა პური, ან ერთი ფარა წაართვან და რომ ამ გვარად

ცარცვით ერთის საცხოვრებელი მატყუილობს და მეორესა კი ჰკლებულობს. ვინც ერთგვარი საქონლით ვაჭრობს, ისინი ერთმანეთის მტერი არიან, რასაკვირველია, მარტო საზრდოს პოვნაში, სხვა საქმეში კი ისინი, შეიძლება, ძალიან მეგობრებიც იყვნენ, თითოეული იმათგანი ჰსცდილობს, რომ იმას უფრო ბევრი მუშტარი ჰყავდეს, რომ იმისგან უფრო ბევრს ჰყიდულობდენ, ვინემ იმის ამხანაგისაგან. ამ მხრით ის არ დაზოგავს, რომ თავის ამხანაგს აზიანოს. ალაც მუდამ ექიმპებს თავის მუშებს, რაც შეიძლება ისე ცოტა ქირას აძლევს იმათ, რომ თვითონ უფრო ბევრი დარჩეს. ამნაირი ბრძოლაა ყოველ-გვარ ნივთიერებითს მიმართობაში: მსესხებელი ებრძვის თავის მევალესა, რომ რაც შეიძლება, მეტი დასტყუოს, სახლის პატრონი ებრძვის მდგმურებსა ამ აზრითვე, სასტუმროს უფროსი—მიმსვლელებსა, მედროშე დამქირავებელს, ჟურნალი ხელის-მომწერლებს... დიახ, უკანასკნელიც მართალია. ზნეობითი მხრით ჟურნალი და ხელის-მომწერლები მეგობრები არიან, მაგრამ ნივთიერებითი მხრით კი ხელის-მომწერლები ძალიან მოხარული იქნებოდენ, რომ ჟურნალში ერთი მანეთით ნაკლები მიეცათ; აგრეთვე ჟურნალის გამომცემელსაც ძალიან იამებოდა, რომ ხელის-მომწერლებისათვის ერთი მანეთი მეტი გამოერთმია! მაშასადამე ჟურნალი

და სელის-მომწყრლები, ორივე მხარე, ერთნაირად ჰსცდილობენ, რომ ერმანერთს ლუკმა პური წაართვან. ამ გვარი საყოველთაო ბრძოლა, რასაკვირველია, კარგი არ უნდა იყოს, მაგრამ რა უყოთ? როცა ეს ბუნების კანონის შედეგია, იმ კანონისა, რომელიც აუთანასწორეობს კაცების რიცხვსა და საზრდოს რაოდენობას? ყოველივე სამყოფი ულუფისკენ, ყოველივე სუფრის იარალისკენ დიდს ქვეყნიერ მეჯლისში თვალი აქვს რამდენსამე კაცსა, და რა გასაკვირველია, რომ იმათ შორის ასტუდეს ბრძოლა, რადგანაც არც ერთს იმათგანს არ ჰსურს აბუჩება და მეჯლიშიდამ გამობრძანება? ჩვენდა სანუგეშოდ, შეიძლება ვჰსთქვათ, რომ მთელ ცოცხალ ბუნებაში გამართულია ამგვარივე ბრძოლა არსებობისათვის და რომ ყოველივე ცხოველი არსება ერთი ერთმანეთს ეჯიბრება.

## V

თუ ჩვენ იმას შემდეგ, რაც ზევითა ვჰსთქვით, ბუნებას ვემდურით, უნდა ვემდუროდეთ ზემოხსენებული უსწორ-მასწორობისათვის კაცების და საზრდოს რაოდენობასა შორის. ეს კანონი გვიჩვენებს, რომ ბუნებას, თუ გონიერება, ანუ წინდახედულობა არა კლებია, ძალიან ცუდი გული ჰქონია. მართლა, იმას

მოუცია ჩვენთვის განმრავლების მოთხოვნილება; ეს კიდევ არაფერი, იმას ყოველივე ღონე უხმარია, რომ ამ მოთხოვნილებას მუდამ ვაკმაყოფილებდეთ, და, რაც შეიძლება, უფრო ბევრ ნაყოფს ვიწარმოებდეთ, ანუ ვბადებდეთ; მოთხოვნილების დაკმაყოფილება განგებ გაუხვევია იმას სანდომიანობით მომხიბლველ მაცთუ-რებაში და თითოეული დაკმაყოფილება გაუხდია ჩვენ-თვის უტკბილეს სიამოვნებად. ამას იქით რა გასა-კვირველი უნდა იყოს, თუ კაცები აგრე ჩქარა მრა-ვლდებიან; მაგრამ ბუნება ყველას საკმაო საზრდოს არ აძლევსო და ამბობს, რომ ზოგიერთი კაცები ნამეტ-ნავი იყვნენო. მაგრამ ამათ შეუძლიანთ ბუნებას უპა-სუხონ, თუ ჩვენ ნამეტნავი ვიყავით, რად გვბადებდი, რატომ თავიდანვე არ ჰსცდილობდი, რომ ჩვენ არ შექმნილვიყავით?... ბუნება მართლა ღირსია ამ გვარი სამდურავებისა, მაგრამ რას გვეუბნება ის თავის გა-სამართლებლად?

ბუნება გვიპასუხებს ამაზედ, რომ ზემოხსენებული კანონი ჩემთვის ტყუილ-უბრალოთ შეგიწამებიათო, რომ ყველა უბედურება, რომელსაც კაცები ამ კანო-ნის შემდეგად რაცხვენ თვითონ კაცების ბრალიაო.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ბუნების მოსარჩლეები ამბობენ, რომ კაცებს ერ-თობა და სიყვარული არა აქვთო; კაცები ვერ მისვედ-

რილან, რომ საზოგადო და ნამდვილი კერძოობითი სარგებლობა ერთი და იგივეა და ამისგამო თითოეული ამათგანი განსაკუთრებით თავის თავზედ ზრუნავს და ივიწყებს სხვებსა და ნამეტურ საზოგადოებას. კაცს ცხოვრება უნდა, ამისთვის ყველაზედ უფრო ის თავის თავზედ ზრუნავს და ეს კიდევ დიდი არაფერია. მაგრამ, თუ კაცებში სიყვარული და ერთობა არ არის, მაშინ ყოველი კაცი იმას ჰსცდილობს, რომ იშოვნოს არათუ მხოლოდ საჭირო, არამედ, რაც შეიძლება ნამეტნავი, თუნდ რომ ამით სხვას კიდევაც უმცირდებოდეს მიუცილებელად საჭირო საცხოვრებელი. და ეს კაცის მისწრაფება ადვილი და ბუნებითია მაშინაც, როცა იმას საზღვარი არა აქვს; კაცის სურვილი უსაზღვროა, იმისი მოთხოვნილების მატებასა და სხვა-და-სხვა ფერებას ბოლო არა აქვს, თუ რომ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება იმას ადვილად შეუძლიან. ამ შემთხვევაში იმას მოაგონდება სხვა-და სხვა უცნაური, კაცისთვის ნამეტანი, თითქმის საოცარი მოთხოვნილება, ერთი სიტყვით, ასირებული რამე, და კაცი იკმაყოფილებს ამა მოთხოვნილებას და ხარჯავს ამაზედ დიდძალ ნაწილს...—

ზოგიერთები არ გაერთვიან საზრდოს მოსაპოვებელ შრომაში, არც იმასთანა საქმეში, რომელიც ამ შრომას როგორმე ეწეოდეს, ერთი სიტყვით, სრუ-

ლიად უქმად ჴზიან. მხვნელ-მთესველები, პირუტყვთ მომშენებლები, მებოსტნეები ამზადებენ საზრდოსა, ხუროები მჭედლები და ყოველგვარი ხელოსნები თავისი შრომით ეწევიან იმათ შრომასა, რადგანაც იმათთვის საჭირო ნივთებს აკეთებენ; მექანიკოსები, ხიმიკოსები და ყოველგვარი ბუნების გამომაძიებლები, თავისი სწავლით, გამოჩენით და გამოგონებით, ეხმარებიან ყოველგვარ შრომასა; მეცნიერები, გერალდიკოსებიდან დაწყებული ფილოსოფოსამდის, პოეტები და ხელოვანები გვიხსნიან გონებასა და ყველაფერში მოხერხებულ კაცებად გვხდიან, მამასადამე საცხოვრებელი ღონისძიების მოპოებაშიაც. მართლ-მსაჯულობა და გამგებლობა იცვენ და ეწევიან ყოველგვარ შრომასა. ყველა ეს შრომა პირდაპირ, ან საშვალებით მიქცეულია საზრდოს მოპოებაზედ, მომზადებაზედ და გადატან-გადმოტანაზედ. მაგრამ არიან იმისთანა კაცები, რომელნიც არავითარ შრომას არ ჰკადრულობენ, არ გვშველიან საზრდოს რაოდენობისა, ან სხვა საცხოვრებელი ღონისძიების განმრავლებაში, რადგანაც მზათ დასვედრიათ საზრდო, რომელსაც ესენი უზოგველათ ფლანგავენ... —

კაცების რიცხვის გამრავლება სულაც არ შეამცირებს საზრდოს რაოდენობასა, თუ კი ყველა შრომობს; კიდეც რომ შეამციროს, ჩვენ ვერც კი ვიგრძნობთ ამ შემცირებას... —

მაგრამ შრომაც ბევრნაირია; არის გამოსადეგი, ანუ სასარგებლო შრომა, რომელიც გვიშველის საზრდოს გამრავლებაში და საზოგადოდ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესობაში; არის გამოუსადეგარი, ანუ უსარგებლო შრომაც, რომელიც არაფერში არ გვეწევა,— ამგვარია მაგალითად შრომა განსაცხრომი ნივთების წარმოებაზედ მიქცეული. ამბობენ, რომ განცხრომა არისო შეთანასწორებითი, განუსაზღვრელი რამე; რაც ერთისათვის განცხრომაა, მეორესთვის მიუცილებელი საჭიროება არისო; ჩვენ არ შეგვიძლიანო ვსთქვათ თუ რამდენზედ ადის ჩვენი საჭიროება, ან საიდამ იწყება განცხრომა. თუმცა, რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლიან ამ საქმის მათემატიკასავით შეუცდომელად გარდაჭრა, მაგრამ ის კი ყველასთვის ძალიან ადვილი მისახვედრია, თუ რა უფრო საჭიროა ჩვენთვის და რა უფრო არა, ან თუ რა არის ჩვენთვის გადამატებული, ან რა არ არის საჭირო. განსაცხრომი და გარდამატებული ნივთების მოპოებაში გართული შრომა—გამოუდეგარი შრომაა; მაგრამ იმ ნაირი შრომა ჩვენ ვერ გვავნებს, თუ რომ საზოგადოებას აქვს საკმაო საზრდო და სხვა საცხოვრებელი, როგორც თავისთვის, ისე ამ გამოუდეგარი მშრომელისთვის...—

წარმოვიდგინოთ კიდევ ათი კაცისაგან შედგენილი

საზოგადოება; ვჰსთქვათ, რომ ორი ამათგანი არ შრომობს, დანარჩენი რვა ამზადებს რვა ულუფას; ამ შემთხვევაში თითოეული მშრომელის ულუფას აკლდება მეხუთედი და ეს კიდევ დიდი უბედურება არ არის. მაგრამ, თუ ამ ორმა კაცმა უქმობასთან განცხრომაც მოინდომა, თუ ამათ მოითხოვეს განსაცხრომელი ნივთები და ამ ნივთების წარმოებამ სასარგებლო შრომას სამი კაცი ჩამოაცალა, მაშინ საზრდოს მოპოებაში გართული იქნება მხოლოდ ხუთი კაცი, ესენი შეიმუშავებენ მხოლოდ ხუთ ულუფა საზრდოსა და თითოს ხვდება ნახევარი ულუფა, — და ეს, რასაკვირველია, საკმარო არ იქნება...—

თუ ამგვარად მოაზრე კაცების კილოს დავადგებით და ისე განვისილავთ ყოველივე კაცობრივს ნივთიერებით მიმართობას, ჩვენ შეგვიძლიან ვიპოვოთ იმათი აზრის საბუთი, როგორათაც ვიპოვეთ იმ აზრის დამტკიცება, რომ სიღარიბე ბუნებითი კანონის ბრალიაო. ყოველი კაცი ჰსცდილობს თავის ნივთიერებითი მდგომარეობის გაუმჯობესობასა; ყველას უნდა იმდენჩედ მიასწიოს, რომ შრომაზედ ხელის აღება შეეძლოს, ან, ასე ვთქვათ, გამდიდრდეს და გასუქდეს; თუ კი როგორმე მოხერხდება, კაცები მართლადაც მდიდრდებიან, ე. ი. მოულობენ იმდენ საცხოვრებელს, რომ შრომა სრულიადაც აღარ ეჭირე-

ბათ, ან, თუ ეჭირებათ, ძალიან ცოტათ. თუ ვაჭრის საქმეები კარგათ მიდის, იმას ადვილათ შეუძლიან იმდენი საცხოვრებელი შეიძინოს, რომ თავის მაგიერ შრომა სხვას მიანდოს და თვითონ განისვენოს. რაც უნდა იყოს, იმისი აღებ-მიცემობა მაინც სასარგებლოა მთელ საზოგადოებისთვის, რადგანაც ეხლანდელს, ან იმის მსგავსად დაწყობილს საზოგადოებაში ვაჭრების შეუწყვენლად ძალიან შევიწროვდებოდა ჩვენი ცხოვრება. მაგრამ ზოგი კი უსარგებლო საქმეებითაც მდიდრდება: ვინმე გამოქნილი კაცი მოიგონებს ისეთ რამე ოინს, რომელიც მარტო იმას ასარგებლებს და საზოგადოებას კი არაფერს არ უშველის. ამ გვარად ეს სპეკულატორი იძენს აუარებელ საცხოვრებელსა და იმითი ამცირებს შრომელებისათვის საჭირო საზრდოს. მეორე მიზეზი მხვნელ-მთესველობის შემამცირებელი არის გავრცელება სხვა საჭირო შრომისა და მეტადრე გარდამატებულისა. ყოველგან ქალაქებისა და იმათი მცხოვრებლების გამრავლება ამცირებს სოფელსა და სოფლების რიცხვს; ზოგი მხვნელ-მთესველი ჰსტოვებს სოფელსა და თავის საქმეს და ქალაქში სახლდება; იქ ის დაადგება სხვა შრომას ან რომელსამე ქალაქურ მრეწველობასა. ამხაირი გარდასახლება ვნებას ვერ მოიტანს, თუ რომ იმათი არ ირღვევა მხვნელ-მთესველობისა და

სხვა შრომის ჯეროვანი ფარდი, ანუ შედარებითი ზომა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეამცირებს საჭიროს საზრდოს რაოდენობასა და, მაშასადამე, გაავრცელებს სიღარიბეს.

ამგვარად, ჩვენ გავიცანით ორი შეხედულობა. ერთი ამათგანი საზრდოს ნაკლებობასა და იმისაგან წარმომდგარ სიღარიბეს აბრალებს ბუნების კანონს და მეორე — სასარგებლო შრომელობის შემცირებას და უსარგებლო მშრომელების გარდამატებით გამრავლებასა. ამ ორ შეხედულობას შორის გამართულია სასტიკი ბრძოლა მეცნიერებაში და თითოეული მხარე თავის თავს გამარჯვებულად რაცხს. მაგრამ თუ რომელი მხარე უფრო მართალია ჩვენის აზრით ეს შემდგომისათვის იყოს; ესლა კი ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა, რომ გვეჩვენებინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზრდოსა ყოველსავე კაცობრივს მიმართობაში.

რომ ყველა ზემო აღწერილი სჯა საზრდოზედ ერთგვერმოვანად არავის ეჩვენოს, ყურადღება უნდა მივაქციოთ კაცის მეორე მხარეს. კაცის სხეულში ორგანული, სიცოცხლის მოვლენებს გარდა, მოხდებიან ფსიხიური ანუ გონებითი სიცოცხლის მოვლენებიც; ნივთიერებით შიმშილსა და წყურვილს

გარდა კაცი გრძნობს გონებით შიმშილსა და წყურვილსა, რომელთაც დაუკმაყოფილება იმგვარადვე შემაწუხებელია, როგორადაც სხეულის შიმშილი და წყურვილი. რასაკვირველია, ვინც საცხოვრებლით გარდამატებულად მდიდარია, ისიც შეიძლება იყოს გონებით გლახაკი ანუ ზნეობით მახინჯი; მაგრამ გონება-გახსნილ კაცს გონებითი საზრდოს მოკლება, გონებითი ტანჯვა ჩააშხამებს ნივთიერებით საზრდოსაც; ასე რომ სრული კეთილმდგომარეობა კაცისა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველივე იმისი ზომიერი ნივთიერებითი და ზნეობითი ანუ გონებითი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. კაცი, რაც უნდა გონება-გაუხსნელი იყოს, ფსიხიურად ცოცხლობს, იმას აქვს მრავალ ნაირი ზნეობითი მოთხოვნილება; ის ცნობის-მოყვარეა, ჩვეულებრივ საქმეებში გართული, ის გამოიკითხავს სხვა-და-სხვა საქმეებს, ყურს უგდებს ამბებსა, ესაუბრება ვისმე იმ აზრით, რომ ან თვითონ შეიტყოს, რაც მისთვის საინტერესოა, საცნობლად სასურველია, ან სხვას რამე შეატყობინოს; იმას აქვს თავისებური შეხედულობა ბუნებაზედ, ის თავისებურად ჰხსნის იმის მოვლენებსა; ყოველივე საოცარი, ანუ უცხო, უნახველი აღვიძებს იმის გონებას, ჰბედავს იმის აზრში სხვა-და-სხვა კითხვასა, ის დადის საყდარში, ის არის ღარიბების გულ-შემატკივარი და შემწე; ის ყურს უგ-

დებს ზღაპრებსა და მუზიკას, იმღერის და გალობს:—ყველა ეს გონებითი ანუ ზნეობითი მოთხოვნილებაა და ამათი დაკმაყოფილება მიუცილებლად საჭიროა იმისთვის. მაგრამ ზნეობითი მხარის ჯეროვანად გახსნას და იმისი მოთხოვნილებების ჯეროვანად დაკმაყოფილებას გვიშლის სხვა-და-სხვა მიზეზი, რომელთაგან უპირველესია საზრდოსა და სხვა ნივთიერი საცხოვრებელის ნაკლებობა. ვინც გონებაგახსნილია, ვისაც გახსნილი აქვს ზნეობითი მხარე, და ამასთან ვინც საკმაო საცხოვრებელის პატრონია, ის უფრო გრძნობს ამ მოთხოვნილებებსა და უფრო ადვილადაც იკმაყოფილებს. შეუძლებელია ზნეობითი საზრდოს ნაკლებობა; ჭკუა და იმისი ბუნება არის ზნეობითი საზრდოს ნაშრომი და მრთელი დაულეველი წყარო. ვინ იცის, რამდენი მილიონი და რამდენი საუკუნის განმავლობაში სარჯავენ ამ საზრდოსა, მაგრამ ის არათუ არ ილევა, ან არ კლებულობს, ის კიდეც მატულობს. ამისათვის ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ იმის განაწილებასა; ეს ზნეობითი საზრდოს ანუ მეცნიერებისა და ხელოვნების განაწილება, გავრცელება საჭიროა მარტო იმიტომ კი არა, რომ ის აკმაყოფილებს ჩვენს გონებითს ანუ ზნეობითსა მხარეს, არამედ იმიტომაც, რომ ის გვაძლევს ნივთიერებითი საზრდოს გამრავლებისა და იმისი გონივრულად და სამართლიანად განაწილების საშუალებას.

# საზოგადო საქმეები

## ახალგაზდობის აღზრდა

არც ერთ საქმეში არ სჩანს ისე ნათლათ და აშკარათ რამსიდიდე ერთობაა საზოგადო და კერძო პირების ბედ შუა, როგორც ახალგაზდობის აღზრდაში არც ერთი საქმე არ გვიჩვენებს ასე უეჭვოდ, რომ ამ საზოგადო საჭიროების ხეირიანათ დაკმაყოფილება სარგებლობას აძლევს საზოგადოების თითოეულ კერძო წევრს, და მისი მიგდება, მიტოვება საერთოთ ყველა წევრებს ავნებს.

მართლაც, ვის არ სჭირია საზოგადოებაში ცოდნა, ვის არ სურს, რომ თვითონ იმას და მის შვილებს, ნათესავებს ცოდნის შეძენის შეძლება ჰქონდეთ? ვინ არ ცდილობს ამ ცოდნის ადვილათ შეძენას, ვის არ იამება ამ შეძენის გაიაფება, . . . ვის ბედს არ დაეტყობა

ცხოვრებაში ცოდნის შეძენა, ვის არ გაუადვილებს ის ცხოვრების სიმძიმეს, ვის არ წაუშწარებს სიცოცხლეს უმეცარი და ველური მახლობლების ყოლა და ვინ არ იგრძნობს თავის საკუთარ ტყავზე, თავის ბედზე და მდგომარეობაზე, ყოველ წარმატებას ან უკუდახევას, რომელიც ახალგაზდობის აღზრდაში მოხდება ხოლმე? ჩვენ დროში ერთი იმისთანა კაცაც არ მოიძებნება, რომლის ცხოვრებას არ ეტყობოდეს ამ საქმის გავლენა და ძალა. შეცდომა არ იქნება, კაცმა გადაწყვეტილათ რომ თქვას, რომ ყოველი სასწავლებლის გამართვაში, ან გამართულ სასწავლებლებისთვის ყოველი ახალი წესის შემოღებაში პირდაპირ გარეულია მთელი საზოგადოების სარგებლობა და თითოეული კერძო პირის სიკეთე, მაშასადამე შენიც და ჩემიც, მკითხველო.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ყოველ საქმეს, რომელიც ახალგაზდობის აღზრდას და სასწავლებლებს შეეხება, ყოველი გონიერი კაცი სწორეთ იმ თვალებით უნდა უყურებდეს, როგორც თავის საკუთარ საქმეს, რომელზედაც დამოკი-

დებულია მისი საკუთარი სარგებლობა, სიკეთე, ბედი. აქედან სჩანს კიდევ რომ სასწავლებლების და განათლების ბედს და ხასიათს ჩვენ მუდამ სწორეთ ისე უნდა ვადევნებდეთ თვალს, როგორც ჩვენ შინაურ, საკუთარ საქმეებს, როგორც ჩვენი შვილების ბედს და უბედობას...

რისგან მოხდება ეს? ამის ასახსნელათ ჩვენ ცოტათი გადახვევა დაგვჭირდება.

იყო თუ არა როდესმე ქვეყანაზე ის ნეტარი დრო, როცა კაცს პირში თავისით უცვინდებოდა ჩახოხბილი წიწილები და მშვენიერი ქადები — ეს საეჭვო და სადაო საქმეა. მაგრამ სრულიადაც უეჭვო და ცხადი საქმე ის არის, რომ ეხლა ეს ნეტარი დრო სიზმარშიაც იშვიათათ მოელანდება კაცს. ეხლა კაცის ცხოვრება - ბრძოლაა; გამწარებულათ ეძებს ყოველი სულდგმული ცხოვრებას დაეწაფოს და ერთი ნამცეცა ადგილი მაინც იშოვოს ცხოვრების ვიწრო ტაბლაზე. მაგრამ, რადგანც მეძიებლები ბევრია და იმათ ჯერ ჯერობით ვერ მოუხერხებიათ ტაბლის გაფართოება და დამშვიდებუ-

ლათ ვერ გაუნაწილებიათ ერთმანერთში მისი სიმდიდრე, ამ ტაბლის გარშემო ნიადაგ იდაყვის და გვერდების მტვრევაა გამართული; სდუღს ბრძოლა, რომელშიაც იმარჯვებს ძალუნი, მცოდნე და მოხერხებული, და რომელშიაც ულუკმა პუროთ, უიმედოთ რჩება უძლური, უმეცარი და შტერი... კარგია თუ ავი ამნაირი მდგომარეობა, შეიძლება თუ არა მისი გაუკეთესება, ეს სხვა საქმეა, და ამ საქმის განხილვის დრო ეხლა არ არის. უეჭველი კია, რომ ეს სურათი ნამდვილათ და სწორეთ ხატავს ეხლანდელ მდგომარეობას.

რასაკვირველია, რომ ყოველი კაცი, რომელსაც თვალ წინ ამნაირი ჭიდილობა და ბრძოლა უძევს, და რომელსაც არც მუცელ ცარიელათ დარჩენა სურს, არც გვერდების ჩანტვრევა, ცდილობს როგორმე გაძლიერდეს, გამეცნიერდეს, გაოსტატდეს, რომ ცხოვრების ტაბლამდი როგორმე გზა გაიჭრას და თან ძვლებიც არ დაინტვრიოს.

ამ საქმეს ცოდნით და მოხერხებით დაიარა-

ღებული კაცის მეტი ვერ იქვს. და რადგანც ამნაირი დაიარაღება ყველასთვის საჭირო და სანდომისია, ყველას გული ეწვის, ან უნდა ეწვოდეს მაინც, აღზრდის ბედზე, ამიტომ რომ აღზრდა—როგორც ყოველიფერი ამ ქვეყანაზე—სხვა და სხვა ფერი და სხვა და სხვა გვარია. კაცი ეძებს აღზრდაში ცხოვრებისთვის გამოსადეგ იარაღს, ისეთს, რომელსაც მისი შრომის გაადვილება და მისი მდგომარეობის გაუკეთესება შეეძლოს. აღრზდით შეძენილ ცოდნას, კაცის აზრით, მისი ღონისძიების გადიდება და მისი გონების და ზნეობის დატკბობა უნდა ჰქონდეს მიზნათ. ცხოვრებაში გამოდგომა ისეთი მოთხოვნილებაა, რომელსაც ნიადაგ უდებს კაცი ყოველ ცოდნას და სწავლას.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ყოველ გონიერ კაცს, როცა ის აღზრდაზე სჯის ან ფიქრობს, ერთი უმთავრესი აზრი და კითხვა უნდა ჰქონდეს მხედველობაში: რა ცოდნა უფრო საჭიროა კაცისთვის, რანაირი სწავლის გავრცელება უნდა ჰქონდეს მიზნათ ახალგაზდობის აღზრდას და—განსაკუთრებით—რა გვარ, რის მცოდნე პირებს

უნდა უმზადებდეს სასწავლებელი საზოგადო-ებას.

რა კი კაცი ამ აზრს და კითხვას იქონიებს მხედველობაში, იმისთვის მეტის-მეტათ გაადვილ-დება ამ საქმის გამოკვლევა.

ცხოვრება—ეხლანდელ თავის მდგომარეობა-ში—ბრძოლაა. რაგინდ გაუკეთესდეს ის შემდეგი, რაგინდ გონიერი და ძმური გრძნობით აღვსი-ლი გახდეს კაცობრიობა, ყოველთვის და ყველა ხალხებისთვის ცხოვრება, ბრძოლა თუ არა, შრო-მა მაინც იქნება. კაცი ებრძვის და ყოველ-თვის ბრძოლაში იქნება ბუნებასთან; იმისთვის ყოველთვის საჭირო იქნება ამ ბუნებით სარგებ-ლობა და იმგვარი გაწყობილება მახლობლებ-თან, რომ ცალ-ცალკეობის მაგიერ, ძმურად და გონიერად კაცობრიობის ოჯახი ბუნების სარგებ-ლობას ეწაფებოდეს და გონიერათ ხმარობდეს მის ნაყოფს.—რადგანც კაცის მთელი ცხოვრება ამ მიზნისკენ უნდა იყოს მიმართული. ცხადია, რომ მის აღზრდასაც მიზნათ ის უნდა ჰქონდეს, რომ ამნაირი ბრძოლისთვის და შრომისთვის დაამზა-დოს ყმაწვილი, ესე იგი გააცნოს იმას ბუნება მისი ძალებით, აჩვენოს ამ ბუნებით სარგე-ბლობის გზა და დაწვრილებით დაანახოს ის, რაც

საჭიროა გონიერი და ძმური ცხოვრებისთვის, ერთი სიტყვით, გაუნათლოს და დაუიარაღოს გონება.

მაშასადამე ახალგაზდობის აღზრდას ყველაზე უფრო ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ აღზრდილ ყმაწვილს ხეირიანათ ესმოდეს—რა ბუნება არტყია იმას გარშემო, რა საზოგადოება, რით და როგორ შეიძლება ამ ბუნებით სარგებლობა და ამ საზოგადოების გაუკეთესება.—ამას გარდა, აღზრდა იმას ამ შრომისთვის საკმაო ღონისძიებას, მოხერხებას და ცოდნას უნდა აძლევდეს.

ეხლა, რაკი ჩვენ ვიცნობთ ახალგაზდობის აღზრდის მიზანს, გავსინჯოთ—რა ნაირათ გამართულია ეს საქმე, და რა გარემოებაში ყველაზე უფრო ადვილათ შესაძლებელია ამ მიზნის მიღწევა.

ახალგაზდობის ასაღრზდელათ გამართულია სხვა და სხვა სასწავლებლები, რომელთაგანს თითოეულს თავისი საკუთარი დანიშნულება, გაწყობილება და მიზანი აქვს. უბრალო ხალხისთვის და პირველ-დაწყებითი სწავლის მისაღებლათ გამართულია, ან უფრო სწორეთ რომ ვთქვა, იმართება სახალხო, «პირველ-დაწყები-

თი» შკოლები, რომელშიაც მარტო უბრალო წერა-კითხვას და ანგარიშს ასწავლიან იმ ყმაწვილებისთვის, რომელთვისაც ბედს ბრწყინვალე გზა არ გაუტკეპნია, და რომელთაც დანიშნული აქვთ წვრილმანი, უბრალო სამსახური, გაწყობილია სამაზრო (უეზდის) სასწავლებლები და გიმნაზიები,—მაგრამ ისე, რომ ამ უკანასკნელებს თან ის დანიშნულებაც მიუღიათ, რომ უმაღლესი სწავლის მისაღებლათ დაამზადონ ყმაწვილები, რომელთაც ბედის სიკეთით უმაღლესი სწავლის მიღება ეღირსებათ. მაზრის სასწავლებელში ყმაწვილს, წერა-კითხვას და უბრალო ანგარიშს გარდა შეუძლია ცოტაოდენი ისტორიის და გეოგრაფიის სწავლა; გიმნაზიებში ამ საგნების სწავლება ცოტათი უფრო გავრცელებულია, და იმათ ზოგიერთი სხვა საგნებიც ემატებათ,—სხვა-და-სხვა ახალი და ძველი ენების სწავლა, ბუნების მეცნიერების პირველ-დაწყებითი გაცნობა და სხვ.—უმაღლეს სასწავლებელს წარმოგვიდგენს უნივერსიტეტი, რომელიც შემდგარია რამდენიმე განყოფილებიდგან. თითოეულს ამ განყოფილებთაგან მიზნათ აქვს რომელიმე სწავლის დაწვრილებული და საფუძვლიანი შე-

ძენა,—მაგალითად ბუნების მეცნიერების, სახელმწიფო კანონების, ისტორიის, ან მატემატიკის და ეკონომიის. ამ განყოფილებაში შეიძინება არჩეული სწავლის საზოგადო ნაწილი, ესე იგი რაში მდგომარეობს ეს სწავლა და რა ნაირათ დაფუძნებულა და გავრცელებულა ის თავის დასაწყისიდგან დღემდი, რა ნაირი სარგებლობის მოტანა შეუძლია კაცისთვის ამ სწავლას, რა მნიშვნელობა აქვს იმას ცხოვრებაში. მაგრამ ყოველ ცოდნას და სწავლას, ამ საზოგადო ტეორიულ მხარეს გარდა, აქვს კიდევ პრაკტიკული მხარე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კაცი დაწვრილებით ეჩვევა რომელიმე ცოდნის გამოყენებას ცხოვრებისთვის, ეჩვევა იმ იარაღის ხმარებას, რომელიც დაუმზადებია რომელიმე სწავლას, და რომლის ღირსება იმას მარტო გაკვრით ჰქონდა გაგებული. ეს გაჩვევა სწავლის ხმარებაში, უნივერსიტეტის კი არა, პრაკტიკული, სპეციალური სასწავლებლების საქმეა. უნივერსიტეტი ასწავლის, მაგალითად, თუ რა ნაირ მდგომარეობაშია ეხლა ბუნების მეცნიერება, ან რა ნაირათ დაიბადა და იზრდებოდა ეს სწავლა; სამეურნეო აკადემია კი, ან ტეხნოლოგიური ინსტიტუტი, ან არტილერიის სასწავლებელი

იმისთვის არიან დანიშნული, რომ გააცნონ ახალგაზდა კაცი იმ საშუალებას და გზას, რომლითაც ბუნების მეცნიერება მეურნეობა, ქარხნების ან ომის საქმეს შველის და ხელს-უწყობს.

ამისთანა სპეციარური სასწავლებელი იმდენი უნდა იყოს სახელმწიფოში, რამდენიც სხვა და სხვა ნაწილი აქვს ხალხის მოქმედებას და მეცნიერებას. მეურნეობა, ექიმობა, ენების მეცნიერება, ქარხნობა, ვაჭრობა, გზის საქმე, შენობების კეთება, ხატვა და სხვ,—თითოეულს ამათგანს ცალკე სასწავლებელი, ცალკე გაწყობილება სჭირია.

როგორც ამ სასწავლებლებში, ისე უნივერსიტეტში ახალგაზდა ყმაწვილს ძლიერ ცოტა ხანს დარჩენა შეუძლია სწავლის მისაღებლათ. ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში იმან ხეირიანათ უნდა გაიცნოს რომელიმე მეცნიერება. სწავლა, მის ეხლანდელ მდგომარეობაში, მის წარსულში და იმ წვრილმან გამოყენებაში, რომლითაც ეს მეცნიერება ცხოვრებას შეეხება. უეჭველია, რომ ამ მოკლე ხანში ძნელია ამოდენა სწავლის მიღება. ამის გამო, დროს მოსაგებლათ, დაწესებულია, რომ უნივერსიტეტში და სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის ნება

უნდა ჰქონდეთ მარტო იმნაირ პირებს, რომელნიც საკმაოთ დამზადებული არიან შემდეგი სწავლის მისაღებლათ, და თან საკმაოთ გახსნილი და შემუშევებული აქვთ გონება. და რაკი წელანაც ნათქვამი აყო რომ ამ მაღალი სწავლისთვის ყმაწვილის დასამარაგებლათ გამართულია გიმნაზიები, ჩვენ ეხლა ადვილად შეგვიძლია დავინახოთ, თუ რანაირი მიზანი და გაწყობილება უნდა ჰქონდეთ ამ უკანასკნელ სასწავლებლებს.

აშკარა საქმეა, მართლაც, რომ ეს სასწავლებელი — რომელიც ერთის მხრით საბოლოვო აღზრდას უნდა აძლევდეს იმ ყმაწვილებს, რომელნიც პირდაპირ გიმნაზიიდან ცხოვრების ასპარეზზე გადადიან, და მომამზადებელ აღზრდას უნდა აძლევდეს იმათ, რომელნიც უმაღლესი სწავლის მიღებას აპირებენ, — ისეთნაირათ უნდა იყოს გამართული, რომ ყვაწვილი მასში პრაკტიკულ ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას იძენდეს და თან უმაღლესი სწავლის და განათლების თავდაპირველ საფუძველსაც. და რადგანც პრაკტიკული ცხოვრება კაცისგან განსაკუთრებით ბუნების და ცხოვრების ცოდნას თხოულობს, რადგანც, მეორე მხრით, უმაღლესი სასწავლე-

ბლები, უმეტეს ნაწილათ, დაწერილებით ისევ ამ ბუნების და ცხოვრების მეცნიერებას ასწავლიან, ცხადია, რომ გიმნაზიებშიაც ამ ორ მეცნიერებას უმთავრესი ადგილი უნდა ეკავოს და ყველაზე უფრო მეტი ყურადღება უნდა ჰქონდეთ მიქცეული.

ვნახოთ ეხლა, რა ნაირათაა გამართული გიმნაზიები, და რა დანიშნულებას აძლევსთ იმათ მათი გაწყობილება.

გიმნაზიები განაწილებული არიან ორათ: ზოგს ჰქვია «კლასიკური,» ზოგს «რეალური» გიმნაზიები. ამათში ის უმთავრესი განსხვავებაა, რომ კლასიკურ გიმნაზიებს მინიჭებული აქვთ უნივერსიტეტისთვის და სხვა უმაღლეს სასწავლებლებისთვის ყმაწვილის დამზადება, მაშინ, როდესაც რეალურ გიმნაზიებს უფრო განსაკუთრებით იმ ყმაწვილების აღზრდა აქვთ მინდობილი, რომელნიც გიმნაზიას და სწავლას ერთათ ათავებენ. — როგორც ამ ორივე გვარი გიმნაზიების სახელიც აცხადებს, კლასიკურ გიმნაზიებში განსაკუთრებული მნიშვნელობა და ყურადღება მიქცეული აქვთ ძველ ენებს, ლათინურს და ბერძნულს (რუსეთში) და იმისთანა საგნებს, როგორც ისტორიას, ძველ მწერლობას და

სხვ. რეალურ გიმნაზიებში კი ცოტათი უფრო მეტი ადგილი უკავია ნამდვილ ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას, ბუნების მეცნიერებას.

სწორეთ იმნაირივე განსხვავება, როგორიცაა უნივერსიტეტს და სპეციალურ მაღალ სასწავლებლებს შუა, მოიპოვება რეალურ გიმნაზიებს და იმ სასწავლებლებს შუა, რომელთაც დანიშნულებათ აქვთ ყმაწვილების გაჩვევა სხვა და სხვა ნაირ ხელობაში, ე. ი «სახელოსნო» სასწავლებლებს. რეალური გიმნაზია ტეორიულათ გააცნობს ყმაწვილს ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას, დაანახებს ბუნების მეცნიერების პირველ დაწყებით კანონებს და შეახალისებს ამ კანონების დაწვრილებით და ვრცლათ გასაცნობელათ; სახელოსნო სასწავლებლები კი ასწავლიან ყმაწვილს სხვა და სხვა ცხოვრებაში გამოსადეგ ხელობას, დურგლობას, მაგალითად, ან ხარაზობას, მექუდობას და სხვ. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ გიმნაზიებს და უმაღლეს სასწავლებლებს შუა ბევრი ერთნაირი და ერთგვაროვანი გამართულებაა, რომ უნივერსიტეტის ერთ ნაწილს, ისტორიკო-ფილოლოგიურ განყოფილებას, შეეთანასწორება კლასიკური გიმნაზიები, დანარჩენ განყოფილებებს (ბუნების მეცნი-

ერებისას, მატემატიკურს, იურიდიკულს და სხვ ) რეალური გიმნაზიები და სპეციალურ სასწავლებლებს—სახელოსნო შკოლები...

მაგრამ ის განსხვავება, რომელიც მე გამოვსახე და გავიყვანე სხვა და სხვა გვარ სასწავლებლებს შუა, და განსაკუთრებით კლასიკურ და რეალურ გიმნაზიებს შუა, ჯერ კიდევ არ გვაძლევს ნამდვილ აზრს თუ რამსიდე უშველებელი განსხვავებაა ნამდვილში ამ ორნაირ გიმნაზიებს, ან, უფრო სწორეთ ვთქვა, ამ ორნაირ აღზრდის სისტემებს შუა. ამ საგნის გასაგებლათ საჭიროა გავიხსენოთ მოკლეთ, რა ნაირი ბაასი ჰქონდათ და აქვთ რუსეთში ამ საგანზე სხვა და სხვა ჟურნალებს და გაზეთებს.

ამ საგანმა განსაკუთრებით მიიქცია რუსული გაზეთების ყურადღება სამოცდა სამში, როცა მმართებლობამ გიმნაზიების წესის შეცვლა მოინდომა და ახალი წესდებულება შეადგენინა გიმნაზიების სამმართველოთ. — მაშინ სხვა და სხვა გაზეთებმა სხვა და სხვა ნაირათ, სხვა და სხვა თვალით დაინახეს გიმნაზიის ახალი წესდება, რომელშიაც რეალურ სისტემას ცოტაოდენი მნიშვნელობა და ყურადღება რგებოდა. მაშინ ყველაზე უფრო მიიქცია

საზოგადო ყურადღება ორი გაზეთის, «მოსკოვის უწყებების» და «ხმის», ბაასმა ამ საგანზე.

მკითხველს უნდა ახსოვდეს, რა ამბავი იყო სამოცდა სამში, როცა პოლშის არეულება ჯერ კიდევ დაუმშვიდებელი იყო, «მოსკოვის უწყებები» მაშინ, კლასიკური გიმნაზიების ასამაღლებლათ, ათასნაირ კილოზე, ათასნაირ შემთხვევაში ნიადაგ იმას ამბობდენ, რომ ეხლანდელი არეულება და აყალმაყალი სულ ბუნების მეცნიერების საქმეაო, ბუნების მეცნიერება ურწმუნოებას ასწავლისო; და თუ ჩვენ, რუსეთს, ამ უსიამოვნო სენის მოშორება გვინდა, აუცილებლად ისე უნდა მოვმართოთ სასწავლებლების საქმე, რომ ის შეეჩვიოს შრომას შრომისთვის, ისეთ შრომას, რომელმაც იმის ჭკუას მარტო მოძრაობა მისცეს... მაშ, ამბობდა უფ. კატკოვი, ვისაც ჩვენი ქვეყნის სიკეთე სურს, ის კლასიკურ სისტემის მომხრე უნდა იყოს; ვინცკი რეალურ სისტემას უდგება, იმას მამულისა და საზოგადოების სიკეთე არ ესმის, იმასთან ბაასი არ ღირს.... მარტო ერთი მოწინააღმდეგე ამოუჩნდა მაშინ «მოსკოვის უწყებებს», — რუსული გაზეთი «ხმა» (*Голосъ*), რომელმაც რეალური გიმნაზიების დაცვა იკისრა.

ახირებული დაცვა იყო ეს დაცვა, მაგრამ «როგორიც ალია, იმისთანა ფლავიო». იმ კაცს, რომელიც ამბობდა, ვითომც ბუნებითი მეცნიერების სწავლა ქვეყნისთვის მავნებელი არისო,— «ხმამ» დაუწყო დამტკიცება, რომ რობესპიერი, სან-ჟუსტი, დემულენი და თითქმის ყველა სხვა გამოჩენილი რევოლიუციონერები, რომელნიც ისეთი გაცვიფრებით შეეტაკენ საფრანგეთის მმართებლობას და დასცენ ის—ეს რევოლიუციონერები ლათინურ და ბერძნულ წიგნებზე იყვნენ აღზრდილი და მათი რესპუბლიკის სურვილი, მათი გრძნობა პლუტარხის და ციცერონის თხზულებაების კითხვამ დაბადაო. შეხედეთ მაგიერათ, ამბობდა «ხმა», შრომ-მოყვარე, ჰკრაკტიკულ ხალხს, ფაბრიკანტებს, მექარხნეებს, ოსტატებს—ისინი ყოველთვის საზოგადო და სახელმწიფო წესის დამცველები და დამფუძვნებელნი არიანო. ამისგამო «ხმა» ამტკიცებდა, რომ ის მარტო მისთვის იცავს რეარულს აღრზდას, რომ პატრიოტია, და მტკიცეთ დარწმუნებულია, რომ რეალური განათლება სამუდამოთ მოსპობს რესპუბლიკურ და რევოლიუციურ სურვილს, რომელიც იპოება ლათინურ და ბერძნულ სახელმძღვანელოებში.

ამ ნაირათ განხილული და გარდაწყვეტილი საქმე დავიწყებას მიეცა. ცხოვრებაში კი «მოსკოვის უწყებების» აზრმა გაიმარჯვა, და ყოველგან უპირატესობა მიეცა კლასიკურ გიმნაზიებს, რომლებს მარტო მიეცათ სიმართლე მათში ნასწავლი ყმაწვილების უნივერსიტეტში პირდაპირ მიღებისა.

ამასობაში ცხოვრება თავისებურათ მიმდინარობდა. რუსულმა ლიტერატურამ ამის შემდეგ ხმა მაღლა ლაპარაკი დაიწყო, რომ ახალგაზდობის აღზრდას ის უმთავრესი მიზანი უნდა ჰქონდესო, რომ სასწავლებელი პატიოსან და გონიერ კაცს უმზადებდეს საზოგადოებას, ისეთს, რომელსაც თავისი საკუთარი გონებით და შრომით თავისი თავით რჩენა და თავისი მოქმედებით და ხასიათით საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლოს. მაშასადამე, ამბობდა რუსული ლიტერატურა, აღზრდა ისეთ რიგათ უნდა იყოს მიმართული, რომ ყმაწვილში კეთილი და გონიერი თვისებაები არ იჩაგრებოდენ ბრმა მორჩილებით და მის ხასიათს შრომის სიყვარული და სასარგებლო ნაყოფიანი შრომის ცოდნა

მიემატოსო ამ ნაირ ხასიათს ყმარწვილს მართო ისეთი ცოდნა მისცემს, რომელიც მის გონებას სხნის, ხეირიანათ აცნობებს იმას გარშემო მყოფ ბუნებას და ცხოვრებას და ისეთ ხელობას ან საქმეს ასწავლის, რომელსაც ყოველთვის მისი დარჩენა შეეძლოს, — ეს აზრი, სხვა სიტყვებით რომ გამოთქვას კაცმა, რუსული ლიტერატურა ამტკიცებდა რეალური და მასთან ტეხნიკური, სახელოსნო აზრდის საჭიროებას და სარგებლობას.

უეჭველია, რომ ამ დამტკიცებაებს დიდხანს ჯეროვანი გავლენა არ ექნებოდა საზოგადო აზრზე ევროპის ცხოვრებას ამ უკანასკნელ დროში ისეთი მხარეები რომ არ ამოეჩინა, რომელნიც დღესავით ნათლათ ამტკიცებენ, რომ ჩვენ დროში ხალხი ვერ გასძლებს, თუ ის ხეირიანათ განათლებული და სხვა და სხვა ხელოვნებიში გაჩვეული არ არის. სამოცდა ექვსში რომ ომი იყო, პრუსიას და ავსტრიას შუა, და განსაკუთრებით შარშანდელმა ომმა დაამტკიცეს, რომ ეხლანდელ დროში ომიც შეუძლებელია, თუ ჯარი ხელოსნებიდგენ არ არის შემდგარი ანა და შიგ საკმაო მცოდნე პირები არ ურევიან. როცა ჯარი აძულებულია ოცდა ოთ-

ხი საათის განმავლობაში უშველებელი რკინის ხიდის გამართვას, მტრისგან დანგრეულის მაგიერ, როცა ათი ათასობით სჭირია სახელმწიფოს ქიმიკოსები და ტეხნიკური თოფ იარაღის, წამლის და მასალების მოსამზადებლათ, ციხეების გასამართველათ და სხვა და სხვა. ამნაირ მდგომარეობაში ლათინური და ბერძნული გრამმატიკა უვარგისი და უძლურია. ვის არ ახსოვს, რა უშველებელი ხარხარი ატყდა შარშან, ომის დროს, მთელ ევროპიელ და რუსულ ლიტერატურაში, როცა ერთი ბერძნული ენის პროფესორი, რომელიც, ჯარში ჩაერიცხათ, ისეთ უვარგ მეომრათ გამომდგარიყო, რომ ის ჯარის ცხენებისთვის მიეყენებიათ მწყემსათ? რანაირათ დაცინოდა მაშინ ლიტერატურა თეთრ-თმიან მწყემს, რომელიც ბერძნულათ უჯავრდებოდა ცხენებს და ლათინური ლექსებით მიყავდა ისინი წყლის სასმელათ! ეს საბრალო მწყემსი - პროფესსორი იმ ხანჯლათ გახდა, რომელმაც სამუდამოთ გამოსჭრა ყელი ცხოვრებისთვის უსარგებლო საგნების მასწავლებელ სისტემასა, და ეს ხანჯალი იმ სიგრძე იყო, რომ მისმა ძალამ შორ ქვეყნებამდიც მიაწია...

«მოსკოვის უწყებებმაც», თუმც ცოტაოდნათ

იგრძნეს წელს ამ აზრის ძალა; მაგრამ ახლაც ამ გაზეთში ისვე ხმა ისმის და ისვე მიზანი სჩანს, რომლითაც ამ რვა წლის წინეთ ხელმძღვანელობდა უფ. კატკოვი ეხლა ის ამბობს, რომ ჩვენ თავის დღეში არ ვყოფილვართ რეალური სწავლის მტერიო, მაგრამ ისეთ ნაირ სისტემას ურჩევს ეხლა, რომელიც სრულიადაც ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილებას. იმისი აზრით, კლასიკური გიმნაზიები უნდა დარჩენ, ეხლანდელსავით, როგორც გონების გამხსნელი სასწავლებლები, მაგრამ რადგანც სახელმწიფოს ხელოსნები სჭირია, უნდა გაიმართოს სახელოსნო სასწავლებლები, რომელშიაც სხვა და სხვა ხელობას ასწავლიან. ამ სისტემას, რასაკვირველია, ის შემდეგი ექნება, რომ გონება გაუხსნელ კაცებს მხოლოთ სხვა და სხვა ხელობას ასწავლიან, მაგრამ საზოგადოებას კი ისეთი კაცები სჭირია, რომელთაც პატიოსანი და შეურყეველი ხასიათი ჰქონდეთ, გახსნილი, ნათელი და მომხერხებელი გონებაო და გონიერ შრომას შეჩვეული თავი და ხელები. ამ მიზანს კი ისეთი აღზრდის სისტემა სჭირია, რომელიც ნათლათ და გონიერათ გააცნობდეს კაცს მის საზოგა-

დობას და ბუნებას, და მაშში გონიერათ აღზრდიდეს გამჭრიახ და მომხერხებელი თვით — მოქმედებას

ეხლა ხანს უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფო რჩევასთან დანიშნულია ახალი კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს «გამოძებნოს გზა და საშუალებები რეალური აღზრდის გასავრცელებლად იმპერიაში». ამ კომისიის დანიშვნა, რომელშიაც ისეთი პირები არიან მეყვანილი, როგორც უფ. მიტიუტინი, გოლოვნინი და სხვა, ყველაზე უფრო ნათლად ამტკიცებს, რომ მმართებლობას საჭიროთ დაუნახავს რეალური სწავლის სარგებლობა და მოუნდომებია მისი შემოღება ძველი სისტემის მაგიერათ

ამ კომისიის შრომაზე მიქცეული უნდა იყოს ყოველი გონიერი კაცის ყურადღება, ამიტომ რომ მის ნაშრომზე დამოკიდებულია შემდეგი თაობის ბედი და მომავალი.

ნ. სკანდელი.

БИБЛIОТЕКА И. Д. ПЕТРОВА ВЪ КУТАИСѢ

# კრიტიკა

## და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში

ნუ გეშინია, მკითხველო, ამ სტატიას, თუმც კრიტიკა ჰქვია, მაგრამ შიგ არც ლანძღვა-გინება იქნება, არც მუშტი-კრივი, არც ვისიმე ნაკლულევანების გამოჩხრეკა. მაშ გული დაიმშვიდე და დაწყნარებით თვალი ადევნე ჩემ ნაწერს.

კრიტიკას მართლა ის კი არა აქვს მიზნათ, რომ რომელიმე ავტორის თხზულება აგინოს ან აქოს, ანა და ავტორს ბაასში შეებას და მისი შეცთომაები მასხარათ აიგდოს, მისი სისუსტე გამოააშკაროს. ეს პოლემიკის საქმეა, კრიტიკა ამას მხოლოდ იშვიათათ, სხვათა შორის, გაკვრით შეეხება. მისი ნამდვილი და უმთავრესი დანიშნულება კი სულ სხვაში მდგომარეობს. ამ დანიშნულებას ძალიან მაღალი და ძვირფასი მიზანი აქვს, რომლის გავლენა ყოველთვის ეტყობა ლიტერატურის და საზოგადოაზრის მდგო-

მარეობას, და რომლის უქონლობა ასე ასუსტებს ჩვენ უიმისოთაც სუსტ და საბრალო ლიტერატურას.

ლიტერატურის, საზოგადოთ მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილათ, სწორეთ და გონიერათ გამოხატოს ხალხის ყოფა-ცხოვრება, ხასიათი, ზნე, მოთხოვნილება და აზრი. ეს დიდი საქმეა, რომელიც გაყოფილია მწერლობის სხვა და სხვა ნაწილებს შუა. ერთი ნაწილი — ბელლეტრისტიკა (მოთხრობები, კომედიები, რომანები და სხვ.) ხატავს ხალხის მდგომარეობას, მეორე — ეკონომიური და პოლიტიკური მწერლობა, იკვლევს მის მოთხოვნილებას, მესამე — ფილოსოფია — არჩევს მისი აზრის მოძრაობას, და სხ. ამ ნაწილებს შუა ადგილი უპოვია ერთ განსაკუთრებით ვრცელ ნაწილს — კრიტიკას, რომელიც თვალს ადევნებს დანარჩენი ნაწილების მოქმედებას და მოძრაობას, ნიშნავს მათ ხასიათს, ჰკრებს მათი ნაშრომის ყვავილებს, აფასებს მათ მნიშვნელობას და არდგენს საზოგადოთ სჯას, გადაწყვეტილებას ამ საზოგადო შრომაზე და მოქმედებაზე.

არც ერთი მკითხველი არ მოიძებნება ისეთი, რომელსაც რამდენიმე მოთხრობა არ წაეკითხოს, ან კომედია, ან ლექსი მაინც. ის ალბათ შენიშნავდა, რომ, კარგათ თუ ავათ, ამ თხზულებების დამწერნი თავიანთ ნაწერში კაცებზე, ქალებზე, ბუნებაზე ლაპა-

რაკობენ, და ისეთ საგნებს შეეხებიან და ხატვენ, რომელნიც ჩვენ თითქმის სიადაგ თვალ წინ გვაქვთ. ხან ნათლათ, ხან ბნელათ, ზოგჯერ ხეირიანათ, ზოგჯერ უხეიროთ იხატება ამ თხზულებებში კაცის გული, გონება და ხასიათი. დამწერი ცდილობს მკითხველს ისეთი რამ წარუდგინოს, რომ მისი გონება ცოტა ხნით მაინც გაირთოს, დაკმაყოფილდეს დაწერილის წაკითხვით. მაგრამ თითქმის ყოველთვის ის ცხოვრება, რომელიც თხზულებაში გამოხატული იყო, მკითხველს ნაცნობ და თან უცნობ საგნათ ეჩვენება. ჩვენებური მკითხველი თითქმის ყოველთვის ამბობს— «თვალიც კი გამოსჭყლეტია ამის დამწერს, ჩვენი გოგიტა (ან ესა და ეს) რომ არ აეწერა, ჩვენ კი არ ვიცნობდით მას უიმისოთაცო.» თითქმის ყოველთვის ავტორის სურათი ჯეროვან შთაბეჭდილებას არ სტოვებს მკითხველის ტვინში, იმას ნათლათ არ ესმის, რა უნდა იფიქროს აღწერილ საგანზე, რა სჯა უნდა შეიდგინოს გამოხატულ ხასიათზე ან მდგომარეობაზე. აშკარათ სჩანს თუ არა მწერლის აზრი, პირდაპირი სიტყვებით გამოთქმულია ის, თუ სხვა და სხვა სელოვნური და ნიჭიერი სურათების რაზმით რის შემკული და მიფარული,—ჩვენებური მკითხველი მაინც დაბნეული რჩება, მაინც ვერ იგებს ხეირიანათ ამ აზრს. და თუნდ კიდეც გაიგოს ძლიერ

ჯარგათ ეს აზრი, იმისთვის მეტის მეტათ ძნელია მისი მნიშვნელობის გაგება, იმ მნიშვნელობის, რომელიც გვიჩვენებს, რა ადგილი უკავია თხზულებაში გამოხატულ სურათს, გამოთქმულ აზრს მთელი საზოგადოების სიცოცხლეში და მთელი ცხოვრების სურათებს შუა. ამის გამგები და დამფასებელი მკითხველები რომ იყვნენ ბლომათ საზოგადოებაში, მაშინ, განა, საჭირო იქნება რომანების, კომედიების და სხვა ლიტერატურული თხზულებების წერა და ბეჭდვა?

მწერალს ყოველთვის ეშინია მკითხველის გაუგებლობის, განსაკუთრებით იმისთანა ლიტერატურაში, რომელსაც სერიოზნათ დაფუძნებული კრიტიკა არა აქვს. ამის გამო მის ნაწერს ისეთი საქმე მოსდის, როგორიც ერთ მხატვარს მოუვიდა, რომელმაც დიდი გაჭირვებით ლომი დახატა და სურათზე განგალა ხელით დააწერა: «ეს ძაღლი კი არ არის, ლომია.» ყოველი გონიერი და მცოდნე კაცი, რასაკვირველია, ხარხარით გასკდება, როცა ლომის სურათზე ამისთანა წარწერას დაინახავს; მაგრამ ნურც საბრალო მხატვარს დავცინებთ ნამეტნათ: რა ექნა, იმას ეშინოდა, რომ ლომის უნახველ საზოგადოებას მისი სურათი ქოფაქი ძაღლის სისხეთ არ მიეღო...

საზოგადოების და ხალხის ცხოვრების გამოხატვა

ხუმრობა საქმე არ არის. ეს ცხოვრება ისე ვრცელია, იმას იმოდენა შეუნიშნავი მხარე და ღრმა საიდუმლელი აქვს, რომ მისი დაკვირვება, ერთბაშათ დანახვა და აწერა ძლიერ იშვიათი გონებისთვისაა შესაძლებელი. ამ საქმეს გენიოსების ტვინი და შრომა სჭირია, ისეთები, როგორც დანტე, სერვანტესი, სვიფტი, მოლიერი, გოტე ან გოგოლი. საზოგადოთ კი მწერლები სხვა და სხვა კერძო მხარეს იღებენ ცხოვრებისას, და ცალ-ცალკე ხატვენ ამ კერძო მხარეს, თავისი საკუთარი მხედველობით. ზოგი ხატავს კაცის გულს და გრძნობას სიყვარულში, ზოგი ამავე გულს და გრძნობას შეძენაში, ზოგი შურის ძალას კაცის ხასიათში, ზოგი სიღარიბის გავლენას კაცის ცხოვრებაზე, ზოგი იღებს რომელიმე საზოგადოებას ან საზოგადოების ნაწილს, და სწერს იმის ცხოვრებას და ზნეს, ზოგი რას და ზოგი რას. თვრამეტი კედლის აგებას ერთი სახლისთვის ძლიერ ბევრი კალატოზი და მუშა უნდება; მაგრამ ამ თვრამეტი კედლის შეერთება ერთ სახურავს ქვეშ, და მათგან ჩინებული სახლის გამართვა, თუმც ადვილი არ არის, მაგრამ უფრო ნაკლებ შრომას და მშრომელს თხოულობს, ვინემ კედლების ამოყვანა, და ეს ახალი შრომა ძლიერ გაადვილებულია კალატოზებისგან აშენებული კედლების მადლით. რას გავდა შეუერთებე-

ლი თვრამეტი კედელი? მოჰქონდა იმას ის სარგე-ბლობა, რომელიც უნდა მოეტანა სახლს, რომლისთვის დანიშნული იყო ეს კედლები და რომელიც უკედლოთ ვერ გაიმართებოდა?—ეს მაგალითი ნამდვილი გამოხატვაა იმ ურთიერთი დამოკიდებულების, რომელიც არსებობს ლიტერატურას და კრიტიკას შუა: კრიტიკას კედლების შეერთება, დაგვირგვინება, გამოყენება აქვს მინდობილი საზოგადო ლიტერატურის საქმეში.

მწერალი ცხოვრობს საზოგადოებაში, ყოველ დღე მის სიცოცხლეს და ჩვეულებაებს ხედავს, ნიადაგ—უნდოდეს თუ არა—მის ხასიათს და მოქმედებას ეყრება. მაგრამ მის ტვინზე ყოველ კერძო შემთხვევას ერთნაირი გავლენა კი არა აქვს. კაცი სარკე როდია, რომელიც ყოველთვის სწორეთ წარმოადგენს ყველაფერს, რაც მის წინ გაივლის ან გაჩერდება. კაცის ტვინი მკვდარი არ არის, იმას თავისი საკუთარი ცხოვრება და მოძრაობა აქვს. როგორც საქმეში გართული ან აზრში ღრმათ ჩაფიქრებული კაცი ძლიერ ხშირათ ვერ ხედავს, ვერ ნიშნავს და ვერ იგონებს რა ხდება მის ახლო, ხანდისხან მის თვალ წინ, როგორც ერთი აზრით გართული კაცის ყური უფრო ფხიზველია მარტო იმაზე, რაც ამ აზრს შეეხება, ისე კაცის ტვინიც მარტო ისეთ შემთხვევებს იგებს

და გრძნობს, რომელიც მის საკუთარ შინაგან მდგომარეობას შეეფერება. ნათქვამია, ყველის ქურდი დალაპარაკებულ კაცს რომ დაინახავდა, ჰკითხავდა თურმე: რაო, ყველიო? ეს სურათი ძლიერ კარგათ და ნამდვილათ ხატავს კაცის ტვინის თვისებას; ის აკვირდება, იკვლევს და იგებს მარტო იმ მოვლენას და შემთხვევას, რომელიც ცხოვრებას მისთვის განსაკუთრებით შესანიშნავი და ნაცნობი გაუხდის.

მშვენიერათ დამარაგებულ და ჩინებული საჭმელით სავსე სუფრასთან მიიყვანეთ ორი კაცი, ერთი მშიერი და მეორე გამაძღარი. და დააკვირდით იმ შთაბეჭდილებას, რომელიც იქონია ორივეს ტვინზე ერთმა და იმავე სუფრამ. მშიერი მაშინვე თავის ყურადღებას სასმელ-საჭმელს მიაქცევს, და პირდაპირ მათ გასინჯვას შეუდგება. გამაძღარი კი ჭიქების სილამაზეს, სუფრის სასურავის სითეთრეს, ოთახის გამართულობას და სიმდიდრეს დაუწყებს ცქერას; მისთვის სასმელ-საჭმელი არ არსებობს, იმას იმათი დანახვა არ სურს და ეზიზღება. ყური დაუგდეთ ამ ორი პირის საუბარს, და მაშინვე შენიშნავთ, რომ ერთი სჯის სასმელ-საჭმელზე, აქებს ან აძაგებს მათ ღირსებას, მაშინ როდესაც მეორე ამ საგანს თითქმის სრულიადაც არ შეეხება და სჯის სულ სხვა საგნებ-

ზე, რომელთაც არაფერი კავშირი არა აქვთ მისი მესაუბრეს ლაპარაკის საგანთან.

ეს თვისება აქვს კაცის ტვინს. ამასთანავე იმას მეორე თვისებაც სჭირს, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ლიტერატურის და აზრის მოძრაობაში. მიუტანეთ ერთი კოლოფი წურწუმა (სპიჩკა) იმისთანა კაცს, რომელსაც თავის დღეში არ გაუგონია — რისი მაქნისია წუფწუმა; აჩვენეთ, და დაუკვირდით მერმე, რა ნაირად აუწერს ის თავის ნანახ საგანს თავის მსგავს პირებს. — «ერთი წითელი კოლოფი იყო, რგვალი, იტყვის ის, ზედ ყვითელი ქაღალდი ეკრა, თავი და ბოლო კი შავი ჰქონდა, სორკლიანი. შიგ პაწაწა ფიჩხის ჩხირები ეწყო, რიგზე, ლამაზ ლამაზათ დათლილი და დარგვალებული; ამ ჩხირებს თავები ზოგს წითლათ ჰქონდათ შეღებილი, ზოგს მწვანეთ და ზოგს მისავის ფრათ. ასეთი ლამაზი სანახავი იყო, რომ მეტი არ შეიძლებოდა.» თქვენ, რასაკვირველია, მაშინვე შენიშნავთ, რომ ამ კაცს — უცოდინარობის გამო — სრულიადაც არ გადაუცია თავის მსმენლებისთვის წურწუმის უმთავრესი ხასიათი და მნიშვნელობა, იმას არ უთქვამს, როცა ამ ჩხირების შეღებილ წვერს კოლოფის სორკლიან თავზე ან ბოლოზე გაკვრენ, ჩხირს ცეცხლი წაეკიდება. იმას არ უნახავს ეს მოვლენა. შენიშნავთ. გადე

რომ იმას არც ის უთქვამს, თუ სხვა ყვითელ ოთხ-კუთის კოლოფებში, არც ზოგ ადგილს მაგნაირივე წუმწუმები, რომ იმ კოლოფებს ყვითელ ქაღალდის მაგიერათ ლურჯი და წითელი სურათები აკრავს, ლამაზი ქალების ან გრძელ ცხვირა კაცების სახით, რომ ჩხირების მაგიერ ამ კოლოფებში თაფლის სანთლებია, ან აბედი, დაუკვლავს ამ ჩხირებს, თაფლის სანთლებს, აბედს ერთი საერთო თვისება და მნიშვნელობა აქეთ — ცეცხლის გაჩენა, როცა კაცს დასჭირდება ან მოუნდება. წარმოიდგინეთ მაშინ, რა სეირიანი აზრი უნდა ჰქონდეს წუმწუმებზე, მათ თვისებაზე და მნიშვნელობაზე იმ პირებს, რომელთაც უმეცარმა კაცმა დაწრვილებით გამოუხატა წუმწუმები.

ხშირათ ამბობენ, ნამდვილი ცხოვრების გამოსატკა რა ძნელი საქმეაო, დააკვირდეს კაცი თავის ნაცნობების სახიათს და მოქმედებას და აწეროს, რაც ნახაო. — ეს იმ ვაჭრის სიტყვებს მაგონებს, რომელსაც ეგონა, რომ ერთ გამოჩენილ მწერალს თავის კომედიებში დიდ ძალი ფული აეღო, და რომელმაც თქვა: უეჭველია, ის ამ ფულს სხვა საქმეებში მოიგებდა, თორემ კომედიის წერით მილიონები რომ შეიძინებოდეს, ყველა კომედიების წერას დაიწყებდაო. წელან რომ ორი მაგალითი მოვიყვანე,

ორივეს ის აზრი ჰქონდა, რომ ადვილი საქმე არ არის ნამდვილი ცხოვრების შენიშვნა დაკვირვება და განსაკუთრებით გაგება. ეს საქმე ძლიერ ბევრს ისეთ გარემოებებს თხოულობს, რომელნიც იშვიათად იპოვება კაცში. ჩვენ ლიტერატურაში, ღვთის მადლით, ბლომად გვაქვს რომანები, მოთხრობები, კომედიები, სცენები და პოემები. შეაგროვეთ აბა ყველა ერთად, გადიკითხეთ და მითხარით, ბევრი ნამდვილი მხარეა შიგ გამოხატული ნამდვილი ცხოვრებისა, ბევრი ნამდვილი გრძნობა შეუნიშნავთ იმათ დამწერთ კაცის ცხოვრებაში და ბევრი ნამდვილი მდგომარეობა გამოხატულია იმათ ნაწერში? საუბედუროთ, თქვენ გულწრფელად უნდა მითხრათ, რომ ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი გრძნობა და მდგომარეობა მეტის მეტად იშვიათად არის გამოხატული ამ თხზულებებში; უმეტეს ნაწილს მათგანში ან უშველებელი ასოებით აწერია ყოველ სტრიქონზე — «ეს ძაღლი კი არ არის, ლომიაო,» ანა და იმ უმეცარი კაცის ხელი ატყვია, რომელიც დაწვრილებით და მცოდნე სახით უხატავდა თავისავით უმეცარ პირებს «პაწაწინა ჩხირებს შეღებილ თავებით.» ამ თხზულებების დამწერათ, იტყვით თქვენ, სრულიადაც არ გაუცვნიათ ხეირიანათ ჩვენი ქვეყნის და ხალხის მდგომარეობა, ხასიათი და ცხოვრება; იმათ ყური არ უთხოვებიაო, კაცის გულის

ცხოვრებისთვის, კაცის ჩვეულებებისთვის, არ გამოუკვლევიათ საზოგადო ცხოვრების თვისება და კანონები, არ დაუნახავთ და არ გამოუძებნიათ უკეთესი ცხოვრების ხასიათი და ცხოვრება, ერთი სიტყვით, მათი ტვინის წინამძღოლათ არც ნამდვილი ცხოვრების ხეირიანი გაცნობა ყოფილა, არც ხეირიანი კაცური ცხოვრების წარმოდგენა, იდეალი. თვალ-ახვეული, გონება დაბნეული დადიოდა ჩვენი მწერალი და როცა რომელიმე საგანი, თავისი ზიაზიას, წითელ-ყვითელი ან მეტის მეტათ შავი ხორკლიანი მხრით მიიქცევდა მის ყურადღებას, ჯდებოდა და უხატავდა მკითხველს «პაწაწინა ჩხირებს შეღებული თავებით....»

მართლაც, იშვიათათ გამოიძებნება ჩვენ მწერლობაში ისეთი თხზულება, რომელშიაც ყველაფერი, კაციდან დაწყებული ბუნებამდი და მზიდგან მოკიდებული შავ თვალებამდი, უმეცარი ხელით არ იყოს გამოხატული და აწერილი. კაცი, თავისი დახლართული მრავალ გვარი გრძნობით და ცხოვრებით, საზოგადოება თავისი მოთხოვნილებით, ბუნება და სხვა გარემოებები თავიანთი გავლენით,—ყველა ერთიანათ და ერთნაირათ იხატებიან ამ თხზულებებში «პაწაწინა ჩხირებათ შეღებული თავებით.» დრამებში კომედიებში და მოთხრობებში გამოყავთ ამასთანავ თავ-

*

შელებილი ჩსირები; იმათ კაცის სახელებს აძლევენ, პირში ქაღალდს უდებდენ რომელზედაც წარწერილია «ეს ძაღლი კი არა, ლომიაო,» და სხვა და სხვა ფრაზებს ათქმევინებენ, სხვა და სხვა ადგილას ატარებენ. მაგრამ ნამდვილი კაცის სხეული არ ასხიათ ამ ჩსირებს, ნამდვილი კაცის გული არ ძგერს მათ მკერდში, ნამდვილი კაცის ტვინი არ მოქმედებს მათ შელებილ თავებში; რაგინდ ჩვენებური სახელები დაარქვას იმათ მწერლებმა — ისინი უსულოდგმულო, პაწაწა, ძლიერ პაწაწა ჩსირები არიან და ჩსირებათ დარჩებიან, რადგანაც დრო და ჭკვა მალე წაალპობს მათ შელებილ თავებს, და ძლიერ მალე ხელახლავ უბრალო ჩსირებათ აქცევს იმათ.

ეს მდგომარეობა, სხვათა შორის, იმის ნაყოფია, რომ ჩვენ ლიტერატურაში კრიტიკას ადგილი არ ჰქონია. ჩვენში თუ დაბეჭდდა ვინმე კრიტიკას, მისი ნაწერი ყველას მაშინვე გინებათ და ლანძღვათ ეჩვენებოდა, და, მართალიც რომ ვთქვათ, იშვიათად მოხდებოდა, რომ, მწერლის ნაწერის გარჩევის დროს, კრიტიკოსს რამდენიმე სიტყვა არ გამოეთქვა თვითონ მწერლის შესახები და საწყენი. — ეს ყოველგან და ყოველთვის მომხდარა, და ჯერეც არ ასცილებია ამ უცნაურ ბედს უმჯობესი ლიტერატორები, გერმანიელი, მაგალითად, ან ფრანცუზული, ან, თუ გნებავთ, ინგლი-

ხელიც კრიტიკას მოკლებული მწერლობა და მწერლე-ბი, რასაკვირველია, უფრო და უფრო იშვიათათ აკვირდებოდნენ იმ აზრს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში და რა ადგილი, რა მნიშვნელობა უნდა მიეცეს მწერლობაში რომელსამე შემთხვევას, მოვლე-ნას, ხასიათს ან მდგომარეობას. ერთი მწერალი ერთ შემთხვევას წაავლებს ხელს და შეუფერებლათ გაადიდებს მის მნიშვნელობას, მეორე მეორე შემთ-ხვევას წაემტკრევა და აგრეთვე შეუფერებლათ დაამცი-რებს მის ხასიათს, მესამე—მესამეს, და სხვ. ამის გამო ჩვენ ცხოვრებაში ათასნაირი მხარე და მოვლი-ნება სრულიად შეუნიშნელი, დაუკვირვებელი რჩება, და რომელნიც შენიშნულნი და აწერილები არიან, იმათი სახე ან ნამეტნათ ბრუნდეთ ისატება მკითხ-ველის თავში, ან ნამეტანის ადგილს იკავებს, ან სულ ერთ ნამცეცას, როცა მეტის ღირსი კი არის. არსა-ვინ არ აქცევს მწერლების ყურადღებას შეუნიშნელ მოვლენებზე, არავინ არ აძლევს შესაფერ და ღირ-სეულ დაფასებას შენიშნულ მოვლენების და მათ მნი-შვნელობას, არავინ არ ხსნის მათ ხასიათს, წარმო-ებას და შედეგს საზოგადოების ან კერძო პირის ცხოვრებისათვის...

რა ნაირათ აიწერება ცხოვრება, როგორ გამოისა-ტება მისნი მოვლენანი? ყოველი მოვლენა ღირსია

აწერისა, თუ ზოგიერთები, და რითი უნდა იხელმძღვანელოს მწერალმა ასაწერი მოვლენის არჩევის დროს?—ეს კითხვა ძალიან საფუძვლიანია ამ საქმეში.

ცხოვრებაში ბევრნაირი მოვლენა და შემთხვევა შეხვდება კაცს, მაგრამ ყველა ეს შემთხვევა და მოვლენანი ერთი და იმავე ფასის კი არ არიან. იმათ შუა დიდი განსხვავებაა, აი, რა მხრით: ზოგი შემთხვევა ისეთია, რომ იმის მსგავსი და იმის გვარი შემთხვევა ათასობით და ათი ათასობით ხვდება კაცს, თითქმის ყოველგან და ყოველთვის; ზოგი კი ისეთნაირია, რომ იმისთანა შემთხვევა მეტის მეტად იშვიათად, თითქმის სრულიადაც არ ხვდება დამკვირებელს. ზოგ შემთხვევას დიდი და ღრმა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ცხოვრებაში, ამიტომ რომ ცხადათ აჩენს რომელიმე მოთხოვნილებას, ნაკლულევანებას ან სიკეთეს, ზოგი კი სრულიად არაფერს არ აჩენს და კვალ დაუტოვებელი თითქმის უმიზეზოთ და უნაყოფოთ გაიარს, ან ისეთი უბრალო და შეუნიშნავი მიზეზი და ნაყოფი ექნება, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ორი შემთხვევა. ყმაწვილს მასწავლებელმა სიცოცხლე გაუჭირვა, უმიზეზო, უსეირო დევნით, დასჯით და ჯინიანობით. მობეზრდა ამ ყმაწვილს ის უსარგებლო და უნაყოფო სწავლა, რომლითაც იმას აწვალებენ,

იგრძნო იმან თავისი მდგომარეობის სიმძიმე, დაინახა რომ ეს ტანჯვა იმას ნელა ჰკლავს და თავი რომ დაანებოს იმას, მაშინ სულ ერთიანათ დაღუპული იქნება, რადგანც არსაიდან თავის რჩენის შეძლება არ მოეძებნება. ამ გამოუსვლელ მდგომარეობაში, წვრილმანი დევნით გაბრაზებული, ის თოკს შოულობს და თავს იხრჩობს.—ეს ერთი, წარმოვიდგინოთ ქალა, რომ მეორე ყმაწვილი, სიცხისგან შეწუხებული და დაღალული, მოდის შინ და მწყურვალე წყალს ეწაფება. ამ დროს ის ხედავს, რომ კუთხეში, სუფრაზე, ქაღალდში გახვეული შაქარი დევს. იღებს ის ამ შაქარს, წყალში ყრის და სვამს. მაგრამ, მისდა საუბედუროთ, ეს შაქარი თაგვის წამალი ყოფილა, მაშასადამე ის საწამლავსავით მოქმედებს მასზე, და ცოტა ხანს შემდეგ ყმაწვილი წვალებით და დაგვით კვდება. აი, ორი შემთხვევა, რომელშიაც ერთი და იგივე, თითქმის, მიზეზია—ყმაწვილის შეწუხება, და ერთი და იგივე ნაყოფი—ყმაწვილის დატანჯული და უდროო სიკვდილი. ერთი შეხედვით, ამ ორივე მაგალითს ერთნაირათ უნდა შეეძლოს კაცის გულის დაწვა-დადაგვა, მაშასადამე ორივეს ერთნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მწერლობაში. მაგრამ, რაგინდ ცოდნით და ნიჭით უნდა გამოხატოთ თქვენ თავის წამლით მოწამლული ყმაწვილის ბედი, თქვენ

ნაწერს მკითხველი ნაწილიც არ ეღირსება იმ მნიშვნე-ლობისა, რომელიც ჰქნება უფრო სუსტათ და უნი-ჭოთ აწერილს ბედს პირველი ყმაწვილისას. ეს უკანასკნელი საგანი აღელვებს, დააფიქრებს და ჰვალს დასტოვებს თითქმის ყოველი მკითხველის გულ-ში და ტვინში, მაშინ, როდესაც მოწამლული ყმაწ-ვილის ბედი მარტო ერთი წუთის შებრალებას აღ-ძრავს გულ-კეთილი პირებში...

რა მიზეზი უძევს საფუძვლად ამნაირ განსხვავე-ბას, ამის კითხვა, ვგონებთ, საჭიროც არ არის. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ დარჩომილი ყმაწვილის ბედი იმისგან ჰპოულობს თავის დიდ მნი-შვნელობას, რომ ის წარმომადგენელია მრავალი ყმაწვილების და თითქმის მთელი თაობის ბედის და მდგომარეობის, მასში გამოისახა საზოგადო მდგომარეობა და დამხრჩვალი ყმაწვილი უბრალო კერ-ძო პირისგან, ტიპათ შეიქნა. მისმა ბედმა მიაქცია საზოგადო ყურადღება საზოგადო საქმეზე—მასწავლე-ბლის საქციელზე, აღზრდის მდგომარეობაზე და მთე-ლი ახალგაზრდობის მომავალზე—და ამ საქმეში, ხომ, ყველას თავის საკუთარი ბედი უნდა ეგულებოდეს.

მეორე მაგალითი კი უბრალო, უმიზნო და უმნი-შვნელო შემთხვევა იყო,—უბედურებაა, თუ გნებავთ, მაგრამ კერძო უბედურება, რომელსაც არაფერი სა-

ზოგადო მნიშვნელობა და არაფერი გავლენა არა აქვს, იმის მეტი, რომ შვილმოყვარე დედებმა თავის წამალი სტოლზე არ უნდა დასტოვონ, თორემ თავებს გარდა ეს საწამლავი ბავშვებსაც გაისტუმრებს საიქიოს. ამ შემთხვევას «ნარევში» თუ მიეცემა ადგილი, თორემ სხვა ნაირათ ის ლიტერატურას არ შეეხება და მწერლობა იმითი ვერ ისარგებლებს. მაშინ, როდესაც პირველი ახალგაზრდის სიკვდილი ათასნაირათ შეეხება მწერლობას და მის საშუალებით—მთელ საზოგადოებას.

ჩვენ შეგვიძლია, მაშ, დარწმუნებით ვთქვათ, რომ ყოველი კერძო შემთხვევა, მოვლენა, ხასიათი, მდგომარეობა და სხვ. მარტო მაშინ ხდება მწერლობის ყურადღების ღირსი, როცა იმას რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, როცა ის წარმომადგენელია მრავალი სხვა თავის გვარი მოვლინებისა. ყოველი შემთხვევა, რომელსაც სარჩულათ რამე საზოგადო ცხოვრების მხარე არა აქვს, რჩება თითქმის სრულიად უნაყოფოთ და უმნიშვნელოთ მწერლობაში, მაშასადამე ლიტერატურული გამოსახვის ღირსი არ არის.

აქედან ჩვენ ადვილათ გამოვიყვანთ ერთ კანონს სალიტერატურო თხზულების გასასინჯველათ: ყოველი საგანი მით უფრო შესანიშნავი და ყურადღების ღირსია, რაც უფრო მეტი საზოგადო მნიშვ-

ნელობა აქვს იმას ცხოვრებაში. მაგიერათ, რაც უფრო ნაკლები საზოგადო მნიშვნელობა აქვს რომელისაე საგანს, მით ნაკლები ყურადღების ღირსია ის. მაშასადამე, სალიტერატურო შრომაში ყოველ საგანს იმოდენა ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული და სწორეთ ის ადგილი უნდა ეკავოს, როგორიც ეღირსება საგანს თავისი საზოგადო ან კერძო ხასიათით. და ამ პირობიდგან პირდაპირ ის კანონი გამოდის, რომ რომელიმე საზოგადოების აწერაში ყოველ მხარეს, ყოველ თვისებას, თითოეულ ხასიათს თავისი შესაფერი ადგილი უნდა ეჭიროს, სწორეთ ის ადგილი, რომელსაც ეს საგანი თავისი საზოგადო მნიშვნელობით ჰპოულობს.

ამ ნაირათ გამოთქმული, ეს პირობა ადვილათ გვიჩვენებს, რამსიდიდე ცოდნა და რა გონების ძალა, რა გამჭრიახობა და ნიჭი აუცილებლათ საჭირია ყოველს მწერალს, რომელსაც ნამდვილი ცხოვრების ნამდვილათ გამოსახვა ჰსურს; და ჩვენთვის ეხლა გასაკვირველი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენებური ცხოვრების გამოსატკაში ჩვენ მწერლობაში მარტო ორიოდე პირმა მოახერხა, მრავალთაგან ამ ცხოვრების ზოგიერთი მხრის გამოსახვა. მართლაც გონება გაუხსნელ ან ჩუსტის ჭკუის პატრონ კაცს, აბა, რა ნაირათ შეეხება ცხოვრების და თი-

თოეული მისი მოვლენის შესაფერი დაფასება, გაგება და გამოხატვა? ცოტა რამ კი არ უნდა ამ უბრალო საქმეს—გარჩევას, აქვს თუ არა რომელსამე საგანს საზოგადო მნიშვნელობა, და თუ აქვს, რამსიდე და რა ძალის? და ყველა ამ საგნების აწონა, შესაფერი დაფასება და გამოხატვა ყოველი გონების საქმე როდია...

უმეტეს ნაწილათ, ლიტერატურულ თხზულებებში მწერლები იმნაირათვე დაუფასებლათ ხატვენ ცხოვრებას, როგორც ფოტოგრაფი ბუნების სურათებს, ან კაცის პირისახეს იღებს.—ამ შემთხვევებში მწერლის ძალა და ნიჭი იმაში გამოითქმება, რომ ცხოვრების სურათში არც ერთი შესანიშნავი და უყურადღების ღირსი საგანი არ დაივიწყოს ან მცირე საგანი დიდათ არ გამოხატოს, ან დიდი საგანი —მცირეთ. კრიტიკაში მიღებულია, რომ ის თხზულება, რომელშიაც ცხოვრება ან ბუნება მახინჯათ არის გამოხატული, ისე რომ ცხოვრების ნამდვილი და უმთავრესი მხარეები დავიწყებულია და წვრილმან ან უმნიშვნელო შემთხვევებს შეუფერებელი ადგილი უკავიათ და შემცდარი აზრის დატოვება შეუძლიანთ მკითხველის გონებაში, ამისთანა თხზულებები მეოქ ითვლება უთავბოლო, მახინჯ თხზულებათ და კრიტიკა მის გასინჯვის დროს სულ სხვა ნაირათ იქ-

ცავა, ვინემ ნამდვილი და ხელოვნური თხზულებების განხრეკის დროს.—როცა კრიტიკა მახინჯ თხზულებას სინჯავს, ის თავდაპირველათ იმ ცხოვრების ნაწილს იღებს, რომელიც უნდა გამოეხატა მწერალს და მის აწერილებას ადარებს; კრიტიკა ამბობს: აი, რას წარმოგვიდგენდა ჩვენ ნამდვილი ცხოვრება, აი, რა და რა მხარეზე უნდა მიექცია ყურადღება მწერალს, აი, რა და რა უმთავრესი საფუძველი და ნაყოფი აქვს ამ ცხოვრებას, და აი, მესამე მხრით, რა ნაირათ, რა სუსტათ გამოუხატავს ეს საგანი მწერალს, რა დაბნეულათ და შეუფერებლათ აუწერია იმას ცხოვრება.—სულ სხვაფრივ იქცევა კრიტიკა იმ თხზულების გასინჯვის დროს, როცა თხზულებაში ხელოვნურათ, სწორეთ და შესაფერათ გამოხატულია ცხოვრება ან რომელიმე მისი ნაწილი. ამ შემთხვევაში კრიტიკა პირდაპირ ამბობს, ცხოვრება სწორეთ და ჩინებულათ გამოხატულია ამ თხზულებაში, და აი, რასა და რას წარმოგვიდგენს ჩვენ იმ საგნების, ხასიათების და მდგომარეობის გასინჯვა, აი, რა და რა აზრს სძრავს და რა გრძნობას ბადებს ჩვენში ეს თხზულებაო.

როცა კრიტიკა ამ უკანასკნელ მოვალეობას ასრულებს, მაშინ მისი შრომა მეტის მეტათ სასარგებლო და ნაყოფიერია, როგორც თვითონ განხილული თხზულებისთვის, ეგრეთვე მთელი მწერლობისთვის

და საზოგადოებისთვის. კრიტიკის დახმარებით თხზულების სურათს ღირსეული დაფასება, ახსნა და გავრცელება ეძლევა. კრიტიკა უხსნის მკითხველს რა ძალა და მნიშვნელობა, რა ხასიათი და გავლენა აქვს მწერლის თითოეულ სურათს, რას ნიშნავს წვრილმანი მხარეები, ერთი სიტყვით ათასნაირათ უტრიალებს და უსინჯავს მკითხველს იმ ხასიათს და სურათებს, რომელნიც მწერლის თხზულებაში გაკვრით თუ არა, ისე ვერ გამოსჩნდებოდენ და იმ წვრილმან შენიშვნების და საგნებისგან, რომელნიც დაფანტული არიან აქა-იქ ხელოვან თხზულებაში, ან სხვა და სხვა თხზულებებში, კრიტიკა ერთ საზოგადო სურათს, საზოგადო და საერთო აზრს ადგენს, რომელიც ერთბაშათ და ღრმათ ხატავს საზოგადო მდგომარეობას, საჭიროებას და ხასიათს.

რაღა თქმა უნდა, რომ იმისთანა ან ამ გვარი კრიტიკა აკლია ჩვენ მწერლობას. ჩვენში ყოველი მწერალი მწერალიც უნდა იყოს, და თან თავის დაწერილის კრიტიკოსი, ესე იგი ამხსნელი, განმმარტებელი და ადგილის მჩვენებელი. საერთო სურათების შეკრება კი და ერთ საზოგადო სურათათ გადაქცევა სულ მიტოვებულია დღემდი ჩვენ მწერლობაში.

მაშასადამე, უფრო ნაკლები ლაპარაკი უნდა იმას,

რომ ჩვენ მწერლობას სრულიადაც არ მოლანდებია კრიტიკის მეორე, უმთავრესი უმაღლესი მხარე და მნიშვნელობა.

რადგანაც კრიტიკა თვალს უნდა ადევნებდეს ცხოვრების ხასიათს, ნიადაგ უნდა აფასებდეს იმას ამ ხასიათის გამოხატულებას სხვა და სხვა თხზულებაში, და თან თხზულების ღირსებასაც უნდა აფასებდეს და ცხოვრებისასაც, უეჭველია, რომ იმას ყოველთვის მოვალეობა ექნება ამ ცხოვრების ხასიათზე სჯა, მისი გაუკეთესების ცდა და საზოგადო აზრის იმ რიგათ მიმართვა, როგორც შეეფერება თანადროულ მდგომარეობას და საზოგადოების მოთხოვნილებას. საზოგადოების თითოეული წევრი იმოდენათ გართულია თავის კერძო საქმეებში და მოვალეობაში, იმოდენათ დაუმზადებელია საზოგადო ცხოვრების დაკვირვებაში და დაფასებაში, რომ ვისმე უნდა ეკისრნა მისი დახმარება, მისთვის საზოგადო ცხოვრების გამოკვლევა, ახსნა და დაფასება. რაკი საზოგადო მოთხოვნილებას და აზრს, რომელიც მკრთალათ და უსხეულოთ სუფევს კერძო პირების უმეტეს ნაწილში, ხელ-მძღვანელი კრიტიკა სხეულს შეასხამს, გააცხოველებს, გასაგებ ნაირათ გამოთქვამს, და თან ასრულების გზას მოუძებნის, ეს აზრი ისეთ ძალათ იქცევა, რომელიც ყოველთვის აუმჯობესებს საზოგადო მდგომარეობას

და ბედს, ამიტომ რომ მისი გამოკვლევით და ნათლათ გამოხახვით იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლო შეიქნა, რომელმაც დაბადა კერძო პირებში ეს აზრი ან მისი გრძნობა.

ეს მიზანი ყოველთვის თვალ წინ უნდა ჰქონდეს კრიტიკას თითოეული თხზულების განხილვის დროს. ის ნიადაგ იმას უნდა აქცევდეს თავის ყურადღებას, თუ რა უმთავრესი საჭიროებაა რომელიმე დროს საზოგადო ცხოვრებისთვის, რა მხრით და რა კილოზე უნდა იყოს მიმართული ლიტერატურის შრომა და რამდენათ ასრულებს ამ საჭიროებას სხვა და სხვა თხზულება, სხვა და სხვა მწერალი. ამ აზრით ხელმძღვანელი, კრიტიკა ნიადაგ ტონს უნდა აძლევდეს თავის ლიტერატურას და ისე უნდა მიმართავდეს მის ძალას და შრომას, როგორც საუკეთესო იქნება საზოგადო ცხოვრებისთვის.

ნ. ხვანდელი

ეს შეცთომა ისე სავნებელი არ იქნება საზოგადოებისთვის, როგორც ბნელი ყოფა-ქცევა ისეთი პირისა, რომელსაც გარყვნილი გული აქვს და ბოროტი მიზანი, და რომელიც თავის გონების სიმდიდრეში დაუსჯელათ ბოროტ მოქმედების საშუალებას პოულობს.

როცა მე ამ კანონებზე ვლაპარაკობ, მე სახეში მაქვს მარტო ის კანონები, რომელნიც უწინდელი ლილიპუტელების მოაზრებული და დაწესებული არიან. მე კარგათ ვიცი, რომ შემდგომ კანონებს ეს ხალხი ძლიერ გაურყვნიათ: მაგალითად აგიღოთ სასირცხო წესი, სახელმწიფო ადგილების თოკზე ცეკვით შოვნისა, და ნიშნები, რომლითაც იჯილდოება ვინც ჯოხზე კარგათ ხტის. მკითხველებმა უნდა იცოდენ, რომ ეს ცუდი ჩვეულება ეხლანდელი ხელმწიფის მამამ შემოიღო.

დაუმადლებლობას ამ ხალხს საშინელ დანაშაულობათ მიაჩნია, როგორც ძველ დროში ზოგიერთ პატიოსან ხალხებს სცოდნიათ.

ლილიპუტელები ამბობენ, რომ ვინც სიკე-თისთვის სიავით უხდის, ის ყველა დანარ-ჩენი კაცების მტერიაო.

ლილიპუტელები ფიქრობენ, რომ დედა-მამას როდი უნდა ჰქონდეს ხელში თავიანთი საკუთარი ბავშვების აღზრდა. ყოველ ქალაქ-ში გამართულია საზოგადო სემინარია, სადაც ყოველმა დედმამამ, გლეხების და მუშაკების გარდა, თავისი შვილები უნდა გაგზავნონ, ქალი და ვაჟი, ასაზრდელათ და მოსავლელათ. როცა ყმაწვილი ოცი მთვარისა ხდება, იმას საკმაოთ დაჭკვიანებულ და სწავლის მისაღებ-ლათ გამზადებულათ სთვლიან.

სასწავლებლები სხვა და სხვა გვარის არიან, სხვა და სხვა წოდების და სქესის შესაფერი. შიგ დახელოვნებული მასწავლებლები ისე ცხოვრებისთვის ამზადებენ ყმაწვილს, როგორც მის გვარს, მის საკუთარ ნიჭს და სურ-ვილს შეეფერება. მე ჯერ ვაჟების სასწავ-ლებლებზე მოვილაპარაკებ ცოტაოდენს, და მერე ქალებისაზე.

დიდკაცების ვაჟებისთვის დანიშნულ სას-წავლებელს დამჯდარი და სწავლული მასწა-ვლებლები ჰყავს. ბავშვებს სრულიად უბრალოთ ტანსსაცმენ და აჭმევენ. იმათ პატიოსნებას, სამართლიანობას, მამაცობას, თავმდაბლობას, სულგრძელობას და ღვთისა და მამულის სი-ყვარულს უნერგავენ გულში. ოთხ წლამდი მათ მოსამსახურე აცვამს, მერმე კი იმათ თვი-თონ უნდა მოუარონ თავს, რაგინდ დიდი ოჯა-ხის შვილები იყვნენ. მოსამსახურე დედაკაცები, რომლის ხანი ჩვენებურ ორმოცდა ათი წლის ქალს შეედარება, დაყენებული არიან მარტო შინაურ, საოჯახო სამუშაოზე. მუსაიფის და თამაშობის ნებას უმაწვილებს მარტო მასწავ-ლებლის თანდასწრობით აქვთ: ამრიგათ ისი-ნი სცილდებიან გიჟობას და ცუდ ზნეს, რომ-ლითაც საყმაწვილიდანვე იბილწება ახალგაზ-რდობის ზნე და ხასიათი. დედმამას ნებას აქვს ნახოს უმაწვილი წელიწადში ორჯერ. ეს ნახ-ვა ერთ საათზე მეტს ვერ გაგრძელდება; დედმამას მარტო მოსვლის და წასვლის დრო-

სა აქვს ყმაწვილის კოცნის ნება. მათ საუბარს უნდა დაესწროს მასწავლებელი ან მისგან დაყენებული ზედამხედველი, რომელიც ფუჩუნის, ნაზი სიტყვების თქმის და მურაბის ან სხვა სიტკბოების მლევას უშლის დედმამას.

ვინიცობაა, რომელიმე ოჯახმა დროზე რომ არ გადაიხადოს ყმაწვილის სწავლის და რჩენის ფასი, ეს ფული იმას სახელმწიფო სამსახურის პირმა უნდა გადაახდევინოს.

სასწავლებლები უბრალო აზნაურების, მოხელეების, ვაჭრების და მუშების შვილებისთვის, მათი შემდეგი ცხოვრების შესაფერათ არიან გაწყობილი. მოხელეებისთვის დანიშნულ სასწავლებელში სწავლა თერთმეტ წელიწადზე თავდება, მაშინ როდესაც შემმლე პირების სასწავლებელში ასწავლიან თუთხმეტ წლამდი (ეს ხანი ჩვენებურ ოცდა-ერთ წელიწადს შეეფერება). უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ახალგაზრდას თან და თან აკლებენ ზედამხედველობას.

ქალების სასწავლებლებში ქალი თითქმის

ისე იზდება, როგორც ვაჟი. ყმაწვილს დედა-კაცი უვლის, მასწავლებლის თანდასწრობით, ხუთ წლამდი; ამის შემდეგ ყმაწვილმა თავის თავს უნდა მოუაროს. როცა აღმოჩნდება, რომ რომელიმე მოახლე ან მომვლელი ბავშვს სულელურ, საშიშო და ცუდი ზნეობის არაკს და ამბებს ეუბნება, დამნაშავე სამჯერ საქვეყნოთ ქალაქში გაიწკეპლება, ერთი წლით სატუსა-ღოში ჩაისმება და მერმე სამუდამოთ საცხო-ვრებლათ იგზავნება ისეთ ადგილს, რომელიც იმ ქვეყნის უარესს და უბედურ კუთხეთ ითვ-ლება. ამის გამო ახალგაზდა ქალებს კაცებ-სავით სასირცხო საქმეთ მიაჩნიათ სისულელე და სისუსტე; ისინი გარეგან გამშვენიერებას და ტანსაცმელის სიმდიდრეს ყურადღებას არ აქცევენ, და მხოლოდ სისუფთავეს და რიგია-ნობას დასდევენ. მათ აღზდაში მე სხვა გან-სხვავება არ შემინიშნავს ისეთი, რომელიც მათ სქესს მიეწერებოდეს, იმას გარდა, რომ თა-მაშობაში ისინი ვაჟებზე უფრო თავდაკავებუ-ლნი არიან; ამას გარდა იმათ ოჯახობას ას-

წავლიან. საზოგადო აზრი კი ის არის, რომ
ქალი ნიადაგ გონიერ და სასიამოვნო ამხა-
ნაგათ უნდა გამოადგეს კაცს, რადგანაც ნიადაგ
ახალგაზრდა ვერ იქნება. თორმეტი წლის რომ
გახდება ქალი,—ამ ხნის ქალი იმ ქვეყანაში
დასაქორწინებელია,—მას დედამამას ის შინ
მიჰყავს, დიდი მადლობის გადახდით გამზრდელე-
ბისთვის; იშვიათია, რომ გამოთხოვებამ ახალ-
გაზრდა ქალი და მისი ამხანაგები არ აატიროს.

უბრალო ხალხის ქალებისთვის დანიშნულ
სასწავლებლებში ბავშვებს ასწავლიან ყოველ
ნაირ ხელობას, რომელიც მათ სქესს და
მდგომარეობას შეეფერება. ხელსაქმისთვის
დამზადებულ ქალებს შვიდ წლამდი ზრდიან,—
დანარჩენ კი—თერთმეტამდი ინახვენ.

ბავშვების აღზრდის ფასი ამ სასწავლებ-
ლებში რაც შეიძლება ნაკლებია; მაგრამ საშუალ-
ქონების ოჯახი, რომელთაც სასწავლებელში
ბავშვები ჰყავთ ასაზრდელი, ვალდებულია სწავ-
ლის ფასს გარდა ყოველ თვე წარუდგინოს
სასწავლებელს თავისი შემოსავლის ერთი წი-

ლი, ყმაწვილის სარჩენით. ამნაირათ ყველა დედ-მამას განონი ხარჯი ამცირებინებს. ეს იმის გამოა დაწესებული, რომ, ლილიპუტე-ლების აზრით, დიდი უსამართლობაა, კაცის მხრით, ბავშვის კეთება თავის სიამოვნების დასაკმაყოფილებლათ, და მერმე ამ ბავშვების რჩენის მიგდება საზოგადოებისთვის.— შემძლე პარებს კი თავიანთ შვილების დაგვარათ შეაქვთ სასწავლებლებში დანიშნული ფული, თი-თო ყმაწვილზე; ამ ფულებს ძლიერ გონიე-რათ და პატიოსნათ ინახვენ და ხმარობენ.

სოფლელები თავიანთ შვილებს შინ ინახვენ და ასწავლიან; რადგანაც მათ მარტო მიწის მოვლის ცოდნა სჭირიათ იმისგამო მათი აღზრდა საზოგადოებას არ აწევს. ბებრებს და უძლურებს კი სახელმწიფოთ საკურნალოებში იღებენ და არჩენენ. ამ მიზეზით მათხოვრო-ბა გაგონილიც არ გა გონებს იმ ქვეყანაში.

ეხლა, იქნება, შესაქცევათ დარჩეს მკითხვე-ლისთვის ჩემი გაწყობილების ამბავი, თუ რა ნაირათ ვიცხოვრე მე იმ ქვეყანაში ცხრა

თვის და ცამეტი დღის განმავლობაში. რაო-განც მე მომხერხებელი თავი მქონდა და გაჭირვებაც კარზე მადგა, მე ჩემთვის გავრიანე სუფრა და სკამები გავიკეთე, ხელმწიფის ეზოს უდიდესი ხეებისაგან.

ორასი მკერავი ქალი მომიჩინეს, პერანგების, სუფრების და ზეწრების შესაკერავათ. თუმც ამ საგნებისთვის რაც კი შეიძლებოდა უმაგრესი და უსქელესი ტილო ამოარჩიეს, ის მაინც მრავალკეცათ უნდა შეკერილიყო, და მაშინაც სისქით ჰოლანდიურს ემსგავსებოდა. მათი ტილო საზოგადოთ სამი გოჯის სიგანეა; თითო ნაჭერი ხუთი-ექვსი ტკაველი იქნებოდა სიგძით. მკერალმა ქალებმა აი რანაირათ აიღეს ჩემი ზომა: მე დავწექი მიწაზე; ერთი ჩემ კისერთან დადგა, მეორე—ჩემ მუხლთან. იმათ გაჭიმეს თოკი, რომლის ერთი თავი ერთს ეკავა ხელში და მეორე თავი —მეორეს, და მესამე ქალი კი ამ თოკის სიგრძეს ზომავდა ერთნაირ ზომით, რომელიც გოჯის ტოლა იქნებოდა. ამის შემდეგ იმათ გაზო-

მეს მარტო მარჯვენა ცერის სისხო, რამ-განც მატემატიკურათ გამოანგარიშებულა ჰქონიათ, რომ მაჯა ცერზედ სწორეთ ორჯერ უფრო სქელია; აგრეთვე გამოანგარიშებული ჰქონიათ იმათ ყელის და წელის სისხოც. ამნაირი მოხერხებით, და ერთი ჩემი ძველი პერანგის დახმარებით, რომელიც მე იმათ იატაკზე გაუფინე ნიმუშათ, იმათ რიგიანი პერანგები შემიკერეს. სამასი დერძიკი დააყენეს აგრეთვე ჩემი ტანთსაცმელის შესაკერავათ. მაგრამ იმათ სხვა ხერხი იხმარეს ჩემი ზომის ასაღებათ. მე დამაჩოქეს და ყელზე კიბე მომაყენეს. ამ კიბეზე ავიდა ერთი დერძიკებთაგანი, და იქიდამ ტყვია მობმული ძაფი გადმოუშვა, კისრიდამ დაწყებული იატაკამდი. ამ ძაფის სიგძე უნდა ყოფილიყო ჩემი ჩოხა. წელი და ხელები კი მე თვითონ გავიზომე. ტანისამოსს ისინი ჩემ სახლშივე ჰკერავდენ, რადგანც იმხელა ნაჭრები მათ ოთახში ვერ დაეტეოდა; შეკერვის შემდეგ, ჩემი ჩოხა ჩამოგავდა იმ საბნებს და ტანსაცმელს,

რომელსაც ჩვენში ქალები სხვა-და-სხვა ნაკუწებიდან ჰკერავენ, რამელთაგანაც ყოველს სხვა-და-სხვა ფერი აქვს.

ჩემი საჭმლის მოსამზადებლათ, მოჩენილი მყვანდა სამასი მზარეული; ისინი თავიანთი ოჯახით სცხოვრობდენ პაწაწინა ქოხებში, რომელნიც ჩემ სახლს გარშემო მიდგმული ქონდა. სადილათ და ვახშმათ მიმზადებდენ ორ-ორ საჭმელს. მე ავიყვანდი ოც მოსამსახურეს და სუფრაზე დავაყენებდი; ასი სხვა სუფრის ახლო მიწაზე იცდიდენ, ზოგი საჭმელით ხელში, ზოგი ღვინით და სხვა სასმელებით, რომელიც იმათ მხარზე გადგმული ჰქონდათ. რაც მე დამჭირდებოდა, სუფრაზე მდგომი მოსამსახურეები თოკით და ჭახრაკით ამოათრევდენ სუფრაზე, როგორც ჩვენში ჭიდან ჭახრაკით წყლის ამოღება ვიცით ხოლმე. თითო მათი კერძი გვარიანი ლუკმა იყო ჩემთვის. და თითო ჩაფი სასმელი—ერთ მოსმათ მყოფნიდა. მათი ცხვარი ჩვენისას უკან ჩამოუვარდება, მაგრამ ძროხა

კი ჩინებული ჰყავთ. ერთი იმსიდე მყვანდა, რომელიც სამ ლუკმით უნდა შემეჭამა, მაგრამ ეს იშვიათია. ჩემ მოსამსახურეებს ძლიერ უკვირდა, რომ მე ის მთლიანათ შევჭამე, როგორც ჩვენში შაშვის ბარკალს ვსჭამთ. მათი ბატი და ინდაური მე ერთ ლუკმათ მეყოფოდა; ისინი, მართალი უნდა ვთქვა, ჩვენებურებს ბევრათ სჯობდენ. იქაურ წვრილმან ფრინველს კი მე ოცს ან ოცდა ათს ავაგებდი ჩემ ჯიბის დანაზე.

ერთხელ ლილიპუტის ხელმწიფემ, რომელისთვის ამბავი მიეტანათ, თუ რა ნაირათ ვსჭამდი მე, ისურვა, რომ თვითონ იმას და მის მეუღლეს, ორივე სქესის ბატონიშვილებითურთ, «ჩემთან სადილის მირთმევის ბედნიერება ჰქონოდათ» (ამის თქმა ინება ხელმწიფემ). ისინი მართლაც მობრძანდნენ; მე დავსვი ისინი სკამზე, ჩემ სუფრაზე, სწორეთ ჩემ პირდაპირ, და აქეთ-იქით მათი მხლებლები ამოვუყენე. ფლიმნაპი, მთავარხაზინადარი, აგრეთვე ახლდა მათ, თავის

თერთი ჯოხით. მე შევნიშნე, რომ ის ხში-რათ მოღუშულათ მიცქეროდა, მაგრამ მე ისე მეკავა თავი, თითქო იმის მოღუშვას ვერ ვხედავდი, და სრულებით ჯამაში ვიყავი გარ-თული. ჯამით მე უწინდელზე უფრო მეტიც ვჭამე, ჩემი საყვარელი სამშობლოს სასახე-ლებლათ, ასე რომ მთელი სასახლე სრულიად გავაკვირვე. მე ბევრი საფუძველი მაქვს ვიფიქ-რო, რომ ხელმწიფის მობმანებამ ფლიმნაპს შემთხვევა მისცა ჩემთვის ცუდი რინის მო-სანდომლათ. ეს მინისტრი თავიდანვე ჩემ საიდუმლო მტერათ გახდა, თუმც გარეგან საქციელში ის ძლიერ მეფერებოდა,—როგორც მის ბილწურ ბუნებას სჩვევია. იმან მოახსე-ნა ხელმწიფეს, რომ ფინანსები გაჭირვებულ მდგომარეობაში არიანო, და ჩვენ იძულებული ვართ ფული დიდ სარგებლათ ვისესხოთო; ეს კაცი კი ჩვენ მილიონ ნახევარს «ს პ რ უ-გ ზ ე» მეტათ დაგვიჯდაო (სპრუგზე უდიდე-სი ფული იმათ არა აქვსთ; ის ოქროსია, და ბეწვის ტოლაა), ასე რომ აუცილებლათ

საჭიროა ეს კაცი პირველივე შემთხვევაზე თავიდან მოვიცილოთო.

აქ მე შეგინებისაგან უნდა დავიფარო ერთი კეთილი ქალის სახელი, რომელიც ჩემ-გარდამკიდე დაუშავებლათ დაიტანჯა. ვიღაც ენა-ბოროტებს მთავარ-მესაზინადრისთვის ეთქვათ, ვითომ მე მეტის-მეტათ გამეუპატიურებინოს მისი აღმატებულება, და ხმა დაეგდოთ, ვითომ მისი ცოლი ერთხელ ჩუმათ მოვიდა ჩემ სადგომში. ქმარმა ჩემზე ეჭვი აიღო. მაგრამ მე მრთელი ქვეყნის წინ ვაცხადებ, რომ ეს ცრუთ მოგონებული ამბავია, რომელსაც არავითარი საფუძველი არ ჰქონია. მით უმეტეს, რომ მისი აღმატებულება მე მეგობრულათ და თავისუფლათ მეპყრობოდა. მართალია, მისი მეუღლე ჩემთან მოდიოდა, მაგრამ დაუმალავათ, ისე, რომ ყოველთვის სამი სხვა ვინმე მოუყობოდა ხოლმე ეკიპაჟში,—ხან მისი და, ხან მისი ახალგაზრდა ქალი, ხან უბრალო ნაცნობები. მაგრამ ეს ჩვეულება თითქმის ყველა სასახლეში მყოფ

ქალებში მქონდათ. და ყველა ჩემ მსახურებს კი[illegible]წმებ, თუ როდისმე იმათ ჩემ კარს წინ ეკიპაჟი უნახავთ ისეთი, რომლის პატრონის სახელი იმათ არ სცოდნოდათ. ყოველ შემთხვევაში, როცა მოსამსახურე, მოვიდოდა და ვისმეს მოსვლას მაცნობებდა, მე ჩვეულებათ მქონდა მოსულს მაშინვე კარზე დავხვდომოდი და სალამი მიმეცა; მაშინ მე ფრთხილით ვიღებდი ეკიპაჟს და ორ ცხენს (როცა ეკიპაჟში ექვსი ცხენიება, ქუჩერი ოთხს გამოხსნიდა) ხელზე ვისვამდი და ჩემ სტოლზე ვდგამდი, რომელსაც სიფრთხილისათვის გარშემო ოთხი გოჯის სიმაღლე ფიცარი მქონდა შემოჭედილი. ამ ნაირათ მე ხშირათ მყოლია ჩემ სტოლზე ოთხი ეკიპაჟი ერთათ, სტუმრებით სავსე, მე კი ჩემ სკამზე ვიჯექ ხოლმე, და პირი მათკენ მქონდა მიქცეული. ხანამ მე ერთ გაჩერებულ ეკიპაჟში მჯდომებს ვემუსაიფებოდი, ქუჩრები დანარჩენებს სტოლს გარშემო ატარებდენ. მე ბევრი ნაშვადღევი ამნაირათ სასიამოვნო მუსაიფში გამიტარებია.

მე ვამტკიცებ რომ ვერც მთავარ-ხაზინა-
დარი, ვერც ერთ მისი ენის მამტანნი (მე
იმათ სახელსაც მოვიყვან); გლუსტრინ და
დრუნლო ვერ მოიყვანენ ვერც ერთ საბუთს,
რომ ვინმე ჩუმათ, უსახელოთ მოსულიყოს
ჩემთან, მინისტრი რელდრეზალის გარდა, რო-
მელიც გამოგზავნილი იყო ჩემთან განგებ
ხელმწიფის ბრძანებით, როგორც მე იმის
წინეთ ვიამბე. მე ამდენს ხანს არ უნდა მე-
ლაპარაკნა ამ საქმეზე, ჩემ სახელზე, და
საქციელზე, ამ გარემოებაში იმ ჩინებული ქალის
სახელი ასე ბნელათ რომ არ იყოს გათქერილი.
თუმც მე ისე ბედნიერი ვარ, რომ მარდა-
კის წოდება მაქვს, რომელიც თვითონ მთა-
ვარ-ხაზინადარს არა აქვს, რადგან მთელმა
ქვეყანამ იცის, რომ ის მხოლოდ გლუმგლუ-
მია, და ეს წოდება ერთი ხარისხით ნაკლე-
ბია ჩემსაზე, როგორც ჩვენში აზნაურიშვილი
თავადიშვილზეა, მაგრამ თავისი ადგილით ის
ჩემ წინ დგას. ამ ცრუ ამბის გამო, რომელ-
მაც ჩემ ყურამდი მლიერ გვიან მოაწია, ისიც

შემთხვევით, მთავარ-ხაზინადარმა საქვეყნოთ თავი მოისჯრა თავის ცოლის სახელს, და ჩემსას ხომ უარესი დაემართა. და თუმც ბოლოს ის დარწმუნდა თავისი მეუღლის უმანკობაში და კიდეც შეურიგდა, მაგრამ მე სრულიად ნდობა დავკარგე მის თვალში და იმისთვით ხელმწიფის თვალშიაც, რომელიც მართლა ნამეტნათ დაუყვება თავის შეყვარებულის მინისტრის ნებას.

VII. — ამის დამწერი იტყობს, რომ იმას ბრალის დადებას უპირებენ სახელ-მწიფოს წინააღმდეგ დანაშაურობაში, და იქცევა ბლეფუსკუსკენ.— მისი მიღება ამ ქვეყანაში.

სანამ ვიამბობ, თუ რა ნაირათ მოვშორდი მე ამ ქვეყანას, უნდა ვთქვა, რა ნაირათ მი-მტერეს მე მთელი ორი თვის განმავლობაში. მე მთელ ჩემ სიცოცხლეში არ მივსხლოვე-ბივარ სასახლეებს, რადგანაც ამის ნებას ჩემი მდაბალი გვარიშვილობა არ მაძლევდა. მართა-ლია, მე საკმაოთ გამიგონია და წამიკითხავს კიდეც ამბები დიდრონ მთავრებზე და მათი მხლებლების ყოფაქცევაზე. მაგრამ ჩემ დღეში არ მივიფიქრია მე, რომ იმისთანა საშინელ-რასმე ვნახავდი ისეთ სახელმწიფოში, რომე-ლიც, როგორც მე მეგონა, ევროპას არ ჩა-მოგავდა.

როცა მე დავემზადე ბლეფუსკის ხელმწი-ფის სანახავათ წასასვლელათ, ერთი ხელმწი-ფის დაახლოებული პირი, რომელსაც მე მლიერ

კარგათ დავესმარე, როცა ხელმწიფე მასზე მრისხანეთ იყო, მოვიდა ჩემს ღამე, ძლიერ საიდუმლოთ, დახურულ ეკიპაჟში, და შემომითვალა—ისე რომ თავის სახელი არ ახსენა —თქვენი ნახვა მინდაო. ქუჩერი გაშობილი იყო. მე ავიღე ეკიპაჟი, მისი აღმატებულებით, და ჯიბეში ჩავისვი, ჩემ ერთგულ მოსამსახურეს ვუბრძანე, ყველასთვის ეთქვა, რომ მე ავათ შევიქენ და დავიძინე, კარები ჩავკეტე, ეკიპაჟი სუფრაზე დავდგე, როგორც ჩვეულება მქონდა, და მის ახლო გავჩერდი. რაკი ორივე მხრით სალამი მივეცით, და მე მის აღმატებულების გარეგან სახეზე საიდუმლოება შევნიშნე და იმის მიზეზი ვკითხე, იმან პასუხათ მითხრა, მოთმინებით ყური დამიგდეთ ისეთ საქმეში, რომელზედაც დამოკიდებულია თქვენი სახელი და სიცოცხლეო. აი რა ნაირათ ილაპარაკა იმან (წავიდა ის თუ არა, მე ყოველი მისი ნათქვამი მაშინვე წიგნში ჩავიწერე).

—«თქვენ კარგათ იცით, მითხრა იმან, რომ თქვენ შესახებ, ამ უკანასკნელ დროს, რამდენ-

ჯერმე შეკრებილ იყო მეტის მეტად საიდუმლო სახელმწიფო რჩევა; და აქ ორი დღეა, რაც ხელმწიფემ გადაწყვეტილება მიიღო.

«თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ სკირეშ ბოლგოლამი (გალბეღი, ანუ ხომალდ მთავარი) თქვენი აქ მოსვლის შემდეგ, თქვენ სასიკვდილო მტრათ გადაგეკიდათ. მე არ ვიცი, თავდაპირველათ რა მიზეზები ჰქონდა იმას. მაგრამ მისი ჯიბრი მეტის მეტათ გამოაშკარდა თქვენი გამარჯვების შემდეგ ბლეფუსკულებზე, რომელმაც დაამცირა მისი ხომალდ-მთავრობა. ამ მინისტრმა, ფლიმნაპის (რომელიც თქვენ გმტერობს თავისი მეუღლის გულისთვის: თქვენი და მისი ამბავი ეხლა ყველასთვის გამოაშკარდა), სარდრის, ლიმტოკის, სახლთუხუცესის ლალკონის და მსაჯულთ-მთავრის ბალმუფის დახმარებით დაამზადა თქვენ წინააღმდეგ ბრალმდებითი წერილი, რომელშიაც თქვენ სახელმწიფოს ღალატს და ბევრ სხვა სასიკვდილო დანაშაულობას გაბრალებენ.»

ამ წინასიტყვაობამ ისეთ ნაირათ ამაღე-

ლვა, რომ მე იმას სიტყვა შევაწყვეტინე; რადგანაც დარწმუნებული ვიყავი ჩემ სიმართლეში და სამსახურში. მაგრამ იმან მთხოვა გაჩუმებული ვიყავი და განაგრძელა:

— იმ სიკეთის გადასახდელათ, რომელიც მე თქვენ მიყავით, მე შევიტყვე მთელი საქმის წარმოებას და წერილის პირიც ვიშოვე. ამით მე ჩემ თავს ვკარგავ თქვენ სასარგებლოთ.

## კვინბუ ფლესტრინზე (მთა-კაცზე) დაწამებანი

„დაწამება პირველი. ვინაიდგან მისის დიდებულების კაბინ-დეფარ-თულიურის მეფობისა შინა გამოცემული კანონი ბძანებს დიდებულების შეურაცხყოფისათვის სიკვდილით დასჯასა ყოვლის გვამისა, რომელიც გაბედავს მეფის სასახლის გარემოს სეირანზე გასვლასა, გარნა უწყებულმა კვინბუ-ფლესტრინმა არა თუ ესე ჰყო, არამედ განზრახვით მით, რომელ გაქრო ცეცხლი მათის დიდებულების უსაყვარლესის და უავგუსტესის მეუღლის სადგომთა შინა, რომელნიცა იმყოფებიან მეფის სასახლის გარემოს, შებილწულ ჰყო და მუხანათობრივის და მზაკვრობითის წესით აღასრულა მოქმედება იგი, რომელიც აკრძალულ არს ზემოუწყებულის კანონითა.

დაწამება მეორე. უწყებულმა კაინბუ-ფლე-სტრინმა სავაროლო-ბლეფუსკუს ფლოტის მოყვანის შემდეგ ჩვენს ბოლოხში, მისი სა-მეფო დიდებულების ბძანებაზე, რომ და-ნარჩენი ბლეფუსკუს სახელმწიფო ხომალდე-ბიც მოასხას ჩვენის ვიცეადმირალის საბძა-ნებლო ზღვის მაზრაში და დაღუპოს არამც თუ ყველა განდევნილნი კვერცხის ბოლო-ტეხიები, არამედ ყველა ბლეფუსკელებიცა, რომელნი უარს არ იტყვიან კვერცხის ბოლო-თი გატეხაზე, უწყებულმა ფლესტრინმა, ვი-თარცა განდგომილმა მუხანათმა მისის დღე-გრძელის დიდებულებისამ, წარუდგინა უმდაბ-ლესი თხოვნა ზემოხსენებულის თანამდებო-ბიდგან განთავისუფლებისათვის, იმ განზრა-ხვით, რომ ვერ შემძლებელ ვარო სინდისის ძალ დატანებასა და მართალის ერის თავი-სუფლების წართმევისა.

დაწამება მესამე. რაჟამს უწყებულნი ელ-ჩნი მოვიდნენ ბლეფუსკუს ხელმწიფის კა-რიდგან მშვიდობიანობის სათხოვნელათ, მო-

ხსენებული ფლესტრინი, ვითარცა ოფიცის გამტეხი ქვეშევრდომი, ეწეოდა, ხელს უწყობდა და აღნიშნულთა ელჩთა გზას უჩვენებდა, თუმცა იცოდა, რომ იგინი მახისტრება იყვნენ იმ მეფის, რომელიც დიდი ხანი არ არი, რაც პირდაპირი მტერი იყო მისის დიდებულებისა და ებრძოდა მას.

დაწამება მეოთხე. უწყებული კვინბუ-ფლესტრინი, ერთგულ ქვეშევრდომობით მოხელეობის წინააღმდეგ, აწ ემზადება ბლეფუსკუს ხელმწიფის კარზე მისვლას, რომელზედაც მხოლოდ სიტყვიერი ნებართვა მიიღო ხელმწიფისაგან და ზემოხსენებული ბრძანების ძალით, მუხანათათ ჰხედავს ამ მგზავრობის ასრულებასა და შეწყვნას და დახმარებას ბლეფუსკუს მეფისა.»

— «სხვა მუხლებიც არის, განაგრძელა იმან, მაგრამ მე რაც უფრო შესანიშნავი იყო თქვენთვის, ის წაგიკითხე.

«სხვა და სხვა რჩევაში ამ ბრალმდებით წერილზე, მისმა დიდებულებამ მრავალ გზით

გამოაჩინა თავისი მოწყალე ხასიათი,—იმან ხშირათ გაიხსენა თქვენი სამსახური და თქვენი დანაშაულების შემცირება სცადა. მთავარ-ხაზინადარმა და ხომალდ-მთავარმა ის აზრი გამოთქვეს, რომ თქვენ საშინელი და საზიზღარი სიკვდილით უნდა დაისაჯოთ,—დაე თქვენ სადგომს ცეცხლი უნდა წაეკიდოს, ჯარის მთავარმართებელმა კი ოცი ათასი კარგათ დაიარაღებული კაცით კარებში უნდა დაგხვდეს და მოწამლული ისრებით პირისახე და ხელები დაგსვრიტოს. ზოგიერთ თქვენ მოსამსახურეებს ბრძანება უნდა მისცემოდათ თქვენ ტანსაცმელზე, სახურავზე საწამლავი წაესხონ, რომელიც თქვენ სხეულს დაალპობდა და სატანჯველ სიკვდილით მოგკლავდა. მთავარ-მმართებელიც ამ აზრს დაეთანხმა, ასე, რომ დიდხანს რჩევის წევრების უმეტესი ნაწილი თქვენ წინააღმდეგ იყო. მაგრამ მისმა დიდებულებამ გადაწყვიტა, თუ შესაძლებელი იყო, თქვენი სიცოცხლის გადარჩენა, და ბოლოს სახლთუხუცესის აზრს გახდა.

ამ შემთხვევაში ხელმწიფემ უბრძანა რეილ-
რეზსალს, კერძო საქმეების მინისტრს, რო-
მელიც ყოველთვის თავის თავს თქვენ მე-
გობრათ ირქმევდა, რომ იმან თავისი აზრი
გამოეთქვა. რეილდრეზსალმა მაშინ დაამტკიცა,
რომ თქვენ შემცთარი არა ხართ, ჩინებული
აზრი რომ გაქვსთ იმაზე. ის გამოტყდა, რომ
თქვენი დანაშაურობა დიდი იყო, მაგრამ თქვენ
მაინც შებრალების ღირსი ხართ, რადგანაც მო-
წყალეობა ხელმწიფის უმთავრესი ღირსებაა,
და ეს ღირსება მთელ ქვეყანაში გათქმულია.
იმან თქვა, რომ მას და თქვენ შუა მეგობ-
რობა ყველასთვის აშკარა საქმეა, და ამის-
გამო იქნება პატივცემულმა რჩევის წევრებმა
იმას თქვენკენ მოდგომა შეჰსწამონ; მაგრამ
რადგანაც მისმა დიდებულებამ თავისი აზრის
გამოთქმა მიბრძანა, თავისუფლათ ვიტყვი
რას ვფიქრობ. მისი აზრით, მისმა დიდე-
ბულებამ რომ უწინდელი თქვენი სამსახური
გაიხსენოს, თავის საკუთარ მოწყალე ხასიათს
ყური ათხოვოს, თქვენ სიცოცხლე გიწყალო-

ბოს და მხოლოთ ორივე თქვენი თვალებიც დათხრა ბრძანოს, სამართალი თითქმის დაკმაყოფილებული იქნება, და მთელი ქვეყანა აღტაცებით მიიღებს ხელმწიფის მოწყალების და მისი მრჩევლების სიბრძნის ახალ დამტკიცებას. სინათლის მოკლება, მისი აზრით, თქვენ სხეულის ძალას არ მოგაკლებს, რომლითაც თქვენ მისი დიდებულების მსახურება შეგიძლიათ, და სიბრმე ვაჟკაცობას მოგიმატებს კიდეც, რადგანაც საქმის დროს მისი საშინელის ან განსაცდელის დანახვა და შეშინება არ შეგეძლებათ: ასე, მაგალითად, რომ თქვენ ბლეფუსკუს მთელ ფლოტსაც მოიყვანდით, მტრის ისრებიდან თვალების დაკარგვის რომ არ შეგშინებოდათ. და თქვენ სრულიად უნდა გეყოსთ სხვისი თვალებით ცქერა, რადგანაც დიდი ხემწიფებიც ამნაირ მდგომარეობაში არიან.

«ეს წინადადება მთელმა რჩევამ უკმაყოფილოთ მიიღო. ხომალდ-მთავარმა ბოლგოლამმა თავისი რისხვა ვერ შეიკავა, და თქვა,

მეტის-მეტათ გაოცებული ვარ, სახელ-მწიფო მინისტრი მოღალატის სიცოცხლეს აგრე რათ უნდა იცავდეთ. მისი სამსახური, რომელიც თქვენ გაიხსენეთ, სახელმწიფო მიზეზების გამო, მის უდიდესს დანაშაულობათ უნდა ითვლებოდეს,—ამიტომ რომ იმ კაცს, რომელმაც შარდით დააქრო ცეცხლი მის დიდებულების სადგომში, ადვილათ შეეძლება! იმავე ნაირათ წარღვნა მოახდინოს მთელ სასახლეში, და იმ მალით, რომელმაც იმას მტრის გემები მოაყვანინა, პირველივე უკმაყოფილების შემდეგ, იმას იმ გემების უკან წაყვანაც შეეძლება. მე ვფიქრობ კიდეცაო, რომ ეს კაცი კვერცხის ბოლოტეხიათაგანი უნდა იყოს თავის გულში, და რადგანაც დალატობა ჯერ გულშ იბადება და მერმე საქმით ჩნდებაო, ის ამ საქმეშიც ღალატობას გაბრალებსთ თქვენ და ამისგამო ისევ იმ აზრის რჩება, რომ თქვენ სიკვდილით დასასჯელი ხართ.

«მთავარ-ხაზინადარი იმავე აზრის იყო; იმან გამოსახა, რა მდგომარეობაში ჩააგდო თქვენმა ხარჯმა მისი დიდებულების ხაზინა, და რა შეუძლებელი იყო მაგ მდგომარეობის ამ ნაირათვე დატოვება. რელდრესალი, საშვალების—თვალის დათხრა—ხომ სულ უძლურია ამ გაჭირვების მოსასპობლად: როგორც ყველამ იცის, თვალ დათხრილი ფრინველი უარესათ იწყებს ჭამას და უშველებლად სუქდება. რადა ბევრი ლაპარაკი უნდა, დაამბოლოვა იმან, მისი უწმინდესი დიდებულება და მისი რჩევა დარწმუნებულია თქვენ დანაშაულობაში, და ეს საკმაო საფუძველია თქვენი სიკვდილით დასასჯელათ, ისე რომ კანონით დაწესებული საბუთების ძებნა საჭირო არ არისო.

«მაგრამ მისი დიდებულება მონდობილი იყო რომ თქვენ სიკვდილით არ დასჯილიყავით: იმან მოწყალეთ ბრძანა, რომ თუ თვალის დათხრა მცირე დასჯათ მიაჩნია რჩევას, შეიძლება იმას თან სხვა დასჯაც დავატანოთ.

მაშინ თქვენმა მეგობარმა მინისტრმა, რომელსაც ძლიერ სურდა ხელახლად ელაპარაკნა მთავარ-ხაზინადრის ნათქვამის წინააღმდეგ, თქვა, რომ მის აღმატებულებას, სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის მარტოდ მმართველს, ადვილათ შეუძლია ამ გაჭირვებას ბოლო მოუღოს და თქვენი სახარჯო თან-და-თან შეამციროს. ამ რიგათ, საზრდოს შემოკლების გამო, თქვენ მალე დასუსტდებით, დაღონდებით, მადას დაკარგავთ და ცოტა ხნის შემდეგ კიდეც მოკვდებით. ამას გარდა, მოვრის დალპობა მაშინ ისე სავნებელი როდი იქნება, რადგანაც ის თითქმის დანახევრდება, და თქვენი სიკვდილისთანავე ხუთ ექვს ათას ქვეშევრდომს ორი ან სამი დღის განმავლობაში შეეძლებათ ხორცის ძვლებიდან მოშორება და მიწაში ჩაფლა, ჟამის გაჩენის მოსასპობლად.—ძვლები კი შემდეგ შთამომავლების გასაკვირებლად დარჩებათ.

ამ ნაირათ, ამ მინისტრის მეგობრობის

მალით, თქვენი საქმე დათანხმებით გათავდა. სასტიკათ დააწესეს, რომ საიდუმლოთ შენახული უნდა ყოფილიყო თქვენი ნელ ნელა დამშევე-ბით მოკვლის გადაწყვეტილება. თვალების დათხრის გადაწყვეტილება კი სახელმწიფო წი-გნებში ჩაიწერა: იმას ალბათ ეწინააღმდეგა ხომალდ-მთავარი ბოლგოლამის გარდა, რომე-ლიც დედოფლის საყვარელია და რომელსაც დედოფალი მუდამ ურჩევს თქვენი სიკვდილი მოითხოვოს. დედოფალი თქვენზე საშინლად გარისხებულია, იმისთვის, რომ თქვენ უკანო-ნო და უზდელ ნაირათ დააქრეთ ცეცხლი მის სადგომში.

«სამი დღის შემდეგ თქვენსა გამოგიგზავნიან თქვენ მეგობარ მინისტრს, რომელმაც დაწა-მების მუხლები უნდა წაგიკითხოს და შემდგომ აგიხსნას მისი დიდებულების და რჩევის სულ-გრძელობა, რადგანაც თქვენ მარტო თვალების დათხრა გადაგიწყვიტეს. მისი დიდებულება დარწმუნებულია, რომ თქვენ მადლობით და კად-

ნიერად მიიღებთ ამ სასჯელს. იმას მოუობა მისი დიდებულების ოცი ქაბმასშები, რომელთაც სასჯელი წესიერათ უნდა მოასხდინონ და მრავალი წმინდა ისარი უნდა გესროლონ ღია თვალებში, როცა თქვენ მიწაზე დაწოლილი იქნებით.

«თქვენმა საკუთარმა წინდახედულობამ იცის, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ თქვენ. მე რომ არავინ შემჩნამოს რა, ეხლავ უკან უნდა დავბრუნდე, იმავე საიდუმლო ნაირათ, როგორც მოველი.»

მისმა აღმატებულებამ მე მარტო დამტოვა და მე, გონება აღელვებული, ფიქრს თავი მივანებე.

ამ ხელმწიფეს და მის მინისტრებს ერთი ჩვეულება შემოეღოთ, — რომელიც, როგორც მითხრეს, სრულიადაც არ ჩამოგავდა უწინდელ ჩვეულებებს. — როცა სასამართლომ რამე სასტიკი დასჯა უნდა გადუწყვიტოს ვისმე, ხელ-

მწიფის რისხვის დასაკმაყოფილებლათ და მისი მინისტრების ხათრისთვის, ხელმწიფე მთელ რჩევას შეკრებს და სიტყვას ებნებს, რომელშიაც გამოხატულია მისი სულგრძელება და მოწყალე გული, რომელიც გაქმულია მთელ ქვეყანაში. ეს სიტყვა მაშინ მთელ სახელმწიფოში ცხადდება. არაფერ არ შეუძლია აქაური ხალხის იმ რიგათ შეშინებას, როგორც ხელმწიფის გულ-მოწყალებისის ჩამოთვლას, რადგანაც შენიშნულია, რომ რაც უფრო ნაქებია ამ სიტყვაში ხელმწიფის სულგრძელებას და მოწყალებას, მით უფრო სასტიკი და შეუბრალებელია სასჯელი და მით უფრო მრავალი უდანაშაულო ხალხი იღუპება რაც მე შემ[illegible]ბა [illegible]და გამოვტყდე, რომ რადგ[illegible]სასა[illegible]ებ[illegible]ვის დანიშნული არ ვიყავი, [illegible]ს და აღზრდის გამო, მე ამ სა[illegible]ვხვდი, ამ გადაწყვეტილების [illegible]ებს და მოწყალებას რაში მდგომარეო[illegible]ის (იქნება ასაშა მე შემცთარი ვ[illegible]

20-
634/
20

3-8

5 825
1871